ადრეული განათლების კურიკულუმი
თ ა მ ა შ ი

ნაწილი I

მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

ხათუნა დოლიძე, თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე

გამომცემლის ლოგო

თბილისი

2020

ადრეული განათლების კურიკულუმი – თ ა მ ა შ ი
მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ნაწილი I

ავტორები: ხათუნა დოლიძე, თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე

რეცენზირებულია International Step by Step Association-ის მიერ.

რეცენზენტები: მიხაელა ლონესკუ PhD, MA; კონსტანტინა რენცუ PhD, MA;ალიოშა რუდასი MA

რედაქტორი: ეკა კეკელია

მხატვარი: ლექსო რატიანი

დაკაბადონება: გიგა კეკელია

წიგნში გამოყენებულია შემდეგი საბავშო ბაღების ფოტოები:
თბილისის №6 ბაგა-ბაღი; ბოლნისის №2 ბაგა-ბაღი; ბათუმის №34 საბავშვო ბაღი;
ბათუმის №30 საბავშო ბაღი; ადრეული განათლების ცენტრი „მწვანე ალუბალი“

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

ISBN....

გამომცემლის ლოგო და
რეკვიზიტები

ადრეული განათლების კურიკულუმი – თ ა მ ა შ ი ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლობით.

კურიკულუმის მიზნია, დაეხმაროს 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

კურიკულუმი წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა. გზამკვლევი მოიცავს დაგეგმილი თუ დაუგეგმავი სიტუაციების აღწერას, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალისტებს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დონეზე (ბაღის, ჯგუფის, ინდივიდუალურ) შედგენა-განხორციელებაში დაეხმარება.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი – მ ე თ ო დ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო 2-დ ა ნ 5 წ ლ ა მ დ ე დ ა შ ე რ ე უ ლ ი ა ს ა კ ო ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს თ ვ ი ს – ადრეული განათლების მეთოდოლოგიას ეხება. მეორე ნაწილში – პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო/ ს ცე ნ ა რ ე ბ ი 2-დ ა ნ 5 წ ლ ა მ დ ე დ ა შ ე რ ე უ ლ ი ა ს ა კ ო ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს თ ვ ი ს – მოცემულია პრაქტიკის მაგალითები. რამდენიმედღიან სცენარებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოცემული თეორიული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტები.

ავტორები სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში მიღებული რჩევებისა და მოსაზრებებისათვის მადლობას უხდიან ადრეული განათლების სფეროს ექსპერტებსა და პრაქტიკოსებს: თამთა კუხალეიშვილს, ნინო ლაბარტყავას, თამარ საღინაძეს, ხათუნა მეტრეველს, მანანა ხუციშვილს, მაკა ფალავანდიშვილს, ბელა ჯოხაძეს და ნათია მუნჯიშვილს.

ნაყოფიერი თანამშრომლობისა და მნიშვნელოვანი რჩევების გაზიარებისათვის ავტორები ასევე მადლობას უხდიან სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ექსპერტებს: მარიამ ჩიქობავას, ეკატერინე ლეჟავას, ნიკო სილაგაძეს, თამარ თოლორაიას, ია აფთარაშვილს, მარიამ გილაშვილს და თამარ ჯაყელს.

განსაკუთრებული მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის პარტნიორ ორგანიზაციას – International Step by Step Association და მის წარმომადგენლებს: მიხაელა ლონესკუს, კონსტანტინა რენცუს და ალიოშა რუდასს სახელმძღვანელოს რეცენზირებისთვის.

სარჩევი

კურიკულუმის მიმოხილვა . . . 1
თავი 1. ღირებულებები და სახელმძღვანელო პრინციპები . . . 10
კურიკულუმის ათი ღირებულება და პრინციპი . . . 10
პრინციპები პრაქტიკაში . . . 14
თავი 2. კურიკულუმის მიზნები . . . 17
ჯგუფის ერთობა . . . 17
კვლევა-აღმოჩენა . . . 23
თავი 3. საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი . . . 29
ხელოვნება . . . 30
წიგნიერება . . . 32
მეცნიერება . . . 33
რუტინული საქმიანობები და გადასვლები . . . 35
თავი 4. ბაღის გარემოს მოწყობა . . . 38
ოთახი და ეზო . . . 38
ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება ოთახში და ეზოში . . . 57
დრო და განრიგი . . . 59
ბაღის გარემოს გავლენა ბავშვზე . . . 63
თავი 5. საგანმანათლებლო პროცესის მეთოდები . . . 66
თამაში და გამოწვევა . . . 66
აღმზრდელის სტრატეგიები . . . 69
თემა და პროექტი . . . 70
თავი 6. თამაშების და სტრატეგიების მაგალითები . . . 83
ჯგუფის ერთობა. სტრატეგიები და თამაშები . . . 83
კვლევა-აღმოჩენა. სტრატეგიები და თამაშები მიმართულებებიდან . . . 98
თავი 7. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა . . . 110
რა არის დაგეგმვა და მისი მიზანი . . . 110
მიმდინარე გეგმა . . . 111
ინდივიდუალიზაცია და ინდივიდუალური გეგმა . . . 123
თავი 8. დანახვა, ჩანიშვნა, დაფიქრება . . . 127
დააკვირდი, რა აინტერესებთ ბავშვებს . . . 128
დაინახე, დააფასე, დაფიქრდი. პორტფოლიოს წარმოება . . . 128
რეფლექსური დღიური . . . 133
შეფასებითი პორტფოლიო . . . 137
გაუზიარე მიღწევები ოჯახებს . . . 141
თავი 9. ოჯახებთან თანამშრომლობა . . . 142
ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობა . . . 143
ბაღის საგანმანათლებლო საქმიანობაში მშობლის მონაწილეობა . . . 144
ბავშვის სწავლასა და განვითარებაში მშობლის უწყვეტი ჩართულობა . . . 145
მშობელთა განათლება . . . 145
თავი 10. პერსონალის თანამშრომლობა . . . 147
ბავშვებთან მომუშავე პერსონალი – აღმზრდელი . . . 147
ბავშვებთან მომუშავე პერსონალი – სპეციალიზირებული აღმზრდელი . . . 149
ბავშვებთან მომუშავე პერსონალი – საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი . . . 150
ბაღის ადმინისტრაცია . . . 151

კურიკულუმის მიმოხილვა

2-5 წლიანთა კურიკულუმი ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისა და 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალისთვის შეიქმნა, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენა, განხორციელებისა და შეფასების მიზნით.

კურიკულუმი წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და სასწავლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა. გზამკვლევი მოიცავს დაგეგმილ თუ დაუგეგმავ გამოცდილებებს, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალისტებს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა (ბაღის, ჯგუფის, ინდივიდუალურ) დონეზე შედგენა-განხორციელებაში დაეხმარება.

კურიკულუმი საგანმანათლებლო გარემოს ყველა ძირითად კომპონენტს მოიცავს:

- მიზანი, ამოცანები და შედეგები. პასუხობს კითხვას: რისთვის, რა მიზნებს ემსახურება კურიკულუმი, შედეგად რას უნდა მივაღწიოთ.
- შინაარსი, მიმართულებები. რა შინაარსით მიიღწევა მიზნები.
- მეთოდები, პროცედურები. როგორ ხორციელდება ეს შინაარსობრივი კომპონენტი. რა მეთოდებს და მიდგომებს იყენებს შედეგების მისაღწევად.
- დაბოლოს, შეფასება – რა შედეგებს მიაღწია კურიკულუმმა.

ბავშვი და აღმზრდელი კურიკულუმის მიხედვით

ბავშვი **ცნობისმოყვარე**, **მედეგი** და **ლაღია**. ის ინტერესით იკვლევს, თავისუფლად სვამს კითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს, თავდაჯერებულია, არ ნებდება წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, თავისუფალი და ბედნიერია.

ამავე კურიკულუმით, აღმზრდელი გულისხმიერად ურთიერთობს ბავშვებთან, **პასუხისმგებლიანია**, ფიქრობს საკუთარ ნაბიჯებზე (**რეფლექსურია**) და **პატივს სცემს სხვებს**. იგი მგრძნობიარეა ბავშვის საჭიროებების მიმართ და დროულად რეაგირებს მათზე; გულწრფელად აღიარებს და აფასებს ბავშვის თავისებურებებს, ინდივიდუალობას, ემოციებს, სურვილებს, მიღწევებს, უფლებებს. მისი პროფესიონალიზმის და კომპეტენტურობის მთავარი იარაღი – თავის საქმიანობაზე მუდმივი ზრუნვა, ფიქრი და ანალიზია.

თეორიული საფუძვლები

კურიკულუმი – ბავშვის განვითარებისა და სწავლის შესახებ – სხვადასხვა თეორიების და მსოფლმხედველობის შემდეგ საკვანძო იდეებს ეფუძნება:

- **ფრიდრიხ ფრობელის თამაშზე დაფუძნებული სწავლება** – ბავშვობა თავისთავად არის ღირებული ეტაპი და არა მოზრდილობისთვის „მზადების“ პერიოდი. ბავშვები სამყაროს,

საკუთარ თავს მზრუნველ გარემოში, თამაშისა და ძიების გზით იმეცნებენ და ვითარდებიან. ისინი უკეთ ვითარდებიან, როდესაც მრავალმხრივი განვითარების (ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და სულიერი) და ბუნებასთან სიახლოვის შესაძლებლობა ეძლევათ.

- **ჯონ დიუის განათლების კონცეფცია** – განათლება გამოცდილებას და სოციალურ ინტერაქციას ემყარება და არა ფაქტების დამახსოვრებას. გამოცდილება მასწავლებლის მიერ სპეციალურად ორგანიზებულ გარემოში აისახება, რომლის ამოსავალი წერტილი ბავშვის ინტერესები, აქტივობები და ამ გარემოში მოსწავლის თავისუფლებაა. სასწავლო პოტენციალი ცხოვრების ყოველდღიურ გამოცდილებებშია. ზრდისთვის არსებითი კი – გამოცდილების უწყვეტობაა.
- **ჟან პიაჟეს კონსტრუქტივიზმი** – ცოდნა ბავშვის მიერ გარემოს აქტიური კვლევითა და ძიებით შენდება. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარებისთვის თამაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. გარემოსთან ინტერაქცია არსებითია სამყაროს შესახებ ცოდნის აგებაში.
- **ლევ ვიგოტსკის სოციალური კონსტრუქტივიზმი** – ცოდნა სოციალური კონსტრუქტია. ბავშვსა და სოციალურ გარემოს შორის ურთიერთქმედება ცენტრალურია სწავლისთვის. მასწავლებლები ბავშვებს სწავლის ფორმირებასა და თანმიმდევრობაში ეხმარებიან და საშუალებას აძლევენ, სწავლის პიროვნული, კონკრეტული და ფიზიკური გამოცდილებიდან აბსტრაქტულ, ვერბალურ და ინტელექტუალურ წვდომაზე გადავიდნენ. ამ იდეოლოგიაში მასწავლებელი ცოდნის გადამცემი არ არის. ის ყურადღებით აკვირდება ბავშვებს და სწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის. წარმატებული ცხოვრებისთვის პრობლემის გადაჭრის გონებრივი და კულტურული ინსტრუმენტების დაუფლებაა მნიშვნელოვანი.
- **ჯეფრი კენის და რენატა კენის ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება** – ტვინი განვითარების ყველა სფეროს უწევს ორგანიზებას. სწავლა მოიცავს ბავშვის ყველა ფიზიოლოგიურ, ცნობიერ და არაცნობიერ პროცესებს. სწავლის პროცესში მონაწილეობს ცენტრალური და პერიფერიული ყურადღება. სწავლას ხელს უწყობს მულტისენსორული აქტივობები, გამოწვევები (სირთულის მართებული დოზა) და სიახლე, მაგრამ აფერხებს საფრთხის განცდა. ეფექტური სწავლებისთვის აუცილებელია უსაფრთხო გარემო.
- **ურიე ბრონფენბრენერის ეკოლოგიური სისტემის თეორია** – ბავშვის განვითარებაზე სხვადასხვა ეკოლოგიური სისტემები ახდენს გავლენას. ბავშვის უშუალო სასწავლო გარემო ოჯახი, ბაღი და თემია, და ამ სისტემების ურთიერთობებს გავლენა აქვს ბავშვის განვითარებაზე.

ადრეული განათლების კურიკულუმები

წინამდებარე კურიკულუმი ძირითადად კრეატიულ კურიკულუმს და რეჯიო ემილიას მეთოდოლოგიას ეფუძნება. კრეატიული კურიკულუმის[1] ფილოსოფიის თანახმად, რომელიც მრავალ კვლევას ემყარება, ბავშვები კეთებით სწავლობენ და ვითარდებიან. კრეატიული კურიკულუმი,

1 Dodge, D. T., Colker, L. J. & Heroman, C. (2007). The Creative Curriculum for Preschool. Teaching Strategies

მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების გამოყენებით, ბავშვის მთლიანობით განვითარებას ისახავს მიზნად, სადაც წამყვანი შემოქმედებითობა, თავდაჯერებულობა და კრიტიკული აზროვნებაა. მისი საგანმანათლებლო სივრცე ინტერესების სფეროებადაა დაყოფილი. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს ბავშვების ინტერესებიდან აღებული მრავალფეროვანი თემები წარმოადგენს. თემები ძირითადად ყოველკვირეული დაგეგმვის ფორმით არის ორგანიზებული და სხვადასხვა ცენტრებში აქტივობების სახით ხორციელდება. ბავშვები საკუთარი არჩევანით სხვადასხვა ტიპის თამაშებში ერთვებიან, რაც მათი მრავალმხრივი განვითარების პირობას ქმნის. კრეატიული კურიკულუმი აფასებს ბავშვის განვითარებაზე დაკვირვებას და ოჯახებთან მჭიდრო მუშაობას.

რეჯიო ემილიას[1] მეთოდოლოგია წინასწარ დაუგეგმავ[2], ანუ ემერჯენტულ კურიკულუმზეა აგებული, რაც გულისხმობს კურიკულუმის შინაარსის თანდათან, საგანმანათლებლო პროცესში ჩამოყალიბებას, განვითარებას, სადაც თემები და პროექტები ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარეობს. უფროსებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვებს, თავიანთი აზრები, გრძნობები არა მხოლოდ ენის, არამედ სხვა საშუალებებითაც გამოხატონ. ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი მასალა, რასაც ისინი თავისუფლად იყენებენ. ყოველდღიური პროცესი სახალისოა და არ მოიცავს რამე სახის ინფორმაციის ფორმალურ გადაცემას. თამაშის, კვლევის, კეთების პროცესში ბავშვები თავს კომფორტულად გრძნობენ და მაღალ სააზროვნო უნარებს ივითარებენ, როგორიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, ანალიზი და პრობლემის გადაჭრა. ჯგუფის სივრცე გამოყენებულია როგორც „მესამე მასწავლებელი“ და ისეა მოწყობილი, რომ ბავშვებს მასალებით მანიპულირებისა და მათი მოსინჯვის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ღია მასალები, მაგალითად სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხის კუბურები, სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილები, ბუნებრივი მასალები, მათ შემოქმედებითად გამოყენებას უწყობს ხელს. სივრცე ესთეტიკურია – ბუნებრივ ფერებში, ბავშვის ნამუშევრებით და ბუნებრივი მასალით გაფორმებული. აღმზრდელის როლია, რომ ბავშვებში ინტერესი სხვადასხვა გამოწვევებით და ღია კითხვებით გააღვივოს. უბიძგოს, კითხვებზე პასუხები თავად, დამოუკიდებლად მოიძიონ. აღმზრდელი თითოეული ბავშვის ინტერესებს და შესაძლებლობებს აკვირდება. სისტემატურად აწარმოებს ბავშვების განვითარების პორტფოლიოებს, იყენებს დაკვირვებას დაგეგმვის პროცესში და ახდენს საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირებას.

წინამდებარე კურიკულუმის მეთოდოლოგია ასევე ეფუძნება თემატურ და პროექტის მიდგომებს[3], რაც, ბავშვების ინტრესებიდან გამომდინარე, აღმზრდელის მიერ დაგეგმილ თამაშებსა და გამოწვევებს, ექსპერიმენტებსა და კვლევას გულისხმობს. კურიკულუმის

1 Edwards, C., Gandini, L., & Praeger, G. F. (2011). The Hundred Languages of Children: The Reggio Emilia Experience in Transformation.

2 Stacey, S., & Elizabeth Jones, E. (2018). Emergent Curriculum in Early Childhood Settings: From Theory to Practice. Redleaf Press; Second edition

3 Helm, J. H., & Katz, L. G. (2016). Young Investigators: The Project Approach in the Early Years. Teachers College Press

სოციალურ-ემოციური სწავლება CASEL[1]-ის და პირამიდის მოდელის[2] კონცეპტუალურ ჩარჩოს ეფუძნება. ამ მიდგომების თანახმად, უფროსი გამიზნულად და წინდახედულად მუშაობს ბავშვების სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებზე, რაც ბავშვების უმეტესობისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. კურიკულუმში მოცემული სოციალური და ემოციური კომპეტენციები CASEL-ის კლასიფიკაციას ეფუძნება, ხოლო მიდგომები – პირამიდის მოდელის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას.

კურიკულუმში გათვალისწინებულია ქართული კონტექსტი. საქართველოში აღმზრდელები ათ წელზე მეტია თემატური კურიკულუმით მუშაობენ, რაც ჯგუფების ცენტრებად მოწყობას და აქტივობების თემების გარშემო აგებას ითვალისწინებს. თუმცა, აღმზრდელები პრაქტიკის დაგეგმვისას ძირითადად სხვადასხვა აქტივობების წიგნში გაწერილი თემებითა და აქტივობებით ხელმძღვანელობენ და მხოლოდ იშვიათად გამოდიან ბავშვების ინტერესებიდან. ეს კურიკულუმი კი საშუალებას აძლევს მათ, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა – განხორციელებისას დამოუკიდებლად იმოქმედონ და მთლიანად დაეყრდნონ ბავშვების ინტერესებს და საჭიროებებს.

კურიკულუმის შინაარსი

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს – ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა, ცალკეული უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობით. ჯგუფის ერთობა მოიცავს როგორც ბავშვების ინდივიდუალურ, სოციალურ, ემოციურ, კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვას, ისე ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბებას. ვეთანხმებით შეხედულებას, რომ განათლება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებთან ერთად მშვიდობიანად ცხოვრების სწავლებაა, რისთვისაც მათ სხვებისთვის ანგარიშის გაწევა და პრობლემების გადაჭრა უნდა ისწავლონ[3]. ამასთან, ბავშვები ყველაზე კარგად ისეთ ჯგუფში სწავლობენ და ვითარდებიან, სადაც ყველა ფიქრობს და თავისი წვლილი შეაქვს ერთმანეთის კეთილდღეობასა და სწავლაში.

კვლევა-აღმოჩენა კვლევის უნართან ერთად ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებით უნარებს აერთიანებს. ეს, თავის მხრივ, ისეთ, კიდევ უფრო კონკრეტულ უნარებში ვლინდება, როგორიცაა: ინტერესი სიახლის მიმართ, კითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, ექსპერიმენტირება, კლასიფიკაცია, შედარება, მიზეზ-შედეგობრიობა, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, სიმბოლური აზროვნება, წარმოსახვითი ობიექტების გამოყენება, განსახიერება, ინტერპრეტაცია, პრობლემის გადაჭრა, შექმნა.

1 https://casel.org/

2 https://challengingbehavior.cbcs.usf.edu/

3 Gartrell, D. (2003). The Power of Guidance. Teaching Social-Emotional Skills in Early Childhood Classrooms, Delmar Learning

კურიკულუმი, მიუხედავად მასში მკაფიოდ გამოკვეთილი ორი მიზნისა, ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, ისევე, როგორც ზოგადად ადრეული განათლება, რათა ფართო და მყარი საფუძველი შეუქმნას ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას. კურიკულუმში ორი მიზნის გამოყოფა არ აკნინებს სხვა სფეროების ღირებულებას, პირიქით, ეს მიზნები სხვადასხვა უნარების განვითარებით მიიღწევა.

კომპლექსურ უნარებს, როგორიც სოციალური ურთიერთობების და ემოციების გაგებაა, ისეთი უნარები განაპირობებს, როგორიცაა ენა, მეტყველება, თავის შეკავება, ყურადღების კონტროლი, მსჯელობა, სოციალური აღქმა[1].

კურიკულუმის მეორე მიზანიც – კვლევა და აღმოჩენა, რაც თავისთავად მაღალი სააზროვნო უნარებია – ბევრი სხვა უნარის განვითარებით მიიღწევა. კვლევისა და აღმოჩენისთვის ბავშვი ახალ, საინტერესო გამოცდილებებში უნდა ჩაერთოს, რისთვისაც მას მოტივაცია, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, დამოუკიდებლობა, ყურადღება, ფიზიკური განვითარება, დაგეგმვა და ბევრი სხვა უნარი სჭირდება.

სკოლისათვის მზაობის ახალი ხედვაც განვითარების სფეროებს შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელობას და განვითარების თანმიმდევრულობას უსვამს ხაზს. ურთიერთკავშირში სფეროების ერთიანობა იგულისხმება და არა ცალკეული სფერო, მაგალითად, ისეთ ცოდნასთან ერთად, როგორიცაა ფერებისა და ფორმების კატეგორიზაცია, მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა და ემოციური კომპეტენცია, რისთვისაც საჭიროა მითითებების მოსმენის, სწავლით დაინტერესების, ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების, გარკვეული ხნით მშვიდად ჯდომის უნარი. სკოლისათვის მზაობა ადრე დასწავლილ უნარებსა და ქცევებზე შენდება. ანუ, მარტივი უნარების მიღწევა უფრო რთულის დაუფლებას განაპირობებს[2]. სწორედ აქედან გამომდინარეობს შეხედულება, რომ სკოლისათვის მზადება გაცილებით ადრე იწყება, პრაქტიკულად, განვითარების პირველი დღიდან, ვიდრე უშუალოდ სკოლაში შესვლამდე ერთი წლით ადრე. რომ შევაჯამოთ, ბავშვებში კომპლექსური კომპეტენციების – სოციალური, ემოციური და მაღალი სააზროვნო უნარების – ხელშეწყობისთვის მრავალმხრივი განვითარებაა მნიშვნელოვანი. ამ მაღალი კომპეტენციების მისაღწევად, აღმზრდელმა ბავშვების სხვადასხვა უნარებზეც უნდა იზრუნოს და გაითვალისწინოს ის სენსიტიური პერიოდები, თუ რისი სწავლისა და განვითარებისთვის არის ბავშვი მზად როგორც ზოგადი განვითარების მხრივ, ისე ინდივიდუალურად. ამიტომ არის კურიკულუმის მთავარი პრინციპი ჰოლისტურობა და ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე ინდივიდუალური ზრუნვა.

1 Durlak, J. A., Domitrovich, C. E., Weissberg R. P., & Gullotta. T. P. (2015). Handbook of Social and Emotional Learning. Guilford Publications

2 School Readiness. A Conceptual Framework. (2012). United Nations Children“s Fund, New York

ორ მსხვილ მიზანზე – ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა – ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი, თავისი მეთოდოლოგიური მიდგომებით, ბავშვებისთვის მრავალმხრივი განვითარების და სხვადასხვა უნარების გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა. აღმზრდელის მიერ მოფიქრებული დღის გეგმა, მის მიერ დაბალანსებული თამაშები, შექმნილი გამოწვევები და მრავალმხრივი სტრატეგიები სწორედ ამ ჰოლისტურობის პრინციპს ეფუძნება, სადაც დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ბავშვების მიერ ინიცირებულ თამაშებს ეთმობა.

კურიკულუმის შინაარსი თემატურ მიმართულებებს – ხელოვნება, მეცნიერება, წიგნიერება – მოიცავს. ეს მიმართულებები ყველა არსებული დისციპლინის ერთიანობაა. აღმზრდელი თამაშების შერჩევისას თემატური მიმართულებებით ხელმძღვანელობს, რათა ბავშვების სწავლისა და განვითარებისთვის მრავალფეროვანი პირობები შექმნას. ხელოვნება უზრუნველყოფს ბავშვის სახვით და საშემსრულებლო ხელოვნებაში მონაწილეობას, მეცნიერება – რაოდენობრივ წარმოდგენების განვითარებას, სიცოცხლის მეცნიერებებთან, ფიზიკასა და ქიმიასთან,

გეოგრაფიასა და ისტორიასთან, ტექნოლოგიასა და ეკოლოგიასთან ბავშვების ურთიერთობას. წიგნიერებაში კი გაერთიანებულია ლიტერატურისადმი დამოკიდებულება, წერისა და კითხვისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარება, როგორიცაა მოსმენა, წიგნის კვლევა, ამბებისა და ზღაპრების მოყოლა, საკუთარი ამბებისა და მოთხრობების მოფიქრება.

აღმზრდელი კურიკულუმის მიზნებს ბავშვების ამ მრავალფეროვან და მრავალმხრივ გამოცდილებებში მონაწილეობით აღწევს, რისთვისაც იგი შემდეგ საშუალებებს იყენებს:

- **თამაში**, რომელიც ბავშვების მიერ არის ინიცირებული, მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასევე თამაში, რომელიც აღმზრდელის მიერ არის მოფიქრებული და შეთავაზებული, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისი და ხელშემწყობია.
- **გამოწვევები** (პროვოკაციები), რომელიც აღმზრდელის მიერ თემის ირგვლივ არის შექმნილი, ბავშვებში იდეების, ფანტაზიის და ინიციატივის პროვოცირების მიზნით. ეს ერთ-ერთი სტრატეგიაა, რაც რესურსების შეტანის გზით, მათი საგანგებოდ ორგანიზებითა და ვერბალური კომენტარებით ბავშვებისთვის ბიძგის მიცემას გულისხმობს.
- **სტრატეგიები**, აღმზრდელის გამიზნული ქმედებები, რომლებიც ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება. სტრატეგიები გამოიყენება ნებმისმიერ კონტექსტში, ბავშვების მიერ ინიცირებული ან აღმზრდელის მიერ დაგეგმილი თამაშებისას, რუტინული საქმიანობების დროს, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. მაგალითად, ბავშვებთან საუბარი მათი თამაშის და საქმიანობის შესახებ, უკუკავშირის მიცემა, კითხვების დასმა, ყურადღებით მოსმენა, არჩევანის შესაძლებლობის მიცემა.
- **ფიზიკური გარემო**, როგორც შიდა, ისე გარე სივრცეების, მასალების ორგანიზება და პერიოდული განახლება, რაც უზრუნველყოფს როგორც აღმზრდელის, ისე ბავშვების მიერ ინიცირებული თამაშების ეფექტურ განხორციელებას.
- **დაკვირვება** ბავშვებსა და საგანმანათლებლო პროცესზე, ბავშვების ინტერესების აღმოსაჩენად, მათი სწავლისა და განვითარების პროგრესის სანახავად, საგანმანათლებლო პროცესის შეფასების, ეფექტურად დაგეგმვის და ბავშვების საჭიროებებზე მორგებისთვის.

კურიკულუმი და სახელმწიფო სტანდარტები

კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი).

კურიკულუმის მეთოდოლოგია, მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება – ასეთი გარემოს მოწყობის საშუალებაა.

ბავშვის განათლების სტანდარტი განვითარების სფეროებისა და თემატური მიმართულებებით განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი ადრეული და სკოლამდელი განათლების ფარგლებში. განვითარების სფეროები და თემატური მიმართულებები – ბავშვის განვითარების ერთი მთლიანი პროცესის

ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტია. ერთი მხრივ, თემატური მიმართულებები ხელს უწყობს ბავშვის განვითარების სფეროებში მოცემული უნარების ათვისებასა და ცოდნის შეძენას, ხოლო მეორე მხრივ, ბავშვის შემეცნებითი, მეტყველების, სოციალური, ემოციური, ფიზიკური შესაძლებლობები თემატური მიმართულებებით ცოდნისა და უნარების ზრდა-განვითარებას განაპირობებს.

განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული განვითარების თითოეული სფეროს და თემატური მიმართულების შედეგების მიღწევა კურიკულუმით არის შესაძლებელი. კურიკულუმის მიზნების შესაბამისად, ბავშვებისთვის სამი მიმართულებით (ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება) მრავალფეროვანი თამაშების შეთავაზება და მასში ინტერესით მონაწილეობა ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას უზრუნველყოფს. აღმზრდელი, რომელიც ამ გამოცდილებებს ქმნის, აკვირდება და აფასებს ბავშვის ინდივიდუალურ პროგრესს. დაკვირვებისას იგი განათლების სტანდარტით ხელმძღვანელობს, რომელიც ბავშვების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი უნარების დემონსტრირების კონკრეტულ გზებს განსაზღვრავს. ამ საკითხებს დეტალურად კურიკულუმის მე-8 თავში გაეცნობით, რომელიც დაკვირვება-შეფასებას ეხება.

სტრუქტურა

სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ადრეული განათლების მეთოდოლოგიას ეხება, მეორე ნაწილში მოცემულია პრაქტიკული სცენარები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მაგალითებზე.

სახელმძღვანელოს ორივე ნაწილი და თითოეული თავი ერთიან კონტექსტში უნდა იყოს განხილული, როგორც ერთნაირად ღირებული და ერთმანეთთან დაკავშირებული კომპონენტები.

გასათვალისწინებელია დოკუმენტში მოცემული ტერმინების შინაარსი, რომელსაც დეტალურად ტერმინთა განმარტების ნაწილში გაეცნობით.

თავი 1. ღირებულებები და სახელმძღვანელო პრინციპები

სახელმძღვანელოს ამ თავში აღწერილია ათი პრინციპი, რასაც ეფუძნება კურიკულუმი. განმარტებულია თითოეული პრინციპი. მაგალითის სახით მოცემულია ბაღის ცხოვრებიდან ერთი დღე, სადაც ნაჩვენებია, როგორ ვლინდება ეს პრინციპები და ღირებულებები პრაქტიკაში.

კურიკულუმის ათი ღირებულება და პრინციპი

1) ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში

ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან, როცა აქტიურად არიან ჩართულები – იკვლევენ, აღმოაჩენენ, თამაშობენ, გამოცდილებას იძენენ, კითხვებს სვამენ, ურთიერთობენ, რისკავენ. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს და თავს არ ახვევს რა გააკეთოს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობას, ინტერესს, არჩევანს, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. ასეთი გამოცდილება ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ საკუთარი თავი, გარესამყარო, გაიგონ თავიანთი ფიქრები, გაიცნონ სხვები, მაქსიმალურად გამოავლინონ პოტენციალი.

2) ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია

ინკლუზიური განათლება ხარისხიან განათლებას ნიშნავს, რომელიც სარგებლის მომტანია არა რომელიმე ბავშვისათვის, არამედ ყველასთვის. ბაღი ხარისხიანია, თუ ყველა ბავშვისთვის ღიაა, მიუხედავად ფიზიკური, მენტალური თუ სოციალური შესაძლებლობისა. ინკლუზიური განათლება ამ სივრცეში მყოფი თითოეული ბავშვის, ბაღის პერსონალის და ოჯახის ჩართულობას გულისხმობს, სადაც ყველას კეთილგანწყობილად ხვდებიან და იღებენ, სადაც თითოეული დაფასებულად და ღირსეულად გრძნობს თავს, სადაც მრავალგვარობა და განსხვავებები თამაშის, სწავლისა და ჩართულობის რესურსად გამოიყენება.

3) განვითარება ჰოლისტურია

ჰოლისტური მიდგომა ბავშვის განვითარებას და სწავლას ხედავს როგორც ინტეგრირებულ და ურთიერთდაკავშირებულ პროცესს, სადაც ბავშვის ფიზიკური, ემოციური, გონებრივი სფეროები და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა თანაბრად მნიშვნელოვანი, ხოლო მათი ურთიერთკავშირი, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, არსებითია. მიუხედავად იმისა, რომ ერთ სფეროზე ზრუნვა მეორის განვითარების პირობას ქმნის, ჰოლისტური მიდგომა ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროზე ერთდროულად ზრუნვას გულისხმობს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, თანაბრად მოხდეს ამ სფეროებზე დაკვირვება და მათი განვითარების ხელშეწყობა.

ჰოლისტური მიდგომა ბავშვების, ოჯახებისა და თემის ურთიერთკავშირსა და პარტნიორობის მნიშვნელობაზეც მიუთითებს და აღიარებს თანამშრომლობით სწავლებას და ჩართულობას.

4) ბავშვი ინდივიდია, სწავლა და განვითარება – ინდივიდუალური

განვითარებასთან დაკავშირებულ განსხვავებებთან ერთად ბავშვები ინტერესებით, პიროვნული თვისებებით, სწავლის სტილითა და ცოდნით განსხვავდებიან. ეფექტური სწავლება ყველასთვის ერთი გზით ვერ მოხდება. ეფექტური სწავლებისას ბავშვისთვის საინტერესო გამოცდილება მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს ერგება. ასეთი გამოცდილება, თითოეული ბავშვისთვის, უნდა იყოს როგორც რთული, ისე მიღწევადი, რომ ინტერესი და მოტივაცია არ დაკარგოს და საკუთარი თავის რწმენა და სწავლა-განვითარების შესაძლებლობა ჰქონდეს. „რთულისა და მიღწევადის“ კრიტერიუმები განსხვავებულია ბავშვებში, რაც ინდივიდუალური მიდგომის საფუძველს წარმოადგენს და ყველას ესადაგება.

5) თამაში ბავშვის მიერ ინიცირებული, სახალისო და საინტერესოა

თამაში სწავლისა და განვითარების ერთადერთი საშუალებაა. ბავშვი მაშინ თამაშობს, როდესაც მას მიაჩნია, რომ თამაშობს, ხალისობს და იღებს სიამოვნებას. თამაშისას საგნები, ქმედებები და სიტუაციები ჩვეულ მნიშვნელობას კარგავს და ახალს იძენს. თამაშით ბავშვები რეალურ დროს და ადგილს სცდებიან და ახალ შესაძლებლობებს ცდიან. თამაშის დროს ბავშვები შინაგანი მოტივაციით მოქმედებენ, სადაც მათი ყურადღება ქმედებებზეა მიმართული და არა მიზნებზე, სადაც პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროდუქტი, ხოლო მიზანი კი – თავად თამაშია.

6) მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლისა და განვითარების პირობაა

სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება. შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშით კვლევას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებს და რისკსაც მოიცავს. ბავშვები სწავლობენ ყველა სიტუაციაში, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო სიტუაციებშიც, როგორიცაა გადასვლები სივრცესა და თამაშებში, ბაღში წასვლა-მოსვლა, სადილი და სხვა რუტინული საქმიანობები. სწავლობენ მაშინაც, როცა „შეცდომებს“ უშვებენ. უფროსებმა ასეთი გამოცდილება სწავლისთვის უნდა გამოიყენონ და ყველა გამოწვევა „სასწავლო მომენტად“ აქციონ. უფროსის მხრიდან მოთმინებით გაძღოლა, ბავშვებისთვის დროის მიცემა არა მხოლოდ კეთების, შექმნისა და მცდელობისთვის, არამედ „შეცდომებზე“ დაკვირვებისა და მათი გამოსწორებისათვის, ზრდის ბავშვების დამოუკიდებლობას. სწორედ ასეთი მიდგომით ღვივდება სწავლის, კვლევის სურვილი და ცნობისმოყვარეობა ყველა სიტუაციაში.

7) ფიზიკური გარემო ზრდის, სწავლისა და განვითარების საშუალებაა

ბავშვების სწავლა-განვითარებას არა მხოლოდ კომპეტენტური უფროსი, არამედ შესაბამისად ორგანიზებული ფიზიკური გარემოც განაპირობებს. უსაფრთხო, მხარდამჭერი, ზრდის და განვითარების ხელშემწყობი – ამ ზედსართავებით ისევე შეიძლება ფიზიკური გარემოს დახასიათება, როგორც ბავშვებთან მომუშავე კომპეტენტური უფროსის. სწორად მოწყობილი გარემო უფროსის საქმესაც აკეთებს:

- აძლიერებს ზრუნვას
- ხელს უწყობს დამოუკიდებლობას და კომპეტენტურობას ბავშვებში
- ხელს უწყობს ბავშვების ჩართულობას
- ამცირებს რთულ ქცევას
- ზრდის აღმზრდელების ეფექტურობას
- ხელს უწყობს მისაღებ სოციალურ ურთიერთობებს
- უზურნველყოფს სტრუქტურას და პროგნოზირებადს ხდის მას

კარგად ორგანიზებული და მოქნილი შიდა სივრცეები, სადაც შესაძლებელია მრავალგვარი თამაში, დაბალანსებული ბუნებაში თამაშით, ხარისხიან სწავლას, წარმოსახვას და თავგადასავლის ძიებას უწყობს ხელს. ბავშვების ცნობისმოყვარეობა, წარმოსახვა და შემოქმედებითობა ამგვარი მრავალფეროვანი გამოცდილებებით და გარემოებებით უნდა იყოს ინსპირირებული.

8) ოჯახებთან პარტნიორობით ბავშვებთან მუშაობა გაცილებით უფრო შედეგიანია

კარგი ბაღი ბავშვების განვითარებას და სწავლას ემსახურება, საუკეთესო კი ოჯახებს აძლიერებს. ასეთი პროგრამა მშობელს, ოჯახს პარტნიორად განიხილავს და მისთვის კეთილმოსურნე გარემოს უზრუნველყოფს. პატივს სცემს და ასახავს ოჯახურ ღირებულებებს,

სთავაზობს ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა შესაძლებლობას. უზრუნველყოფს კომუნიკაციის ძლიერ სისტემას და ეხმარება ურთიერთობების დამყარებაში. გამოხატავს მზაობას, დაამყაროს კავშირები ორგანიზაციებთან, რომლებიც ოჯახებს ემსახურება.

ხარისხიანი პროგრამა აცნობიერებს, რომ ოჯახებთან პარტნიორობით მათი ბავშვებთან მუშაობა უფრო შედეგიანია.

9) ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნული და მოქნილია

ბავშვები ცოდნას და უნარებს სწავლის პროცესში აქტიური მონაწილეობით იძენენ და ივითარებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ სჭირდებათ მზრუნველი და მხარდამჭერი უფროსი. ეფექტური სწავლების საფუძველი წინასწარ გამიზნულობაა. მრავალფეროვან გარემოში მიმდინარე სწავლა და განვითარება ეფექტურია, როდესაც გამოცდილი და მცოდნე უფროსის ხელმძღვანელობით ხორციელდება და არ არის შემთხვევითი.

მიზანდასახული აღმზრდელი გეგმავს და პასუხობს მკაფიოდ გამოკვეთილ მიზნებს, რომლებიც ქვეყნის სტანდარტებს ეყრდნობა და ითვალისწინებს დაკვირვებიდან, შეფასებიდან და ოჯახებიდან მიღებულ ინფორმაციას. იგი გააზრებულად აწყობს გარემოს, არჩევს სწავლების სტრატეგიებს და არა მარტო იცის რა გააკეთოს, არამედ ლოგიკურად მსჯელობს და ხსნის, რატომ აკეთებს.

მიზანდასახული აღმზრდელი ბავშვებს მრავალგვარი გამოცდილებებითა და მასალებით უზრუნველყოფს, რაც ხელს უწყობს ბავშვების წარმატებით ჩართულობას, ურთიერთობებს და სტანდარტით გათვალისწინებული უნარების განვითარებას და კომპეტენციების მიღწევას.

10) ავტონომიური და შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვი თავისუფალი და შემოქმედებითია

შემოქმედებითი უფროსი ექსპერიმენტირებს რესურსებით, ერთვება პრობლემის გადაჭრაში, ირგებს სხვადასხვა როლს, ახდენს იდეების გენერირებას. ასეთი უფროსი მოქნილია და იგივე მაგალითს აძლევს ბავშვებს თავისი ინოვაციურობით და სპონტანურობით. შემოქმედებითი უფროსი ავტონომიურია, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს, სწრაფად ცვლის ფოკუსს ბავშვების ინტერესების შესაბამისად და კითხვებზე საპასუხოდ. ასეთი მიდგომით აბალანსებს დაგეგმილსა და ცოცხალ პროცესებს. შემოქმედებითი და ავტონომიური უფროსი აცნობიერებს თავის შემოქმედებითობას და ცდილობს, იგივე განუვითარდეს ბავშვებსაც. იგი ბავშვებს კრეატიულ მოაზროვნეებად აღიქვამს და ყოველთვის უტოვებს უცნობ, გაურკვეველ სივრცეს და ხელს უწყობს, რომ თავდაჯერებულად, დამოუკიდებლად იკვლიონ. ამით ის უზრუნველყოფს ბავშვების ავტონომიურობას სწავლის პროცესში.

შემოქმედებითი უფროსი ბავშვების ნამუშევრებშიც და თამაშის პროცესშიც უჩვეულო იდეებს და ახალ ელემენტებს ხედავს და ხარობს მათი მიღწევებით.

პრინციპები პრაქტიკაში

შევიხედოთ ერთ-ერთ ჯგუფში და ვნახოთ, როგორ ვლინდება ათი პრინციპი პრაქტიკაში

... ბავშვების ერთი ჯგუფი „წამლების“ მაგიდასთან თამაშობს. ისინი მონდომებით ურევენ სხვადასხვა ფერის საღებავს, სითხეს და ნივთიერებებს ერთმანეთში. აქტიურად იყენებენ პატარა სინჯარებს, პიპეტებს, კოვზებს და მცირე ზომის ჭურჭელს. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში საქმიანი ფუსფუსი და ზომიერი ხმაურია, წამლების კუთხეში მოთამაშე ბავშვები ისეთი ჩართულები არიან, რომ ერთმანეთში თითქმის არ საუბრობენ, მხოლოდ მასალებს ცვლიან და ყურადღებით აკვირდებიან სხვადასხვა ნივთიერების შერევას. ანა აღმზრდელმა მეცნიერების ცენტრში ეს მასალები მას მერე განათავსა, რაც აღმოაჩინა, რომ ბავშვების ერთი ჯგუფი წამალზე ინტერესით საუბრობდა **(გამიზნული პრაქტიკა)**. *რამდენიმე ბავშვი ხელოვნების ცენტრში წინა დღეს დამზადებულ თაბაშირის ფიგურებს საღებავებით ღებავს. ბავშვების ნაწილი დრამატულ ცენტრშია. ისინი სუპერმარკეტის დახლებს გულმოდგინედ ამზადებენ და ერთად მსჯელობენ, სად რა განათავსონ და ვინ რა გააკეთოს. სამი ბავშვი მშვიდ ადგილას, კუთხეში ბალიშებზეა მიწოლილი და წიგნებს ათვალიერებს. ზოგიერთი კუბურების ცენტრში ბამბუკებისა და სხვა ბუნებრივი მასალის გამოყენებით ცხოველებისთვის საავადმყოფოს აშენებს* **(ბავშვზე ცენტრირებული მიდგომა; თამაში ბავშვის მიერ ინიცირებული, სახალისო და საინტერესოა; მრავალფეროვანი გამოცდილებები; ფიზიკური გარემო)**. *ანა დროდადრო მიდის მოთამაშე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფთან და ესაუბრება, თვალს ადევნებს, ხომ არ სჭირდებათ მისი დახმარება. უცებ შენიშნა, რომ დრამატულ ცენტრში მოთამაშე ბავშვებმა მარკეტის დახლის მოწყობაზე კამათი დაიწყეს. ანა ბაშვებთან მივიდა, მათ სიმაღლეზე ჩაჯდა და მიმართა: „ვხედავ, დახლის მოწყობაზე კამათობთ. მითხარით, რა არის პრობლემა. ოღონდ, ჯერ ჩვენი წესი მინდა შეგახსენოთ – ერთმანეთს დავაცადოთ აზრის გამოთქმა და ბოლომდე მოვუსმინოთ. მოდით, ამისთვის მოლაპარაკების ჯოხი გამოვიყენოთ“. ანამ ყველა ბავშვს მისცა შესაძლებლობა, თავისი აზრი გამოეთქვა. მერე ყველას ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება. ბავშვებმა სხვადასხვა აზრი გამოთქვეს. ანამ წაახალისა, თითოეულს თავისი აზრი დაესაბუთებინა, რატომ თვლიდა, რომ ეს საუკეთესო გამოსავალი იყო. აზრების გაცვლის შემდეგ ბავშვები ურთიერთდათმობაზე წავიდნენ და საერთო შეთანხმებას მიაღწიეს* **(შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვი შემოქმედებითია, ეფექტური პრაქტიკა მოქნილია, ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია)**. *ანამ შემდეგ კუბურების ცენტრში გადაინაცვლა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, შენობის ნაწილი იშლებოდა. „რატომ ვერ დგას მყარად? დააკვირდით, რა არის საჭირო, რომ გაჩერდეს?“ – ანას ამ კომენტარმა ბავშვები დააფიქრა. „ეს ნაწილი უშლის ხელს“ – თქვა ნიკამ. „მოდი, მეორე მხრიდან გავამაგროთ და ქვეშ ეს კუბურა დავდოთ, რომ არ ჩამოსრიალდეს“ – მოიფიქრა ლუკამ* **(შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვი შემოქმედებითია,**

ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნული და მოქნილია, მრავალფეროვანი გამოცდილებები სწავლის პირობაა). *სენსორულ ცენტრში ანა ბავშვების მოქმედებებს და ჩანაფიქრს ახმოვანებს და სხვადასხვა ფორმის ჭურჭელს უმატებს* **(შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვი შემოქმედებითია, ბავშვზე ცენტრირებული მიდგომა)**. *წიგნიერების ცენტრში ბავშვების საუბარს მოუსმინა და დააკვირდა, რომელ წიგნს ათვალიერებდნენ, რომ შემდგომი თემისთვის ან თამაშისთვის გამოეყენებინა* **(გამიზნული პრაქტიკა; ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში)**. *ცოტა ხანში ანა ეზოში გასვლის სიმღერას წამოიწყებს, რომ ბავშვებს ეზოში გასვლის დრო ანიშნოს. გიორგისთან მიდის და ეზოს ბარათს აჩვენებს, რომ გარეთ გასვლის დრო მასაც მიანიშნოს* **(ინდივიდუალური მიდგომა, ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია)**. *იგი დარწმუნებულია, რომ ეზოში, როგორც გუშინ, დღესაც ხალისით ითამაშებენ. გუშინდელი წამოწყებული საქმეა გასაგრძელებელი – ხიდის აშენება. ზოგი კი, ისევ კუს ძებნას დაიწყებს* **(ჰოლისტური განვითარება; მრავალფეროვანი გამოცდილებები)**.

ანა ყოველდღე ისეთ გარემოს უქმნის ბავშვებს, რომ ისინი თავისუფალად ირჩევენ სასურველ თამაშს, თამაშის პარტნიორს, იკვლევენ, ჭრიან პრობლემებს, აკვირდებიან, წვრთნიან სხეულის მსხვილ და წვრილ კუნთებს, საუბრობენ, კამათობენ, გამოსავალს ხან დამოუკიდებლად, ხან უფროსის დახმარებით ჰოულობენ, ქმნიან, ხალისობენ, ამყობენ მიღწევით, სწავლობენ თავიანთ შესაძლებლობებს და ვითარდებიან **(ინდივიდუალური მიდგომა; ბავშვზე ცენტრირებული მიდგომა; ჰოლისტური განვითარება)**.

ანას პრაქტიკა დაკვირვებიდან და ოჯახებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს ეფუძნება. ანამ უკვე შეისწავლა თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვი და დღის გეგმა ბავშვების ინტერესებს, მათი განვითარების თავისებურებებს და სახელმწიფო სტანდარტებს დააფუძნა **(ავტონომიური უფროსი; გამიზნული პრაქტიკა)**. *ანა უკვე კარგად იცნობს ჯგუფს, მისი დაგეგმილი და ინიცირებული დღის თამაშები ამ ეტაპზე კვლევას, ფიზიკურ თამაშებს, ურთიერთობების, ენისა და მეტყველების ხელშეწყობას ეხება. დღის განამვლობაში ანა ბავშვებს ეხმარება, იყვენენ უფრო დამოუკიდებლები როგორც თვითმოვლის საკითხებში, ასევე სოციალურ ურთიერთობებში* **(ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში, ჰოლისტური განვითარება)**. *ანა მის მიერ დაგეგმილი თამაშების გარდა, სხვადასხვა გამოწვევას უქმნის ბავშვებს, რომ განსხვავებულ თამაშებში ინტერესით ჩაერთონ* **(მრავალფეროვანი გამოცდილებები)** *და უფრო მეტის კვლევის საშუალება ჰქონდეთ* **(ინდივიდუალური მიდგომა)**. *თანდათანობით ბავშვები მეტ აღმოჩენებს აკეთებენ და უფრო მეტ ინიციატივას იჩენენ, თუ რა ითამაშონ. ბუნებრივია, ანა მათ ინტერესს დღითი დღე აღვივებს და შესაბამისი სტრატეგიებით მოქმედებს, სიტუაციებისა და მომენტების შესაბამისად* **(ავტონომიური და შემოქმედებითი უფროსის გვერდით**

ბავშვი ავტონომიური და შემოქმედებითა, ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნულია, ცოცხალ პროცესებზე შესაბამისი და დროული რეაგირებებით). *ასევე, ყოველდღე ათამაშებს ბავშვებს მუსიკალური რიტმის თანხლებით, რომლის ტემპსაც სახალისოდ ცვლის და ცდილობს, ბავშვები აიყოლიოს და რიტმს აყოლოს* **(განვითარება ჰოლისტურია)**. *ერთ-ერთმა მშობელმა იკითხა, როდის დაიწყებდა ანა აკადემიურ უნარებზე მუშაობას, ლექსების სწავლებას და ისეთ აქტივობებს, რომლებიც უფრო განავითარებდა მის შვილს. ანა: „ბავშვები, ვისაც ადრეულ ასაკში მეტი თვითკონტროლი შეუძლიათ, მეტად მოსწონთ სხვა ბავშვებს და უკეთეს ნიშნებს იღებენ სკოლაში. ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ თვითკონტროლის გამომუშავებაზე. ერთი შეხედვით არასერიოზული თამაში – მუსიკის რიტმზე აყოლა – სწორედ ამ მნიშვნელოვანი უნარის გამომუშავებაში ეხმარება ბავშვებს. ამით სწავლობენ, დაფიქრდნენ, სანამ იმოქმედებენ. ეს არის ჩვენი ამოცანა – მოახერხონ იმპულსის კონტროლი, რაც ავითარებს მოქმედებების დარეგულირების უნარს. ამასთან ერთად, ჩვენ ყოველდღე ვასწავლით და ვეხმარებით ბავშვებს, გაუმკლავდნენ იმედგაცრუებას, იფიქრონ და გააზრებულად გადაწყვიტონ პრობლემები“* **(გამიზნული პრაქტიკა; ოჯახი პარტნიორია)**.

ანა მშობლის ამ კომენტარმა დააფიქრა და გადაწყვიტა, მშობლებისთვის აეხსნა, რა მიზნებს ემსახურება ეს თამაშები, მათი ამოცანები და როგორ დაეხმარება ყველაფერი ეს მათ შვილებს, თავი კარგად იგრძნონ ბაღში და წარმატებულები იყვნენ მომავალ ცხოვრებაში, სკოლაში. ამ მიზნით, ანამ გადაწყვიტა, ხშირად გაუგზავნოს წერილი მშობლებს სხვადასხვა თამაშის მნიშვნელობაზე, მაგალითად, რა მნიშვნელობა აქვს როლურ თამაშებს ბავშვის სწავლასა და განვითარებაში. ასევე, პერიოდულად შეხვდეს და მოკლედ გააცნოს, როგორ ვითარდებიან ბავშვები, უფრო სიღრმისეულად გააცნოს პორტფოლიოები. ბაღის ადმინისტრაციას და ფსიქოლოგს მოუყვა ამის შესახებ და ერთად დაგეგმეს პერიოდული შეხვედრები ბავშვის განვითარების და ასაკობრივი თავისებურებების გაცნობის მიზნით **(უფროსის ავტონომიურობა და შემოქმედებითობა, ოჯახი პარტნიორია)**.

თავი 2. კურიკულუმის მიზნები

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს: ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა.

აღნიშნული მიზნები გულისხმობს: აღმზრდელი ერთი მხრივ, ზრუნავს ბავშვების, როგორც ინტერესიან, მკვლევარ ინდივიდებად ჩამოყალიბებაზე, ხოლო მეორე მხრივ, მათ სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობასა და ჯგუფის ერთიან გუნდად ჩამოყალიბებაზე.

ჯგუფის ერთობა



კურიკულუმის **პირველი** მიზანი – ჯგუფის ერთობაზე ყოველდღიური ზრუნვაა. ჯგუფის ერთობა გულისხმობს სოციალურად და ემოციურად კომპეტენტური ბავშვების გუნდს, სადაც თითოეული ამ ჯგუფის ღირსეულ წევრად გრძნობს თავს, სადაც ერთმანეთის წარმატებას ზეიმობენ, გულწრფელად გულშემატკივრობენ და პატივს სცემენ ერთმანეთის გადაწყვეტილებას.

რატომ ჯგუფის ერთობა? ბავშვები ადრეულ ასაკში იმპულსურები არიან და ბევრი მათგანი სრულად დამოკიდებულია უფროსზე და მის დახმარებაზე. თვითრეგულირების უნარს ადრეულ ასაკში ეყრება საფუძველი და ბაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ფასდაუდებელი უნარის განვითარებაში.

ჯგუფის ერთობაზე ზრუნვა ისეთი უნარების, ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების საწინდარია. თუ რამდენად კარგი ურთიერთობა აქვთ ბავშვებს თანატოლებთან, შემდგომში მათ შემეცნებით განვითარებაზე, თავდაჯერებულობაზე, ფსიქიკურ სიჯანსაღესა და სწავლაზე აისახება. ბავშვები, რომლებიც უკეთესად არეგულირებენ საკუთარ ქცევას, უფრო პროსოციალურები არიან და თანატოლებს მეტად მოსწონთ. უფრო დამყოლები არიან მოთხოვნების მიმართ, როცა შეუძლიათ თავიანთი ქმედებების კონტროლი. ყველაფერი ეს კი წარმატებულ სწავლას უწყობს ხელს.

სოციალური კომპეტენცია კომპლექსურია და მოიცავს უფროსებთან და თანატოლებთან პოზიტიურ ურთიერთობებს, ამ ურთიერთობების შენარჩუნებას, ეთიკურ სტანდარტებზე, სოციალურ ნორმებსა და უსაფრთხოებაზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს. ასევე, სოციალურ ცნობიერებას – სხვისი შეხედულებების დანახვას, სხვისი მდგომარეობის გათვალისწინებას, სხვისი ემოციების და ზოგადად, სოციალური კონტექსტის გაგებას.

ჯგუფის ერთობაზე ზრუნვა ბავშვებში თვითცნობიერების და თვითმართვის უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს, რაც გულისხმობს საკუთარი ემოციების გაგებას, საკუთარი კომპეტენციების ცოდნას, იმპულსების, ძლიერი ემოციების და კონფლიქტების მართვას. ასევე, დადებითი მიზნების დასახვის და ამ მიზნების თანმიმდევრულად განხორციელების უნარს.

ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება და სოციალური უნარების განვითარება შეუძლებელია ბავშვების ენობრივ და კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვის გარეშე, რათა ბავშვებმა შეძლონ ინტერაქცია, ერთად თამაში, საუბარი, შთაბეჭდილებების, იდეების და გამოცდილების გაზიარება, ინფორმაციის მოპოვება, საკუთარი და მეგობრების უფლებების დაცვა. ეფექტური ენობრივი და კომუნიკაციური უნარები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების სოციალურ ურთიერთობებზე. ენა მნიშვნელოვანია როგორც საკუთარი, ისე სხვისი ქცევის რეგულირებისთვის.

კურიკულუმში ჯგუფის ერთობის მიზანი სამ ქვემიზნად არის მოცემული:

1) პირველი ეხება ბავშვებში პოზიტიური ურთიერთობების, მეგობრობის და გუნდურობის ხელშეწყობას – ვზრუნავთ ერთმანეთზე, ვთამაშობთ ერთად.
2) მეორე ქვემიზანი ბავშვებში თვითცნობიერების და სოციალური ცნობიერების განვითარებაზეა – რას ვგრძნობთ, რას ვფიქრობთ, რას ვხედავთ.
3) მესამე კი, თვითკონტროლისა და კონფლიქტების მოგვარების უნარის განვითარებას მოიცავს – ვიქცევი დაფიქრებით.

ვზრუნავთ ერთმანეთზე, ვთამაშობთ ერთად (ურთიერთობა, მეგობრობა, გუნდურობა)

- მიჯაჭვულობა
- თანატოლებთან ურთიერთობები და მეგობრობა
- კომუნიკაცია
- სოციალური ნორმები

მიჯაჭვულობა.

ადრეული ასაკი მოწყვლადი პერიოდია, სადაც ემოციური კეთილდღეობა და შემდგომ უკვე სწავლა და განვითარება, უფროსებთან ურთიერთობით არის განპირობებული. ბავშვი, რომელსაც უფროსთან მიჯაჭვულობა არა აქვს, თანდათან გაუცხოებული, დაუმორჩილებელი ან გარიყული შეიძლება გახდეს. ემოციურად უსაფრთხო გარემო, მზრუნველი, გულისხმიერი და მხარდამჭერი უფროსი სწავლის და კვლევის მნიშვნელოვანი პირობაა. თითოეული ბავშვის მიღება, მათთან პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, ჯგუფში დადებით ემოციურ ატმოსფეროს ქმნის. რაც უფრო დარწმუნებულია ბავშვი, რომ ჯგუფის ღირსეულ წევრად აღიარებენ, მით უფრო თავდაჯერებული და კომუნიკაბელური ხდება.

თანატოლებთან ურთიერთობები და მეგობრობა.

ბავშვების თანატოლებთან ურთიერთობას უფრო სერიოზულად უნდა შევხედოთ, რაც, რეალურად, ცხოვრებაში მომავალი წარმატების ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ბავშვებში მეგობრობის წახალისება ხელს უწყობს მათ განვითარებას. რამდენად კარგად ეწყობიან თანატოლებს – მათი ურთიერთობის ხარისხი – გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენს სწავლობენ ბავშვები. რადგან ისინი დღის განმავლობაში უმეტეს დროს თანატოლებთან ატარებენ, მათი ცოდნისა და განვითარების დიდი ნაწილი მათთან ურთიერთობაში ყალიბდება. უფროსთან ურთიერთობისგან განსხვავებით, ბავშვების თანატოლებთან ურთიერთობა თანასწორებს შორის ურთიერთობაა, რაც განვითარების განსაკუთრებულ შესაძლებლობას ქმნის. ბავშვები ფიზიკურად, ემოციურად, სოციალურად და კოგნიტურად ერთნაირ დონეზე არიან. სწორედ ამის გამო, ეს ურთიერთობები ბავშვებს უფროსებთან ურთიერთობისაგან განსხვავებულ გამოცდილებას აძლევს. თანატოლებს შორის ურთიერთობები ბავშვებს საშუალებას აძლევს, პრაქტიკაში გამოიყენონ და დახვეწონ ის, რაც ისწავლეს. მეგობრობა აუცილებელია ბავშვისთვის, რომ სწორად გაიგოს და იზრუნოს სხვა ადამიანების ფიქრებსა და გრძნობებზე. რეალურად, მეგობრობა პროსოციალურ ურთიერთობებს კიდევ უფრო ავითარებს.

კომუნიკაცია.

ბავშვების ენობრივ, მეტყველებისა და კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვა მათ სოციალურ კომპეტენციებზე დადებითად აისახება. ეს ის იარაღია, რაც ბავშვებს ურთიერთობაში, ერთად თამაშში, შთაბეჭდილებების, იდეების და გამოცდილების გაზიარებაში ეხმარება. მათ უნდა შეეძლოთ თავისუფლად გადასცენ სხვას შეტყობინება, დასვან კითხვები, გაუზიარონ თამაშის

დროს მეგობრებს იდეები, მოყვნენ თავიანთ გამოცდილებებზე, გამოიყენონ მეტყველება ინ-ფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე სხვისი საუბრის, მითითებების და ინსტრუქციების გაგება.

სოციალური ნორმები.

ურთიერთობებში წარმატებისთვის, ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა სიტუაციაში – როგორ მო-იქცნენ, რა სიტყვები და ფრაზები გამოიყენონ. უნდა შეეძლოთ, თავიანთი ქცევა სხვადასხვა გარემოს მიუსადაგონ. გაიაზრონ, რა ქცევას – რა შედეგი მოჰყვება. დაიცვან წესები და იგივე მოითხოვონ სხვებისგანაც.

რას ვგრძნობთ, რას ვფიქრობთ, რას ვხედავთ (თვითცნობიერება და სოციალური ცნობიერება)

- ვინ ვარ მე
- ემოციების ცოდნა და ცნობა
- სხვისი თვალით დანახვა
- მესმის, რას გრძნობს სხვა

ვინ ვარ მე.

საკუთარი თავის რწმენა ბავშვებში მისაღებ ქცევას განაპირობებს. ბავშვისთვის მნიშვნელო-ვანი ადამიანის მის მიმართ დამოკიდებულება ბავშვის თვითრწმენაში აისახება. თუ მშობლები და აღმზრდელები მიიჩნევენ, რომ ბავშვი საყვარელი, ღირსეული და გარკვეული კომპეტენ-ციების მქონეა, იგი უფრო თავდაჯერებულია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თითოეულ ბავშვთან მის მიღწევებზე, ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებზე საუბარი, ხშირი აღნიშვნა და უკუკავშირი.

ემოციების ცოდნა და ცნობა.

უფროსს შეუძლია, ბავშვებს თავიანთი ემოციების შეცნობასა და გაგებაში დაეხმაროს. ძალიან მნიშვნელოვანია ემოციების შესახებ გულწრფელი საუბრები. როცა უფროსები ამჩნევენ მათ ემოციებს და საშუალებას აძლევენ, დაასახელონ და ისაუბრონ ამის შესახებ, ემოციების სწა-ვლასა და ურთიერთობებს უწყობენ ხელს. რეგულარული საუბრები ემოციებზე, სხვადასხვა ემოციების განმარტება და სახელის დარქმევა („მე ვიცი, ამან გაგაბრაზა“ „ეს შეიძლება საშიში იყოს“), მათი გულისყურით მოსმენა, ბავშვებს საკუთარ ფიქრებზე, ქცევებზე, ემოციებსა და დამოკიდებულებებზე აფიქრებს. ემოციური განვითარება კი ბავშვის კეთილდღეობას და პო-ზიტიურ ურთიერთობებს უწყობს ხელს.

სხვისი თვალით დანახვა.

პროსოციალური ქცევის საფუძველი – სხვისი თვალით დანახვის უნარია, როდესაც ბავშვს შე-უძლია გაიგოს, რას ფიქრობს, რა მოტივი ამოძრავებს სხვას. ეს ეხმარება ბავშვს, ახსნას სხვისი

ქცევა და გაუგოს მას. მაგალითად, „მასაც უნდა სახანძრო მანქანით თამაში“ (გაზიარება), ან „მისთვის უმჯობესია, თუ ის ექიმი იქნება და მე დედა“ (თანამშრომლობა).

მესმის, რას გრძნობს სხვა.

ბავშვებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ სხვა ადამიანებზე დაკვირვება და მათი გრძნობების ამოცნობა და გაგება. ენის განვითარება და გამოყენება უმნიშვნელოვანესია, რომ მათ სიტუაციების სხვისი თვალით დანახვა შეძლონ. ბავშვებთან სხვის ემოციებზე და განზრახვებზე საუბარი ამ უნარის გაძლიერებას უწყობს ხელს. კარგი აღმზრდელი თამაშის, სასწავლო პროცესის, ურთიერთობების დროს ბავშვებს პროსოციალურ ქცევას ასწავლის. მაგალითად, „ეკა, ეს ქეთაა და ის ახალია ჩვენთან, ჯერ არავის იცნობს. როგორ ფიქრობ, რას გრძნობს? რისი გაკეთება შეგიძლია, თავი უკეთ რომ იგრძნოს?“ „თამარ, შენ ის საღებავი აიღე, რომელსაც ნიკა ელოდებოდა. რას გრძნობს ახლა ნიკა?“

ვიქცევი დაფიქრებით (თვითკონტროლი)

- იმპულსის კონტროლი
- ემოციების კონტროლი
- ყურადღება, დაგეგმვის უნარი
- ასერტულობა
- კონფლიქტის მართვა

იმპულსის კონტროლი.

როდესაც ბავშვებს რიგის დაცვას, სათამაშოს დათმობას, ქმედებისგან თავის შეკავებას ვთხოვთ, მათგან იმპულსის კონტროლს ვითხოვთ. იმპულსის კონტროლია ასევე მოქმედების შეჩერება ან ტემპის ცვლა, შენელება ან აჩქარება. აღმზრდელის დახმარებით და იმპულსის კონტროლის ხელშემწყობი თამაშებით ამ უნარის გამომუშავება შესაძლებელია. ბავშვი, რომელსაც იმპულსის კონტროლი შეუძლია, წარმატებული და სასურველი მოთამაშეა.

ემოციების კონტროლი.

თვითმართვა ძლიერი ემოციების კონტროლის უნარიცაა. იმედგაცრუების ან ბრაზის მართვა, უარყოფითი ემოციების მისაღები ფორმით გამოხატვა, თვითდამშვიდება, სწორ გამოსავალზე ფიქრი – ემოციების მართვის უნარია. თანატოლებს შორის კონფლიქტი, განსაკუთრებით პატარა ბავშვებში, ძლიერ ემოციურ რეაქციებს იწვევს. ისინი ამ ასაკში იწყებენ სოციალური უნარების განვითარებას. რადგან ბევრმა არ იცის, როგორ მართოს იმედგაცრუება და ბრაზი, ძლიერმა ემოციამ შეიძლება დარტყმისკენ ან ყვირილისკენ უბიძგოს. აღმზრდელის ამოცანაა, დაეხმაროს ბავშვებს, ასწავლოს, როგორ შეინარჩუნონ სიმშვიდე, იფიქრონ სწორ გამოსავლებზე და სასურველი მეგობრები გახდნენ.

ყურადღება, დაგეგმვის უნარი.

ბავშვების იმპულსურობა არა მარტო ქცევაში, არამედ აზროვნებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც ვლინდება. ზოგიერთ ბავშვს ყურადღების დიდხანს კონცენტრირება არ შეუძლია. უმეტესობა ვერ ახერხებს თავისი ქმედების დაგეგმვას. ზრდასთან ერთად ბავშვები უფრო დაფიქრებულები და ნაკლებად იმპულსურები ხდებიან, როგორც საქმიანობაში, ისე გადაწყვეტილების მიღებისას. მათ შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება თამაშზე, მიზნის მისაღწევად ქმედების ან ქმედებების დაგეგმვა და თანმიმდევრული განხორციელება. ამის გამომუშავებაში პატარებს შემდეგი სტრატეგიები ეხმარება: „რა გჭირდება ხატვისთვის“, ანუ გააზრებული არჩევანის გაკეთება, როდესაც მიზანი გაქვს და ამ მიზნისთვის გეგმავ ქმედებებს. უფროს ასაკში ეს შეიძლება იყოს რამდენიმე ქმედების დაგეგმვა და განხორციელება. მაგალითად, რეცეპტის მიხედვით კერძის დამზადება, ნიმუშის ან წარმოდგენილი კონსტრუქციის მიხედვით რთული ნაგებობის აწყობა, რომელიმე ბავშთან ერთად რამე თამაშის მოფიქრება და წამოწყება. ნებისმიერ პროექტში ბავშვის მონაწილეობა დაგეგმვის უნარს საჭიროებს და მის განვითარებას უწყობს ხელს. დაგეგმვის და მიზანზე ორიენტირებული ქმედებების თანმიმდევრულად განხორციელება ეფექტური სწავლის საფუძველია.

ასერტულობა.

ბავშვებმა ასევე უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დაცვა ისე, რომ არ ავნონ სხვას. ბავშვი ასერტულია, როდესაც იცის, როგორ გამოხატოს თავისი გრძნობები, საჭიროებები, აზრები და როგორ დაიცვას საკუთარი თავი, სხვების უფლებების შელახვის გარეშე. იმის ცოდნა, თუ როგორ მიუდგე ან უპასუხო ასერტულად, ბავშვებს საშუალებას აძლევს, მიზნებს აგრესიის გამოყენების გარეშე მიაღწიონ. ასერტულ პასუხს შეუძლია დაიცვას ბავშვი, არ გახდეს ჩაგვრის ობიექტი.

კონფლიქტის მართვა.

სოციალურ ურთიერთობებში კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარება მნიშვნელოვანია. ასეთი ქცევა ყველა ზემოთ განხილულ უნარს საჭიროებს. იმისათვის, რომ ბავშვმა კონფლიქტის მოგვარება შეძლოს, მას საკუთარი მდგომარეობის გააზრება, პრობლემის დანახვა, სხვისი თვალით დანახვა, მოლაპარაკება, კომუნიკაცია, ქმედების შედეგის განჭვრეტა და სწორი არჩევანის გაკეთება უნდა შეეძლოს.

კვლევა-აღმოჩენა

კურიკულუმის **მეორე** მიზანი – კვლევა-აღმოჩენა – შემეცნებითი, განსაკუთრებით კი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას გულისხმობს.

რატომ კვლევა-აღმოჩენა? კურიკულუმის ამოცანა სწორედ მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებაა. რადგან ბავშვი ბუნებრივად ცნობისმოყვარეა, მისთვის კვლევა ბუნებრივი პროცესია და დაბადებიდან, როგორც ნამდვილი მკვლევარი, სამყაროს დაკვირვებით, მოსინჯვით სწავლობს. ეს ბუნებრივი ინტერესი მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა და მოტივატორია. კურიკულუმი დაეხმარება საგანმანათლებლო პერსონალს, ეს ინტერესი ადრეული ასაკიდანვე გამოიყენონ ისეთი უნარების განსავითარებლად, რომლებიც ბავშვს მოაზროვნე, მკვლევარ ადამიანად ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

ცნობისმოყვარეობის ხელშეწყობა პატარებთან მათი შეგრძნებების: სმენის, ხედვის, ყნოსვის, გემოსა და შეხების სტიმულირებით, მრავალფეროვანი მასალებისა და გამოცდილებების შეთავაზებით ხდება. აღმზრდელები ბავშვების ინტერესების გაღვივებას სხვადასხვა მოვლენებსა და ობიექტებზე დაკვირვების, მათით მანიპულირების, ექპერიმენტირებისა და კითხვების დასმის წახალისებით ცდილობენ.

კვლევის ხელშეწყობისათვის ბავშვებს უვითარდებათ ისეთი უნარები, როგორიცაა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება, საგნების დახარისხება სხვადასხვა ნიშნის, ზომის, ფერის, ფორმის, წონის, რაოდენობის მიხედვით; ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, საკუთარი ვარაუდებისა და შეხედულებების ჩამოყალიბება. აღმზრდელები ყველა შესაძლო მომენტს იყენებენ ამ უნარების გასავითარებლად: სვამენ ღია კითხვებს, სთავაზობენ ბავშვებს ღია მასალებს მანიპულირებისათვის; აძლევენ საშუალებას, გააანალიზონ და გამოთქვან საკუთარი აზრი და ყურადღებით ინიშნავენ მათ ნათქვამს.

შემოქმედებითობის გასავითარებლად აღმზრდელები მუშაობენ ბავშვებთან სიმბოლური აზროვნების ჩამოყალიბებასა და პრობლემების გადაჭრის უნარებზე, სთავაზობენ ბავშვებს ბევრ მეორად და ბუნებრივ მასალას, რომ კონსტრუქციებსა და ხელოვნების აქტივობებში თავისუფლად გამოიყენონ. უკითხავენ წიგნებს და სთავაზობენ ბავშვებს ზღაპრების ინტერპრეტირებას თამაშებში. აძლევენ ბავშვებს საშუალებას, მიღებული გამოცდილებები გადაიტანონ დრამატულ თამაშებში, თავისუფლად გამოხატონ თავი მუსიკისა და მოძრაობის საშუალებით.

კვლევა-აღმოჩენის მიზანი კურიკულუმში სამ ქვემიზნად არის მოცემული, ესენია:

1) ცნობისმოყვარეობა – მაინტერესებს, რა არის
2) კვლევა – მინდა გავიგო, რატომ და როგორ
3) შემოქმედებითობა – ვქმნი და ვიგონებ.

მაინტერესებს, რა არის (ცნობისმოყვარეობა)

- ინტერესი სიახლის მიმართ
- კითხვების დასმა / ვარაუდების გამოთქმა
- ყურადღების კონცენტრაცია / დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე
- ცდა / ექსპერიმენტირება

ინტერესი სიახლის მიმართ.

ბავშვებისათვის ცნობისმოყვარეობა მთავარი მამოძრავებელი ძალა და მოტივატორია. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამ ცნობისმოყვარეობის გამოყენება და გაღვივება, ახალი გამოცდილებების შეთავაზებით. სულ პატარების დაინტერესებისა და სამყაროს აღმოჩენის ხერხი – მათი შეგრძნებების სტიმულირებაა, ესენია: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება. შესთავაზეთ ბავშვებს ბევრნაირი ფაქტურის: რკინის, ხის, ქსოვილის, რეზინის სათამაშოები; ნივთები, რომლებიც სხვადასხვანაირ ხმას გამოსცემენ, სხვადასხვა ფერისა და ფორმისაა, სხვადასხვა სუნი და გემო აქვს.

კითხვების დასმა/ვარაუდების გამოთქმა.

ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ბავშვები მეტყველების ჩამოყალიბებისთანავე იწყებენ კითხვების დასმას. აღმზრდელების ამოცანაა, ბავშვებს ამ პროცესში დაეხმარონ. სულ პატარების ინტერესი შეიძლება, არავერბალურად იყოს გამოხატული. ამიტომ, ინტერესებზე დაკვირვება, მათი დანახვა და ვერბალიზება ბავშვებს ამ კითხვების ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მაგალითად, ნიკო ხშირად თამაშობს მანქანებით, განსაკუთრებით კი მოსწონს, როგორ ტრიალებს ბორბლები და ხშირადაც ატრიალებს, უყურებს მათ. აღმზრდელი ამას ამჩნევს და ეუბნება:„ ნიკო, მანქანებით თამაში ძალიან მოგწონს. ალბათ გაინტერესებს, როგორ ტრიალებს ბორბლები, არა?“

დაეხმარეთ ბავშვებს, თავიანთი ვარაუდები ჩამოაყალიბონ. კითხვებზე პასუხის ნაცვლად, გამოიყენეთ მათი ინტერესი მათივე აზროვნების წასახალისებლად. კატო კუბურებით კოშკს აშენებს. ბევრი ცდის შემდეგ აღმზრდელს ეკითხება: „რატომ არ მაგრდება ეს კუბურა?“ აღმზრდელი პასუხის ნაცვლად კითხვას უბრუნებს:„ შენ როგორ ფიქრობ, რატომ? მოდი, დავაკვირდეთ, რა ხდება? კატო ვარაუდს გამოთქვამს, როცა ამბობს, რომ კუბურა ძალიან დიდი და მძიმეა, ან მრგვალია და გორდება.

ყურადღების კონცენტრაცია / დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე.

ყურადღების კონცენტრაციასა და დაკვირვებაში ბავშვებს ჩვენი მხრიდან ყურადღების გამოჩენაც დაეხმარებათ. დაეხმარეთ ბავშვებს ყურადღების შენარჩუნებაში. აღწერეთ, რითაც ბავშვია დაკავებული, მაგალითად: „როგორი ხაოიანია ეს ქსოვილი, ეს კი – პრიალა. მოდი, ერთად მოვსინჯოთ.“

ბავშვის ნამდვილი ინტერესების გარკვევა შეიძლება გასაღები აღმოჩნდეს მასთან კომუნიკაციის დასამყარებლად, დასამეგობრებლად და განვითარების წასახალისებლად. პირველ რიგში იმით, რომ მისი ინტერესი იქნება მამოტივირებელი, მეტად კონცენტრირდეს რომელიმე საკითხზე. მაგალითად, თუ აღმოვაჩენთ, რომ ანდრია, რომელიც არასდროს ერთვება სხვა აქტივობებში, უცებ ძალიან დიდი მონდომებით იწყებს ძველი მაღვიძარა საათის დაშლას და მისი დეტალების დახარისხებას, შეგვიძლია მისი ეს ინტერესი ჩაღრმავებული კვლევისა და სხვადასხვა უნარის განვითარებისათვის გამოვიყენოთ. ვესაუბროთ, ვთხოვოთ, აღწეროს პროცესი, დათვალოს დეტალები, ჩაიხატოს საათი, შექმნას თავისი საათი და აშ.

ცდა /ექსპერიმენტირება.

ბავშვები საგნის თვისებებს მათზე ზემოქმედებით: მანიპულირებით, დაგდებით, შენჯღრევით, ერთმანეთში ჩადებით და ა.შ. ცდიან, ანუ მარტივ ცდებსა და ექსპერიმენტებს ატარებენ. დაეხმარეთ ბავშვებს, ყურადღება გაამახვილონ იმ მოქმედებებზე, რასაც ასრულებენ. აღწერეთ პროცესი, რა ხდება, როცა ბავშვი თამაშობს: ჭიქა გაივსო და წყალი გადმოისხა, ხის კოვზი ტივტივებს, ბურთი გაგორდა და აშ.

მინდა გავიგო, რატომ და როგორ (კვლევა)

- კლასიფიკაცია
- შედარება
- მიზეზ-შედეგობრიობა
- ანალიზი/მსჯელობა

კლასიფიკაცია.

საგნებზე დაკვირვებისას ბავშვები იწყებენ იმის გააზრებას, რომ საგნები რაღაცით გავს და რაღაცით განსხვავადება ერთმანეთისაგან და იწყებენ მათ დახარისხებას სხვადასხვა კატეგორიებად, როგორიცაა ფერი, ფორმა, ზომა და ა.შ. შეგვიძლია გამოვიყენოთ ხელთ არსებული მეორადი მასალები, ბუნებრივი მასალები და ე.წ. ღია მასალები იმისათვის, რომ წავახალისოთ ბავშვები, დაახარისხონ თავდაპირველად რამე ერთი ნიშნით, მაგალითად ფერით, შემდეგ კი ზომით და ა.შ.

შედარება.

სეირნობისას შეგიძლიათ შეაგროვოთ სხვადასხვა ბუნებრივი მასალა. დაახარისხეთ ცალ-ცალკე ფოთლები, ტოტები, ქვები, ნიჟარები. შეადარეთ ერთმანეთს. ნახეთ, რითი განსხვავდება და როგორ გავს ისინი ერთმანეთს, დაახარისხეთ სხვადასხვა ფერის კუბურები ფერების მიხედვით, შემდეგ კი – ფორმების მიხედვით. შეადარეთ რაოდენობები: ცოტა-ბევრი, გადათვალეთ ერთად.

მიზეზ-შედეგობრიობა.

ასევე მნიშვნელოვანია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ლოგიკური აზროვნება, რაც გულისხმობს სხვადასხვა მოვლენებს შორის ურთიერთკავშირების დამყარებას. მაგალითად, როცა ღილაკს ვაჭერ ხელს – შუქი ინთება, როცა ბევრ წყალს ვასხამ ჭიქაში, ის გადმოდის.

შესთავაზეთ ბავშვებს ისეთი სათამაშოები, რომლებიც ღილაკზე თითის დაჭერით გაანათებს ან ხმას გამოსცემს.

ანალიზი/მსჯელობა.

ყოველთვის მიეცით ბავშვს საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულება. დაუსვით ბავშვს კითხვები: როგორ ფიქრობ, რა მოხდა, რატომ აინთო ღილაკი? რატომ ტივტივებს ნავი? წაახალისეთ ყოველთვის, როცა კი ამის საშუალება მოგეცემათ. მაგალითად, წიგნის კითხვისას, დაუსვით ბავშვებს ღია კითხვები: როგორ მოხდა ასე; შენ რომ ყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდი და ა.შ.

ვქმნი და ვიგონებ (შემოქმედებითობა)

- სიმბოლური აზროვნება/ წარმოსახვითი ობიექტების გამოყენება
- განსახიერება/ ინტერპრეტაცია
- პრობლემის გადაჭრა
- შექმნა

სიმბოლური აზროვნება.

სიმბოლური აზროვნება გულისხმობს პროცესს, როცა ბავშვი რამეს სიმბოლური დანიშნულებით იყენებს. მაგალითად, სულ პატარები კუბურას, როგორც ტელეფონს შეიძლება იყენებდნენ, ჯოხს – როგორც ცხენს. ასევე, როცა რამე როლს მოირგებენ და განასახიერებენ დედას, ექიმს და ა.შ. სიმბოლური აზროვნების ნიმუშია, როცა ბავშვები სიტყვებს რამე ნივთის სახელდებისთვის იყენებენ, ან ციფრს – რაოდენობის გამოსახატად. წარმოსახვითი თამაშები ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ადრეულ ასაკში სიმბოლური აზროვნების გასავითარებლად.

განსახიერება/ინტერპრეტაცია.

სამყაროს უკეთ გასაგებად, საკუთარი გამოცდილების გასააზრებლად, ბავშვები იწყებენ სწორედ როლური, წარმოსახვითი თამაშების ორგანიზებას, სადაც მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირებას ახდენენ. მაგალითად, ექიმის პროფესიის, მასთან საკუთარი დამოკიდებულების გასააზრებლად, ბავშვები თამაშობენ ექიმობანას და ა.შ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, მივცეთ ბავშვებს საშუალება, ყველა, მათთვის საინტერესო თემაზე დაგეგმონ ასეთი თამაშები. ამისთვის შეცვალონ და მოაწყონ გარემო, დაამზადონ და მოაგროვონ სათამაშო რეკვიზიტები და ითამაშონ.

პრობლემის გადაჭრა.

შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მივცეთ ბავშვებს თავისუფლება, მოიფიქრონ და თვითონ, თავისი გზით გააკეთონ რამე. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიანობებში მოიფიქრონ პრობლემის გადაჭრის თავისებური გზა. მაგალითად, როგორ დავამაგროთ ჯოხი მუყაოზე, ან როგორ გავაკეთოთ კარავი?

ამისათვის, ბავშვებს არ უნდა შევთავაზოთ მზა გადაწყვეტები და პირიქით, ვკითხოთ, როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა. მაგალითად, ბავშვებს სურთ, დავეხმაროთ კარვის გაკეთებაში. აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს, როგორ შეიძლება დამზადდეს კარავი? რა მასალა არის საჭირო? როგორ დავამაგროთ ქსოვილი სკამზე? და მხოლოდ ამის შემდეგ ეხმარება ჩანაფიქრის განხორციელებაში.

შექმნა.

შექმნა გულისხმობს ახალი პროდუქტისა თუ პროცესის მოფიქრებას, სრულიად განსხვავებული გზის პოვნას და არა აღმზრდელის მიერ ნაჩვენები მოდელის გამეორებას. ამ უნარზე მუშაობა სხვადასხვა თავისუფალი, შემოქმედებითი თამაშით არის შესაძლებელი. შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მეორადი და ბუნებრივი მასალები. წაახალისეთ, ააწყოს, შექმნას ორ და სამგანზომილებიანი ფიგურები. ნუ მისცემთ გამზადებულ ინსტრუქციებს, მიეცით საშუალება, განახორციელოს საკუთარი ფანტაზიები.

შესთავაზეთ ბავშვებს ხის კუბურები, მეორადი და ბუნებრივი მასალები, ქსოვილები, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციებს შექმნის. დაუსვით ღია კითხვები და დაეხმარეთ, იფიქროს განსხვავებულ გადაწყვეტებზე.

წაახალისეთ ბავშვი, მოსინჯოს სხვადასხვა სახატავი საშუალება, თავისუფლად ჩაატაროს ექსპერიმენტები. ყურადღება გაამახვილეთ პროცესზე და არა შედეგზე.

თავისუფლად გამოხატოს საკუთარი გრძნობები და აზრები მუსიკისა და მოძრაობის საშუალებით, მოსინჯოს და ჩაატაროს ექსპერიმენტები ბგერებითა და ცეკვით.

თავი 3. საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი

საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, რომ ბავშვები მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობდნენ და სხვადასხვა რესურსის გამოყენების საშუალება ჰქონდეთ. ამ მხრივ, თემატური მიმართულებები – ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება – მრავალფეროვან გამოცდილებას ნამდვილად უზრუნველყოფს. საგანმანათ-ლებლო პროცესზე ფიქრისას, სამივე მიმართულების გათვალისწინებით, აღმზრდელი ამ პროცესს ბავშვისთვის გაცილებით საინტერესოს და მომხიბვლელს ხდის და ამავდროულად, კურიკულუმის მიზნებზეც გადის.

ქვემოთ აღწერილია, როგორ არის შესაძლებელი, ხელოვნების, წიგნიერებისა და მეცნიერების გამოცდილებების შეთავაზებით, კურიკულუმის გამრავალფეროვნება და მიზნების მიღწევა.

ხელოვნება

ხელოვნება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კურიკულუმის მიზნის – კვლევა/აღმოჩენა – მისაღწევად. ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების თამაშებით ბავშვებს სწორედ **ცნობისმოყვარეობა**, **შემოქმედებითობა** და **კვლევის უნარები** უვითარდებათ.

როგორ უწყობს ხელს **ცნობისმოყვარეობის** განვითარებას ვიზუალური ხელოვნება? ხელოვნების აქტივობების დროს მნიშვნელოვანია, აღმზრდელი ქმნიდეს ისეთ გარემოს, რომ ბავშვი ახალ სახატავ მასალას დააკვირდეს: მაგალითად, ხატვისას დააკვირდეს, როგორ კვალს ტოვებს განსხვავებული ფორმის ფუნჯი ფურცელზე; რა ემართება საღებავს, თუ წყალს გავურევთ; რა მოხდება, თუ ორ სხვადასხვა ფერს შევურევთ ერთმანეთს; რა მოუვა ფურცელს, თუ ფუნჯით დავასველებთ და მერე ფანქრით დავხატავთ და ა.შ. როდესაც აღმზრდელი ბავშვს საშუალებას აძლევს, ხელოვნების სხვადასხვა ტექნიკით დაინტერესდეს, მაგალითად მოსინჯოს ტრაფარეტები, ანაბეჭდები, აძლევს საშუალებას, გამოძერწოს მარილიანი ცომით, დახატოს თითის საღებავებით, იმუშაოს პაპიე-მაშეს ტექნიკით, ამ დროს ბავშვი სვამს კითხვებს მისთვის აქამდე უცხო რესურსის შესახებ. როცა აღმზრდელი ბავშვს სთავაზობს მასალას სამგანზომილებიანი ქანდაკების, კოლაჟის შესაქმნელად, ბავშვი აკვირდება ბუნებრივ ან მეორად მასალებს, სვამს კითხვებს, ვარაუდებს გამოთქვამს ამა თუ იმ მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით, საკუთარი ვარაუდების დასამტკიცებლად ატარებს ექსპერიმენტებს .

როგორ ვითარდება **კვლევითი უნარები** ვიზუალური ხელოვნების გზით? როცა ბავშვი საღებავებით ხატავს, აღმზრდელი საშუალებას აძლევს მას, იკვლიოს, როგორ შრება განსხვავებული ფაქტურის საღებავი სხვადასხვა სისქის ქაღალდზე; დააკვირდეს და დაასკვნას, რომ საღებავი უფრო მკრთალი ფერისაა, როცა ბევრ წყალს გაურევს; აღმოაჩენს, რომ ორი ფერის შერევით, შესაძლებელია ახალი ფერის მიღება. აღმზრდელმა უნდა წაახალისოს ბავშვი, შეადაროს სხვადასხვა ტექნიკა, მასალა. შეადაროს და დაახარისხოს დასახატი ობიექტები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, დაახარისხოს ბუნებრივი და მეორადი მასალები მაკეტის დამზადებისას.

როგორ ხდება **შემოქმედებითობის** განვითარება ვიზუალური ხელოვნების გზით? ხელოვნების აქტივობების დროს მნიშვნელოვანია, ბავშვმა ექსპერიმენტების შედეგად შექმნას ახალი ფერები. მხატვრული ნამუშევრის შექმნისას, მოიფიქროს სხვადასხვა ტექნიკის საკუთარი ინტერპრეტაცია. მასალების გამოყენებისას, აღმზრდელმა უნდა წაახალისოს, მოსინჯოს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა. მაგალითად მოიფიქროს, რა მასალა შეიძლება გამოიყენოს ქანდაკების მძიმე დეტალის უკეთ დასამაგრებლად.

როგორ ვითარდება **ცნობისმოყვარეობა** მუსიკისა და ცეკვის გზით? აღმზრდელმა უნდა შექმნას გარემო, სადაც მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას, ბავშვი ინსტრუმენტებით დაინტერესდება, დასვამს კითხვებს მათ ჟღერადობასთან, მოწყობილობასთან დაკავშირებით, მოსინჯავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას, ხელნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადებისას, გამოთქვამს ვარაუდებს მათი ჟღერადობის შესახებ. ასევე, უნდა დაიგეგმოს

ისეთი აქტივობები, როცა ბავშვი შეძლებს საკუთარი სხეულის მოძრაობის დაკვირვებას და შესწავლას. ასევე, გამოიჩინოს ცნობისმოყვარეობა სხვადასხვა საცეკვაო ილეთების მიმართ. შეეცადოს, იმოძრაოს მუსიკის რიტმის შესაბამისად. ჩაატაროს ექსპერიმენტები, იმოძრაოს თავისებურად, მუსიკის თანხლებით.

როგორ ვითარდება **კვლევითი უნარები** მუსიკისა და ცეკვის საშუალებით? შევთავაზოთ ბავშვებს შემდეგი აქტივობები: მოუსმინონ და შეადარონ ერთმანეთს სხვადასხვა ჟღერადობა, რიტმი, სხვადასხვა ჟანრის მუსიკა. გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მუსიკის, ცეკვის ხასიათთან, ემოციასთან დაკავშირებით. მაგალითად, ბავშვი აღმოაჩენს, რომ თუ დოლს მაგრად დაარტყამს, ძლიერ ხმას გამოსცემს; ცეკვის დროს მოძრაობებს ადარებს ერთმანეთს, ანალიზს უკეთებს სხეულის ენით გამოხატულ ემოციას.

როგორ ვითარდება **შემოქმედებითობა** მუსიკისა და ცეკვის გზით? აღმზრდელმა უნდა მოიფიქროს ისეთი აქტივობები, რომ ბავშვმა შეძლოს ახალი მელოდიების შექმნა, თავად გამოიგონოს ინსტრუმენტები, მოსინჯოს მათი ჟღერადობა, მოიფიქროს სიმღერის ტექსტი, აჰყვეს მუსიკის რიტმს სხეულით, მოიგონოს მუსიკის შესაბამისი ილეთები, შექმნას მარტივი რიტმული მონახაზი.

როგორ ხდება **ცნობისმოყვარეობის** განვითარება დრამის გზით? აღმზრდელმა უნდა მისცეს ბავშვს თამაშის საშუალება. თამაშის დროს ბავშვი ინტერესდება და სვამს კითხვებს, მაგალითად, ახალი ნივთების შესახებ, სათამაშოების, მათი თვისებების შესახებ. დრამატული თამაშის დროს აკვირდება პერსონაჟებს, ცდილობს, მიბაძოს ცხოველებსა და ფრინველებს, ნაცნობ პერსონაჟებს, აკვირდება თამაშს, გამოთქვამს ვარაუდებს სიუჟეტთან დაკავშრებით, პერსონაჟების ქცევასთან დაკავშირებით. თამაშში ერთვება და მონაწილეობას ღებულობს გარკვეული დროის განმავლობაში. თამაშის დროს სწავლობს და აკვირდება საკუთარ სხეულს, ემოციებს, სხვის განცდებს.

როგორ ვითარდება **კვლევითი უნარები** დრამის გზით? შესაძლებელია ისეთი გარემოს შექმნა, რომ ბავშვმა თამაშის დროს ნივთები იკვლიოს, შეისწავლოს, ერთმანეთს შეადაროს, გააანალიზოს მათი თვისებები, დაახარისხოს გარკვეული ნიშნით. გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები დრამატული თამაშის დროს სხვადასხვა მიმართულებით – იკვლიოს საკუთარი სხეული, ემოციები, სხვისი განცდები. იკვლიოს ნივთები, რომლებსაც იყენებს თამაშში, აკვირდება მათ აგებულებას, ატარებს ექსპერიმენტებს.

როგორ ხდება **შემოქმედებითობის** განვითარება დრამის გზით? აღმზრდელმა უნდა მოიფიქროს ისეთი თამაშები, რომ ბავშვი გარდაისახოს სხვადასხვა როლში. ამ დროს იგი შესაბამისად ცვლის თავის ქცევას, ხმას, შეუძლია საკუთარი გამოცდილების ინტერპრეტირება. იგონებს ახალ ამბებს, სიუჟეტებს, სიტუაციებს, ახალ პერსონაჟებს, ახალ თამაშებს. ასევე მნიშვნელოვანია, აღმზრდელმა შექმნას ისეთი გარემო, რომ ბავშვმა თამაშის დროს შეთხზას

ახალი სიტყვები, სიმბოლურად გამოიყენოს სათამაშოები – მაგალითად, კუბურა ერთ შემთხვევაში იყოს სატვირთო მანქანა, სხვა შემთხვევაში – ტელეფონი და ა.შ.

როგორ მიიღწევა ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ მიზნები ხელოვნების გზით? შესაძლებელია ხელოვნების აქტივობების მოფიქრება, რომელიც სპეციფიკურად ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ერთობის მიზნებზე გადის. ასევე შესაძლებელია ყველა სხვა ხელოვნების აქტივობების დროს სოციალური, ემოციური და კომუნიკაციური უნარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება. მაგალითად, თამაშები, რომლებიც მუსიკის სხვადასხვა რიტმზე აყოლას მოითხოვს, იმპულსის კონტროლს უწყობს ხელს. ვიზუალურ ხელოვნებაში მრავალფეროვანი მასალით სხვადასხვა ემოციის დახატვა, შემოქმედებით თვითგამოხატვასთან ერთად, ბავშვებს ემოციებზე დაფიქრებაში ეხმარება. დრამატული ხელოვნების აქტივობებში ემოციების გათამაშებით ბავშვები მთლიანად სხეულზე და სახის გამომეტყველებაზე დაკვირვებით ემოციების წაკითხვას სწავლობენ. ხელოვნების თამაშების დროს ასევე შესაძლებელია, შექმნათ რეკვიზიტები ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ერთობის აქტივობებისთვის. მაგალითად, ნაყინის გაკეთება ქაღალდის კონუსისგან, რომელსაც იმპულსის კონტროლის თამაშებში გამოიყენებთ, ნიღბების გაკეთება ემოციების თემაზე, რომლებსაც ემოციების სწავლებისთვის გამოიყენებთ. ეს თამაშები უფრო დეტალურად იხილეთ თამაშების თავში.

სოციალური, ემოციური და კომუნიკაციური უნარების ხელშეწყობის სტრატეგიები ხელოვნების ყველა აქტივობის დროს შეიძლება გამოიყენოთ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ, ან ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად (სტრატეგიები დეტალურად იხილეთ მე-6 თავში.) მაგალითად, შეგიძლიათ ხატვის პროცესში კიდევ ერთხელ შეუქმნათ ისეთი გამოწვევა, რაც მათ სახატავი საშუალებების გაზიარებას ასწავლის, ან გუნდურად მუშაობაში დაეხმარება.

წიგნიერება

როგორ ხდება **ცნობისმოყვარეობის** განვითარება წიგნიერების გზით? როდესაც წიგნის კითხვისას აღმზრდელი ყურადღებას ამახვილებს პერსონაჟების ხასიათზე, ილუსტრაციებზე, წაახალისებს კითხვების დასმას პერსონაჟების შესახებ; წაახალისებს, გამოთქვან ვარაუდები წიგნის სიუჟეტთან დაკავშირებით; ამახვილებს ყურადღებას ნაბეჭდზე და ეხმარება ბავშვებს, გაიაზრონ, რომ ნაბეჭდი – სიტყვების სიმბოლური გამოსახულებაა.

როგორ ხდება **კვლევითი უნარების** განვითარება წიგნიერების გზით? წიგნიერების გზით კვლევითი უნარები ვითარდება: როცა აღმზრდელი წაახალისებს ბავშვს, ინფორმაციის შესაგროვებლად, გამოიყენოს წიგნი – როგორც წყარო; როცა ეხმარება მას წიგნის სიუჟეტის, პერსონაჟების ქცევის გაანალიზებაში, მათი მახასიათებლების შედარებაში, სიუჟეტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმაში.

როგორ ხდება **შემოქმედებითობის** განვითარება წიგნიერების გზით? ამ შემთხვევაში, წიგნის კითხვის დროს აღმზრდელი ცდილობს, წაკითხული ბავშვის რეალურ გამოცდილებას

დაუკავშიროს; წაახალისებს ბავშვებს, განასახიერონ წიგნის პერსონაჟები და თვითონაც განასახიერებს; ასევე, თამაშის დროს შეახსენებს ბავშვებს წიგნის სიუჟეტს, იყენებს მას. წაახალისებს სიუჟეტის შეცვლას, ინტერპრეტაციას და ა.შ.

როგორ ხდება ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ხელშეწყობა წიგნიერების გზით? წიგნის თემების შერჩევით, აქტიური კითხვით ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ, ბავშვები დააფიქროთ და ალაპარაკოთ. ერთ-ერთი ასეთი თემაა, მაგალითად, მეგობრობა.

წიგნის გმირები შეიძლება ემოციებზე სასაუბროდ, სხვისი პერსპექტივის აღქმის უნარის გასავარჯიშებლად გამოიყენოთ. მაგალითად: „შეხედე ამ სურათს. გოგონა ვერ ხედავს დათვს, რადგან სძინავს და თვალები დახუჭული აქვს. როგორ ფიქრობთ, ეშინია? არა, ჯერ არა. მაგრამ ახლა შევხედოთ ამ სურათს, სადაც მან გაიღვიძა და დათვი დაინახა. რას გრძნობს გოგონა ახლა?“

მეცნიერება

როგორ ხდება **ცნობისმოყვარეობის** განვითარება საბუნებისმეტყველო მეცნიერების გზით? ამისათვის აღმზრდელი წაახალისებს ბავშვს, დააკვირდეს საკუთარ თავს, შეადაროს საკუთარი სხეული სხვა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას; ხელს უწყობს ბავშვს, დააკვირდეს საგნებსა და მოვლენებს; დასვას კითხვები ადამიანების, ცოცხალი არსებების, საგნებისა და მოვლენების მახასიათებლების, ნივთიერებების თვისებების შესახებ; დააგემოვნებინებს სხავდასხვა საკვებს, წაახალისებს ბავშვებს, დასვან კითხვები საკვების წარმოშობასთან, შემადგენლობასთან დაკავშირებით და თვითონაც დასვამს კითხვებს; წაახალისებს ბავშვებს, გამოთქვან ვარაუდები ექსპერიმენტების დროს და თვითონაც გამოთქვამს ვარაუდებს: „ბევრს თუ ვირბენ, ალბათ გული ამიჩქარდება; მგონი, ფეხბურთის ბურთი უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ჩოგბურთის; მგონი, ამ ჭიქაში ეს წყალი არ ჩაეტევა“ და ა.შ.

როგორ ვითარდება **კვლევითი უნარები** საბუნებისმეტყველო მეცნიერების გზით? აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს, დააკვირდნენ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას, საგნებსა და მოვლენებს. ეხმარება, აღმოაჩინონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, გამოთქვან ვარაუდები და გააკეთონ დასკვნები:„ ქსოვილს წყალი რომ დავასხათ, დალბება; მცენარე მიწიდან რომ ამოვიღოთ და ისე დავდოთ, გახმება.“ აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვებს, ცდისა და კვლევის გზით შეამოწმონ და დაამტკიცონ საკუთარი ვარაუდების სისწორე. ახარისხებინებს საკვლევ ობიექტებს სხვადასხვა კატეგორიებად, მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და მავნე საკვებს, ჰიგიენის ნივთებს. ეხმარება ბავშვებს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ექსპერიმენტის მსვლელობის, ან შედეგის შესახებ და ა.შ.

როგორ ხდება **შემოქმედებითობის** განვითარება საბუნებისმეტყველო მეცნიერების გზით? აღმზრდელი წაახალისებს ბავშვს, მარტივი სიმბოლოებით ჩაინიშნოს დაკვირვება საგნებსა თუ მოვლენებზე; ხელს უწყობს ბავშვებს, ღია კითხვების საშუალებით შექმნან ახალი

თეორიები საგნების ან ნივთიერებების თვისებების შესახებ; ექსპერიმენტების დროს მოძებნონ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზები, მაგალითად, გამოიგონონ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კერძი ნაცნობი ინგრედიენტებისგან და ა.შ.

როგორ ხდება **ცნობისმოყვარეობის** განვითარება მათემატიკასა და ტექნოლოგიების გზით? აღმზრდელი ცდილობს, ყურადღება გაამახვილოს საგნების რაოდენობაზე, სიდიდეებზე, გაზომონ საგნები სხვადასხვა საშუალებით. დაეხმაროს ბავშვებს საგნების წონისა და მოცულობის განსაზღვრაში. აღმზრდელი წაახალისებს ბავშვების ინტერესს ტექნოლოგიების მიმართ, სვამს კითხვებს მათი მოწყობილობის, მუშაობის შესახებ. ხელს უწყობს ბავშვებს, გამოთქვან ვარაუდები ამასთან დაკავშირებით. ცდილობს, ბავშვებს შეხება ჰქონდეთ და მოსინჯონ სხვადასხვა ტექნოლოგიები.

როგორ ხდება **კვლევითი უნარების** განვითარება მათემატიკის და ტექნოლოგიების გზით? ამ შემთხვევაში, აღმზრდელი ცდილობს, წაახალისოს ბავშვებში სიდიდეების ერთმანეთთან შეადარება, საგნების გარკვეული ნიშნით: ფერის, ზომის, ფორმის მიხედვით დახარისხება; ეხმარება ბავშვებს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მათემატიკურ მოქმედებებთან დაკავშირები; ხელს უწყობს, გააანალიზონ ტექნიკის მუშაობა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორ ხდება **შემოქმედებითობის** განვითარება მათემატიკის და ტექნოლოგიების გზით? თამაშის დროს აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვებს, ამოიცნონ ციფრების სიმბოლოები, გადაჭრან მარტივი მათემატიკური ამოცანები, მაგალითად, კიდევ ერთი თეფში დააამატონ, როცა ერთი ბავშვი კიდევ დაემატებათ; წაახალისებს ბავშვებს, მათი იდეის განსახორციელებლად გამოიგონონ ახალი ფორმები, სხვადასხვა სამუშაო იარაღი და ტექნიკა,

როგორ ხდება **ცნობისმოყვარეობის** განვითარება სოციალური მეცნიერებების გზით? აღმზრდელი ცდილობს, ყურადღება გაამახვილოს და დასვას კითხვები სივრცესა და დროსთან დაკავშირებით; ცდილობს, თვითონაც გამოიყენოს და ბავშვებშიც წაახალისოს სივრცითი მიმართებების და დროის აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენება; წაახალისებს ბავშვებს, დააკვირდნენ გარემოში არსებულ წესებს და მათ მიზანს, მაგალითად, სვამს კითხვებს ოჯახის წევრების უფლება-მოვალეობების, პროფესიების შესახებ.

როგორ ხდება **კვლევითი უნარების** განვითარება სოციალური მეცნიერებების გზით? აღმზრდელი წაახალისებს თამაშებს, რომლებიც ბავშვს საშუალებას აძლევს, დააკვირდეს და შეადაროს ადამიანები სხვადასხვა ნიშნით: გარეგნობით, ქცევით, ინტერესებით. გააანალიზოს ადამიანების ქცევა, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სოციუმში დადგენილ ნორმებთან დაკავშირებით, განასხვაოს სხვადასხვა დროისა და კულტურის მუსიკა, ჩაცმულობა და სხვა ჩვეულებები.

როგორ ხდება **შემოქმედებითობის** განვითარება სოციალური მეცნიერებების გზით? აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, ინტერპრეტირება გაუკეთონ სხვადასხვა ხალხისა და კულტურის

ნიმუშებს; მოიფიქრონ ახალი იდეები ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნად, საკუთარი შტრიხები შეიტანონ ეროვნულ სამოსში, საცეკვაო ნომერში.

როგორ ხდება ჯგუფის ერთობის ხელშეწყობა მეცნიერების გზით? ისევე, როგორც ხელოვნების ნაწილში აღვნიშნეთ, მეცნიერების თამაშების დროსაც ორი მიმართულებით შეიძლება ჯგუფის ერთობაზე მუშაობა. ერთი, მეცნიერებიდან სპეციფიკურად ჯგუფის ერთობაზე თამაშების შეთავაზებით და მეორე, საჭიროების მიხედვით, ნებისმიერი მეცნიერების აქტივობის დროს ჯგუფის ერთობის ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენებით. ასეთი თამაშებია, რომლებიც ბავშვებს განსხვავებულობას, თვითრეფლექსიას, მის და მისი მეგობრის თავისებურებებს ასწავლის. მაგალითად, ბრაზომეტრის გაკეთება (იხილეთ მე-6 თავში: თამაშები ჯგუფის ერთობისთვის), რომელიც ბავშვებს ასწავლის, როგორ ხდება ემოციების ესკალაცია და როგორ შეიძლება ამ ინსტრუმენტის გამოყენება ემოციების გაზიარებისთვის. ასევე, ძლიერი ემოციების გამკლავებისა და დამშვიდების პოსტერის გაკეთება ასწავლის ბავშვებს, რომ თვითდამშვიდების სხვადასხვა ეფექტური გზა არსებობს.

რუტინული საქმიანობები და გადასვლები

ადრეული განათლების ჰოლისტურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ რუტინული საქმიანობების (კვება, ძილი, ხელის დაბანა) და გადასვლების (მოსვლა, წასვლა, დალაგება, სივრცეებსა და ერთი საქმიანობიდან სხვა საქმიანობაზე გადასვლა) დროსაც ბავშვები დამოუკიდებლობისა და თვითმოვლის უნარებთან ერთად, კიდევ ბევრ რამეს სწავლობენ. მეტიც, ბავშვები თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს აღწევენ, როდესაც გვერდით მზრუნველი და კომპეტენტური აღმზრდელია, რომელიც ბავშვების სწავლისა და განვითარების მხარდაჭერისთვის ნაყოფიერად იყენებს რუტინულ საქმიანობებს. უფროსებს შეუძლიათ ისეთი თამაშები შესთავაზონ ბავშვებს, წამოიწყონ საუბარი, ჩართონ დიალოგში, კითხვები დაუსვან, დააფიქრონ, რომ ასეთ მომენტებშიც იმუშაონ დღის და კვირის მიზნებზე და ბავშვების განვითარებაზე. ამისათვის, უფროსმა წინასწარ უნდა იფიქროს, როგორ შეუძლია რუტინული საქმიანობების და გადასვლების, ანუ ტრანზიციების დროს სასწავლო მიზნების ინტეგრირება.

განვიხილოთ, როგორ შეიძლება სხვადასხვა რუტინული საქმიანობების და გადასვლების დროს ბავშვების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა.

კვება

ამ დროს უფროსს საშუალება ეძლევა, ხელი შეუწყოს ბავშვის კოგნიტური, კომუნიკაციური და სოციალური უნარების განვითარებას. მაგალითად, კვების დროს წამოიწყოს საუბარი ჯანმრთელ კვებაზე ან ბავშვების საყვარელ საკვებთან დაკავშირებით. დასვას კითხვები: „რომელი ხილი გიყვარს?“ და ა.შ. შეიძლება საინტერესო საუბრის დაწყება, რომელიც, ერთი მხრივ, ინფორმაციას აწვდის აღმზრდელს და ბავშვებს ერთმანეთის შესახებ, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და საუბრის, მოსმენის უნარის განვითარებას. ასევე, ლექსიკური მარაგის გამდიდრება შესაძლებელია გემოს, ყნოსვის შეგრძნებებთან,

სუფრის წესებთან დაკავშირებული სიტყვების და ფრაზების გამოყენებითაც. სუფრასთან საუბრისას შეიძლება გადაიხედოს, რა გააკეთეს ბავშვებმა იმ დღეს, ან რისი გაკეთება დაგეგმეს ჭამის შემდეგ.

კვების დროს შესაძლებელია რიგის დაცვაზე, გაზიარებაზე, ერთმანეთზე ზრუნვის ხელშეწყობაზე დამატებითი მუშაობა. მაგალითად, ასეთი კომენტარებით: „ნინო, დავინახე, როგორ მიაწოდე ნათიას პური, მადლობა“. ასევე, სუფრის ეტიკეტის წესების მოდელირება და სწავლება; მიწოდების, კერძის გადაცემის დროს ლოდინის წახალისება ფრაზების – „თუ შეიძლება“, „გთხოვ“, „მადლობა“ – გამოყენებით.

კვების დროს საკუთარი თავის მომსახურებით, დასხმით, გადმოღებით, ჭურჭლის გამოყენებთ, ბავშვებს უვითარდებათ ნატიფი მოტორული უნარები, თვალისა და ხელის კოორდინაცია.

მაგიდის გაშლის და ალაგების პროცესში ბავშვებს პასუხისმგებლობის გრძნობა გამოუმუშავდებათ. მათი ქმედებების აღიარება, პოზიტიური უკუკავშირის მიცემა, მოვალეობების ყოველდღიურად შესრულებაში დაეხმარებათ.

ცენტრების დალაგება მუშაობის დაწყებისას და დასრულებისას

დალაგების პროცესში ბავშვების მონაწილეობა ხელს უწყობს არა მარტო მათი თვითმოვლის უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ კოგნიტური უნარების განვითარებასაც. ისინი ახარისხებენ, კატეგორიზაციას ახდენენ, როდესაც სხვადასხვა საგნებს შესაბამის კონტეინერებში და თაროებზე ათავსებენ. იაზრებენ რაოდენობრიობის ცნებას, როდესაც ითვლიან, რამდენი ფურცელი ან სათლელი უნდა მიიტანონ მაგიდასთან მსხდარი ექვსი მეგობრისთვის, რაც, ასევე, ჯგუფის ერთობას უწყობს ხელს. კერძოდ, დაგეგმვის უნარის განვითარებას, თანამშრომლობას.

გადასვლები

გადასვლები ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილია. სამწუხაროდ, უმცროსი ასაკის ბავშვები ადვილად ვერ გადადიან ერთი საქმიანობიდან მეორეზე. შესაძლებელია, ისეთი გატაცებით თამაშობდნენ, ვერ შენიშნონ, ან არ მოისურვონ თამაშის შეწყვეტა, როცა უფროსი მიუთითებს, რომ დაალაგოს. უფროსები უნდა დაეხმარონ მათ, წინასწარ დაგეგმონ ტრანზიციები და მიზანმიმართულად გამოიყენონ. გადასვლების დროსაც შესაძლებელია ზოგიერთი სასწავლო მიზნის დაგეგმვა და განხორციელება.

ტრანზიციების თამაშებად გარდაქმნა. გადასვლების დროს, როდესაც გარეთ გასვლისთვის დგანან რიგში, ან დაბანის ჯერს ელოდებიან, ბავშვებს წარმოსახვითი თამაშები ეხმარება. თვითრეგულირების თავისებურებებიდან გამომდინარე, ბავშვებს უძნელდებათ ლოდინი, როდესაც არაფერს აკეთებენ. ამ თამაშების შეთავაზებით, ბავშვები თვითრეგულირებასაც უკეთ შეძლებენ და ბევრ ახალს ისწავლიან, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ძალიან იხალისებენ.

მაგალითად, შესთავაზეთ ბავშვებს, ლოდინის დროს წარმოიდგინონ, რომ:

- ძალიან დიდ ბუშტს ბერავენ
- წყალში ყვინთავენ და სუნთქვას იკავებენ
- თითით რამეს ხატავენ ჰაერში, ან ერთმანეთის ზურგზე
- ხეები ან ყვავილები არიან და როგორ არხევს მათ ნიავი, ქარი, გრიგალი
- წაახალისეთ, მიიღონ სასაცილო სახეები
- მიბაძონ ცხოველების ხმებს
- ყურადღებით იყვნენ და გაიმეორონ მიმიკები და პოზები. ბავშვებსაც მიეცით შესაძლებლობა, წარმართონ თამაში.
- ხელით, ფეხით, პირით გაიმეორონ თქვენ მიერ მოფიქრებული სხვადასხვა რიტმები.
- შესთავაზეთ საერთო ზღაპრის მოფიქრება. თქვენ მიერ დაწყებული ამბავი თითო-თითო წინადადებით განავრცონ.
- ათამაშეთ „გამოიცანი,რა არის ოთახში“: მრგვალი და წითელი? მაგარი და თეთრი, ოთხკუთედი და წიკწიკა და ა.შ.
- ბევრი სიმღერა და ლექსი გადასვლის ინსტრუმენტებად გამოიყენება.

ასეთ თამაშებს ლოდინის, რიგში დგომის და აღმზრდელის მითითებების შესრულების გარ-და, სხვა სარგებელიც გააჩნია. მათი საშუალებით სხვადასხვა უნარის განვითარებაა შესაძლე-ბელი, მაგალითად: მოსმენა, თვითრეგულირება, ყურადღების ვარჯიში, რითმების, ხმების, ფორმების გამოცნობა.

თავი 4. ბაღის გარემოს მოწყობა

მოცემულ თავში აღწერილია ფიზიკური გარემოს მოწყობისა და განრიგის შემუშავების პრინციპები. ამ კურიკულუმის მიხედვით განმარტებულია ფიზიკური გარემოს ძირითადი მახასიათებლები. აღწერილია ის სათამაშო სივრცეები, რომელთა არსებობაც აუცილებელია ბაღის შენობაში და ეზოში. ჩამოთვლილია სხვადასხვა ტიპის სათამაშო სივრცეების მოსაწყობად საჭირო რესურსი. ამ თავში ასევე მოცემულია განრიგის ძირითადი კომპონენტები, ოპტიმალური ხანგრძლივობა და განმარტებულია ამ კომპონენტების შინაარსი. თავში მოცემული აღწერები საერთოა როგორც ასაკობრივად დაყოფილ, ასევე შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, საკითხი დამატებით განხილულია შერეული ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ოთახი და ეზო

როგორი უნდა იყოს ფიზიკური გარემო, რომელშიც ეს კურიკულუმი ხორციელდება? ეს არის ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ეს არის მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადახვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის.

ფიზიკური გარემოს დაგეგმვისას რამდენიმე მიმართულებით იფიქრეთ, გაითვალისწინეთ ბავშვის განვითარების სტანდარტი, პროგრამის ხარისხის სტანდარტი, კურიკულუმის მიზნები და თქვენი ოთახის ფიზიკური მახასიათებლები. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, ისეთი მასალით აღჭურვილი, რომ ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წაახალისოს, შემოქმედებითობას და მათ სოციალიზაციას შეუწყოს ხელი, ემოციური კომპეტენციები განუვითაროს, ჯგუფის ერთობას გაუსვას ხაზი, ბავშვებს შორის თანამშრომლობა წაახალისოს. ბავშვის განვითარების სტანდარტისა და პროგრამის ხარისხის სტანდარტის ანალიზის შედეგად კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბაღის ჯგუფის ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ბავშვებს მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადახვა უნარის განვითარების შესაძლებლობა ჰქონდეთ. როგორც ზემოთ მოცემული ტექსტიდან ჩანს, ამ კურიკულუმისა და პროგრამის ხარისხის სტანდარტის მოთხოვნები ფიზიკური გარემოს მიმართ თანხვედრაშია და ერთმანეთის შესაბამისია. ამგვარი გარემო კი მიიღწევა ბავშვების სათამაშო ოთახის თუ ოთახების სხვადასხვა ტიპის სივრცეებად დაყოფით. თუმცა, ვიდრე ცალკეული სივრცეების/ცენტრების აღწერას შევუდგებით, მნიშვნელოვანია იცნობდეთ იმ ზოგად რეკომენდაციებს, რომლებიც ამ კურიკულუმის შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობისას უნდა გაითვალისწინოთ:

ჯგუფის ავეჯი:

- ჯგუფის ავეჯი უნდა იყოს ხის ფაქტურის, ბავშვის სიმაღლის შესაბამისი. ავეჯი ოთახის წყობას უნდა ითვალისწინებდეს. შესაბამისად, ოთახის სხვადასხვა მახასიათებლების

შემთხვევაში (ფანჯრების/კარების რაოდენობა, ფანჯრების/კარების განლაგება, ოთახის ფართი და ა.შ.), ავეჯიც შესაძლოა განსხვავებული დიზაინის იყოს, თუნდაც ერთი ბაღის ერთსა და იმავე ასაკობრივ ჯგუფებში.

- **ბავშვებისთვის გამოსაყენებელი ავეჯი** – თაროები/კარადები – აუცილებლად ბავშვის სიმაღლის შესაბამისი და ღია უნდა იყოს, ხოლო ის მასალა, რომელიც ბავშვებმა არ უნდა გამოიყენონ, უმჯობესია, ოთახის გარეთ, დახურულ კარადაში შევინახოთ.

- **უფროსების გამოსაყენებელი ავეჯი** (ე.წ. მასწავლებლის მაგიდა, კარადა) – ცალკე ოთახში, სამასწავლებლოში უნდა იყოს მოთავსებული, სადაც აღმზრდელსა და თანაშემწეს განცალკევებით მუშაობის საშუალება ექნებათ. თუმცა, ჯგუფის ოთახში შესაძლებელია ზრდასრულებისთვის განკუთვნილი, ჩვეულებრივი ზომის სკამი ან სავარძელიც იდგას, რომელსაც ბავშვებიც გამოიყენებენ და უფროსებიც;
- **ავეჯი შერეულ ასაკობრივ ჯგუფში** – შერეული ასაკობრივი ჯგუფისთვის ავეჯის შერჩევისას და განლაგებისას, ყველა ზემოთ აღწერილი ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ. გარდა ამისა, ვინაიდან შერეულ ასაკობრივ ჯგუფში ერთად სხვადასხვა ასაკის ბავშვები არიან, ერთმანეთისგან განსხვავებული კოგნიტური უნარებით, ფიზიკური მახასიათებლებით, ცენტრებისთვის ავეჯიც ისე უნდა შევარჩიოთ, რომ ჯგუფის ყველა წევრის სიმაღლის შესაბამისი ზომების იყოს, როგორც სულ პატარებისთვის, ასევე უფროსი ასაკის ბავშვებისთვის.

საგანმანათლებლო რესურსი და მასალების ორგანიზება

- **ღია რესურსი ჯგუფში** – როგორც შერეულ, ასევე ასაკობრივად დაყოფილ ჯგუფში (გარდა სპეციფიკური რესურსისა, როგორიცაა სხვადასხვა ტიპის სამაგიდო თამაშები, მანიპულატივები, ასევე თოჯინები, ჭურჭელი, მანქანები), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღია მასალების გამოყენება, როგორიცაა ბუნებრივი და მეორადი რესურსი – კორპის საცობი, ბოთლის სახურავი, რბილი მავთული, იოგურტის ქილები, სამზარეულოს ქაღალდის მუყაოს ცილინდრი, მუყაოს ყუთები და ა.შ.
- ფიზიკური გარემოს ორგანიზებისთვის აუცილებელია, რესურსი კონტეინერებში ან სხვა სათავსოებში იყოს დახარისხებული, შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რათა ბავშვებმა იცოდნენ, სად დააბრუნონ მასალები.

- **რესურსი შერეულ ასაკობრივ ჯგუფში** – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტეინერებზე ვიზუალური მინიშნებების გაკეთება, რათა ბავშვებმა იცოდნენ, სად დააბრუნონ მასალები. საგანმანათლებლო რესურსის თაროებზე განლაგებისას, შეეცადეთ, რესურსი სხვადასხვა დონეზე მოათავსოთ: უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი რესურსი ქვედა თაროზე განალაგეთ, ხოლო ზედა თაროზე – შედარებით უფროსებისთვის განკუთვნილი მასალა. მნიშვნელოვანია, სპეციფიკური ნივთები, მაგალითად წვრილი კენჭები, ჩხირები და ა.შ. თქვენი მეთვალყურეობით გამოიყენონ. თუმცა, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ჯგუფის ასაკობრივი მრავალფეროვნება და რესურსების შეტანისას, გვახსოვდეს უსაფრთხოების საკითხები.

- მართალია, ღია რესურსი ყველა ასაკის ბავშვისთვის საინტერესო და მიმზიდველია, მაგრამ განსაკუთრებით იზრდება ასეთი რესურსის როლი შერეულ ასაკობრივ ჯგუფში. მეორადი და ბუნებრივი მასალის გამოყენება სხვადასხვა ასაკის ბავშვებს საკუთარი უნარების შესაბამისად შეუძლიათ.

მყუდრო გარემო

- ჯგუფის კედლები, აქსესუარები (ფარდები, ხალიჩა), ავეჯი – ნეიტრალურ ტონებში უნდა იყოს, რათა ბავშვების ყურადღება მასალებმა მიიქციოს და არა კედლების სიჭრელემ.
- ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, ოთახში მნიშვნელოვანია გვქონდეს ე.წ. სიმყუდროვის ელემენტები: დაბალბეწვიანი ხალიჩა, ფარდები, რბილი ავეჯი, სხვადასხვა სახის განათება (ბუნებრივი, ხელოვნური, ფერადი ნათურები კონკრეტულ ცენტრში (იხ. ქვემოთ), ოთახის მცენარეები და ა.შ.
- გარემო უნდა იყოს მოქნილი და იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მასში ცვლილებები შეიტანოთ და თამაშის შესაბამისად შეცვალოთ, ახალი რესურსით გაამდიდროთ, საჭიროებისამებრ ავეჯი გადააადგილოთ და ა.შ.



ბავშვებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილებების უზრუნველსაყოფად საჭირო სივრცეები

დრამატული თამაშების სივრცე

დრამატული სივრცე როლური, წარმოსახვითი თამაშების ადგილია. ეს სივრცე, ბავშვების თამაშის თემატიკის შესაბამისად, ადვილად უნდა გადაეწყოს. ამ სივრცეში ბავშვებმა უნდა შეძლონ როგორც რეალური, ცხოვრებისეული სიტუაციების, ისე წარმოსახვითი, ფანტაზიით შექმნილი ამბების განსახიერება. დაგჭირდებათ ისეთი ავეჯი, რომელიც სხვადასხვა ყოფითი სიტუაციების გათამაშების საშუალებას მისცემს ბავშვებს – სამზარეულოს ავეჯი, მაგიდა, სკამები, თეჯირი და ა.შ.

საჭირო რესურსი – დრამატულ ცენტრში დაგჭირდებათ სხვადასხვა სეზონის ტანსაცმელი და აქსესუარები, სათამაშო ჭურჭელი, ხილი და ბოსტნეული, ნამდვილი, ძველი ნივთები სათამაშოდ (ძველი ტელეფონი, რადიო, კედლის საათი და ა.შ). ცნობისმოყვარეობის გასაღრმავებლად შესაძლებელია სხვადასხვა არტეფაქტების შეტანა – სხვადასხვა პროფესიების ატრიბუტიკა, ბავშვებისთვის უცხო ყოფითი ნივთები და ა.შ

ხელოვნების სივრცე

ხელოვნების სახელოსნოში ბავშვებს ხატვის, ძერწვის, კოლაჟების, მაკეტების დამზადების საშუალება და, ზოგადად, ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების შექმნის საშუალება უნდა ჰქონდეთ. ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, ამ სივრცეში როგორც იატაკი, ასევე ავეჯი ადვილად უნდა სუფთავდებოდეს სველი წესით. აუცილებელი ავეჯია: დაბალი, ღია თაროები (რესურსის შესანახად), მაგიდა, სკამები, მოლბერტი.

საჭირო რესურსი – ხელოვნების სივრცე საუკეთესო ადგილია კურიკულუმის მიზნების – ცნობისმოყვარეობის, შემოქმედებითობის, კვლევითი უნარების გასავითარებლად. გამოიყენეთ სხვადასხვა ზომის ფუნჯი, სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი, სხვადასხვა სახეობის საღებავი, სხვადასხვა ფაქტურის საძერწი მასალა, ბუნებრივი და მეორადი მასალა კოლაჟისთვის, სამგანზომილებიანი ქანდაკებებისთვის და ა.შ.

კვლევების სივრცე

კვლევების ცენტრი, ასევე, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ამ კურიკულუმის მიზნების მისაღწევად. ცენტრის მოსაწყობად საჭირო ავეჯია: მაგიდა, სკამები, დაბალი თარო, ან დაბალი, ღია კარადა ექსპერიმენტებისთვის საჭირო მასალის შესანახად. ისევე, როგორც ხელოვნების სივრცეში, იატაკი და ავეჯი აქაც ადვილად უნდა იწმინდებოდეს სველი წესით.

საჭირო რესურსი – ცნობისმოყვარეობის გასაღრმავებლად, კვლევების ცენტრში აუცილებლად უნდა იყოს მასალა, რომლის თვისებებზე დაკვირვების საშუალებაც ბავშვებს ექნებათ.

მასალა, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ბუნებრივი მასალების კოლექციები: კურკების, სხვადასხვა ფრინველის ბუმბულის, სხვადასხვა ხის ფოთლების, ნიჟარების, კენჭების და ა.შ. ასევე, ექსპერიმენტებისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთიერებები: თხევადი მასალები, ფხვიერი მასალები, დაშლილი ტექნიკის ნიმუშები და.ა.შ.

სენსორული სივრცე

სენსორული სივრცე ის ადგილია, სადაც ბავშვებს სენსორული თამაშების საშუალება აქვთ. ეს სივრცეც აუცილებლად ადვილად უნდა სუფთავდებოდეს სველი წესით. შესაძლებელია სენსორული მაგიდის გამოყენება, ან სენსორული კონტეინერის პირდაპირ იატაკზე მოთავსება.

საჭირო რესურსი – დასაკვირვებლად და საკვლევად სენსორული მაგიდა/კონტეინერი შეგიძლიათ, რომ პერიოდულად სხვადასხვა მასალით გაავსოთ. ესენია: კინეტიკური ქვიშა, უბრალო ქვიშა, მანანის ბურღული, წყალი, საკვები საღებავით შეფერილი წყალი, ყინულის ნატეხები და ა.შ. ამავე დროს, ძირითადი მასალის (ქვიშა, წყალი და სხვ.) შესაბამისად, სათამაშოებიც დაგჭირდებათ, მაგალითად, მცირე ზომის პლასტმასის ფიგურები, ნიჩბები, ძაბრები და ა.შ.

კუბურების სივრცე

კუბურების სივრცეში ავეჯი არ არის საჭირო, მხოლოდ მოზრდილი ხალიჩა ან იატაკზე დასაფენი გვჭირდება, რათა ბავშვებმა კუბურებით მშენებლობის თავისუფლად გაშლა შეძლონ. მასალა შესაძლებელია მოთავსდეს კონტეინერებში, დიდი ზომის ყუთებში, რომლებიც შეიძლება, რომ პირდაპირ ხალიჩაზე დავდგათ, ან ღია თაროებზე მოვათავსოთ.

საჭირო რესურსი – სხვადასხვა ზომის კუბურები, ბუნებრივი მასალა: გირჩები, დიდი ზომის ნიჟარები, ქვები, ხის ნაჭრები, ბამბუკის ჯოხები, ტოტები და ა.შ.

სამაგიდო თამაშების სივრცე

სამაგიდო თამაშების სივრცე საუკეთესო ადგილია მათემატიკური უნარების, წვრილი მოტორული უნარების და ა.შ. გასავითარებლად. სივრცის მოსაწყობად საჭიროა მაგიდა, რომელზეც 4-6 ბავშვი შეძლებს თამაშს და, ასევე, დაბალი თარო – რესურსის შესანახად.

საჭირო რესურსი – ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი, სხვადასხვა ტიპის სამაგიდო თამაშები – მემო, ლოტო, მოზაიკა, დომინო; ასევე, ბუნებრივი და მეორადი მასალა – დასათვლელად, დასახარისხებლად, გასაზომად და ა.შ.

წიგნიერების სივრცეში ბავშვები ასაკის შესაბამის ლიტერატურას ეცნობიან, ათვალიერებენ სურათებიან წიგნებს. მნიშვნელოვანია ამ ადგილის მყუდროდ მოწყობა, რათა სივრცე ბაშვებისთვის მიმზიდველი იყოს და მეტად დაინტერესდნენ წიგნებით. პატარა ხალიჩა ან რბილი იატაკი, ბალიშები, რბილი სავარძელი, დამატებითი განათება, დაბალი თარო ან დიდი ზომის ყუთი წიგნებისთვის – ეს რესურსი დაგეხმარებათ ცენტრის მოწყობაში.

საჭირო რესურსი – საბავშვო დასურათებული სხვადასხვა ჟანრის წიგნები, ხმოვანი წიგნები, ნახატიანი წიგნები სიტყვების გარეშე, სამგანზომილებიანი წიგნები, თქვენი და ბავშვების მიერ დამზადებული წიგნები და ა.შ.

სივრცე განმარტოებისთვის

ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, ჯგუფში უნდა გვქონდეს განმარტოების, ე.წ. პრივატული თამაშების სივრცე, სადაც მაქსიმუმ 2-3 ბავშვი დაეტევა. ეს შეიძლება იყოს კარავი, სათამაშო სახლი ან უბრალოდ, ქსოვილით გადახურული, შემოსაზღვრული ადგილი ხალიჩაზე მოთავსებული ბალიშებით.

საჭირო რესურსი – წყნარ სივრცეში საგანგებო რესურსი არ გვჭირდება. ბავშვებმა, თამაშის მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლიათ, თავად შეიტანონ მასალა, იქნება ეს წიგნი – დასათვალიერებლად, თუ თოჯინა – დასაძინებლად.

ამ სივრცის მოსაწყობად შეარჩიეთ ოთახში ადგილი, სადაც დიდი ზომის ხალიჩას მოათავსებთ. გაითვალისწინეთ, რომ ხალიჩაზე ყველა ბავშვი უნდა დაეტიოს. თუ ოთახის ფართი ასეთი ცენტრის ცალკე გამოყოფის საშუალებას არ გაძლევთ, შესაძლებელია, წრეზე შეხვედრების ადგილად კუბურების ცენტრი გამოვიყენოთ.

საჭირო რესურსი – სპეციფიკური რესურსი წრეზე შეხვედრების ცენტრს არ სჭირდება. შეხვედრის მიზნებიდან გამომდინარე, თვალსაჩინოებისთვის საჭირო მასალა შესაძლებელია სხვა ცენტრებიდან გადმოვიტანოთ. ამ ცენტრის ახლოს, კედელზე შესაძლოა გვქონდეს ვიზუალური განრიგის ბარათები, ჯგუფის ვიზუალური წესები, ვიზუალური კალენდარი და სხვ.

ფიზიკური გარემოს მოწყობისას უნდა გაითვალისწინოთ ის ასაკობრივი ჯგუფი, რომელთანაც მუშაობთ. შესაბამისად, მაგალითად 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებთან – მათი სიმაღლის შესაბამისი ავეჯი დაგჭირდებათ, ხოლო 4-5 წლიანებთან – მათი ფიზიკური მახასიათებლების შესაბამისი. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ცენტრები შეიძლება, რომ განსხვავებული ზომის იყოს, მაგალითად, 2-3 წლიანებთან განსაკუთრებით აქტუალურია სენსორული სივრცე. ასევე, სჭირდებათ ადგილი, სადაც პატარები იმოძრავებენ, იძრომიალებენ. დრამატული ცენტრი შესაძლებელია, არ იყოს ისეთი დიდი, როგორც, მაგალითად, – 4-5 წლიანებთან, სადაც დრამატული თამაში ძალიან აქტუალურია და ბავშვებს დიდი ადგილი სჭირდებათ მის

გასაშლელად. პატარებთან შესაძლოა, მეცნიერების ცენტრი სენსორულმა სივრცემ ჩაანაცვლოს, სადაც ბავშვებს კვლევითი უნარების განვითარების საშუალება სენსორული მასალით ექნებათ, ხოლო 4-5 წლიანებთან, მეცნიერების ცენტრისთვის, საკვლევად უფრო მრავალფეროვანი მასალაა საჭირო.

იმ შემთხვევაში, თუ ამ კურიკულუმის დანერგვა ისეთ ჯგუფში გიწევთ, რომელსაც დიდი ფართი არ აქვს, შეგიძლიათ, ზოგიერთი ცენტრი გააერთიანოთ. მაგალითად, ჯგუფური შეხვედრების ადგილას კუბურები მოათავსოთ, მეცნიერების ან ხელოვნების ცენტრში სენსორული მაგიდა დადგათ, წყნარ სივრცეში წიგნები შეიტანოთ და ა.შ.

ეზოს მოწყობა

ამ კურიკულუმის მიხედვით, ეზოს ფიზიკური გარემო ისევე უნდა იძლეოდეს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების საშუალებას, როგორც ჯგუფის ოთახი. ბაღის ეზო აუცილებლად უნდა მოეწყოს ფუნქციურ სივრცეებად, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ, სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩაერთონ და განვითარდნენ. რა ცენტრები უნდა გვქონდეს ეზოში?

ადგილი მოძრავი თამაშებისთვის

ეს არის პატარა მოედანი, ბალახით დაფარული სწორი ადგილი, სადაც ბავშვები დაუბრკოლებლად სირბილს ან მოძრავ თამაშებში ჩართვას შეძლებენ – დაჭერობანა, გაშეშობანა, ფეხბურთი, კალათბურთი, წრეში ბურთი და ა.შ. ეს ის თამაშებია, რომლებიც ასეთ მოედანზე ძალიან კარგად გაიშლება და ბავშვების მსხვილ მოტორულ უნარებს განავითარებს.

საძრომიალო

ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, მსხვილი მოტორული უნარები განივითარონ – გაძვრნენ გვირაბში, ჩამოსრიალდნენ, ავიდნენ კიბეზე ან აძვრნენ დახრილ ზედაპირზე, გადაახტნენ წინაღობას და ა.შ. საგანგებოდ შექმნილი ატრაქციონის გარდა, ასეთი საძრომიალო შესაძლოა, მოეწყოს ხის მორების, დიდი საბურავებისა და სხვა მეორადი მასალის გამოყენებით.

მცენარეების ბაღი/ბოსტანი

ეს არის ადგილი, სადაც ბავშვები თავად რგავენ მცენარეებს და შემდეგ თავად ზრუნავენ მათზე. ამ სივრცეში მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, გამოიყენონ ბავშვის შესაფერისი ზომის ნიჩბები, ფოცხები, რათა დაამუშაონ მიწა, დარგონ მცენარეები, შემოუბარონ, მორწყან და ა.შ.



საქვიშე

ეს არის სწორი ადგილი ბაღის ეზოში, რომელიც მთლიანად დაფარულია ქვიშით. დღის ბოლოს, საქვიშე აუცილებლად უნდა გადაიხუროს სპეციალური გადასაფარებლით, რათა სუფთად შენარჩუნდეს. საქვიშეში სათამაშოდ ბავშვებს დასჭირდებათ ნიჩბები, სათლები, ძაბრები და ა.შ. ამ მასალას ბავშვები საქვიშესთან ახლოს მდგარ სათავსოში ინახავენ.

დრამატული თამაშების სივრცეები:

ტალახის სამზარეულო

ეს არის ადგილი, სადაც ბავშვები წყლით, ტალახითა და ეზოში არსებული ბუნებრივი მასალით თამაშობენ. ერთმანეთს ურევენ ეზოში არსებულ ფოთლებს, ჯოხებს, ქვიშას; ამზადებენ ბალახისა და კენჭების „სადილებს“ და ა.შ. ამ სივრცეში გამოგადგებათ სამზარეულოს ძველი ჭურჭელი – ქვაბები, ტაფები, რკინისა და ხის კოვზები და ა.შ.

ქოხი

ხის ტოტებისგან აწყობილ ქოხში, ან ხისგან აწყობილ პატარა ფარდულში, 2-3 ბავშვს საშუალება აქვს, განმარტოვდეს და წყნარი თამაშები ითამაშოს – დაათვალიეროს ჯგუფიდან გატანილი წიგნი, ან თოჯინები დააძინოს. ტალახის სამზარეულოსთან ერთად, ეს, ასევე, არის დრამატული თამაშების ერთ-ერთი ადგილი ეზოში.

სახელოსნოს სივრცე

ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ, ხელოვნების აქტივობებით დაკავდნენ, ხატონ, კოლაჟები დაამზადონ და ა.შ. ამისათვის ძველი ხის მაგიდა ან განიერი კუნძი გამოდგება, რომლის ზედაპირზეც ბავშვები იმუშავებენ.

კარგია, თუ ტალახის სამზარეულო და სახელოსნო წყლის ონკანის შორიახლო მდებარეობს, რათა ბავშვებმა თამაშში წყლის გამოყენება შეძლონ.

სპეციფიკური სივრცეები და რესურსი შერეულ ასაკობრივ ჯგუფში – თუ თქვენს შერეულ ასაკობრივ ჯგუფში 2-3 წლის ასაკის ბავშვები არიან, ჯგუფის სივრცეში აუცილებლად დაგჭირდებათ ადგილი ფიზიკური აქტივობისთვის. აქ შეიძლება იყოს ხალიჩა, საკმარისი ფართი, რათა ბავშვებმა იმოძრაონ, იცეკვონ, მუსიკას აჰყვნენ. ასევე, ოთახის საძრომიალო, აიწონა-დაიწონა და ა.შ.

შერეულ ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სენსორული სივრცის არსებობა, სადაც თამაშს შეძლებენ როგორც სულ პატარები (მათთვის ეს სივრცე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), ასევე შედარებით უფროსი ბავშვები.

ოთახში, ასევე, უნდა გვქონდეს ე.წ. სიმყუდროვის ელემენტები: დაბალბეწვიანი ხალიჩა, ფარდები, რბილი ავეჯი, ოთახის მცენარეები, სხვადასხვა სახის განათება (ბუნებრივი, ხელოვნური, ფერადი ნათურები კონკრეტულ ცენტრში) (იხ. ქვემოთ) და ა.შ.

გარემო უნდა იყოს მოქნილი და იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მასში ცვლილებები შეიტანოთ, თამაშის შესაბამისად შეცვალოთ, ახალი რესურსით გაამდიდროთ, საჭიროებისამებრ ავეჯი გადააადგილოთ და ა.შ.

შეეცადეთ ვიზუალური მასალა (მინიშნებები, აბრები, პოსტერები, ილუსტრაციები) სხვადასხვა დონეზე განათავსოთ, რომ ეს მასალა თვალსაჩინო იყოს როგორც უფროსი ასაკის ბავშვებისთვის, ასევე პატარებისთვის.

სხვა სივრცეების მოწყობა

დარბაზი

ძლიერი უამინდობის შემთხვევაში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ბაღის შენობაში დახარჯონ ენერგია: ირბინონ, იხტუნონ, იძრომიალონ. ამისათვის მათ დარბაზი – საგანგებოდ მოწყობილი სივრცე – სჭირდებათ, სადაც სპორტული ინვენტარის გარდა, უბრალოდ, თავისუფლად სარბენი სივრცეც ექნებათ. დარბაზშივე არის შესაძლებელი სხვადასხვა ტიპის აქტივობის ჩატარება, იქნება ეს მუსიკა, დრამა, ცეკვა თუ იატაკზე ხატვა.

ბაღის დერეფნები

ასევე ფუნქციურად უნდა იყოს მოწყობილი ბაღის დერეფნები. დერეფანი საერთო გამოსაყენებელი სივრცეა ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც, ამიტომ, აქ უნდა იყოს სივრცეები როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის. ბავშვებისთვის შესაძლოა გაკეთდეს თემატური კუთხეები: კაფე, ზღვის სანაპირო, ჯუნგლები, ხოლო უფროსებისთვის – სივრცე, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

მშობლების სივრცე

ეს არის ადგილი ჯგუფის ფოიეში ან დერეფანში, სადაც მშობლებს საშუალება აქვთ, დაისვენონ, ბავშვს დაელოდონ. ამ სივრცეში, ასევე, ტარდება აღმზრდელისა და მშობლის ინდივიდუალური შეხვედრები. ეს არის მოსასვენებელი სივრცე სავარძლით, პატარა დაბალი მაგიდითა და საინფორმაციო ბროშურებით.

სამასწავლებლო

იმისათვის, რომ ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს განტვირთვის, ჯგუფის გარეთ შეხვედრის, საკუთარ თავზე მუშაობის საშუალება ჰქონდეს, ბაღის შენობაში უნდა გამოიყოს სივრცე უფროსებისთვის, ე.წ. სამასწავლებლო. ეს უნდა იყოს მყუდრო ოთახი, სადაც ყველა აღმზრდელს ექნება თავისი პირადი სივრცე, განთავსდება პროფესიული ბიბლიოთეკა, ექნებათ წვდომა კომპიუტერზე და ინტერნეტზე.

ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება ოთახში და ეზოში

ზემოთ აღწერილი ფიზიკური გარემო საუკეთესო საშუალებაა ბავშვებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შესათავაზებლად, სამივე თემატური მიმართულებით – ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება. ამავე დროს, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ერთი მიმართულების აქტივობები ერთ კონკრეტულ ცენტრში უნდა ჩატარდეს. ქვემოთ აღწერილია, როგორ არის შესაძლებელი ამ თემატური მიმართულებების გაშლა სხვადასხვა ცენტრებში.

ხელოვნება

მართალია, ჯგუფში გვაქვს საგანგებოდ მოწყობილი ხელოვნების ცენტრი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიზუალური ხელოვნების აქტივობები და ამ მიმართულებით ბავშვების უნარები

მხოლოდ ამ ცენტრში ვითარდება. მაგალითად, კუბურების ცენტრში აუცილებლად უნდა შევუწყოთ ხელი ბავშვების შემოქმედებითობას. წავახალისოთ, რომ სხვადასხვანაირი შენობები ააგონ. ამ დროს ისინი სამგანზომილებიან ქანდაკებას ქმნიან. შეიძლება, ცნობილი არქიტექტურის ნიმუშების ილუსტრაციები შევიტანოთ ამ ცენტრში და ბავშვებმა ისე გამოიყენონ, როგორც შთაგონების წყარო. წიგნიერების ცენტრში ყურადღება გავამახვილოთ ილუსტრაციებზე, მხატვრის მიერ გამოყენებულ ფერებზე, რამდენად გადმოსცემს ნახატი პერსონაჟების განწყობას. დრამატულ ცენტრში შესაძლებელია, ბავშვებმა თამაშისთვის გამოიყენონ ის მაკეტები, რომლებიც ხელოვნების ცენტრში დაამზადეს. ასევე, ამ ცენტრში შეგვიძლია შევიტანოთ ხელოვნების სხვადასხვა დარგების ატრიბუტიკა და ბავშვები წავახალისოთ, რომ წარმოსახვით თამაშში გამოიყენონ. სამაგიდო თამაშებში შესაძლებელია შევიტანოთ სხვადასხვა ბუნებრივი და მეორადი მასალა და მათი გამოყენებით მანდალები ააწყონ. ამით, ბავშვები შემოქმედებით უნარებს განივითარებენ, სენსორულ ცენტრში შესაძლებელია, ააგონ ქვიშის ქანდაკებები, ნაგებობები. ქვიშაზე საღებავით ხატონ, მეცნიერების ცენტრში წყალი შეაფერადონ, სხვადასხვა საღებავის შერევით ახალი ფერები მიიღონ, საღებავში სხვადასხვა ნივთიერების დამატებით (მაგ. მარილი, სოდა, ქვიშა...) განსხვავებული ფაქტურა მისცენ და ა.შ.

წიგნიერება

ისევე, როგორც ხელოვნების ცენტრის შემთხვევაში, წიგნიერების კომპონენტიც მხოლოდ წიგნიერების ცენტრთან არ უნდა ასოცირდებოდეს. კუბურების ცენტრში თამაშის წასახალისებლად შესაძლებელია სხვადასხვა თემატიკის წიგნის შეტანა, ასევე წიგნები და საბავშვო ჟურნალები უნდა გვქონდეს დრამატული ცენტრის თაროზე, ხელოვნების ცენტრში შესაძლებელია, შევიტანოთ წიგნები ცნობილი მხატვრების რეპროდუქციებით. წავახალისოთ ბავშვები, რომ თავიანთ მოფიქრებულ ისტორიებზე შექმნან წიგნები. შევიტანოთ ენციკლოპედიები და სამეცნიერო შინაარსის წიგნები მეცნიერების ცენტრში, მივცეთ ბავშვებს შესაძლებლობა, ან უბრალოდ, დაათვალიერონ, ან ექსპერიმენტებისას იხელმძღვანელონ და ა.შ.

მეცნიერება

მეცნიერების კომპონენტი ასევე ფართოდ შეიძლება გაიშალოს სხვადასხვა ცენტრში: მათემატიკური უნარები შესაძლოა, განვავითაროთ ხელოვნების ცენტრში და წავახალისოთ ბავშვები, რომ დაითვალონ ნახატის დეტალები, გაზომონ მასალები ქანდაკების დასამზადებლად, დაახარისხონ კოლაჟისთვის საჭირო რესურსი და ა.შ. დრამატულ ცენტრში ასევე შეიძლება წავახალისოთ, დაითვალონ თეფშები მაგიდის გაშლისას, დააწყონ თეფშების შესაბამისი რაოდენობის დანა-ჩანგალი, აწონონ პროდუქტი, გადაითვალონ ხურდა მაღაზიობანას თამაშის დროს, კუბურების ცენტრში ყურადღება გავამახვილოთ კუბურების ზომაზე, ფორმაზე.

საგნებისა და ნივთიერებების თვისებების შესწავლა, ასევე, სხვადასხვა ცენტრშია შესაძლებელი. მაგალითად, ხელოვნების ცენტრში დააკვირდნენ, როგორ იცვლის ფერს საღებავი წყლის შერევით; როგორ იცვლის ფორმას პლასტილინი, როგორ რბილდება სითბოზე; რა ემართება ქაღალდს, წყალში თუ დავალბობთ; როგორ მზადდება ქაღალდით ქანდაკებები;

სენსორულ ცენტრში დააკვირდნენ, რა ემართება ქვიშას, თუ წყალს დავასხამთ; როგორი ფაქტურა აქვს სხვადასხვა ბურღულეულს; კუბურების ცენტრში ააშენონ სხვადასხვა სახის კონსტრუქციები, სხვადასხვა მასალის გამოყენებით.

ტექნოლოგიების შესწავლა შესაძლებელია, როგორც მეცნიერების ცენტრში, სხვადასხვა ნივთების დაშლით (ტელეფონი, საათი). ასევე, შესაძლებელია მათი მექანიზმის შესწავლა, სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით და დრამატულ ცენტრში, თამაშის დროს . წიგნიერების ცენტრში დაათვალიერონ წიგნები ტექნიკის შესახებ.

სოციალური მეცნიერებების შესასწავლად, შესაძლებელია დრამატულ ცენტრში მოირგონ სხვადასხვა კულტურის, პროფესიების ტანსაცმელი. ითამაშონ სხვადასხვა კანის ფერის თოჯინებით. გამოიყენონ სხვადასხვა ხალხების მუსიკალური ინსტრუმენტები, წიგნიერების ცენტრში დაათვალიერონ სხვადასხვა კულტურების ამსახველი წიგნები, ხელოვნების ცენტრში მოსინჯონ სხვადასხვა კულტურის არტეფაქტების ასლების დამზადება, სხვადასხვა ეროვნების მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციების დათვალიერება და ა.შ.

დრო და განრიგი

დროითი გარემო, ანუ განრიგი საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. განრიგის არსებობა მთლიანად მიმდინარე პროცესის ეფექტურობას უწყობს ხელს და სარგებლის მომტანია როგორც ბავშვისთვის, ასევე აღმზრდელისთვის. განრიგი საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს, ორგანიზებულს ხდის, რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს. ბავშვები მეტად დაცულად გრძნობენ თავს, აქვთ გარკვეული მოლოდინები მიმდინარე დღის მიმართ და შესაბამისად მოქმედებენ. აღმზრდელებს განრიგი ეხმარება დღის უკეთ დაგეგმვაში, დროის განაწილებაში, შესაბამისი რესურსის დროულად ორგანიზებაში და ა.შ

ვიდრე ამ კურიკულუმის მიხედვით განრიგის შედგენის პრინციპებზე ვისაუბრებთ, განვიხილოთ განრიგის ძირითადი კომპონენტები და მათი ხანგრძლივობა:

მიღება – 20-30 წთ. ჯგუფის დღე მიღებით იწყება, როცა ბავშვები ჯგუფში ნელ-ნელა იკრიბებიან. ამ დროს მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვისთვის გამოვნახოთ დრო, ინდივიდუალურად მივესალმოთ და შევუძღვეთ ოთახში, სადაც საშუალება ექნებათ, მათსავე ინიცირებულ თამაშში ჩაერთონ. ეს თამაში შესაძლოა, სულაც არ იყოს დაკავშირებული მიმდინარე თემასთან, არც კვირის პროექტთან. ბავშვები, უბრალოდ, თავისუფლად იყენებენ ცენტრებში არსებულ რესურსს, ხელახლა იკვლევენ, თამაშობენ. საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ან შესაბამისი ამინდის შემთხვევაში, შესაძლოა, ბავშვებს ეზოშიც შევხვდეთ და ეზოშივე გავატაროთ მთლიანი დღე.

დილის შეხვედრა – 5-15 წთ. მას შემდეგ, რაც მიღება დასრულდება, ანუ ჯგუფის ბავშვები შეიკრიბება, დგება დილის შეხვედრის დრო. დღის ეფექტურად დაწყებისთვის მნიშვნელოვანია,

დილის შეხვედრა ხალისიანად წარვმართოთ. ვიმღეროთ მხიარული მისასალმებელი სიმღერა, ბავშვებს საშუალება მივცეთ, გარედან გამოყოლილი ფიქრები, ემოციები, განცდები ერთმანეთს გაუზიარონ. ყურადღება მივაქციოთ, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. დილის შეხვედრა ზუსტად იმდენ ხანს გრძელდება, რამდენ ხანსაც ნარჩუნდება ბავშვების ინტერესი. უნდა წავახალისოთ, ერთმანეთს მოუსმინონ, თუმცა, არ უნდა ვაიძულოთ, რომ გაუნძრევლად ისხდნენ ხალიჩაზე. 2 – დან 3 წლამდე ბავშვებთან დილის შეხვედრა შესაძლოა, უბრალოდ მხიარული მისალმებით შემოიფარგლოს, რადგან ამ ასაკში განსაკუთრებით რთულია ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა. 3-4 წლიანებთან დილის შეხვედრა შესაძლოა, 5 წუთს გაგრძელდეს და ა.შ.

თამაში – მინიმუმ 1 სთ. თამაში კურიკულუმის განრიგის ყველაზე მსხვილი კომპონენტია. აქ მოიაზრება, როგორც ცენტრებში მიმდინარე მცირე ჯგუფებში თამაში, ასევე, დიდი ჯგუფის საქმიანობები, მაგალითად, შეიძლება იყოს ვარჯიში, ახალი თემის წარდგენა, განსხვავებული რესურსის გაცნობა, მუსიკალური თამაშები, მოძრავი თამაშები და ა.შ. აღმზრდელი თავად გადაწყვეტს ამ აქტივობების სიხშირეს, ყოველდღიურობას და ამას ასახავს თავის მიმდინარე გეგმაში (იხ. თავი „დაგეგმვა“). ასევე, საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას ისე გაანაწილებს საქმიანობებს, რომ დაცული იყოს ბალანსი აღმზრდელის მიერ წარმართულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ, ასევე, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის. განრიგის ეს კომპონენტი მოქნილია, აღმზრდელი ბავშვების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს – მიჰყვება, ან ცვლის წინასწარ შემუშავებულ გეგმას.

ეზო – მინიმუმ 1 საათი. განრიგის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ეზოს დრო. ეზოში აუცილებლად ყოველდღე, მინიმუმ ერთი საათით, ნებისმიერ ამინდში (გარდა ძლიერი ქარისა და თავსხმა წვიმისა) უნდა გახვიდეთ. თუმცა, განრიგში საგანგებოდ დროის გამოყოფა არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ დროს შეიძლება ეზოში გასვლა. შესაბამისი ამინდის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროცესმა შესაძლებელია, მთლიანად ეზოში გადაინაცვლოს. უამინდობის შემთხვევაში კი, ეზოს მოძრავი თამაშების ნაცვლად, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დარბაზში ირბინონ, იხტუნონ და იძრომიალონ.

გადასვლები 5-15 წთ. შესაძლოა, ჯგუფის განრიგში არ ჩავწეროთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ განრიგის სხვადასხვა კომპონენტებს შორის არსებული სიცარიელე სწორედ „გადასვლაა“ და თუ დავითვლით, აღმოვაჩენთ, რომ განრიგში გადასვლებს საკმაოდ დიდი დრო უკავია. განრიგის ერთი კომპონენტიდან მეორეზე გადასვლა ბავშვებისთვის უმტკივნეულოდ, ორგანიზებულად, თამაშის ელემენტების გამოყენებით უნდა მოხდეს. ამისათვის, მნიშნელოვანია, გადასვლები წინასწარ დაიგეგმოს, რათა არ გაიწელოს და ბავშვებს დიდხანს ლოდინი არ მოუწიოთ. აღმზრდელი წინასწარ მოიფიქრებს გადასვლის შესაბამის სიმღერას, თამაშს.

კვება – 30 წთ. – კვების პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, ბავშვებმა სუფრის გაწყობაში მიიღონ მონაწილეობა. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს სასადილო სივრცე ცალკე არ აქვს,

კვების პროცესი ცენტრებში განლაგებულ მაგიდებთან მიმდინარეობს. აღმზრდელები ბავშვებთან ერთად სხედან და მიირთმევენ, რითიც მაგალითს აძლევენ ბავშვებს.

ᲫᲘᲚᲘ – 30 წთ.-ᲓᲐᲜ. ეს კურიკულუმი გულისხმობს ბავშვებისთვის ძილის საჭიროების დაკმაყოფილებას. თუმცა, ეს არ ნიშნავს ჯგუფისთვის ცალკე საძინებლის ქონას. ძილის რუტინისთვის შესაძლოა, მოვიმარაგოთ იატაკზე დასაფენი ლეიბები, რომლებსაც უშუალოდ ძილის დროს გამოვიყენებთ. ასაკობრივად და ასევე, თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ძილის დრო შესაძლოა, 30 წუთიდან 2 საათამდე გაგრძელდეს. მთავარია, ბავშვი ძალით არ დავაძინოთ და გავაღვიძოთ. იმ ბავშვებს კი, რომლებიც არ იძინებენ, შესაძლებლობა მივცეთ, წყნარი თამაშით დაკავდნენ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲬᲠᲔ 10-15 ᲬᲗ. – საღამოს წრეზე ბავშვებს საშუალება აქვთ, შეაჯამონ განვლილი დღე, მიმდინარე თემა, საქმიანობები. ისაუბრონ იმაზე, რომელი თამაში მოეწონათ ყველაზე მეტად, რითი იყო ეს დღე გამორჩეული, რა არ მოეწონათ. საღამოს წრეზე შესაძლებელია მომდევნო დღის გეგმების განხილვა.

ᲬᲐᲡᲕᲚᲐ 20-30 ᲬᲗ. – წასვლა, ისევე როგორც მოსვლა, ბაღის რუტინის ნაწილია. წასვლისას მნიშვნელოვანია, ბავშვის მშობელს გავუზიაროთ მიმდინარე დღის შესახებ. ასევე, არ გამოგვრჩეს არც ერთი ბავშვი და თითოეულს ინდივიდუალურად დავემშვიდობოთ.

ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ

როგორი უნდა იყოს ჯგუფის განრიგი ამ კურიკულუმის მიხედვით? ქვემოთ მოცემულია სტრატეგიები ოპტიმალური განრიგის შესამუშავებლად, რომლებიც ამ კურიკულუმის ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა:

- პირველ რიგში, განრიგი უნდა იყოს ჯგუფის ბავშვების საჭიროებებზე მორგებული. შესაბამისად, ჯგუფის განრიგი აუცილებლად აღმზრდელმა უნდა შეიმუშავოს. რასაკვირველია, საბავშვო ბაღს ექნება თავისი დროითი ჩარჩო – ბავშვების მიღების დრო, წასვლის დრო, კვების დრო. აღმზრდელმა სწორედ ამ ჩარჩოზე დაყრდნობით უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი ჯგუფის ინდივიდუალური განრიგი.
- ჯგუფის ინდივიდუალური განრიგის შემუშავებისას, ამ კურიკულუმით მომუშავე რომელიმე ჯგუფის აღმზრდელმა შეიძლება გამოყოს მსხვილი კომპონენტები, როგორიცაა მიღება, დილის შეხვედრა, თამაში, ეზო და ა.შ. ზოგიერთმა აღმზრდელმა კი შესაძლოა, უფრო დეტალურად ჩაშლილი განრიგი შეიმუშავოს და დააკონკრეტოს დიდ ჯგუფთან და მცირე ჯგუფებისთვის განკუთვნილი თამაშის დრო, მაგ: ვარჯიში, ცენტრებში თამაში, მუსიკა და ა.შ.
- განრიგის შემუშავებისას და ასევე, საკუთარი პრაქტიკის განხორციელებისას, აღმზრდელი ფიქრობს ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა: ბალანსის დაცვა აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, ბალანსის დაცვა წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.

ქვემოთ მოცემულია ოპტიმალური განრიგის ნიმუშები
სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში:

ბაგა		3-4 წლიანები		4-5 წლიანები	
9:00 – 9:30	მიღება	9:00-9:30	მიღება	9:00 – 9:30	მიღება
9:30 – 9:40	დილის შეხვედრა	9:30-9:40	დილის შეხვედრა	9:30 – 9:40	დილის შეხვედრა
9:40-10:10	საუზმე	9:45-10:15	საუზმე	9:45-10:15	საუზმე
10:10-11:10	თამაში	10:15-11:20	თამაში	10:15-11:20	თამაში
11:10-12:10	ეზოში თამაში	11:20-12:20	ეზოში თამაში	11:20-12:20	ეზოში თამაში
12:10-13:00	თამაში	12:20-13:30	თამაში	12:20-13:30	თამაში
13:00-13:30	სადილი	13:30-14:00	სადილი	13:30-14:00	სადილი
13:30-16:00	ძილი	14:00-15:00	ძილი/თამაში	14:00-15:00	ძილი /თამაში
16:00-16:30	სამხარი	15:00-16:00	ეზო	15:00-16:00	ეზო
16:30-17:30	თამაში	16:00-16:30	სამხარი	16:00-16:30	სამხარი
17:30-18:00	წასვლა	16:30-17:30	თამაში/ეზო	16:30-17:30	თამაში/ეზო
		17:30-18:00	წასვლა	17:30-18:00	წასვლა

ვიზუალური განრიგი. იმისათვის, რომ ჯგუფის განრიგი ბავშვებისთვისაც ნათელი და თვალსაჩინო იყოს, აუცილებელია ვიზუალური განრიგის შემუშავება. მოძებნეთ ვიზუალური განრიგის ილუსტრაციები ინტერნეტით, თავად დახატეთ მარტივი, ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელი ნახატები, ან თვითონ ბავშვებს სთხოვეთ, დახატონ. ასევე შეგიძლიათ, გადაიღოთ ფოტოები ბავშვების მოსვლის, საუზმის, თამაშის პროცესში, ეზოში. შემდეგ ამ ფოტოებს შესაბამისი წარწერები დაურთეთ და დაამზადეთ ვიზუალური განრიგი, რომელსაც ბავშვების სიმაღლეზე მოათავსებთ და მუდმივად გამოიყენებთ. მუყაოსგან გამოჭერით ისარი, რომელსაც ბავშვები ხის სარჭით დაამაგრებენ იმ კომპონენტზე, რომელიც მიმდინარეობს.

ბაღის გარემოს გავლენა ბავშვზე

ბაღის ფიზიკური და დროითი გარემოს მოწყობისა და შეფასებისას, იფიქრეთ იმაზე, რომ იგი სიღრმისეულად მოქმედებს ბავშვების სწავლასა და ქცევაზე. ბავშვის განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული მის გარემოსთან ურთიერთობაზე. გარემოსთან ურთიერთქმედების სურვილი ყველა ბავშვს აქვს, თუმცა, ამ ურთიერთობის ხარისხს გარემოში არსებული მონაწილეობის შესაძლებლობები განაპირობებს. აძლევს თუ არა გარემო ბავშვს ფიზიკური მოძრაობის, ბავშვებთან ურთიერთობის, ერთად თამაშის, კვლევის, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოების შესაძლებლობას. საკუთარ თავზე წარმოდგენებიც ბავშვებს მათ გარეთ არსებულ მოვლენებთან, მასალებთან ინტერაქციით უყალიბდებათ. ეფექტური გარემო მხარს უჭერს ბავშვის სივრცესთან, მასალებთან და ადამიანებთან წარმატებულ ინტერაქციას. შესაბამისად, ფიზიკური და დროითი გარემო აღმზრდელისთვის მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

არასათანადოდ ორგანიზებული სივრცე არა მხოლოდ არ ეხმარება უფროსს მიზნის მიღწევაში, არამედ დამატებით პრობლემებსაც ქმნის. მაგალითად, როდესაც არსებობს მკვდარი ზონები (არ არის საინტერესო თამაშის შესაძლებლობა), სადაც ბავშვები უმიზნოდ დახეტიალობენ. ან ბილიკები, რომლებსაც არსად, ან სხვის სათამაშო სივრცეში მიყავხარ. ღარიბად მოწყობილ სივრცეში ბავშვი უფროსზე და მის მითითებებზე დამოკიდებული, ხოლო უფროსი დირექტიული ხდება. როდესაც აღმზრდელი დროის უმეტეს ნაწილს ბავშვების მართვაზე ხარჯავს, ნაკლები დრო რჩება ინდივიდუალური დახმარებისთვის, ბავშვებს კი – თავისუფალი თამაშისთვის.

ღარიბად მოწყობილი ფიზიკური გარემო ბავშვების აგრესიულ ქცევას, უკონტროლო მოძრაობას, ან მასალებთან ზედაპირულ ინტერაქციას განაპირობებს. ფიზიკური სივრცის შესაბამისმა მოწყობამ ან გადაწყობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს პრობლემური ქცევა. ბავშვების თამაშზე და გარემოსთან ურთიერთქმედებაზე დაკვირვება დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რას ეუბნება და რისკენ უბიძგებს გარემო ბავშვებს. გარემოს სპეციფიკურ მესიჯებს – თუ რისი გაკეთება შეგიძლია აქ – აგზავნის. მაგალითად, მაგიდები უბიძგებს, რომ დასხდნენ და მხოლოდ სამაგიდო საქმით დაკავდნენ, გაშლილი სივრცე კი – სირბილისკენ და ფიზიკური აქტივობისკენ. მაგიდაზე განთავსებული საღებავები და გაშლილი ფურცლები გეუბნება, რომ შეგიძლია დახატო. ბავშვების სიმაღლეზე განთავსებული სათამაშოები – შეგიძლია აიღო ის, რითიც გინდა, რომ ითამაშო. თუ ხედავთ, რომ ბავშვები შიდა სივრცეში ბევრს დარბიან, შეცვალეთ ავეჯის და აღჭურვილობის განლაგება ისე, რომ სხვა ქცევისკენ უბიძგოთ. თუ ხედავთ, რომ დასახულ მიზნებს ვერ აღწევთ, აუცილებლად დაფიქრდით, როგორ გაქვთ სივრცე მოწყობილი. ერთი მიმზიდველი სივრცის დამატებით კი, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ბავშვები მეტად არიან ჩართულები თამაშში, დიდხანს ახდენენ ყურადღების კონცენტრირებას და უფრო თავდაჯერებულები ხდებიან.

ეფექტური გარემო ბავშვებს ეუბნება: „ღია ვარ შენთვის, თამაშისთვის; კვლევა და სწავლა მისასალმებელია“.

ქვემოთ მოცემული კითხვარი, რომელიც მხარდამჭერი გარემოს ინდიკატორთა ჩამონათვალია, ფიზიკური და დროითი გარემოს სწორად მოწყობასა და განსაზღვრაში დაგეხმარებათ.

☐ **სივრცეები გამოყოფილია მკაფიო საზღვრებითა და მინიშნებებით**
ბავშვებს გაუძნელდებათ აღქმა და არჩევანის გაკეთება თუ ცენტრები მკაფიო საზღვრებით არ არის გამოყოფილი, დიდი ალბათობით, მოხდება ბავშვების თამაშების, საქმიანობების და მასალების აღრევა. საზღვრებად შეიძლება გამოიყენოთ ნოხი, ფერადი სკოჩი, ავეჯი.

☐ **სივრცეები ბავშვებისთვის მიმზიდველია**
ცენტრები მრავალფეროვანი და გამზადებული უნდა იყოს თამაშისთვის და ითვალისწინებდეს სხვადასხვა შესაძლებლობებს. მიმზიდველი და სათანადოდ მოწყობილი სათამაშო სივრცეები, განსხვავებით დიდი, ღია და ცარიელი სივრცეებისგან, ნაკლებად უბიძგებს ბავშვებს ხმაურიანი და მოძრავი თამაშებისკენ. კარგად ორგანიზებული, მრავალფეროვანი სასწავლო ცენტრები ბავშვებს მრავალფეროვან თამაშებში რთავს.

☐ **სივრცეები და მასალები ხელმისაწვდომია**
თუ ბავშვი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს სათამაშოების, მასალების არჩევას, აღებას, მაშინ ეს ზღუდავს მის დამოუკიდებლობას და ავტონომიურობას, რაც თავის მხრივ, საკუთარი შესაძლებლობების პოზიტიურ აღქმას უშლის ხელს.

☐ **გარემო და მასალები მრავალფეროვან თამაშებში ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.**
ასეთი შესაძლებლობით დღე უფრო საინტერესოა, თამაშები – მრავალფეროვანი და ბავშვების მონაწილობა – უფრო ხანგრძლივი. ასეთი გამოცდილებები კი, თავის მხრივ, ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას უწყობს ხელს.

☐ **სივრცეებში ცვლილება და მასალების დამატება**
რეგულარულად და საჭიროებისა და მიხედვით
რთული და გამომწვევი თამაშების შესაძლებლობა მეტად უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას და ამცირებს პრობლემური ქცევების ინციდენტებს. ასეა, როდესაც კუბურების ან დრამატული ცენტრი არ არის სულ ერთი და იგივე მობეზრებული მასალით დაკომპლექტებული. აღმზრდელი ამატებს ისეთ ღია და მრავალფეროვან მასალას, რაც ბავშვების ინტერესს აღვივებს და თამაშს უფრო რთულს და საინტერესოს ხდის.

☐ **განრიგში დაცულია დიდი და მცირე ჯგუფური აქტივობების ბალანსი**
არაბუნებრივია, როდესაც ყველა ბავშვი ერთი და იმავე დროს, ერთი და იმავე რაღაცას აკეთებს. შეუძლებელია, ყველა ბავშვს ერთი თამაში სურდეს. უნდა არსებობდეს არჩევანის და ცენტრებში მონაცვლეობის შესაძლებლობა. ბავშვები უფრო მეტად უნდა საქმიანობდნენ მცირე ჯგუფებში, რადგან მცირე ჯგუფები ერთად თამაშის, ურთიერთობის და კომუნიკაციის

მეტ შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, მცირე ჯგუფური აქტივობები უნდა აღემატებოდეს დიდ ჯგუფურ აქტივობებს, რომელთა მართვაც უფრო რთულია და ამასთან, ძნელია ყველა ბავშვის ერთი თემით დაინტერესება.

- **ბავშვებმა იციან განრიგი, სივრცეებში საქმიანობის თავისებურებები და თანმიმდევრულად იცავენ**

შესაძლებელია, ბავშვმა ქცევითი პრობლემები გამოავლინოს, თუ არ იცის, მისგან რას ელოდებიან. შეიძლება, ჯგუფურ გარემოში გამოცდილების არ ქონის გამო, ან ჯგუფის წესები და რეჟიმი სახლის წესებისგან განსხვავდება, ან კიდევ, განსხვავებული მოლოდინებია თითოეულ სივრცეში. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რას, რის მერე აკეთებენ. ეს უფრო ორგანიზებულს ხდის მათ ქცევებს და მოულოდნელობებიც ნაკლებია. შესაბამისად, თავსაც უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ.

- **განრიგი და ტრანზიციები ბავშვებს ლოდინის (არაფრის კეთების) საშუალებას არ აძლევს.**

ქცევითი პრობლემები უფრო მეტად ვლინდება, როცა ზედმეტად ბევრი ტრანზიციაა (გადასვლა), როცა ყველა ბავშვის გადასვლა ერთდროული და ერთნაირია, როცა გადასვლა ხანგრძლივია და ბავშვები ძალიან დიდ დროს უსაქმოდ ატარებენ ლოდინში და როცა აშკარა მითითებები არ არსებობს.

- **ბავშვებმა იციან ტრანზიციები და საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიცია ინდივიდუალიზებულია**

ზოგიერთ ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს გადასვლა შეზღუდული შესაძლებლობების (მაგალითად, ცვლილებები რთულია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისათვის) ან შეზღუდული კომუნიკაციური, სოციალურ-ემოციური უნარების გამო. მაგალითად, ზოგიერთ ბავშვს უფრო დიდი ხანი სჭირდება მითითების გადასამუშავებლად. თუ უფროსები ერთდროულად ძალიან ბევრ მითითებას აძლევენ ბავშვებს, ან აძლევენ სიტყვიერ მითითებებს მინიშნებების გარეშე, ბავშვებმა შეიძლება ვერ გაიგონ, რა უნდა გააკეთონ. ამ დროს უფროსმა ბავშვი შეიძლება ქცევითი პრობლემების მქონედ მიიჩნიოს, ნაცვლად იმისა, გააცნობიეროს, რომ ბავშვს სჭირდება უნარების გამომუშავება, ან დამატებითი მინიშნებები მითითებების გასაგებად.

როდესაც გარემო ბავშვების სწავლასა და განვითარებას შეესაბამება, როდესაც ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად, უსაფრთხოდ, დამოუკიდებლად გადაადგილება და მრავალფეროვანი თამაშების ინიცირება, მაშინ აღმზრდელის მხრიდან მცირე მონაწილეობაა საჭირო. ასეთ დროს უფროსს შეუძლია იფიქროს, თამაშის განვითარებისთვის, დამატებით რა გამოწვევები შეუქმნას ბავშვებს, დააკვირდეს მათ თამაშს და უპასუხოს ინდივიდუალურ საჭიროებებს. აქტივობა ბავშვის ინტერესებს და მის შესაძლებლობებს უნდა შეესაბამებოდეს; არც მარტივი და უინტერესო უნდა იყოს, და არც ისეთი რთული და დაუძლეველი, რომ მოტივაცია დაკარგოს.

თავი 5. საგანმანათლებლო პროცესის მეთოდები

თამაში და გამოწვევა

ამ კურიკულუმის განხორციელების ძირითადი საშუალებებია: მრავალფეროვანი თამაშები, გამოწვევები და აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგიები. ქვემოთ სწორედ თითოეული მათგანი იქნება განმარტებული.

თამაში

თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. რაც უფრო მრავალფეროვან თამაშებს შესთავაზებს აღმზრდელი ბავშვებს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მით უფრო მაღალი იქნება ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში და, ამავე დროს, ხელი შეეწყობა მათ ჰოლისტურ განვითარებას

რა არის თამაში? როგორ უნდა მივხვდეთ, რომ საქმიანობა, რომელში ჩართვასაც კურიკულუმის ფარგლებში ბავშვს ვთავაზობთ, ნამდვილად არის თამაში? მნიშვნელოვანია, გამოვყოთ

თამაშის მახასიათებლები, რაც დაგვეხმარება განვსაზღვროთ, მართლაც თამაშში ვრთავთ თუ არა ბავშვს : (1) თამაში დადებით ემოციებს უნდა იწვევდეს, (2) ბავშვისთვის ჩართულობა, ანუ პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი, (3) იგი თავისი შინაგანი მოტივაციით არის ჩართული ამ პროცესში, (4) ეს მისი თავისუფალი არჩევანია და ბოლოს (5), თამაში საშუალებას აძლევს ბავშვს, არარეალურ, თამაშის სამყაროში გადაინაცვლოს[1]. მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ ზემოთ მოცემული თითოეული მახასიათებელი:

- თამაში აუცილებლად დადებით ემოციას უნდა იწვევდეს ბავშვებში, ეს არის სიხარულისა და ბედნიერების მომგვრელი საქმიანობა. თამაშის დროს ბავშვები ხალისობენ, იცინიან. ეს არის საქმიანობა, რომელიც სასიამოვნო განცდებთან არის დაკავშირებული, მიუხედავად თამაშის სირთულისა და ტიპისა.
- თამაშის დროს ბავშვისთვის თავად პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი, იგი ამ პროცესში ყოფნით ღებულობს სიამოვნებას და არ ფიქრობს საბოლოო პროდუქტზე. თუ ბავშვს საქმიანობის მიზანს წინასწარ განვუსაზღვრავთ, მაგ: დახატე შემოდგომის პეიზაჟი, ააშენე მაღალი კოშკი, მოდი, ექიმობანა ითამაშე და ნიას წამალი გამოუწერე – სწორედ ამ დროს ბავშვი პროდუქტზე ორიენტირებული ხდება და პროცესის ნაცვლად, შესაბამისად, თამაშის ნაცვლად, მისთვის ეს საქმიანობა დავალების შესრულებაა.
- ადრეულ ასაკში ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თამაშის დროს მათი თავისუფალი არჩევანი იყოს გათვალისწინებული, მხოლოდ ასეთ საქმიანობას არქმევენ ბავშვები თამაშს. ზემოთ მოცემული მაგალითის მსგავსად, ჩვენი მითითება: მოდი, ექიმობანა ითამაშეთ, აქ დასხედით და თოჯინას წიგნი წაუკითხეთ და ა.შ. ბავშვის მიერ დავალების შესრულებად აღიქმება და არა თამაშად, თუ ეს მისი თავისუფალი არჩევანი არ არის.
- თამაში ისეთი საქმიანობაა, რომელშიც ბავშვი შინაგანი მოტივაციით არის ჩართული. თამაშში ჩასართავად ბავშვს არ სჭირდება გარეგანი მოტივატორი – უფროსის აღიარება, შექება, საყვედურის აცილება და ა.შ. თამაშში ბავშვი ერთვება, რადგან პროცესი თავად მოსწონს და სიამოვნებს.
- თამაში ბავშვს საშუალებას აძლევს, რეალობას გასცდეს და არარეალურ სამყაროში გადაინაცვლოს, იყოს შემოქმედებითი, წარმოსახვას მოუხმოს და ახალ, სხვა რეალობაში იმოქმედოს.

ამ კურიკულუმის განხორციელებისას ყურადღება მიაქციეთ ზემოთ მოცემულ მახასიათებლებს. დააკვირდით, რამდენად აქვს ჯგუფში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს ეს მახასიათებლები. გარდა ამისა, იფიქრეთ თამაშების მრავალფეროვნებაზე, რადგან ამით, ერთი მხრივ, ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას შევუწყობთ ხელს და მეორე მხრივ, მათი ინტერესი და ჩართულობა იქნება მაღალი.

---

1 თამაში, განვითარება და ადრეული განათლება. ჯეიმს. ი. ჯონსონი, ჯეიმს ფ. ქრისტი, ფრენისი უორდლი. პერსონ ედუქეიშენ, 2005

რა ტიპის თამაშები უნდა შესთავაზოთ ბავშვებს?

დრამატული და წარმოსახვითი თამაშები – ასეთი თამაშის დროს ბავშვი თავის წარმოსახვას იყენებს და სხვადახვა როლებს მოირგებს, რეალურ ან წარმოსახვით სიტუაციებს გაითამაშებს – სახლობანა, ექიმობანა, ბანკობანა და ა.შ.

შემოქმედებითი თამაშები: საქმიანობები, რომლებიც შემოქმედებით პროცესებთან, სხვადასხვა მასალების გამოყენებით ახლის შექმნასთან არის დაკავშირებული – ხატვა, ძერწვა, მუსიკა, ცეკვა და ა.შ.

კვლევითი თამაშები: საქმიანობები, რომლის დროსაც ბავშვები იკვლევენ მასალებსა და მათ თვისებებს – ექსპერიმენტი სოდისა და ძმრის გამოყენებით, ყინულის დნობაზე, მცენარის ზრდაზე დაკვირვება და ა.შ.

სენსორული თამაშები: თამაშები, რომლებიც განსაკუთრებით ახდენს შეგრძნებების სტიმულირებას – ქვიშით, წყლით, ყინულით თამაში და ა.შ.

სამაგიდო თამაშები: თამაშები, რომლებიც გარკვეული წესის დაცვას მოითხოვს მოთამაშისგან, მაგალითად ლოტო, მემო, ფაზლი და ა.შ.

მოძრავი თამაშები: თამაშები, რომლის დროსაც აქტიურად ხდება მსხვილი მოტორული უნარების გამოყენება – დაჭერობანა, წრეში ბურთი.

მანიპულაციური თამაშები: თამაშები, რომლის დროსაც ბავშვი საგნებით მანიპულირებს – კრავს ან ხსნის თასმას, უყრის მძივს თოკში, ხსნის ან კეტავს ბოქლომს და ა.შ.

კონსტრუქციული თამაშები: თამაშები, რომლებიც კუბურების, მეორადი ან ბუნებრივი მასალის გამოყენებით კონსტრუქციების აგებას გულისხმობს.

აღმზრდელი კურიკულუმის მიზნებს მრავალფეროვან და მრავალმხრივ გამოცდილებებში ბავშვების მონაწილეობით აღწევს, რისთვისაც სხვადასხვა საშუალებებს იყენებს, ესენია:

- **თამაში, რომელიც ბავშვების მიერ არის ინიცირებული**, მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასეთი თამაშის დროს ბავშვი თავად განსაზღვრავს როგორც საქმიანობას, ასევე გამოყენებულ მასალებს, სათამაშოებს, ადგილს. განსაზღვრავს, რამდენ ხანს ითამაშებს და ვისთან ერთად. უფროსის როლი ასეთი თამაშის დროს მხოლოდ ვერბალური უკუკავშირი ან ღია კითხვების დასმაა.
- **თამაში, რომელიც უფროსის მიერ არის მოფიქრებული** და შეთავაზებული, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისი და ხელშემწყობია. ეს თამაშები ძირითადად ორგანიზდება თემების და პროექტების სახით.

ამ კურიკულუმის თავში – თამაშების და სტრატეგიების მაგალითები *83* – მოცემულია მრავალფეროვანი თამაშები, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. კურიკულუმის განხორციელებისას და მიზნების მისაღწევად აღმზრდელმა შესაძლებელია, თავად მოიფიქროს მრავალფეროვანი თამაშები, სწორედ ზემოთ მოცემული ტიპების გათვალისწინებით.

გამოწვევა

გამოწვევა ნიშნავს ჯგუფის კონკრეტული სივრცის ისე მოწყობას და მასალის ორგანიზებას, რომ თავად რესურსი „კარნახობს“ ბავშვს გარკვეული საქმიანობისკენ, უბიძგებს კვლევისკენ. აღმზრდელის მიერ შექმნილი გამოწვევები – იქნება ეს მეცნიერების ცენტრში, მაგიდაზე ლუპებისა და სხვადასხვა სახის ფოთლების განლაგება, ან ხელოვნების ცენტრში ქაღალდის ნაჭრების, ქსოვილის წებოსა და ფურცლების მოთავსება – და მისი ვერბალური კომენტარები უბიძგებს ბავშვს იფიქროს, იაზროვნოს კონკრეტული მასალის გამოყენებისას, შემოქმედებითად გამოიყენოს, იკვლიოს ეს რესურსი.

გამოწვევების შექმნისას, აღმზრდელი ფიქრობს, ერთი მხრივ, კურიკულუმის მიზნებზე, ხოლო მეორე მხრივ, მიმდინარე თემაზე, ან პროექტის ფარგლებში საკვლევ კითხვაზე და მასალასაც ამის შესაბამისად მოიმარაგებს. მაგალითად, თემაზე – ცისარტყელა, აღმზრდელი ხელოვნების ცენტრში ბავშვებს მაგიდაზე ცისარტყელას ფერების საღებავებს, ფუნჯებს და ცისარტყელას ფოტოებს დაახვედრებს, ამით „წაახალისებს“ ამ რესურსის გამოყენებას. პროექტის „ვინ არის არქეოლოგი“ ფარგლებში კი, სენსორულ ცენტრში, ქვიშაში თიხის ნივთებს მოათავსებს, ფუნჯებს, ფურცელსა და ფანქრებს დაახვედრებს არქეოლოგიური გათხრების წასახალისებლად.

აღმზრდელის სტრატეგიები

ამ კურიკულუმის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგიებია. რას ნიშნავს სტრატეგიები? **ეს არის უფროსის კონკრეტული, გამიზნული ქმედებები, რომლებიც გარკვეულ მიზანს, კერძოდ კი ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება.** სტრატეგიები გამოიყენება ნებისმიერ კონტექსტში, ბავშვების მიერ ინიცირებული, ან უფროსის მიერ დაგეგმილი თამაშებისას, რუტინული საქმიანობების დროს, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. კურიკულუმის ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია, აღმზრდელს მრავალფეროვანი სტრატეგიების მარაგი ჰქონდეს, რომელსაც საჭიროებისამებრ, მიზნის შესაბამისად გამოიყენებს.

მრავალფეროვანი სტრატეგიების მაგალითებია: ბავშვებთან საუბარი მათი თამაშის და საქმიანობის შესახებ, ბავშვების საუბარში ჩართვა, დიალოგისთვის და საუბრისთვის სტიმულის მიცემა, ფიქრის ხელშეწყობა, უკუკავშირის მიცემა, წახალისება, ახსნა, გამხნევება, მაგალითის მიცემა, კითხვების დასმა, მდიდარი ლექსიკის გამოყენება, ყურადღებით მოსმენა, არჩევანის შესაძლებლობის მიცემა, საგანმანათლებლო პროცესის ყველა ბავშვზე მორგება, რთული და ამავე დროს მიღწევადი მიზნების მიღწევაში ბავშვებისთვის დახმარების გაწევა.

აღმზრდელი მრავალფეროვან სტრატეგიებს კომბინირებულად უნდა იყენებდეს, ბავშვების სწავლის სტილის, განვითარების ტემპის და მრავალფეროვანი საჭიროებების შესაბამისად.

თემა და პროექტი

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას, ბავშვების ინტერესების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი მოტივაციისათვის და ხარისხიანი პროცესის წარმართვისათვის.

ბავშვების ინტერესების გათვალისწინების სხვადასხვა ხერხი არსებობს. შესაძლებელია რამდენიმე ბავშვის ინტერესი საერთო თემაში გაერთიანდეს და აღმზრდელმა ამ თემასთან დაკავშირებით დაგეგმოს ის გამოცდილებები, რომლებიც ბავშვებს მრავალმხრივ განვითარებაში დაეხმარება და კურიკულუმის მიზნებზე მუშაობის საშუალებას მისცემს. ამგვარ მიდგომას ხშირად **თემატურ მიდგომას** უწოდებენ.

თემატური მიდგომა გულისხმობს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილებების, თამაშებისა და გამოწვევების დაგეგმვას ერთი კონკრეტული, ბავშვისათვის საინტერესო თემის ირგვლივ.

მაგალითად, სანდრო ერთ დღეს, ბაღში მოსვლისას, იწყებს იმის მოყოლას, რომ სახლის აივანზე მერცხლების ბუდე აღმოაჩინა, დაინახა, როგორ მიფრინავდნენ და მოფრინავდნენ ჩიტები და თან ნისკარტით სხვადასხვა მასალა მოჰქონდათ ბუდის ასაშენებლად. სანდროს მონაყოლით სხვა ბავშვებიც დაინტერესდნენ, რადგან რამდენიმე მათგანსაც ჰქონდა მსგავსი გამოცდილება და ისინიც ყვებიან, რომ ერთხელ, მათ სადარბაზოშიც იყო მერცხლების ბუდე, სადაც მერცხალმა კვერხები დადო და ბარტყები გამოჩეკა. აღმზრდელი ამჩნევს ბავშვებს შორის გამოცოცხლებულ საუბარს და მეტ ღია კითხვას სვამს მათი ინტერესების გასარკვევად. შემდეგ ბავშვებს სთავაზობს, საბავშვო ენციკლოპედიაში მოიძიონ ინფორმაცია ჩიტების შესახებ. მომდევნო დღეებისათვის აღმზრდელი სხვადასხვა თამაშსა და გამოწვევას გეგმავს, რომლებსაც ბავშვებს სხვადასხვა ცენტრებში შესთავაზებს. ამავდროულად, საშუალებას მისცემს, კურიკულუმის მიზნებზე, ხოლო ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებში, ბავშვების საჭიროების მიხედვით, მათ უნარებზე იმუშაოს.

ასეთია წინასწარ გამოჭრილი, სხვადასხვანაირი კვერცხების დახარისხება სამაგიდო თამაშების ცენტრში, სხვადასხვა მასალის შეთავაზება – ბუდეების გასაკეთებლად – ხელოვნების ცენტრში და სხვადასხვანაირ ბუმბულებზე დაკვირვება – მეცნიერების ცენტრში. ასევე, ბავშვებისათვის და მათთან ერთად, სახელდახელოდ ამზადებს ფრინველების ლოტოს, რომლითაც ბავშვები სამაგიდო თამაშებში ითამაშებენ.

თემა: ფრინველები **თარიღი:** 12-16 აპრილი		ჯგუფური აქტივობა:	
დილის შეხვედრა/ საღამოს შეხვედრა **მუშაობა ჯგუფის წესებზე**	კუბურები **კუბურების შენობებს შორის გზების გასაკეთებლად ქაღალდების დაჭრა** **(პეტრე)**	ხელოვნება **ბუდეების დამზადება სხვადასხვა მასალით,** **ჩიტების კონტურული ნახატის გამოჭრა და აპლიკაცია**	დრამატული **სათამაშო საქათმისა და კვერცხების შეტანა**
წიგნიერება **მოთხრობები ჩიტებზე.** **გათვლა ჩიტებზე**	მეცნიერება **სხვადასხვანაირ ბუმბულებზე დაკვირვება**	სამაგიდო **სხვადასხვანაირი კვერცხების დახარისხება.** **ჩიტების ლოტო**	ეზო **ბინოკლის საშუალებით ჩიტებზე დაკვირვება**
რუტინები/ ტრანზიციები **სუფრის გაშლა და ალაგება**	სტრატეგიები **დახარისხებაზე მუშაობა კითხვებით: როგორია? რითი გავს? რითი განსხვავდება?**	რესურსები **ფერადი ქაღალდი, წებო, მაკრატლები, საქსოვი ძაფები, თივა, ჯოხები, ბინოკლი, სხვადასხვანაირი კვერცხები და ფოტოები, ბუმბული, წიგნები ჩიტებზე**	სენსორული **ქაფი და ფერადი ჭიქები.**

ამ ცენტრებში ფრინველებზე, მერცხლებზე აქტივობების დაგეგმვისას, აღმზრდელი აუცილებლად ითვალისწინებს კურიკულუმის მიზნებს, ისეთებს, როგორიც არის ემოციების მართვა, კვლევა და შემოქმედებითობა. ინდივიდუალურად კი, სანდროსთვის მეტყველებაზე ამახვილებს ყურადღებას, კატოსთვის – ბრაზის მართვაზე, პეტრესთვის – ნატიფ მოტორიკაზე, კერძოდ, მაკრატლის გამოყენებაზე.

თემების შერჩევისას აღმზრდელმა, შეძლებისდაგვარად, უნდა გაითვალისწინოს თემატური მიმართულებების სპეციფიკა და ისეთი თემები შეარჩიოს მონაცვლეობით, რომლებიც მეტად იძლევა სხვადასხვა მიმართულებებზე მუშაობის შესაძლებლობას. მაგალითად, თუ ერთი კვირა ფრინველებზე ვმუშაობთ, ცხადია, ეს თემა უფრო მეტად ცოცხალი ბუნების ნაწილია და ჩვენი დაგეგმილი აქტივობებიც ბუნების კანონზომიერებების დანახვას მოიცავს, ამიტომ, შემდეგი თემა სხვა თემატური მიმართულებიდან, ან ქვე-მიმართულებიდან შეირჩეს. ეს შეიძლება იყოს ავტობუსი, რაც უფრო მეტად ტექნოლოგიებისა და საგნების თვისებებზე დაკვირვების საშუალებას მისცემს ბავშვებს; ან ქანდაკებები, რაც უფრო მეტად ხელოვნების სფეროზე გააკეთებს აქცენტს.

შესაძლებელია, ბავშვების ინტერესები არ გაერთიანდეს და განზოგადდეს და ინტერესების გათვალისწინებით, მხოლოდ ერთი, ან რამდენიმე ბავშვისთვის დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად, თუ პეტრეს სპაიდერმენი აინტერესებს, აღმზრდელი წაახალისებს, ობობას თვისებები შეისწავლოს და აქტივობებსაც შესაბამისად უგეგმავს: გამოაჭრევინებს ობობის ფორმებს, დაათვლევინებს მის ნაწილებს, ესაუბრება ობობებზე. ასევე, პეტრეს შეიძლება ის ბავშვებიც შეუერთდნენ, რომლებსაც ეს თემა ან აქტივობა დაინტერესებთ. ბავშვების მეორე, მცირე ჯგუფი კი, ამავდროულად, შეიძლება ყვავილების ჰერბარიუმს ამზადებდეს, რადგან ეზოში სეირნობისას სხვადასხვანაირი ყვავილების აღმოჩენით გაერთნენ.

შესაძლებელია, ბავშვების ინტერესი უფრო ღრმა იყოს და კარგი **კვლევის** საშუალებას იძლეოდეს. მაგალითად, ფრინველებზე მუშაობისას აღმზრდელი ხედავს, რომ ჯგუფი ინტერესით არის ჩართული თამაშებში და უფრო და უფრო მეტი კითხვა უჩნდებათ. მაგალითად, როგორ კვერცხებს დებს სირაქლემა, ან კვერცხიდან როგორ იჩეკება ბარტყი. ამ შემთხვევაში აღმზრდელები **პროექტის მეთოდს** იყენებენ, რაც ერთი საკითხის უფრო სიღრმისეულ და სტრუქტურირებულ კვლევას გულისხმობს.

პროექტის მეთოდი

პროექტის მეთოდი გულისხმობს ერთი საკითხის სიღრმისეულ კვლევას, შემდეგი ფაზების გავლით:

1) პროექტის საკითხის შერჩევა, დაგეგმვა, კითხვების ჩამოყალიბება;
2) პროექტის იდეის განვითარება, კვლევა;
3) შეჯამება.

I ფაზა – **პროექტის საკითხის შერჩევა, წინასწარი დაგეგმვა, კითხვების ჩამოყალიბება**

შერჩევა

არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებსაც სპეციალისტები გვთავაზობენ პროექტის თემის შესარჩევად. აუცილებელი არ არის, საკითხი ყველა მოცემულ კრიტერიუმს ესადაგებოდეს, თუმცა, პროექტის ეფექტურად განსახორციელებლად სასურველია, უმეტესობას აკმაყოფილებდეს.

საკითხის კონკრეტულობა

რაც უფრო კონკრეტულია თემა, მით უფრო მარტივია ბავშვებისთვის მისი გაგება და მასზე კონცენტრირება. ამიტომ, უმჯობესია, არ განაზოგადოთ საკითხები და შეეცადეთ, იყოს კონკრეტული, ფორმულირება კი – შეკითხვის სახით ჩამოყალიბებული. მაგალითად, კონკრეტული თემებია: „როგორ მუშაობს სახანძრო მანქანა?“, „რატომ მოძრაობენ საათის ისრები?“, „ჭიანჭველა.“ ზოგადი თემებია: „ცხოველები“,„დრო“, „ბუნება“.

საკითხის კავშირი ბავშვის რეალურ გამოცდილებასთან

იმისათვის, რომ ბავშვები უფრო მეტი ინტერესით, სიღრმისეულად ჩაერთონ პროექტში, მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა ან გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, შერჩეულ საკითხს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ბავშვების რეალურ გამოცდილებებთან, მაგალითად, ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ბავშვებს უფრო მეტად გაუადვილდებათ ნავების თემაზე მუშაობა, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს – მეტროზე და ა.შ.

რესურსების ხელმისაწვდომობა

თუ კონკრეტულ საკითხზე არ არსებობს შესაბამისი, მრავალფეროვანი რესურსი, რომელსაც პროექტის დროს გამოიყენებთ, პროექტზე მუშაობა შეიძლება ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს. ამიტომ, გაითვალისწინეთ, არის თუ არა ხელმისაწვდომი ამ საკითხთან დაკავშირებული რესურსები. მაგალითად, ავტობუსების თემაზე მუშაობისას, შეძლებთ თუ არა ბავშვების წაყვანას ექსკურსიაზე ავტოსადგომში, არიან თუ არა შესაბამისი სპეციალისტები, რომლებსაც მოიწვევთ და ა.შ.

საკითხზე ინფორმაციის პირველწყაროდან მიღების შესაძლებლობა

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, პირდაპირ და მაქსიმალურად დამოუკიდებლად იკვლიონ საგანი ან მოვლენა შემდეგი საშუალებებით: შეხებით, მოსმენით, გასინჯვით, ახლოს ნახვით, გადაადგილებით, ჩახატვით, მასზე ექპერიმენტირებით. თუ ისინი მხოლოდ სხვისი მოთხრობილი ამბებით, ნახატებით, წიგნებით ან სხვა „არაპირდაპირი“ საშუალებებით იღებენ ინფორმაციას საკითხზე, ეს ნაკლებად სასარგებლოს ხდის პროექტს და ვერ უზრუნველყოფს ბავშვების ინტერესის სრულად დაკმაყოფილებას.

მრავალფეროვან საქმიანობებში ჩართვის შესაძლებლობა

იმისათვის, რომ პროექტი საინტერესო და სახალისო იყოს, საკითხი უნდა იძლეოდეს სხვადასხვაგვარ საქმიანობებში ჩართვის შესაძლებლობას. ამიტომ, საკითხის შერჩევისას დაფიქრდით, შეძლებენ თუ არა ბავშვები, ამ პროექტზე მუშაობისას, მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვას და განსხვავებული მასალების გამოყენებას.

სასწავლო მიზნების გათვალისწინება

მნიშვნელოვანია, რომ პროექტზე მუშაობისას ბავშვები იძენდნენ სხვადასხვა კომპეტენციებს და ვითარდებოდნენ სხვადასხვა სფეროში. შესაბამისად, პროექტის საკითხი საშუალებას უნდა იძლეოდეს, მუშაობის პროცესში, ბავშვების საჭიროებების მიხედვით, მივაღწიოთ სხვადასხვა საგანმანათლებლო მიზნებს, იქნება ეს მეტყველება, ფიზიკური განვითარება, შემეცნება თუ სხვა.

წინასწარი დაგეგმვა

პროექტის საკითხად გამოსადეგი ინტერესის დადგენის შემდეგ, უნდა შეადგინოთ წინასწარი გეგმა, რომელიც, როგორც წესი, რუკის სახით კეთდება. პროექტის საკითხი იწერება ფურცლის

შუაში და წრითაა შემოხაზული. შემდეგ იხსენებთ, რა კითხვები გაუჩნდათ, ან შეიძლება გაუჩნდეთ ბავშვებს ამ საკითხთან დაკავშირებით? სტანდარტის მიერ განსაზღვრულ რა კომპეტენციებზე შეიძლება გახვიდეთ ამ საკითხზე მუშაობისას? რა მასალა და აქტივობები შესთავაზოთ ბავშვებს თემის გასაღრმავებლად და შესასწავლად? ეს ყველაფერი მოკლედ ჩამოწერეთ და დააკავშირეთ მთავარ წრესთან.



წარმოდგენილი ნიმუში ასახავს აღმზრდელის მიერ წინასწარ დაგეგმილ რუკას საკითხზე – „კვერცხი“. რუკაზე წარმოდგენილია როგორც ბავშვების მიერ წამოჭრილი, მათთვის საინტერესო საკითხები, ისე – კომპეტენციები და აქტივობების ტიპები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ დაგეგმვის რუკის ცვლილება შესაძლებელია პროექტის მიმდინარეობისას. მას შეიძლება დაემატოს ახალი საკითხი ან კითხვა, რომელსაც ბავშვები პროექტის მსვლელობისას წამოჭრიან. შესაძლოა, დაემატოს ახალი თამაში, რომელსაც ბავშვების ინტერესების შესაბამისად დაგეგმავთ. რუკას შეიძლება დაამატოთ პროექტის განმავლობაში შეძენილი ახალი ცოდნა, რაც შეიძლება ერთჯერადად ან ყოველი აქტივობის განხორციელების შემდეგ ხდებოდეს. ამასთან, შესაბამის საკითხთან მიუთითეთ, რა ახალი ინფორმაცია მიიღეთ. ვ პროექტის საკითხის შერჩევის, მისი გავრცობისა და განხორციელების

პროცესში მნიშვნელოვანია თქვენ მიერ დასმული და ბავშვების მიერ ჩამოყალიბებული კითხვები.

პროექტის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია ბავშვების ინტერესების კითხვებად ჩამოყალიბება. უფროსი ასაკის ბავშვები ადვილად სვამენ შეკითხვებს, პატარებთან კი, კითხვის დასმა შეიძლება, ისტორიის მოყოლაში გადაიზარდოს. შეგიძლიათ, დაეხმაროთ ბავშვებს კითხვის ფორმულირებაში და უთხრათ, მაგალითად: ეს არის, რისი გარკვევაც გინდა? გაინტერესებს, რა ..... ? გაინტერესებს, როგორ .....?

არ უნდა მოგერიდოთ თქვენი კითხვების დასმაც: მაინტერესებს, როგორ...? მაინტერესებს, სად....? და ა.შ.

ეს შეგიძლიათ გააკეთოთ ინდივიდუალურად, ბავშვების მცირე ან დიდ ჯგუფებთან და გამოკვეთოთ ბავშვების სპეციფიკური კითხვები პროექტის საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგს შეიძლება აინტერესებდეს კვერცხის აგებულება, სხვას – კვერცხისმდებელი არსებები, ნაწილს კი – რა მზადდება კვერცხისგან. აქედან გამომდინარე, კითხვების დახარისხება სხვადასხვა კატეგორიებადაა შესაძლებელი. კითხვები აუცილებლად უნდა ჩაიწეროთ, გადაიტანოთ ფორმატზე რუკების ან სიების სახით და მიუწეროთ ბავშვების სახელები. მეტი თვალსაჩინოებისთვის, უმჯობესია, კითხვებს გაუკეთდეს გრაფიკული მინიშნებები შეკითხვასთან დაკავშირებული ჩანახატის სახით.



კითხვების ჩამოყალიბებასთან ერთად, ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს, ანუ ჰიპოთეზებს, რაც ასევე უნდა ჩაინიშნოთ ფორმატზე.

II ფაზა – **პროექტის იდეის განვითარება, კვლევა.**

ძირითადი კითხვების ჩამოყალიბების შემდეგ, იწყება პროექტის მომდევნო – მეორე ფაზა, რომელიც არის აქტიური კვლევისა და საქმიანობების დრო, როცა ბავშვები, კვლევების და ცდების საშუალებით, საკუთარ კითხვებზე პასუხების მოძიებას იწყებენ.

ამისათვის კი, კარგი იქნება, მიუბრუნდეთ ჩვენ მიერ წინასწარ დაგეგმილ რუკას და გაამდიდროთ ბავშვების მიერ შემოთავაზებული იდეებითა და საკითხებით, შემდეგ კი დაგეგმოთ საგანმანათლებლო პროცესი.

ქვემოთ მოცემულია პროექტის მიმდინარეობის, მეორე ფაზის ძირითადი კომპონენტები.

- ექსკურსია;
- ფიზიკური გარემოს გადაწყობა;

- საინტერესო მასალის შეთავაზება;
- სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება.

გაითვალისწინეთ, რომ ზემოჩამოთვლილი კომპონენტები ხშირად ფარავს ერთმანეთს. მაგალითად, სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება თავისთავად მოიაზრებს საინტერესო მასალის შეთავაზებასაც და გამოწვევების შექმნასაც.

ექსკურსია

ექსკურსია კვლევის ერთ-ერთი საშუალებაა და შეიძლება რამდენჯერმე განხორციელდეს პროექტის როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე ფაზების დროს. აუცილებელი არ არის, ყველა ბავშვი ერთად წავიყვანოთ ექსკურსიაზე. შეიძლება, ბავშვები დავყოთ მათი ინტერესების მიხედვით და მცირე ჯგუფებად გავიყვანოთ სხვადასხვა ადგილას.

ერთი მხრივ, ექსკურსია მიზნად ისახავს, უფრო აქტუალური და რეალური გავხადოთ პროექტის საკითხი, მეორე მხრივ კი, ექსკურსიის მიზანია, ბავშვებმა რეალურ გარემოში ნახონ, როგორ მუშაობს რაღაც, გამოსცადონ საკუთარი ვარაუდები, გაიღრმავონ ინტერესი ახალი კითხვების დასმით. მაგალითად, იმისათვის, რომ ბავშვებს საშუალება ჰქონოდათ, კვერცხის თემაზე, თავიანთი შეკითხვების ჩამოყალიბების შემდეგ, პასუხები მიეღოთ, დაკვირვებოდნენ პროცესებს და გასაუბრებოდნენ ექსპერტებს, დაიგეგმა ექსკურსია ქათმების ფერმასა და ზოოპარკში.

ექსკურსიაზე წასვლამდე საჭიროა რამდენიმე საკითხის კარგად დაგეგმვა და გათვალისწინება, ესენია:

1) **უსაფრთხოების ზომები**
   - არის თუ არა ადგილი უსაფრთხო პატარებისთვის?
   - იქნება თუ არა ბავშვების მეთვალყურეობა ადვილი, როცა ბავშვები ექსკურსიის ადგილის კვლევას დაიწყებენ?
   - შესაძლებელი იქნება თუ არა ბავშვების დაცვა მანქანების მოძრაობისგან, სხვადასხვა მექანიზმებისგან, წყლისგან ან სხვა სახის საფრთხისგან?

2) **კვლევა**
   - არის თუ არა ექსკურსიის ადგილზე ისეთი საგნები ან აღჭურვილობა, რომლებსაც ბავშვი თვითონ დააკვირდება და გამოიკვლევს?
   - შეუძლიათ თუ არა ხელით შეხება და მანიპულირება, ექპერიმენტების ჩატარება?
   - არის თუ არა ადგილზე ისეთი ხელსაწყოები, მოწყობილობები, საშუალებები, რომლებიც მიიქცევენ ბავშვის ყურადღებას და გამოიწვევენ მათ ინტერესს?
   - არის თუ არა ადგილზე ისეთი კონკრეტული საგნები, რომლებთანაც ბავშვებს შეუძლიათ ინტერაქცია? არის თუ არა საგნები, რომლებსაც შეიძლება შეეხონ, გადააადგილონ, გასინჯონ, უსუნონ ან მოუსმინონ?
   - არის თუ არა საგნები, რომლებიც შეიძლება ჩახატონ ან უფრო ახლოს შეისწავლონ?

3) **ექსპერტები**
   - არის თუ არა ადგილზე მასპინძელი, რომელსაც შეუძლია ექსპერტის ფუნქციის შესრულება და ბავშვების შეკითხვებზე პასუხის გაცემა?
   - არის თუ არა ვინმე ადგილობრივი თანამშრომლებიდან, ვისაც აქვს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება?

4) **ნივთები**
   - არის თუ არა რამე ნივთი (იარაღი, აღჭურვილობა, პროდუქცია და ა.შ.), რომელიც შეიძლება ითხოვოთ და წამოიღოთ ჯგუფში უკეთ შესასწავლად?

ეს ყველაფერი შეგიძლიათ გაარკვიოთ სატელეფონო ზარით, ან ადგილზე მისვლით და წინასწარ დათვალიერებით. ძალიან მნიშვნელოვანია, წინასწარ გაესაუბროთ თანამშრომლებს, რომლებიც ადგილზე დაგხვდებიან, იქნება ეს მუზეუმის გიდი თუ მაღაზიის გამყიდველი. უნდა შეეცადოთ, აუხსნათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის კვლევა და შეკითხვების დასმის წახალისება.

ადამიანებს, რომლებსაც სამსახურში ბაღის ბავშვების სტუმრობის გამოცდილება არ აქვთ, შეიძლება წარმოდგენაც კი არ ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რას შეეკითხებიან ბავშვები. ზოგჯერ, ბავშვების შეკითხვების წინასწარი ცოდნა ექსპერტებს მათთან ურთიერთობას უადვილებს, თუმცა, შეკითხვების წინასწარი გაცნობა ყოველთვის არ არის აუცილებელი და საჭირო. ზოგიერთი ექსპერტი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, როცა უშუალოდ ბავშვის მიერ ბუნებრივად დასმულ შეკითხვას პასუხობს. ასევე მნიშვნელოვანია, ექსკურსიის დროს

მასპინძლებმა იცოდნენ, რომ ბავშვებთან მოკლე, ლექციის ტიპის საუბარს ნაკლები სარგებელი მოაქვს და რომ ისინი უკეთ სწავლობენ, როდესაც მათ კითხვებს პასუხობენ და თავად მონაწილეობენ ადგილზე მიმდინარე პროცესებში.

ექსკურსიისთვის საჭირო რესურსებია:

- პატარა დაფები ჩანახატებსა და ცხრილებზე სამუშაოდ;
- ტექნიკა: მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა ან ხმის ჩამწერი;
- საწერი და სახატავი საშუალებები;
- ჩანთები, ყუთები ან სხვა კონტეინერები მასალის შესანახად.

მნიშვნელოვანია, ექსკურსიაზე ყოფნის დროს ბავშვებმა ჩაინიშნონ საკუთარი დაკვირვებები და მონაცემები, რაც მათ საკვლევ საკითხზე კონცენტრირებასა და დეტალებზე დაკვირვებაში დაეხმარება.

ექსკურსიის შემდეგ, ჯგუფში დაბრუნებულებმა, სთხოვეთ ბავშვებს, მოყვნენ და ხელახლა გაანალიზონ, რა ნახეს და აღმოაჩინეს. მოიშველიეთ ის დაკვირვებები, რომლებიც ადგილზე გააკეთეს, დაეხმარეთ ახალი კითხვების ჩამოყალიბებაში.

ცვლილებები ფიზიკურ გარემოში

ერთ-ერთი მეთოდი, რომლითაც პროექტზე მომუშავე ბავშვების ხელშეწყობა შეგიძლიათ, ფიზიკურ გარემოში ცვლილებების შეტანაა. კარგი იქნება რომელიმე სივრცის პროექტის თემატიკაზე დაყრდნობით მოდიფიცირება. მაგალითად, წარმოსახვით-როლური თამაშებისთვის გამოყოფილ სივრცეს, სადაც, ჩვეულებრივ, „სახლობანას“ თამაშობენ და შესაბამისად არის მოწყობილი, სახანძროს პროექტზე მუშაობისას გარკვეული ნივთებისგან დაცლით და შესაბამის აღჭურვილობას შეიტანთ. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენ მხოლოდ ახალისებთ, ბიძგს აძლევთ ამ პროცესს პირველი ფაზის ბოლოს და მეორეს დასაწყისში, შემდეგ კი, კვლევის დროს, ხელს უწყობთ ბავშვებს, თავად შექმნან და გაამდიდრონ ასეთი სათამაშო სივრცეები.

ინტერესის გაღრმავებისა და კვლევის ხელშეწყობის შემდეგი კომპონენტი ჯგუფის სივრცეში პროექტის საკითხთან დაკავშირებული ახალი და საინტერესო რესურსის შეტანაა. ასეთი რესურსის მაგალითებია: ჩიტის ბუდე, ტელეფონის აპარატი, საბეჭდი მანქანა თუ ფოთლების კოლექცია. ყურადღებით დააკვირდით და იფიქრეთ, შესაძლებელია თუ არა ბავშვების კითხვაზე პასუხის გასაცემად და ვარაუდის (ჰიპოთეზის) გადასამოწმებლად სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება – მანიპულაცია ნამდვილი ნივთებითა და საგნებით იმგვარად, რომ ბავშვებმა შეძლონ შედეგის თვალსაჩინოდ დანახვა. კვერცხთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების მისაღებად დაიგეგმა ექსპერიმენტები: კვერცხის გატეხვა და შიგთავსზე დაკვირვება, მორევა, გაცხელება, გადასხმა, მთლიანი კვერცხისა და ბუმბულის წყლიან თასში ჩაყრა და დაკვირვება, ჩაიძირება თუ არა. ასევე, უმი და მოხარშული კვერცხის გაგორება და დაკვირვება მათ მოძრაობაზე.

სხვა პროექტის ფარგლებში ექსპერიმენტის მეშვეობით დაადგინეს, რატომ ვდებთ წყალში მოტეხილ ღეროს. ორი ღერო შეადარეს ერთმანეთს: ერთი – წყალში ჩადებული და მეორე – წინასწარ წყალში გაჩერების გარეშე დარგული. დაკვირვების შედეგად, ბავშვებმა ნახეს, რომ წყალში ჩადებული ტოტი დაფესვიანდა, უწყლოდ კი – გახმა.

ამ გამოწვევების შექმნისას და კვლევის პროცესშიც ყურადღებით დააკვირდით ბავშვებს, ჩაინიშნეთ მათი კითხვები და შედეგები ახალი გამოწვევების დასაგეგმად. ეს ციკლი მეორდება და გრძელდება ბავშვების ინტერესის საბოლოო დაკმაყოფილებამდე.

III ფაზა – **შეჯამება**

პროექტის მესამე ფაზაში გადასვლის ნიშნები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ბავშვებს აღარ აქვთ შეკითხვები, მათი ინტერესი დაკმაყოფილებულია, ენთუზიაზმი კი – ჩამქრალი.
- ამ ეტაპზე კვლევის გასაგრძელებლად ბავშვების მხრიდან უფრო მაღალი კომპეტენციაა საჭირო.

ზოგჯერ გამოცდილ პრაქტიკოსებსაც კი ჰგონიათ, რომ პროექტის საკითხის მიმართ ინტერესის დაკარგვა პროექტის წარუმატებლობას გამოხატავს. პროექტის მიმდინარეობისას ინტერესის კლება ბუნებრივი პროცესია და მიგვანიშნებს მესამე ფაზაზე გადასვლის მოახლოებაზე. მესამე ფაზა შედგება საფეხურებისგან, რომლებსაც საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვებთან ერთად ახორციელებს:

- პროექტის მიმდინარეობის გახსენება და შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვა
- შემაჯამებელი აქტივობის ჩატარება
- პროექტის მიმოხილვა, მიზნებისა და შედეგების გააზრება.

პროექტის პირველი და მეორე ფაზების დასრულების შემდეგ, ბავშვებთან ერთად გადახედავთ პროექტის დასრულებულ ეტაპებს და ერთად შეაჯამებთ, რა იცოდით და გაინტერესებდათ, როგორ იკვლიეთ საკითხი და რა შედეგი მიიღეთ. ამ ყოველივეს გასახსენებლად შეგიძლიათ:

თუკი კვლევის პროცესში ბავშვებთან ერთად სისტემატურად უბრუნდებოდით დაგეგმვის რუკებს და ამატებდით შეძენილ ცოდნასა და ინფორმაციას, კიდევ ერთხელ გადახედეთ რუკებს ერთობლივად.

თუ პირველადი რუკა არ შეცვლილა პირველი ფაზის შემდეგ, შეგიძლიათ შეჯამებისას მიუთითოთ, რა გაიგეს ბავშვებმა. სასურველია, ეს ინფორმაცია რუკებზე განსხვავებული ფერით აღნიშნოთ.

როდესაც ბავშვებთან ერთად პროექტის მიმდინარეობას გაიხსენებთ, უმჯობესია,

- აჩვენოთ პროექტის მანძილზე შეგროვებული მასალა, რადგან მსჯელობა და საუბარი – რა აღმოაჩინეს ბავშვებმა – მათთვის უფრო მარტივია, როცა საკუთარ ნამუშევრებს, კონსტრუქციებსა და ფოტოებს ათვალიერებენ.
- დაეხმაროთ პროცესის გახსენებაში კითხვების დასმის გზითაც. მაგალითად: „რა გიპასუხა, _____ როცა ჰკითხე _____?“ ან „რა მოხდა, როცა _____?“

მას შემდეგ, რაც ბავშვებთან ერთად მიმოიხილავთ პროექტის მიმდინარეობას და შედეგს, შეგიძლიათ შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვაზე იფიქროთ. შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვასა და შესრულებაში ბავშვების ჩართვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის

საწყის ფაზებში. ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ გაუზიარონ სხვებს ცოდნა და ნამუშევრები.

ბავშვებს შეიძლება ჰკითხოთ, რა უნდა გაკეთდეს, რომ გავლილი პროექტი უკეთ დაამახსოვრდეთ: „ახლა ამდენი რამ ვიცით სახანძრო მანქანების შესახებ. რას ფიქრობთ, როგორ გავუზიაროთ ეს ცოდნა მშობლებს? ან ჯგუფ „ჭიამაიებს?“

თუ ბავშვებმა ვერაფერი მოიფიქრეს, სთხოვეთ, შექმნან ისეთი ნამუშევარი, სადაც აისახება ყველაფერი, რაც საკითხის გარშემო ისწავლეს; ან შესთავაზეთ, დაამზადონ წიგნი პროექტზე მუშაობის შესახებ.

შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება უფროსი ასაკის ბავშვებში უფრო მარტივია, რადგან მათ შეიძლება უკვე ჰქონდეთ საკუთარი „მუშაობის“ შედეგების გაზიარების გამოცდილება, მაგალითად, უკვე დაუმზადებიათ წიგნი ან კოლაჟი, ან გამოსულან „მოხსენებით“ მსმენელების წინაშე. პატარებთან კი – მეტი მუშაობა და მოთმინება არის საჭირო.

კარგად დაგეგმილი და მოფიქრებული შემაჯამებელი აქტივობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის სხვა საქმიანობები. ბავშვები ამ დროს იხსენებენ და იაზრებენ, რა გზა გამოიარეს, რა შედეგს მიაღწიეს და ამით, გარკვეულწილად, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას იძენენ.

შემაჯამებელი აქტივობა, ასევე, ეხმარება მშობლებს, სხვა სტუმრებს (თუკი ასეთი სტუმრები მოწვეული ჰყავთ აქტივობაზე), ნახონ, პროექტზე მუშაობის შედეგად, რა გამოცდილება და კომპეტენციები შეიძინეს ბავშვებმა, თუ როგორ სწავლობენ ისინი.

შეიძლება მიგაჩნდეთ, რომ პროექტი უნდა დასრულდეს დიდი ღონისძიებით, მაგრამ წიგნის დამზადება, ან საგამოფენო პანოს მოწყობა, შესაძლოა, უფრო პროდუქტიული და მნიშვნელოვანი შემაჯამებელი აქტივობა გამოდგეს, ვიდრე დიდი ღონისძიება.

დაპატიჟეთ მშობლები გამოფენის დასათვალიერებლად. წაახალისეთ ბავშვები, დამოუკიდებლად გააცნონ ოჯახის წევრებს საკუთარი ნამუშევრები და უამბონ მათ შესახებ. ასევე, შეგიძლიათ, დამზადებული წიგნები შინ გაატანოთ მშობლებს, რათა ბავშვებთან ერთად უკეთ დაათვალიერონ. თუ ბავშვებმა ერთი წიგნი დაამზადეს, შეგიძლიათ თითოეულს მორიგეობით გაატანოთ სახლში.

შემაჯამებელი აქტივობა შეიძლება როლური თამაში იყოს. შეიძლება მოიწვიოთ მშობლებიც. თუ მათი სურვილიც იქნება, შეგიძლიათ, ჩართოთ თამაშში და ბავშვებთან ერთად ათამაშოთ.

არსებობს შემაჯამებელი აქტივობების რამდენიმე ვარიაცია:

- ნამუშევრების გამოფენა;
- პროექტზე მუშაობის პროცესის ამსახველი ფოტოების გამოფენა;

- ანგარიშების წარდგენა;
- პატარა დადგმის, წარმოდგენის ჩატარება;
- კოლაჟების, წიგნების წარდგენა;
- პრეზენტაცია.

ერთ-ერთი პროექტის დროს ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ მუზეუმით და გადაწყვიტეს გაეკეთებინათ პროექტი – „ხელოვნების მუზეუმი“. პროექტის განმავლობაში მათ დაამზადეს ხელოვნების ნიმუშები და გამოფინეს ბაღის დერეფანში, დანიშნეს მუზეუმის დათვალიერების ტურები, გაყიდეს ბილეთები და თვითონ ეწეოდნენ გიდობას მშობლებისა და სხვა ჯგუფებისთვის.

ერთ შემთხვევაში ბავშვებმა (პროექტის ფარგლებში) ავტომანქანის დიდი მაკეტი გააკეთეს და შემაჯამებელი აქტივობის სახით მაკეტი ჰოლში გამოფინეს.

ღონისძიებაზე შეიძლება დაპატიჟოთ პროექტში მონაწილე ექსპერტები, ექსკურსიის გიდები ან სხვა სტუმრები, რომლებსაც ბავშვები კვლევის ეტაპზე შეხვდნენ. შემაჯამებელ აქტივობას ენთუზიაზმით ეკიდებიან ბავშვებიცა და მშობლებიც. ამასთან ერთად, ასეთი ტიპის აქტივობა ხელს უწყობს ერთობის ჩამოყალიბებას.

თავი 6. თამაშების და სტრატეგიების მაგალითები



ამ თავში მოცემულია კურიკულუმის მიზნის მიხედვით სამაგალითო თამაშები და სტრატეგიები.

ჯგუფის ერთობა. სტრატეგიები და თამაშები

ვზრუნავთ ერთმანეთზე, ვთამაშობთ ერთად

გაეცანით თამაშებსა და სტრატეგიებს, რაც ბავშვებს ერთმანეთთან წარმატებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, გაცნობაში, ერთად თამაშში, დამეგობრებასა და ჯგუფის ერთ გუნდად შეკვრაში დაეხმარება.

სტრატეგიები და გამოწვევები

- ინდივიდუალურად ესაუბრეთ ბავშვებს, აქტიურად მოუსმინეთ. აგრძნობინეთ, რომ ამჩნევთ და აფასებთ მათ.
- დაეხმარეთ ერთმანეთთან კომუნიკაციაში. ასწავლეთ, როგორ მიმართონ ერთმანეთს, რა სიტყვები და ფრაზები გამოიყენონ კომუნიკაციის და ურთიერთობის დროს. თავდაპირველად, მიეცით მაგალითი და თანდათან წაახალისეთ, დამოუკიდებლად იმოქმედოს. ისე

ისაუბარეთ ბავშვებთან, ან ისე განმარტეთ ბავშვის ნათქვამი, რომ მეგობარმა გაუგოს. მაგალითად:„ანა, ლუკას დავეხმარები აგიხსნას, რატომ ფიქრობს, რომ აქ კოშკის აგება კარგი აზრია ..“.

- შექმენით ისეთი გამოწვევები, რომ ბავშვებმა ერთად ითამაშონ. ამისათვის, შეიძლება, მათი წინასწარ მოფიქრებულ თამაშებში ჩართვა დაგჭირდეთ, ან სპეციალური ნივთებით უზრუნველყოფა.
- წაახალისეთ ბავშვების ერთად თამაში კომენტარებით: „ელენე, თამთას ხომ არ შესთავაზებ, მზარეული იყოს“.
- მოდელირება მისაღები ქცევის დემონსტრირების ერთ-ერთი გზაა. აჩვენეთ თანამშრომლობის მაგალითი, ბიძგი მიეცით პროსოციალურ ქცევას. მაგალითად: „შენ იყავი პირველი და მე შენ შემდეგ ვიქნები“, „ნინი მოწყენილია, მამა რომ დაემშვიდობა. იქნებ წიგნის ერთად წაკითხვამ დაამშვიდოს“.
- აღწერეთ, რას და როგორ თამაშობენ ბავშვები. ხშირად ბავშვები არ აქცევენ ყურადღებას, როდის უზიარებენ სათამაშოს, სხვა სოციალურ ქცევებს. ქცევებისა და ქცევების შედეგების აღნიშვნით, დაეხმარებით, გააცნობიერონ და მომავალში გააზრებულად გამოიყენონ პროსოციალური ქცევა. ბავშვები დაფიქრდებიან თავიანთ ქმედებებზე და მიხვდებიან, თუ რა ტიპის ქცევას აფასებთ. მაგალითად: „ვხედავ, როგორ ხალისობთ ერთად“, „ერთად თამაში ბევრად უფრო სახალისოა“, „თუ ერთად ითამაშებთ, კმაყოფილები დარჩებით“, „ ძალიან კარგად მოიქეცი, ნიკას ქუდი რომ დაუვარდა და შენ მიაწოდე „, „ კარგი მეგობარი ხარ, ლევანს მანქანა რომ დაუთმე“.
- სადილის დროს, მიუჯექით ბავშვებს, მიეცით სუფრასთან მოქცევის მაგალითი. ისაუბრეთ სხვადასხვა კერძებზე, ვის რა უყვარს, სახლში რას უმზადებენ.
- სხვადასხვა სიტუაციებში ბავშვები წაახალისეთ, ისაუბრონ, მეტი გაიგონ ერთმანეთის შესახებ, გაიცნონ ერთმანეთი. ეს მათ დაეხმარება, სხვისი თვალით დაინახონ მოვლენები და მეტად გაუწიონ ერთმანეთს ანგარიში.
- ჯგუფის წესები. ერთი წესი ყველა სიტუაციას ვერ მოერგება. შეიმუშავეთ რამდენიმე წესი სხვადასხვა ცენტრისთვის, მაგალითად, წიგნიერების ცენტრი, შეხვედრების სივრცე და ა.შ. წესების შემუშავებისას გაითვალისწინეთ: იყოს ვიზუალურად გაფორმებული, მარტივი და კონკრეტული (ვუსმენთ სხვას), პოზიტიურად ფორმულირებული („ვსაუბრობთ დაბალ ხმაზე“ და არა „არ იხმაურო“) და ცოტა (სამი, ოთხი ან მაქსიმუმ ხუთი). წესები უნდა ისწავლებოდეს სისტემურად. გაანალიზეთ წესები სასწავლო წლის დასაწყისში, ან როცა ახალი შემუშავებულია. ხშირად გაიმეორეთ და თანდათანობით შეამცირეთ გამეორება. თუ ხედავთ, რომ ბავშვები წესებს ემორჩილებიან, მოიფიქრეთ ახალი წესი, რაც კონკრეტულ ჯგუფს სჭირდება. წლის დასაწყისში თითო დღეს – თითო წესი გააანალიზეთ, ბავშვებმა რომ ადვილად დაიმახსოვრონ. მას შემდეგ, რაც წესებს შეიმუშავებთ, ვიზუალურად გაფორმებული თითოეული წესი თვალსაჩინოდ გამოფინეთ ბავშვების სიმაღლეზე, რომ დღის განმავლობაში აღმზრდელმაც და ბავშვებმაც მათი გამოყენება და ჩვენება შეძლონ.

დახმარება ადვილად ამოსაცნობი და დასამახსოვრებელი უნდა იყოს. ეს შეიძლება იყოს ფოტოები, ნახატები, სიმბოლოები, კლიპარტი, ფიზიკური საგნები. ვიზუალური მხარე უნდა შეესაბამებოდეს ბავშვების საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ვიზუალის შერევა. წესების და შესაბამისი ქცევების დასწავლა გამიზნულად და სისტემატურად უნდა ხდებოდეს. წესების განსაზღვრისას მოიყვანეთ სხვადასხვა მაგალითი, დარწმუნდით, რომ მათ კარგად ესმით ეს წესი.

- ჯგუფის წესები უფროსი ასაკის ბავშვებთან. დაიხმარეთ უფროსი ასაკის ბავშვები წესების შემუშავებაში. წარმართეთ ჯგუფური საუბრები წესების მნიშვნელობაზე. სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ წესები. დაასრულეთ ბავშვების მოფიქრებული წესები, შეცვალეთ პოზიტიური ფორმულირებით, დააკონკრეტეთ ან განაზოგადეთ წესი. მაგალითად, თუ ბავშვი გეტყვით:„ უნდა ვათხოვოთ მეოგობარს მაკრატელი“, შეცვალეთ:„ვათხოვებთ მეგობარს ნივთებს“. ჩართეთ ბავშვები მსჯელობაში. რატომ ფიქრობ, რომ ეს წესი მნიშვნელოვანია? ეს დაეხმარება ბავშვებს, გაიაზრონ წესის მნიშვნელობა. წესები ხშირად გაიმეორეთ დიდ ჯგუფში. გადაამოწმეთ მცირე ჯგუფებში, რამდენად კარგად ესმით წესები. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ ინდივიდუალური მხარდაჭერა, ინდივიდუალური ინსტრუქციები, შეხსენებები. შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ წესების დასწავლით არ ხდება რთული ქცევის პრევენცია. ამას კომპლექსური, თანმიმდევრული მუშაობა სჭირდება, სადაც დიდი წილი ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენციის მხარდაჭერას და განვითარებას ეთმობა.

თამაშები

შენიშვნა: ქვემოთ მოცემული სამაგალითო თამაშების გარდა, ნებისმიერი თქვენ მიერ თუ ბავშვის მიერ ინიცირებული თამაში მეგობრობის და სოციალური ურთიერთობების ხელშეწყობისა და სწავლისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ.

- **გამეცანი.** ათამაშეთ მარტივი თამაშები, რაც დაეხმარება ბავშვებს, დაისწავლონ ერთმანეთის სახელები ან მეტი გაიგონ ერთმანეთის შესახებ. წრეში დამსხდარ ბავშვებს სათითაოდ გადაუგდეთ ბურთი და დაუსვით სხვადასხვა კითხვა: „რა გქვია?“, „და გყავს?“„რა თამაში გიყვარს?“, „რომელია შენი საყვარელი ფერი?“.
- **ერთი სიმართლე, ერთი სიცრუე.** ბავშვი თავის თავზე ერთ სიმართლეს და ერთ ტყუილს ამბობს ისე, რომ დანარჩენებმა იფიქრონ და გამოიცნონ, რომელია ტყუილი. მაგალითად, „მე შემიძლია ხატვა. მე შემიძლია ფრენა“. გართულება: უფროსი ასაკის ბავშვებთან შეიძლება მტკიცებათა რაოდენობა გაიზარდოს – ორი სიმართლე და ერთი ტყუილი. ეს თამაში დაეხმარება ბავშვებს, მეტი გაიგონ მეგობრის შესახებ, ასევე დაფიქრდნენ თავის თავზე, ინტერესებზე, კომპეტენციებსა და მახასიათებლებზე.
- **სოციალური სცენარების გათამაშება თოჯინებით.** მოიფიქრეთ ტიპური სიტუაციები მისაღები სოციალური ქცევის სწავლებისთვის, მაგალითად, „ელენემ ხელი ისე გაწია,

რომ შემთხვევით კოტეს ნახატი გაუფუჭა. კოტეს ძალიან დაწყდა გული. რა უნდა უთხრას ელენემ კოტეს? უკაცრავად, შემთხვევით მომივიდა, არ მინდოდა შენი ნახატის გაფუჭება“.

- წყვილში მოძრაობა. ერთმანეთის პირისპირ სხედან წყვილები. მუსიკაზე რიტმულად აყოლებენ ჩაკიდებულ ხელებს. ეს მოძრაობა შეიძლება იყოს მატარებლის ბორბლების იმიტაცია, ან ხელიხელ ჩაკიდებულების წინ და უკან რწევა. ასევე, შეიძლება ერთმანეთზე მიბჯენილი ტერფებით ფეხების სინქრონული მოძრაობა – ერთი ხრის, მეორე შლის. მოძრაობები ბავშვების ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების შესაბამისად მოიფიქრეთ. თამაშის მთავარი ამოცანაა წყვილების სინქრონული მოძრაობა, რისთვისაც ბავშვმა მეწყვილეს მოძრაობა უნდა გაითვალისწინოს და აჰყვეს მას. ეს თამაში, ასევე, საკუთარი სხეულის შესწავლასა და მოძრაობების რეგულირებაში ეხმარება.
- პარაშუტი. გაშალეთ პარაშუტი, ბავშვებმა ჩაჭიდონ ხელი ბოლოებში, მოათავსეთ მსუბუქი ბურთი პარაშუტზე. ბავშვებმა ბურთი ისე უნდა ახტუნაონ, რომ არ გადმოვარდეს. ეს თამაში ჯგუფის შეთანხმებულ მოძრაობას საჭიროებს. შეგიძლიათ თამაშის გამარტივება ან გართულება ბავშვების შესაძლებლობების მიხედვით. უფრო პატარა ასაკის ბავშვებს შეუძლიათ „ტალღების“ გაკეთება, ან მოძრაობის ტემპის ცვლა მუსიკის რიტმის შესაბამისად. ასევე, შეგიძლიათ მცირე ჯგუფებად დაყოთ ბავშვები, რომელთაც სხვადასხვა ხილის სახელი ერქმევა. ბრძანებაზე – „ვაშლები“, „ვაშლები“ ხელს უშვებენ პარაშუტს და შიგნით შედიან, ბრძანებაზე – „მსხლები“, ვაშლები ხელს კიდებენ პარაშუტს და მათ ადგილს „მსხლები“ იკავებენ. ბრძანებაზე – „ხილის სალათა“, ყველა ბავშვი ხელს უშვებს მაღლა აფრიალებულ პარაშუტს და მის ქვეშ დგებიან.
- გამოიცანი, ვინ გეძახის. ბავშვები წრეში დგანან და მოძრაობენ. თვალდახუჭული ბავშვი დგას შუაში. წრეში მოსიარულე ბავშვებიდან ერთ-ერთი მის სახელს ამბობს. თვალდახუჭულმა ბავშვმა უნდა გამოიცნოს, ვინ დაუძახა.
- ჯგუფის სიმღერა. მოიფიქრეთ ჯგუფის სიმღერა, რომელსაც ჯგუფის შეკრებისას იმღერებთ.
- თამაშები ჯგუფის წესებზე. გამოიყენეთ სხვადასხვა საშუალებები წესების დასასწავლად. ამისათვის, შეიძლება, მცირე ჯგუფური აქტივობების ორგანიზება დაგჭირდეთ: დისკუსია, როლური თამაში, თოჯინებით გათამაშება, წიგნები, სიმღერები წესებზე.
  - დაასახელეთ წესი და სთხოვეთ ბავშვებს, გაითამაშონ.
  - დაასახელეთ წესი და სთხოვეთ ბავშვებს, შეარჩიონ ვიზუალური სიმბოლოები ამ წესებისთვის.
  - ჩართეთ ბავშვები „წესების პოსტერის“ გაფორმებაში.
  - გამოიცანი, რა წესს ვანსახიერებ. გაითამაშოს უფროსმა ან ბავშვმა და სხვები მიხვდნენ, რა წესია ეს.
  - წიგნის კითხვისას ჰკითხეთ ბავშვებს, იცავს თუ არა პერსონაჟი წესს, თუ არა, რა წესი უნდა დაიცვას.

- ვესალმებით. ბავშვებისთვის ნაცნობ, რომელიმე სიმღერას შეუცვალეთ სიტყვები, მაგალითად: „ვესალმებით ...-ს“ და თითოეულ ბავშვზე იმღერეთ.
- წავიკითხოთ მეგობრობაზე. შეარჩიეთ და წაუკითხეთ წიგნები, რომლებიც ურთიერთობებზეა – მეგობრობა, დახმარება. ისაუბრეთ გმირების ქცევაზე, გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, წიგნი რუ-მრგვინავი დინოზავრი.
- შევქმნათ რამე მეგობრობაზე. შექმენით წიგნები მეგობრობაზე, ჯგუფის მრავალფეროვან გამოცდილებაზე, ბავშვების ერთად თამაშზე. მაგალითად, წიგნი ბავშვების ოჯახების შესახებ, ან წიგნები, სადაც დოკუმენტურად არის ასახული ექსკურსიები ან ჯგუფის სპეციალური სტუმრები, წიგნი საყვარელ მოთხრობებზე.
- მეგობრობის პოსტერი. დაამზადეთ სხვადასხვა ვიზუალური მასალა, რაც კიდევ ერთხელ დააფიქრებს ბავშვებს მეგობრობასა და მეგობართან მოქცევის წესებზე. მაგალითად, „მეგობრობის პოსტერი“ ან „მეგობრობის რეცეპტი“, სადაც ნაჩვენები იქნება ერთმანეთის პატივისცემა, თავაზიანობა, ღიმილი, ლოიალობა, გაზიარება, გუნდურობა, გართობა. ერთი შეხედვით თემატურად დაუკავშირებელი აქტივობებიც კი შეგიძლიათ მეგობრობის თემას მიუძღვნათ და კიდევ ერთხელ ჩართოთ ბავშვები გუნდურ საქმიანობაში, მაგალითად გამოაცხოთ ნამცხვარი.
- კომპლიმენტების წრე. წრიულად დამსხდარ ბავშვებს შესთავაზეთ, ერთმანეთს კომპლიმენტები უთხრან. ამით ისწავლიან, როგორ უთხრან და როგორ მიიღონ თავად კომპლიმენტები. მიეცით ბავშვებს მაგალითი და აიყოლიეთ ისინი. წაახალისეთ ბავშვები, აღნიშნონ ერთმანეთის თვისებები. დასაწყისში, ან პატარა ასაკის ბავშვებთან, შეიძლება დავიწყოთ გარეგნული ნიშნებით. მაგალითად, „მომწონს შენი მაისური“, ან „კარგად იცინი“. თანდათან დაეხმარეთ, დაინახონ და აღნიშნონ ერთმანეთის თვისებები, მაგალითად: „შენ კარგი თამაში იცი, მომწონს შენთან ერთად ხატვა“, „გუშინ შევნიშნე, როგორ დაეხმარე ანას, ეს ნამდვილი მეგობრობაა“.
- თავაზიანი სიტყვები. მაგალითი მიეცით, ასწავლეთ და წაახალისეთ თავაზიანი სიტყვები და ფრაზები: „ინებე“, „მადლობა“ და ა.შ. მოიფიქრეთ სხვადასხვა სახალისო თამაშები. მაგალითად, ხელოვნების ცენტრში მყარი ქაღალდისგან დაამზადეთ ნაყინის კონუსები, რომელშიც რბილ ბურთს ჩადებთ. წრეში მდგომმა ბავშვებმა კონუსების გამოყენებით ერთმანეთს ფრთხილად უნდა გადააწოდონ „ნაყინის ბურთი“. წაახალისეთ, გამოიყენონ სიტყვები „ინებე“, „მადლობა“. ეს არამარტო თავაზიან სიტყვებს, არამედ სხეულის კონტროლსაც ასწავლის.
- რა სურს მეგობარს. მეგობრისთვის სხვადასხვა ზომის კაცუნების გაფორმება ცომებით ან სხვადასხვა მასალით. ამ მიზნის მიღწევაში ხელოვნების სხვადასხვა აქტივობა დაგეხმარებათ. ბავშვებმა მეგობრისთვის ნივთები უნდა დაამზადონ. ამისათვის, ბავშვმა უნდა კითხოს მეგობარს, როგორი უნდა, რომ ეს ნივთი იყოს, მაგალითად, რა ზომის, რითი უნდა გაფორმდეს. წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთის ნამუშევრები აღწერონ.

- ჩვენ ვამჩნევთ მეგობრულ ქცევას. შეიმუშავეთ სასარგებლო და მისაღები ქცევის აღნიშვნის გზები, რომ ბავშვებმა ამ ქცევებს მიაქციოს ყურადღება. მაგალითად, შექმენით დახმარების ქილა. ქილაში მოათავსეთ იმ ბავშვების სახელებიანი ბარათები, ვინც სხვას დაეხმარება. ასევე მათიც, ვინც სხვის ქცევას აღნიშნავს და გაუხარდება სხვისი წარმატება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა ქილა შეივსება, იზეიმეთ მეგობრობა. შენიშვნა: იფიქრეთ იმაზე, რომ თამაშმა არ მიიღოს შეჯიბრის ფორმა. მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ რამდენ ბარათს ჩაყრის, არამედ თითოეულის მისაღები ქცევის დაფიქსირება. ეს ჯგუფის საერთო ზეიმი უნდა იყოს. გაითვალისწინეთ, რომ ბავშვები, დროთა განამავლობაში, ნაკლებად უნდა იყვნენ ჯილდოზე დამოკიდებული და უფრო მეტად შინაგანი მოტივაციით მოქმედებდნენ.

რას ვგრძნობთ, რას ვფიქრობთ, რას ვხედავთ

აქ გაეცნობით თამაშებსა და სტრატეგიებს, რომ დაეხმაროთ ბავშვებს, დაფიქრდნენ თავიანთ ემოციებზე, ისწავლონ მათი ამოცნობა და სახელდება, დაფიქრდნენ თავიანთ მოტივებზე, ისწავლონ, გაიცნონ და ამოიცნონ სხვების ემოციები, შეხედულებები, მოტივები. ეს დაეხმარება უფრო რთული უნარების – თვითკონტროლისა და კონფლიქტის მართვის დაუფლებაში.

სტრატეგიები და გამოწვევები

- ყურადღებით დააკვირდით, რას გრძნობენ ბავშვები.
- აქციეთ განცდები და ემოციები სიტყვებად. სახელი დაარქვით ბავშვის განცდებს და ემოციებს: „მოწყენილი ხარ, რადგან მამა უნდა წავიდეს“. ძალისხმევა მიმართეთ იქით, რომ თქვენც და ბავშვებმაც ყოველდღიურად და მთელი დღის განმავლობაში გამოიყენოთ ემოციების გამომხატველი სიტყვები. ამისათვის:
  - მაგალითი მიეცით და აღწერეთ საკუთარი გრძნობები: „იმედგაცრუებული ვარ, რადგან ეს ქილა ვერ გავხსენი“.
  - განმარტეთ და ახსენით სხვა ბავშვების განცდები: „მიამ დაიკივლა, შენ რომ სწრაფად მორბოდი, შეეშინდა“.
  - ესაუბრეთ სხვა ბავშვების ემოციებზე. უთხარით, რას განიცდის და რატომ.
- ასწავლეთ ბავშვებს ემოციების გამომხატველი ახალი სიტყვები. ამისათვის, გამოიყენეთ ბარათები, ნახატები.
- გაახმოვანეთ თქვენი ფიქრები, მოტივები.
- წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ თავიანთ განზრახვებზე, მოტივებზე.
- საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ ბავშვებს, აუხსნან სხვებს, რას განიცდიან, რას აკეთებენ, რა უნდათ, რატომ აკეთებენ.

თამაშები

- **სოციალური სცენარების გათამაშება ხელის თოჯინებით.** მოიფიქრეთ ტიპური ამბები და სცენარები ემოციების სწავლებისთვის. მაგალითად, „სათამაშო არ მათხოვა, მეწყინა“, „მეგობარმა სათამაშოდ დამიძახა, გამიხარდა“. მეტი თვალსაჩინოებისთვის, შეგიძლიათ, ბავშვებს ემოციების ბარათები შესთავაზოთ, საიდანაც შესაბამისი ემოციის გამომსახველ ნახატს ამოარჩევენ.
- **რას განიცდის და ფიქრობს წიგნის გმირი.** საბავშვო წიგნები საუკეთესო საშუალებაა ემოციების სასწავლებლად. ბევრ წიგნში მკაფიოდ არის აღწერილი გმირის განცდები და შეიცავს უამრავ ემოციების გამომხატველ სიტყვას. წიგნის კითხვისას ყურადღება გაამახვილეთ გმირების ემოციებზე. ღია კითხვების საშუალებით, ალაპარაკეთ ბავშვები საკუთარ ემოციებზე: „როდის იგრძენით იგივე“, ან „შენ რომ მის ნაცვლად ყოფილიყავი, რას იგრძნობდი?“ ასევე, ისაუბრეთ გმირების ფიქრებზე და განზრახვებზე – რას ფიქრობენ, რატომ იქცევიან ასე. რითი მიხვდით „შევამჩნიე ... (დეტალურად აღწერეთ არავერბალური მინიშნებები)“. კითხვისას გმირზე შემდეგნაირად ისაუბრეთ: „... გამო ვფიქრობ, რომ ის განიცდის (დაასახელეთ ემოცია)“. ახლა ვეცდები, იგივე სახის გამომეტყველება მივიღო და სხეულით იგივე გავაკეთო (არავერბალური მინიშნებები). კითხვისას: „მგონი (გმირი) გრძნობს (ემოცია). ვიცი, რადგან (აღწერე არავერბალური მინიშნება)“. „როგორ ფიქრობ, რას გრძნობს ....? საიდან იცი ეს?“. „მაინტერესებს, რას გრძნობს (გმირი). როგორ შეგვიძლია მივახვედროთ სხვა? აბა, მიიღე იგივე გამომეტყველება და პოზა“.
- **ემოციები სარკეში.** მცირე ჯგუფებში თამაშის დროს მიეცით პატარა, ხელის სარკეები. წაუკითხეთ მოთხრობა, სადაც ბევრი ემოციების გამომხატველი სიტყვაა. ბავშვები იღებენ შესაბამის გამომეტყველებას, თან სარკეში იყურებიან. შემდეგ ერთმანეთს აჩვენებენ.
- **სახეების ცვლილება.** ეს თამაში მცირე ჯგუფებში შესთავაზეთ. დახატეთ ქაღალდის თეფშებზე სახეები, პირის და წარბების ნაცვლად, დრეკადი ფუმფულა მავთულები გამოიყენეთ, რომ ბავშვებმა ემოციების შესაბამისად შეძლონ პირის და წარბის მოძრაობა. სთხოვეთ ბავშვებს, წარბების და პირის მოძრაობით სხვადასხვა ემოცია წარმოადგინონ: გაბრაზება, იმედგაცრუება, მოწყენილობა, შიში, გაოცება. ბავშვებს შეუძლიათ სახის დანარჩენი ნაწილის გაფერადება. ამის შემდეგ წაუკითხეთ მოთხრობა, გაჩერდით გადამწყვეტ მომენტებში და სთხოვეთ ბავშვებს აჩვენონ ემოციები ქაღალდის თეფშზე.
- **ემოციების ბარათები.** დაამზადეთ ემოციების წყვილი ბარათები. ეს ბარათები სხვადასხვა სამაგიდო თამაშებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ. უმცროსი ასაკის ბავშვებმა შეიძლება, ბარათები დააწყვილონ. სთხოვეთ ბავშვს, იპოვოს ორი ერთნაირი გამომეტყველების ბარათი და დაასახელოს. გაახმოვანეთ ემოციები, ისაუბრეთ, რა სიტუაციაში შეიძლება გაჩნდეს მსგავსი ემოცია. უფროსი ასაკის ბავშვებთან ითამაშეთ მემო.
- **ემოციები ცომით.** სთხოვეთ ბავშვებს, სახის კონტურზე ცომით ნაკვთები გააკეთონ და სხვადასხვა ემოციები გამოსახონ. გადაუღეთ ფოტოები მათ ნამუშევრებს. ასაუბრეთ ამ ემოციებზე.

- **დაამზადეთ ემოციების სკალა.** ეს შეიძლება ერთი ემოციის ინტენსივობას ეხებოდეს, ან – სხვადასხვა ემოციებს. იხილეთ ნიმუში. სკალა შეგიძლიათ სასწავლო დაფაზე გამოაკრათ და სიტუაციის შესაბამისად გამოიყენოთ – ემოციებზე სასაუბროდ, კომუნიკაციისთვის: „მაჩვენე, რა იგრძენი“.
- **ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ემოციების ნიღბები.** გამოიყენეთ ნიღბები წიგნის კითხვის დროს. ამოარჩიონ ის ნიღაბი, რასაც გმირი განიცდის.
- **ემოციების ფოტოები.** სახეების ლამინირებული ფოტოები სხვადასხვა ემოციებით. ბარათის ჩვენებისას ბავშვები ასახელებენ ემოციებს. დასაწყისში დაკვირვების დრო აქვთ, მერე ტემპს უჩქარებ, რომ უფრო სახალისო იყოს. ვარიაცია: აჩვენეთ ემოცია და ისაუბრეთ ემოციებზე.
- **სოციალური სცენარები ემოციებზე.** ყვები სხვადასხვა სიტუაციებს და ბავშვებს სთხოვ, ამოირჩიონ ის ემოცია, რასაც ამ სიტუაციაში იგრძნობდნენ.
- **ემოციების სათვალეები.** დაამზადეთ სხვადასხვა ემოციების სათვალეები (სათვალეს ახატია და აწერია ემოცია). ბავშვები ყუთიდან მორიგეობით იღებენ სათვალეს და ცდილობენ, შესაბამისი ემოცია განასახიერონ, სხეულის პოზა მიიღონ, იმსჯელონ. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რას ხედავს და ფიქრობს ადამიანი ემოციის შესაბამისად.
- **ემოციების კამათელი.** დაფარეთ დიდი კამათელი (მუყაოს ყუთი) თეთრი ქაღალდით და თითოეულ წახნაგს დაახატეთ სხვადასხვა ემოციების გამომხატველი სახეები. ბავშვები ისვრიან კამათელს, ასახელებენ ემოციას და აღწერენ მას. სახეები შეგიძლიათ ცვალოთ ბავშვების ასაკის და ცოდნის მიხედვით – შეცვალოთ ახალი ემოციებით მას შემდეგ, რაც ძველს დაისწავლიან.
- **ქუდის ჩამოტარება.** დაჭერით სურათები, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა ემოციების გამომხატველი სახე, ჩაყარეთ ქუდში ან ყუთში, რომელსაც მუსიკის თანხლებით წრეზე ჩამოატარებთ. როცა მუსიკა შეწყდება, ბავშვი ქუდს ხელში დაიჭერს, ამოიღებს ერთ-ერთ ბარათს და აღწერს ემოციას. შემდეგ ბავშვები იხსენებენ დროს, როცა მსგავს განწყობაზე იყვნენ.
- **ვეძებ ემოციებს.** განათავსეთ ფოტოები ან ნახატები ემოციების გამომხატველი სახეებით ოთახის სხვადასხვა ადგილას (ასევე, შენობის გარშემო, თუ შესაძლებელია). ბავშვები ეძებენ სხვადასხვა სახეს. როცა იპოვიან, ჰყვებიან იმ დროის შესახებ, როცა ამ განწყობაზე იყვნენ.
- **ემოციების სპინერი.** დაამზადეთ ემოციების სპინერი. მცირე ჯგუფებში ათამაშეთ ბავშვები. დაატრიალეთ ისარი, რომელ ემოციაზეც ისარი გაჩერდება, ბავშვმა ის ემოცია უნდა განასახიეროს.

- ემოციების პოსტერი. დიდ ფორმატზე დააწებეთ ან დახატეთ სხვადასხვა ემოციები და მიაწერეთ სიტყვებიც. გააკარით თვალსაჩინო ადგილას და ემოციების გაცნობისთვის გამოიყენეთ.
- ემოციების გამოცნობა. მცირე ჯგუფებში სათამაშოდ დაამზადეთ გვირგვინები ან სპეციალური სარჭები, რომელზეც დააფიქსირებთ ემოციების ბარათს. ბავშვები ვერ ხედავენ, რა ემოციის აღმნიშვნელი ბარათი აქვთ შუბლზე დამაგრებული. სხვები მინიშნებებით ცდილობენ, აღწერონ და მიახვედრონ, რა ემოციაა ბარათზე გამოსახული. მინიშნებები შეიძლება იყოს სახის გამომეტყველების აღწერა, ან სიტუაციის აღწერა, რომლის დროსაც ბავშვი ამ ემოციას გრძნობს. თამაშის მარტივი ვერსიაა, როდესაც ბავშვები სახის გამომეტყველებით ცდილობენ, მიახვედრონ დანარჩენებს, თუ რა ემოციაა ეს. ასევე ხდება, როდესაც მარტივად ამოსაცნობი ემოციებია გამოსახული. თამაში რთულდება, როდესაც ბავშვებმა უნდა აღწერონ სიტუაციები, ან რთულად ამოსაცნობი ემოციებია გამოყენებული.
- ჩემი მოლაპარაკე სხეული. ამ აქტივობის დროს მნიშვნელოვანია, ბავშვები დაფიქრდნენ, რა შეგრძნებები უჩნდებათ განსხვავებული ემოციების და ემოციების განსხვავებული სიძლიერის დროს. ამით მათ უნდა ისწავლონ თავიანთი ემოციების და სხეულის ენის წაკითხვა. მაგალითად, რას მეუბნება ჩემი სხეული: „რას ვფიქრობ; როგორია სახის გამომეტყველება (წარბები შეჭმუხნული, მობრეცილი ტუჩი); სხეულის პოზა (მუშტები მოჭიმული, კუნთები დაჭიმული, ფეხები გასაქცევად მზად); რას ვგრძნობ შიგნიდან (გულისცემა გახშირებული, მუცელში მოჭერის შეგრძნება), რას ვგრძნობ გარედან (ხელის გულები და ფეხის ტერფები ოფლიანი). დაამზადეთ სხეულის დიდი კონტური და ისაუბრეთ, რა ხდება სხეულის სხვადასხვა ნაწილში – სხვადასხვა ემოციის დროს.
- ქვების ამბავი. შესთავაზეთ ბავშვებს, ბრტყელ ქვებზე დახატონ სხვადასხვა ემოციის შესაბამისი სახის ნაკვთები: თვალი, პირი. ცხვირი, წარბი. ააწყონ ბავშვებმა სხვადასხვა ემოციები. გადაუღეთ ფოტოები
- შენ რას ხედავ? ორი ბავშვი ერთმანეთის პირისპირ ჯდება. ერთმანეთს რიგრიგობით ეკითხებიან და პასუხობენ: „რას ხედავ ჩემ უკან“. შემდეგ ცვლიან ადგილებს.
- ვის ეკუთვნის. ყუთში ჩაყარეთ ნივთები. ამიოღეთ თითი-თითო და ამსჯელეთ ბავშვები, ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ეს ნივთი. ისაუბრეთ, რატომ ფიქრობენ ასე.
- გამოიცანი, ვინ რას ფიქრობს. ბარათებზე გამოსახულია სხვადასხვა პერსონაჟი. შეგიძლიათ გამოიყენოთ დასურათებული წიგნიც. სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, რომელი პერსონაჟი შეიძლება ამბობდეს ამას: „ძალიან საყვარელი ხარ“, „მიყვარს დედის ჩახუტება“, „უკვე დაღამდა“. ჰკითხეთ ბავშვებს, რატომ ფიქრობენ ასე? როგორ მიხვდნენ?

ვიქცევი დაფიქრებით

აქ გაეცნობით აღმზრდელის სტრატეგიებსა და თამაშებს თვითკონტროლზე, კერძოდ, იმპულსის კონტროლზე, ემოციების მართვაზე, დაგეგმვის უნარის ხელშეწყობასა და კონფლიქტის მოგვარების სწავლებაზე.

სტრატეგიები და გამოწვევები იმპულსის კონტროლზე

- ლოდინის პერიოდში დაასაქმეთ მარტივი თამაშით. მაგ. დათვლა, მოკლე სახალისო ლექსი, სიმღერა, ფიქრი საინტერესო ამბავზე.
- „არ გააკეთო“ შეცვალე „გააკეთე“-თი. მაგალითად, „ფრთხილად შეეხე“, „ხმადაბლა მითხარი“, „ასე მოეფერე კუს“
- მაგალითის მიცემა ბავშვებისთვის: „მოუთმენლად ველი, აღელვებული ვარ, მაგრამ მოცდა მომიწევს“
- მიეცით თავშეკავების მაგალითი: „მე მართლაც ძალიან მშია, მაგრამ შემიძლია მოვიცადო, სანამ ხელებს არ დავიბანთ და ყველანი არ დავსხდებით“, ან „მშია, მაგრამ უნდა დაველოდო, სანამ ყველა არ გადაიღებს“.

თამაშები იმპულსის კონტროლზე

ამ თამაშების ამოცანაა, ბავშვებმა შეძლონ დალოდება, გაჩერება, მოთხოვნილების დაკმაყოფილების გადავადება, მითითებების შესაბამისად მოქმედება.

შენიშვნა: ზოგიერთი ეს თამაში შეგიძლიათ, გადასვლების დროს ბავშვებს შესთავაზოთ.

- წითელი შუქი, ყვითელი შუქი, მწვანე შუქი. შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მოძრაობები: ადგილზე მარშირება, ხტუნვა, ტაში, ტრიალი. აჩვენეთ ბავშვს მწვანე, წითელი ან ყვითელი ნიშანი. მწვანეზე ბავშვებმა სწრაფად უნდა იმოძრაონ, ყვითელზე – ნელა, ხოლო წითელზე – გაჩერდნენ. მსგავსი თამაშია „იარე, იარე, იარე, შეჩერდი“. ბავშვები მწკრივში დადიან და ჩერდებიან შესაბამის ბრძანებაზე. ამ დროს უნდა გაითვალისწინოს წინ მდგომი ბავშვი და შეეცადოს, სხეული ისე მართოს, რომ არ დაეჯახოს.
- ცხოველების მიბაძვა. ათამაშეთ ბავშვები მიბაძონ ცხოველების სიარულს. „შეგიძლია, მაიმუნივით ირბინო? ან სპილოსავით ნელა იარო“
- წარმოსახვითი თამაში სხეულის მოძრაობით. მაგალითად, „ვითომ ვცურავთ ფაფაში (ან რამე ბლანტ სითხეში)“, „მძინარე გველეშაპთან ფეხაკრეფით მისვლა“. ეცადეთ, მოძრაობები მრავალფეროვანი იყოს, რომ ბავშვები ხალისით ჩაერთონ.
- ხმაურით თუ მშვიდად. აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა მოძრაობები შემდეგი მითითებით – „ხმაურით“, ან „მშვიდად“. მაგალითად, „ფეხების ბაკუნი ხმაურით“. ბავშვები ფეხებს ძლიერად და ხმაურით აბაკუნებენ. „ტაში მშვიდად“ – ბავშვები ჩუმად უკრავენ ტაშს.

- ИХВИ, ИХВИ, БАТИ. ბავშვები სხდებიან წრეში. ერთ-ერთი იხვია, ის დგება, წრეზე დადის, ბავშვებს თავზე ხელს ადებს და ამბობს – „იხვი“, „იხვი“. ერთ-ერთი ბავშვის თავზე ხელის დადებისას უცებ ამბობს – „ბატი“ და გარბის. „ბატის“ მიზანია, „იხვი“ მანამდე დაიჭიროს, სანამ ის მის ადგილას მოასწრებს დაჯდომას. თუ „იხვმა“ დაჯდომა მოასწრო, მაშინ „ბატი“ იხვად იქცევა და ახლა ის იწყებს ბავშვების გარშემო სიარულს... თუ „ბატმა“ „იხვის“ დაჭერა მოასწრო, მაშინ „იხვმა“ ახლა ბედი სხვა ბავშვზე უნდა სცადოს.
- АФРИНДА, АФРИНДА, ЖОРИ АФРИНДА. თამაშის ლიდერი სხვადასხვა რამეზე ამბობს აფრინდას, მაგალითად: „აფრინდა, აფრინდა, ჩიტი აფრინდა“, ან „აფრინდა, აფრინდა, ჭიქა აფრინდა“. ამასთან, ყველა ბრძანებაზე ხელებს მაღლა სწევს, რომ შეცდომაში შეიყვანოს ბავშვები. ბავშვებმა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ასწიონ ხელები, თუ დასახელებული საგანი დაფრინავს. სხვა შემთხვევაში ჩამოწეული ხელებით ელოდება შემდეგ ბრძანებას.
- ОРКЕСТРИ. ჯოხის სწრაფ მოძრაობაზე ბავშვები სწრაფად უკრავენ სხვადასხვა ინსტრუმენტზე (ზანზალაკი, მარაკასი), ნელ ტემპზე – ნელა. შეიძლება გავართულოთ და ვთხოვოთ, ჯოხის ნელ მოძრაობაზე სწრაფად დაუკრან და პირიქით.
- АЧЕВИ МУСИКАС. დააინტერესეთ ბავშვები სხვადასხვა რიტმის მუსიკას ააყოლონ ტაში, მოძრაობა.
- ДРАМЕРЕБИ. აღმზრდელი სხვადასხვა რიტმს უკრავს და ბავშვები ცდილობენ, აჰყვნენ.
- АРЕУЛИ СХЕУЛИС НАწИЛЕБИ. თამაშის წამყვანის მითითებაზე – „მუხლი“, ბავშვები ხელს კიდებენ ფეხის წვერს. „ფეხის წვერი“ – მუხლს; „თავი“ – ცხვირს, „ცხვირი“ – თავს.
- МЕЛА ДА ЖАТМЕБИ. მელა ზურგით დგას ბავშვებისკენ – „ქათმებისკენ“. როდესაც მელა ზურგით დგას, ქათმები ჩუმად მიიპარებიან მისკენ. როდესაც მელა მიბრუნდება მათკენ, ქათმები უნდა გაშეშდნენ. ვინც ვერ ასწრებს გაშეშებას, სამი ნაბიჯით უკან იხევს. ასე გრძელდება, სანამ რომელიმე ქათამი არ მიეპარება მელას და არ დაადებს ზურგზე ხელს.
- ЧУРАДღЕБИТ, ВЧАНЧАЛЕБТ! ЧУРАДღЕБИТ, ВШЕШДЕБИТ! ბავშები ელოდებიან აღმზრდელის ბრძანებას და შესაბამისად, ხან შეშდებიან, ხან მოძრაობენ.
- МИБАЖЕ УФРОსს. აღმზრდელი სხვადასხვა მოძრაობებს აკეთებს და ბავშვებს სთხოვს, მიბაძონ. უფრო რთული ვარიანტია, როდესაც უფროსის მოძრაობები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაიმეორონ, როდესაც სახელს იტყვის, მაგალითად: „მანანამ თქვა, ასწიეთ ხელები“ და ბავშვებმა ხელები უნდა ასწიონ. თუ მხოლოდ იტყვის: „ასწიეთ ხელები“, ეს მოძრაობა არ უნდა გაიმეორონ და მშვიდად დაელოდონ შემდეგ მითითებას. შეგიძლიათ ეს თამაში სხვადასხვა ვარიაციით ათამაშოთ – გაართულოთ ან გაამარტივოთ. შეგიძლიათ დაამზადოთ ბარათები სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. რომელ ბარათსაც წამყვანი ამოაბრუნებს, ბავშვებმა სხეულის იმ ნაწილზე სწრაფად უნდა მოიკიდონ ხელი. მთავარია, ბავშვები ყურადღებით იყვნენ და შესაბამისად იმოქმედონ.

- **სარკეში.** სთხოვეთ ბავშვებს, დაწყვილდნენ. ერთი-ერთი იქნება სარკე, მისი მეწყვილე კი – ბავშვი. სარკე იმეორებს ბავშვის მოძრაობებს, მიმიკებს. შემდეგ ისინი როლებს ცვლიან.
- **დედა.** „დედა“ დგას ბავშვების წინ და აძლევს სხვადასხვა მითითებებს. მაგალითად, „გადადგი სამი სპილოს ნაბიჯი“ და ბავშვებიც სამ დიდ ნაბიჯს დგამენ. „გადადგი 7 ჭიანჭველას ნაბიჯი“ და ბავშვები შვიდი პატარა ნაბიჯით უახლოვდებიან „დედას“. ასე გაიმეორეთ კენგურუს ორი ფეხით წინ გადახტომა, დათვის მძიმე ნაბიჯები, მაიმუნის ადგილზე ხტუნვა, ბაყაყის ჩაკუზული წინ ხტომა, ზარმაცას ნელი მოძრაობა, კიბორჩხალას უკანსვლა, ქოლგის ბრძანებაზე – ტრიალი, ცხენზე – ჭენებით სვლა, ზღვის ვარსკლავაზე – ადგილზე ხტუნვა ხელების განზე აწევა-დაწევით და ფეხების განზე გაშლა-შეტყუპებით.

შენიშვნა: თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ, ნაბიჯების რაოდენობა დაწერილი ციფრებით მიუთითოთ.

- **დღე-ღამე.** ბრძანებაზე დღე – ბავშვები დგებიან, ღამეზე – სხდებიან.
- **მძინარე ლომი.** ბავშვები წვანან, ვითომ მძინარე ლომები არიან. ერთი ბავშვი მათ გაღვიძებას სხვადასხვა სასაცილო მოქმედებებით, ფრაზებით, დაჟინებული მზერით ცდილობს. ხელით შეხება არ არის დაშვებული. მოგებულია ის, ვინც თვალდახუჭული, გაუნძრევლად გაძლებს ბოლომდე.

სტრატეგიები და გამოწვევები ემოციების კონტროლზე

- სიტუაციის აღწერა სიტყვებით, რომ ბავშვს დაეხმაროთ გაიგოს, რა ხდება, გააცნობიეროს თავისი ემოციები, რაც შემდგომში ამ ემოციების გაკონტროლებაში დაეხმარება. მაგ. „ძალიან ეცადე! მაგრამ იმედგაცრუებული ხარ, რომ ვერ იპოვე ნაწილები, რომელიც ერთმანეთს მოერგება“.
- არ უგულებელყოთ ბავშვების ძლიერი ემოციები, ბრაზი. დაეხმარეთ გაიგონ, რას გრძნობენ და რატომ განიცდიან ამას. ამით აგრძობინებთ, რომ მის გვერდით ხართ, გესმით მისი და უფრო მეტად მოგისმენთ.
- აღნიშნე ბრაზის გამკლავების წარმატება: „ლუკა, ვხედავ, როგორ შეიკავე თავი და გამოიყენე კუს ტექნიკა ბრაზის სამართავად. ვამაყობ შენით.“

თამაშები ემოციების კონტროლზე

- ბრაზის მართვა. ბავშვებს დილის წრეზე, ან მცირე ჯგუფებში გააცანით გმირი, რომელიც ხშირად ბრაზობს. ასაუბრეთ ბავშვები, ვინ რაზე ბრაზობს და როგორ გამოხატავს ბრაზს. იმსჯელეთ, გამოხატვის რა ფორმებია მისაღები და რატომ. აჩვენეთ, როგორ უმკლავდება ეს გმირი ბრაზს. არსებობს სხვადასხვა მიდგომები და ხერხები ადრეულ ასაკში ბრაზის მართვის სწავლებაზე, მაგალითად კუს მეთოდი. იმისათვის, რომ ბავშვებმა ეს ხერხები დაისწავლონ, იყავით თანმიმდევრულები და სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა დროს გაიმეორეთ და გაამეორებინეთ ბავშვებს:

- უამბეთ რამე, რაც ბავშვებს, სავარაუდოდ, გააბრაზებს. აჩვენეთ, რა უნდა გააკეთოს, ბრაზს რომ გაუმკლავდეს.
- მოაწყეთ კუთხე, სადაც გამოაკრავთ ბარათებს ბრაზის მართვაზე. საჭიროების შემთხვევაში, შეახსენეთ ბავშვებს ეს ტექნიკები.
- წიგნის კითხვის დროს, თუ რომელიმე გმირი ბრაზობს, შეახსენეთ დასწავლილი ტექნიკები, რას იყენებენ ისინი ბრაზის სამართავად.
- ხელოვნების ცენტრში შესთავაზეთ, დახატონ ან შექმნან თემატურად: „როცა ვბრაზობ“, „მე მოვერიე ბრაზს“.

- თვითდამშვიდება. ასწავლეთ ბავშვებს დამშვიდების და ემოციების გამკლავების გზები. მაგალითად: ღრმად სუნთქვა, რელაქსაცია – კუნთების დაჭიმვა-მოდუნება, საყვარელი მუსიკის მოსმენა და ა.შ.
- მოაწყეთ სპეციალური მყუდრო კუთხე, სადაც მოათავსებთ სპეციალურ ყუთს დასამშვიდებელი მასალებით. ეს შეიძლება იყოს: სპეციალური გასაფერადებელი, მაგ. მანდალა, მუსიკის მოსასმენი აღჭურვილობა, ბუშტუკებიანი შესაფუთი, რბილი ბურთი, ჩასახუტებელი რბილი სათამაშო, სენსორული ბოთლი ან სხვა სენსორული სათამაშო, სათამაშო ზამბარა, ჯოხზე ჩამოცმული ბზრიალა. შეგიძლიათ დაამზადოთ პოსტერი – „როგორ შეგვიძლია დავმშვიდდეთ“, რომელსაც ამ კუთხეში გამოაკრავთ. როდესაც --- ამას ვგრძნობ, --- მეხმარება, იხ ნიმუში.
- ბრაზის საზომი „ბრაზომეტრი“ (მშვიდი – გაღიზიანებული – გაბრაზებული – ძალიან გაბრაზებული). ბრაზომეტრი შეგიძლიათ გამოაკრათ ბრაზის მართვის ბარათების გვერდით. ეს იქნება თვალსაჩინო მასალა იმის დემონსტრირებისთვის, როგორ იცვლება ერთი და იგივე ემოციის ინტენსივობა და როგორ შეიძლება ადრეულ ეტაპზე მისი ამოცნობა, სანამ გაძლიერდება. გამოიყენეთ „ბრაზომეტრი“ ემოციების კომუნიკაციისთვის: „აბა, ამ სახეებზე მაჩვენე, როგორი გაბრაზებული იყავი. რამდენად ძლიერი იყო შენი ბრაზი“.

სტრატეგიები და გამოწვევები დაგეგმვის უნარის ხელშეწყობაზე

- დილით მოსულ ბავშვებს ჰკითხეთ, რისი გაკეთება უნდათ. მზად იყავით რჩევების მისაცემად. ამავე დროს, მიეცით შანსი, თავად შეადგინონ გეგმა.
- სთხოვეთ ბავშვებს, დაფიქრდნენ, რა ნივთები სჭირდებათ თამაშისთვის. მაგალითად, თუ ბავშვი იტყვის, რომ სენსორულ მაგიდასთან, ქვიშაში თამაში უნდა, დაუსვით ისეთი კითხვები, რაც დაგეგმვაში დაეხმარება: „რა გინდა გამოიყენო? შეძლებ, თვითონ აიღო?“
- მაგალითი მიეცით და გაახმოვანეთ, როგორ გეგმავთ. მაგალითად, როცა ხელოვნების პროექტისთვის მასალას ამზადებთ, ხმამაღლა აღნიშნეთ: „ამ მაგიდასთან სამი ბავშვის ადგილია, უნდა ავიღო სამი სამუშაო ხალათი, სამი ფუნჯი და სამი სახატავი ჭიქა“. „მინდა, კუბურებისგან ციხესიმაგრე ავაშენო. ამისთვის, ჯერ მყარი საძირკველი უნდა გავაკეთო“.

- თამაშის დასრულების შემდეგ, ჰკითხეთ ბავშვებს, გაიხსენონ გეგმა და გაიაზრონ, როგორ შეასრულეს. მაგალითად, როგორ შევღებეთ ჩვენი ფიგურები, დავსვარეთ ტანსაცმელი? როგორი გამოვიდა შენობა? რა მასალა გამოვიყენეთ? რომელი მასალით გაგვიჭირდა კონსტრუქციის აგება, რომლით იყო ადვილი? როგორ გადაჭერით პრობლემა? და ა.შ.
- ექსკურსიების დაგეგმვისას დაეხმარეთ ბავშვებს, იფიქრონ ყველაფერზე: რას ნახავენ, რისი გაკეთება მოუწევთ. დასრულებისას, ისევ განიხილეთ, როგორ იყო ეს ყველაფერი. დაფიქრდნენ, რას ელოდნენ და რა მოხდა განსხვავებული.
- თამაშის დაწყების წინ ჰკითხეთ ბავშვებს, რა აქვთ ჩაფიქრებული. მაგალითად, „გაქვს რამე იდეა, რა უნდა ააშენო, რა უნდა დახატო, გამოძერწო“.
- ბავშვებთან საუბარი იმის შესახებ, რა მოხდება ხვალ, ეხმარება მათ ფიქრში. შეეცადეთ, გაზარდოთ მათი ცნობისმოყვარეობა, დააინტერესეთ და სთხოვეთ, თვითონაც მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებაში. „ხვალ შევღებავთ ჩვენს ხის ფიგურებს. ნიკა, რომელი ფერით გინდა, შენი ფიგურა შეღებო? რა უნდა გავაკეთოთ, საღებავებით რომ არ დავისვაროთ ტანსაცმელი?“
- განავრცეთ ბავშვის იდეები: „რა შეიძლება კიდევ დავდოთ ამ ციხესიმაგრეზე?“

თამაშები დაგეგმვის უნარზე

შენიშვნა: ნებისმიერი თამაში, სადაც ბავშვი ინტერესით მონაწილეობს და მისი სცენარით ან გეგმით მიმდინარეობს, დაგეგმვის უნარების განვითარებას უწყობს ხელს. გამოიყენეთ ნებისმიერი თამაშის დროს ზემოთ მოცემული სტრატეგიები და ეს თამაშები დაგეგმვის უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს.

სტრატეგიები და გამოწვევები კონფლიქტის და პრობლემის გადაჭრაზე

- მიეცით პრობლემაზე და მის გადაჭრის გზებზე დაფიქრების მაგალითი: როცა ზედა თაროდან რამე საგნის აღებას ცდილობთ, შეგიძლიათ თქვათ: „ვერ ვწვდები თაროს, შემიძლია სკამზე დავდგე, მაგრამ ეს სკამები მორყეულია. უმჯობესია, გასაშლელი კიბე გამოვიყენო“.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება. მიეცით მაგალითი და გამოთქვით აზრი პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზაზე.
- ჩართეთ ბავშვები ჯგუფში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში. მაგალითად, „ბავშვებო, შევამჩნიე, რომ ზოგიერთი თქვენგანი დალაგებაში არ მონაწილეობდით. მოდი მოვიფიქროთ, როგორ დავალაგოთ და დავასუფთაოთ ყველამ ერთად და უფრო სწრაფად“.
- ასწავლეთ ბავშვებს, მისაღები ფორმით თქვან, რა არ მოსწონთ, რას არ ეთანხმებიან და დაიცვან თავიანთი უფლებები. მაგალითად: „უთხარი ლევანს, რომ არ მოგწონს, როცა ხელს გკრავს“ ან „ლიკას სთხოვე, იქნებ ფერადი ცარცი გათხოვოს“.

თამაშები კონფლიქტის და პრობლემის გადაჭრის სწავლებაზე

- მარიონეტები და თოჯინები. ბავშვებისთვის დამახასიათებელი კონფლიქტური სიტუაციების მარიონეტებით და თოჯინებით გათამაშება ეხმარება ბავშვებს, ახლებურად დაინახონ სიტუაცია. ეს პრობლემის გადაწყვეტის შესახებ დისკუსიის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, თუ თქვენს ჯგუფში ბავშვებს სათამაშოების განაწილების პრობლემა აქვთ, მსგავსი სიტუაცია პლუშის ცხოველების გამოყენებით გაითამაშეთ: გიგი თამაშობს ბურთით, რომელიც კატომ მოიტანა სახლიდან. კატომ დაინახა და ყვირილით დაედევნა: „ჩემია, დამიბრუნე“. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა კატო? რას გრძნობდა გიგი? გაქვთ რამე მოსაზრება, თუ როგორ უნდა მოაგვარონ ეს საქმე?
- დავფიქრდეთ პრობლემაზე. აფიქრეთ ბავშვები, რამხელა შეიძლება იყოს პრობლემა: პატარა (რომელსაც დამოუკიდებლად მოაგვარებ), საშუალო (როცა მცირედი დახმარებაც საკმარისია), დიდი (მეტი დახმარება გჭირდება). გამოიყენეთ სამი ზომის წრე და ბარათები შემდეგ სიტუაციებზე: ორი ბავშვი ერთ სათამაშოზე ჩხუბობს; ბავშვები კამათობენ; სათამაშო გაუფუჭდა და დაღონებულია; ერთი ბავშვი მეორეს ურტყამს; ერთი მეორეს თავის გვერდით არ სვამს; ბავშვები თამაშობენ და ერთი ბავშვი შორიდან უყურებს; იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად და დაალაგეთ ბარათები პრობლემის აღმნიშვნელ შესაბამის წრეზე. ასევე, იმსჯელეთ, როგორ უნდა მოაგვარონ თითოეული პრობლემა.
- პრობლემის გადაჭრის ყუთი. ჩამოწერეთ პრობლემის მოგვარების ხერხები. მაგალითად, ვეძახი აღმზრდელს, ვთხოვ თავაზიანად, ველოდები ჩემს რიგს, ვაიგნორებ. სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მიდგომა შეიძლება იყოს ეფექტური. ამიტომ, ბავშვებმა უნდა ისწავლონ დამოუკიდებლად ფიქრი, რა შესაძლებლობები არსებობს და რა დროს რისი გამოყენება იქნება შედეგიანი. დაამზადეთ ბარათები, თითო ბარათზე დახატეთ და მიაწერეთ პრობლემის გამკლავების გზა. ლამინირებული ბარათები ააცვით ჯაჭვზე, ან მოათავსეთ სპეციალურ „პრობლემის გადაჭრის“ ყუთში. ისაუბრეთ და ავარჯიშეთ ბავშვები დილის წრეზე, მცირე ჯგუფებში. ჰკითხეთ, ჯგუფისთვის დამახასიათებელ პრობლემურ სიტუაციებში, რა გზას აირჩევენ პრობლემის მოსაგვარებლად. ეს ბარათები კარგი საშუალებაა პრობლემის მოგვარების სწავლების პირველ ეტაპზე და ამასთან, ბავშვებისთვის თვალსაჩინოს ხდის პრობლემის მოსაგვარებელ მრავალფეროვან გზებს. შემდეგ, მათ ბარათებისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ იფიქრონ პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ხერხზე. ზემოთ მოცემულ სტრატეგიებში ეს მიდგომა თვალსაჩინოდაა აღწერილი. ამ მიდგომისას გარკვეული ჩარჩო მაინც გჭირდებათ, რომ ბავშვები აფიქროთ, აკმაყოფილებს თუ არა მათი არჩეული გზა შემდეგ სამ მნიშვნელოვან წესს: გზა, რომელიც ავირჩიე 1) ზიანის მომტანია თუ არა სხვებისთვის 2) არის თუ არა სამართლიანი და 3) როგორ იგრძნობენ თავს სხვები.
- სპიკერის ჯოხი. კონფლიქტის მოგვარებისას მნიშვნელოვანია, ბავშვებმა ისწავლონ სხვისი მოსმენა და დალოდება. ამისათვის, გააცანით ბავშვებს დამხმარე საშუალებები და შესაბამისი წესები. მაგალითად, შესთავაზეთ სპიკერის სპეციალური ჯოხი, ან რამე სხვა ნივთი,

რაც გაუადვილებს, გააკონტროლონ თავიანთი ქცევა და მოუსმინონ სხვას. ვისაც ეს ნივთი ხელში უჭირავს, ის საუბრობს. როდესაც საკუთარი აზრის გამოთქმას დაასრულებს, ნივთი სხვას უნდა გადასცეს. ეს თამაში დიალოგის – მოსმენა, საუბრის – გაკონტროლებაში დაეხმარება ბავშვებს.

- მოლაპარაკების მაგიდა. დააწესეთ ყოველდღიური პროცედურა კონფლიქტების მოსაგვარებლად და ასწავლეთ ბავშვებს კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები. ბავშვებმა უნდა ისწავლონ, რომ თამაშის დროს წარმოქმნილი კონფლიქტები მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა მოაგვარონ. და მხოლოდ მაშინ ადგნენ, როდესაც მოილაპარაკებენ. ასევე შეიმუშავეთ სპეციალური წესები მოლაპარაკების მაგიდისთვის, რომელიც იქვე, თვალსაჩინოდ იქნება გამოკრული. მაგალითად: ვუსმენ ყურადღებით; გასაგებად ვეუბნები და ვუხსნი, მე რა მინდა და რატომ; ვდგებით, როდესაც მოვილაპარაკებთ და ა.შ.
- დააპაუზე და დაფიქრდი. შექმენით „პაუზის ღილაკები“, დაურიგეთ ბავშვებს. უამბეთ ისეთი სიტუაციები, სადაც ბავშვი არ იღებს სწორ გადაწყვეტილებას, ან არ იქცევა სწორად. ბავშვებმა ასეთ დროს ხელი უნდა დააჭირონ ღილაკს და დაფიქრდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ გადაწყვეტილებას. გართულებული ვარიანტი: დაუმატეთ უკან გადახვევის ღილაკი და ბავშვები აფიქრეთ, როგორ შეიძლება მოიქცე ამ სიტუაციაში. სთხოვეთ ბავშვებს, ხელოვნების ცენტრში დისტანციური მართვის პულტი (შესაბამისი ღილაკებით) გააკეთონ, გააფორმონ სურვილისამებრ და გამოიყენეთ ამ თამაშისთვის.

კვლევა-აღმოჩენა. სტრატეგიები და თამაშები მიმართულებებიდან

ხელოვნება

ვიზუალური ხელოვნება

სტრატეგიები

- წაახალისეთ სამხატვრო მასალების თავისუფლად გამოყენება, მიეცით საშუალება, თავად აირჩიონ სამხატვრო რესურსი ნამუშევრის შექმნისას.
- დაუსვით ღია შეკითხვები მასალებთან დაკავშირებით (როგორ ფიქრობ, რა მოხდება, ამ ფერებს რომ შეურევ? რას ფიქრობ, როგორ კვალს დატოვებს ეს პასტელი? შენი აზრით, როგორ უნდა დამაგრდეს ეს ორი ნაწილი ერთმანეთთან?).
- მიეცით ბავშვს თავისუფლება ხატვის დროს, ნუ შესთავაზებთ მზა ნახატის ნიმუშს, ნუ „ასწავლით“ ხატვას.
- შესთავაზეთ რესურსის განსხვავებული სახით გამოყენება. წაახალისეთ ბავშვები, რომ თამამად ჩაატარონ ექსპერიმენტები (მაგალითად, მშრალი ფუნჯით ხატვა, ფანქრების კონით ხატვა ერთი ფანქრის ნაცვლად, საღებავის დამზადება საკვები მასალით).
- მიეცით ბავშვებს საკმარისი დრო, ნუ დააჩქარებთ.

- თითოეულ ბავშვს მიეცით საშუალება, გამოფინოს თავისი ნამუშევარი ჯგუფის საგამოფენო სივრცეში ან დერეფანში.
- წაახალისეთ, რომ ცდისა და შეცდომის მეთოდით იპოვონ სხვადასხვა სამხატვრო მასალის გამოყენების გზა.
- გამოხატეთ ინტერესი ბავშვის შემოქმედების მიმართ.

თამაშები

- შექმენით გამოწვევები და წაახალისეთ ბავშვები, რომ სხვადასხვა მასალებით ხატონ: ფანქრები, პასტელები, სხვადასხვა სახის საღებავი, სხვადასხვა ფორმის ფუნჯი და ა.შ.
- წაახალისეთ შექმნას მარტივი ნახატი, ავტოპორტრეტი, ნატურმორტი და ა.შ.
- შესთავაზეთ სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი (თეთრი, ფერადი ფურცელი, შესაფუთი, გაზეთის ქაღალდი და სხვ.), ან ზედაპირი (მაგ. მუშამბა, ქსოვილი და ა.შ.) და წაახალისეთ, რომ ხატონ მასზე სხვადასხვა სამხატვრო მასალებით.
- წაახალისეთ, რომ ძერწონ სხვადასხვა მასალით: თიხა, პლასტელინი, მარილიანი ცომი, წყალში დამბალი ქაღალდი და ა.შ.
- შესთავაზეთ ბუნებრივი და მეორადი მასალები და წაახალისეთ, რომ შექმნან სამგანზომილებიანი ქანდაკებები.
- შესთავაზეთ მასალები კოლაჟის დასამზადებლად.
- წაახალისეთ ბავშვები, რომ ანაბეჭდებით შექმნან ნამუშევრები.
- შესთავაზეთ ბავშვებს ტრაფარეტების დამზადება და შემდეგ მათი გამოყენება ნამუშევრის შესაქმნელად.
- შესთავაზეთ მეორადი მასალები თოჯინების დასამზადებლად.
- წაახალისეთ, რომ დაამზადონ ხელნაკეთი წიგნები.
- გააცანით ბავშვებს პაპიე-მაშეს ტექნიკა. წაახალისეთ, რომ შექმნან ნაკეთობები ამ ტექნიკების გამოყენებით.
- დაათვალიერეთ ცნობილი მხატვრების რეპროდუქციები. წაახალისეთ, იმსჯელონ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება.
- დაათვალიერეთ ხელოვნების სხვადასხვა დარგების ნიმუშები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. წაახალისეთ, რომ იმსჯელონ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.
- წაიყვანეთ მუზეუმში, საგამოფენო დარბაზში. წაახალისეთ, იმსჯელონ ნანახზე.

საშემსრულებლო ხელოვნება

სტრატეგიები

- აღწერეთ თქვენი ემოციები მუსიკის მოსმენისას. წაახალისეთ ბავშვები, რომ საკუთარ განცდებზე ისაუბრონ.

- თავად მიიღეთ სიამოვნება მუსიკისა და ცეკვისგან, გამოხატეთ თქვენი განცდები, იმღერეთ ბავშვებთან ერთად.
- ნუ იქნებით შემფასებლური მაშინ, როცა ბავშვები მღერიან ან ცეკვავენ. წაახალისეთ მათი შემოქმედებითობა, გამოხატეთ ინტერესი ბავშვის შემოქმედების მიმართ.
- გამოიყენეთ მუსიკა გადასვლების დროს, რუტინული საქმიანობების დროს.
- დაუსვით ღია შეკითხვები – რას გრძნობ ამ მუსიკის მოსმენისას? რას გაგონებს ეს ხმა?
- ცეკვისას აღწერეთ ბავშვების მოძრაობა, დაუსვით ღია შეკითხვები: რას გავს ეს მოძრაობა?
- შესთავაზეთ ბავშვებს მრავალფეროვანი მუსიკალური მასალა, სხვადასხვა ინსტრუმენტები. წაახალისეთ, მოსინჯონ, დააკვირდნენ ჟღერადობას, იკვლიონ, ჩაატარონ ექსპერიმენტები.
- გამოიყენეთ თამაშის ელემენტები გადასვლების დროს, რუტინული საქმიანობების დროს.

თამაშები

- წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ მუსიკალური ინსტრუმენტები.
- მიეცით საშუალება, თავად შექმნან რიტმი/მელოდია მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენებით.
- შესთავაზეთ სახვადასხვა სახის საკრავები ჟღერადობის მოსასმენად.
- ეთამაშეთ მუსიკალური თამაშები.
- მოასმენინეთ სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, წაახალისეთ აყვნენ მუსიკას რიტმში, იმღერონ.
- მიეცით საშუალება, იცეკვონ მუსიკის თანხლებით. წაახალისეთ, მოიგონონ ილეთები.
- შესთავაზეთ ოპერის, ბალეტის, საბავშვო სპექტაკლების ვიდეოჩანაწერები.
- წაახალისეთ, თავად შეთხზან სიმღერის ტექსტები. შესაძლოა, ნაცნობ სიმღერას შეუცვალონ ტექსტი, ან ნაცნობი მელოდია გამოიყენონ.
- წაახალისეთ, ჩაერთონ დრამატულ თამაშში.
- წაახალისეთ, გაახმოვანონ ცხოველები, ფრინველები, მიბაძონ მათ მოძრაობით.
- მიეცით საშუალება, განასახიერონ როლები, გარდაისახონ. შესთავაზეთ შესაბამისი ატრიბუტიკა, აქსესუარები, რათა როლის მორგება შეძლონ.
- შესთავაზეთ ნამდვილი ნივთები სათამაშოდ, წაახალისეთ წარმოსახვითი თამაშები.

წიგნიერება

წიგნთან ურთიერთობა

სტრატეგიები

- შექმენით ჯგუფში მყუდრო ადგილი, სადაც წიგნების დათვალიერების/კითხვის საშუალება იქნება.

- ყოველდღე მიეცით ბავშვებს იმისი საშუალება, რომ წიგნების თვალიერებით ისიამოვნონ.
- ყოველდღიურად უკითხეთ ასაკის შესაბამისი წიგნები, თუნდაც ნაცნობი ისტორიები.
- წიგნის კითხვისას გამოიყენეთ ინტერაქციული კითხვის მეთოდები – დაუსვით ბავშვებს ღია კითხვები პერსონაჟის, წიგნის სიუჟეტთან დაკავშირებით.
- შეაჩერეთ კითხვა /თხრობა და სთხოვეთ ბავშვებს, ივარაუდონ სიუჟეტის გაგრძელება.
- ნაცნობი ისტორიების კითხვის დროს გამოტოვეთ სიტყვები და სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ, რა გამოტოვეთ.
- კითხვის დროს გამოიყენეთ თოჯინა-ხელთათმანები, ფლანელის დაფა ქსოვილის პერსონაჟებით, ილუსტრაციები. ეს მასალა საშუალებას მოგცემთ, „გააცოცხლოთ“ წიგნის პერსონაჟები.
- პერიოდულად ცვალეთ ჯგუფში არსებული წიგნები, რათა ბავშვების ცნობისმოყვარეობა და ინტერესი შეინარჩუნოთ.

თამაშები

- შესთავაზეთ ბავშვებს დასურათებული წიგნები დასათვალიერებლად.
- შესთავაზეთ სხვადასხვა თემატიკის წიგნები, წაუკითხეთ ხმამაღლა.
- გამოიყენეთ ნაცნობი წიგნების აუდიოჩანაწერები, მოასმენინეთ ბავშვებს.
- წაახალისეთ ბავშვები, განასახიერონ წიგნების პერსონაჟები, გაითამაშონ სცენები ნაცნობი წიგნებიდან.
- შესთავაზეთ ბავშვებს, თავად შექმნან ნაცნობი წიგნების აუდიოჩანაწერები.
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ნაცნობი წიგნების პერსონაჟები. შესაძლოა, დახატონ მხოლოდ კონტურული ნახატი, დაამზადონ ასლები და გასაფერადებლად გამოიყენონ.
- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ნაცნობი ზღაპრების ლოტო, ფაზლი ან სხვა სამაგიდო თამაშები.
- აირჩიეთ კვირის თემად ბავშვების საყვარელი წიგნები, დაგეგმეთ სხვადასხვა ტიპის აქტივობები ბავშვებისთვის ნაცნობი წიგნების სიუჟეტზე დაყრდნობით.
- შესთავაზეთ ილუსტრაციები და წაახალისეთ ბავშვები, შეთხზან ამბავი ნახატების გამოყენებით.

წერა-კითხვა

სტრატეგიები

- თამაშის დროს ჩაიწერეთ ბავშვების ნათქვამები.
- ჯგუფის გარემოში გამოიყენეთ როგორც ვიზუალური მინიშნებები, ასევე წარწერები.
- წაახალისეთ ბავშვები, მაგალითად დრამატული თამაშისას, წარმოსახვითი წერა გამოიყენონ.

- ამობეჭდეთ სიტყვები, ჯგუფის სივრცეში ნივთებზე დაამაგრეთ. მაგალითად: „მაგიდა“, „თარო“, „კარადა“, „კედელი“ და ა,შ.
- შეიტანეთ ჯგუფში მასალა, რომელზეც არის ბეჭდური ტექსტი.
- მიეცით საშუალება, გამოჭრან, გამოიყენონ სხვადასხვა სახატავი საშუალებები, საძერწი საშუალებები.
- ჯგუფში – თემის შესაბამისად – გამოაკარით წარწერებიანი პოსტერები.
- დაუწერეთ ბავშვებს სახელები და ხმამაღლა წაიკითხეთ.
- კითხვისას გააყოლეთ თითი ნაბეჭდს.
- წაუკითხეთ ისტორიები, სადაც ხშირად მეორდება ერთი და იგივე სიტყვები.
- გადასვლების დროს გამოიყენეთ ენის გასატეხები, გასათვლელები.
- დრამატული თამაშის დროს ყურადღება გაამახვილეთ ნაწერებზე, მაგალითად, ხმამაღლა წაიკითხეთ რა წერია რძის ბოთლის ეტიკეტზე.
- ქალაქში ექსკურსიის დროს წაახალისეთ, ყურადღება მიაქციონ სხვადასხვა ნიშანს ან სიმბოლოს, მაღაზიის აბრებს, საგზაო ნიშნებს და ა.შ.
- ჩაიწერეთ ბავშვების ნამუშევრებზე გაკეთებული კომენტარები.
- წაახალისეთ, ხელი მოაწერონ თავიანთ ნამუშევარს.
- მათთან ერთად ითამაშეთ დრამატული თამაშები, სადაც წერის მაგალითს აჩვენებთ, მაგალითად, გამოუწერთ წამალს პაციენტს, ჩაიწერთ საყიდლების სიას.

თამაშები

- წაახალისეთ ბავშვები, შეთხზან ამბები, მოიგონონ ისტორიები. შესაძლოა, ამ ისტორიებზე დაყრდნობით, დაამზადოთ წიგნები.
- ითამაშეთ სიტყვების თამაშები – ახალი სიტყვის მოფიქრება სიტყვის პირველ ასოზე, ერთნაირი ბეჭდური სიტყვების მოძებნა, ნაბეჭდი და ნაწერი სიტყვების დახარისხება.
- დაამზადეთ მუყაოს ფორმები, დახვრიტეთ გარკვეული შუალედით და წაახალისეთ ბავშვები, გაუყარონ ზონარი.
- მოამზადეთ ლანგარი, დაყარეთ ქვიშა და წაახალისეთ ბავშვები, ქვიშაზე ხატონ.
- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ სენსორული ანბანის წიგნი.
- წაახალისეთ, რომ დაამზადონ მისალოცი/მოსაწვევი ბარათები სხვადასხვა დღესასწაულებისთვის.
- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ანბანის ლოტო და წაახალისეთ, რომ ითამაშონ.
- შესთავაზეთ ბავშვებს გასაფერადებლები ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე.
- ათამაშეთ რიტმული თამაშები, თამაშები თითების გამოყენებით.
- შესთავაზეთ ორნამენტები და შესთავაზეთ ასლების გაკეთება.

მეცნიერება

სხეული

სტრატეგიები

- დაეხმარეთ, ასწავლეთ, როგორ იყვნენ უფრო ჯანმრთელები. თვალსაჩინოებების გამოყენებით ისაუბრეთ ჰიგიენის დაცვაზე.
- მიეცით ბავშვებს საშუალება, ყოველდღიურად ჩაერთონ ასაკის შესაბამის ფიზიკურ აქტივობებში, მოძრავ თამაშებში;
- ბაღის შენობაში გამოყავით სივრცე – დარბაზი, სადაც, ძლიერი უამინდობის შემთხვევაში, ბავშვები მოძრავი თამაშებით დაკავდებიან;
- მოაწყვეთ ეზოს ფიზიკური გარემო ისე, რომ ბავშვებს სხვადასხვა სახის მოძრავ თამაშებში ჩართვის საშუალება ჰქონდეთ – სარბენი ბილიკი, ადგილი ველოსიპედის სატარებლად, საძრომიალო და ა.შ.
- ისაუბრეთ სხეულისათვის სასარგებლო ჩვევებზე, ფიზიკურ აქტივობაზე, ვარჯიშზე, კვებაზე, სუნთქვაზე და სუფთა ჰაერზე.
- მიყევით ბავშვების ინტერესს, ესაუბრეთ და აღწერეთ მათი მოქმედებები: „რა შორს გადახტი, რა მაღლა აცოცდი, როგორ დარბიხარ ასკინკილით.“
- დაუსვით ღია კითხვები, რისი კეთება მოგწონს ყველაზე მეტად? რას გრძნობ ბევრი სირბილის შემდეგ?
- შეუერთდით ბავშვების თამაშებს.
- დარწმუნდით, რომ ყველას ესმის თამაშის წესები.
- დაეხმარეთ ერთმანეთთან კომუნიკაციაში: „მოდი, ეს ბურთი ნიკოს გადავუგდოთ.“
- შეაჩერეთ სახიფათო მოძრაობები, კითხეთ: „როგორ ფიქრობ, რატომ არის საშიში, სწრაფად რომ მოძრაობ?“

თამაშები

- სხეულის სხვადასხვა ნაწილებისა და კოორდინაციის გასავითარებლად შესთავაზეთ ბავშვებს ასაკის შესაბამისი ფიზიკური აქტივობები, როგორც ვარჯიშის (ცეკვა, აერობიკა, იოგა..), ასევე მოძრავი თამაშების სახით.
- წაახალისეთ იხტუნონ, ირბინონ, იცოცონ, გააკეთონ ბუქნები, დაეკიდონ, იხტუნონ ასკინკილით.
- შესთავაზეთ ბავშვებს, მოიფიქრონ ახალი ვარჯიშები. შემდეგ ჩაურთეთ მუსიკა და წაახალისეთ, მუსიკის რიტმის შესაბამისად ახალი ვარჯიშები მოიფიქრონ;
- შესთავაზეთ ბავშვებს თამაშები სხვადასხვა სპორტული ინვენტარის გამოყენებით: ბურთი, სახტუნაო, ჰულაჰუპი და ა.შ.

- წაახალისეთ ბავშვები, მოიფიქრონ ახალი მოძრავი თამაშები, თავად შეიმუშავონ წესები, ან ნაცნობი თამაშების მათეული ინტერპრეტაცია მოიგონონ;
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ სხეულის ნაწილები.
- შესთავაზეთ ბავშვებს სენსორული მასალები და დაგეგმეთ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სმენის, მხედველობის, ყნოსვის, გემოს და შეხების შეგრძნებების განვითარებას (ცომი, ქვიშა, ხელის საღებავები და ა.შ.).
- ჩართეთ სახალისო აქტივობებში, რომელთა საშუალებითაც ბავშვები ისწავლიან ხელების სწორად დაბანას, კბილების გახეხვას, ცხვირის მოხოცვას, ტუალეტით სარგებლობას და ა.შ.
- შესთავაზეთ ფონენდოსკოპი გულისცემის მოსასმენად, უსაფრთხო თერმომეტრი სიცხის გასასინჯად.
- შესთავაზეთ რენტგენის ფირები, სადაც ჩანს ადამიანის შინაგანი ორგანოები, ძვლები.
- შესთავაზეთ ბავშვებს საბავშვო ილუსტრირებული წიგნები ადამიანის აგებულებაზე.

ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება

სტრატეგიები

- აირჩიეთ პროექტის თემებად მცენარეები და ცხოველები.
- მეცნიერებაში კვლევის, აღმოჩენის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია, თვალსაჩინოების სახით გამოიყენოთ ნამდვილი, ან ნამდვილს მიმსგავსებული ნივთები და ნახატები. მაგალითად, ფოთლებზე საუბრისას გამოიყენეთ ნამდვილი ფოთლები; ცხოველებზე საუბრისას – ცხოველების ფოტოები, ან ნამდვილს ძალიან მიმსგავსებული ნახატები.
- ბავშვებს მათივე კითხვები შეუბრუნეთ – „ შენ როგორ ფიქრობ?“ მიეცით საშუალება, გამოთქვან თავიანთი ვარაუდები. მოიფიქრონ, როგორ შეიძლება იპოვონ პასუხები საკუთარ კითხვებზე და შემდეგ, გადაამოწმონ სხვადასხვა საშუალებით: ინფორმაციის ენციკლოპედიაში ან ინტერნეტში მოძიებით, ექსპერტთან დაკავშირებით ან ცდის ჩატარებით.
- ეცადეთ დასვათ ღია კითხვები, რომლებიც ბავშვს შემდგომი კვლევისა და დაკვირვებისკენ უბიძგებს: „ როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე? რამ გამოიწვია? რა მოხდება, თუ?“.
- დაეხმარეთ ბავშვებს არა კონკრეტული ფაქტების დამახსოვრებაში, არამედ კანონზომიერებების გააზრებაში. მაგალითად, ცოცხალ არსებებს სჭირდებათ საკვები, ისინი იზრდებიან, მრავლდებიან, დამოკიდებულები არიან ერთმანეთზე და ა.შ.
- ბავშვებს შესთავაზეთ კონკრეტული, გამზადებული მასალა რამე ცდისათვის, რომელიც მათ კონკრეტული საკითხის გამოსაკვლევად მიიზიდავს. მაგალითად, რამდენიმე სახის თესლი, ქოთნები, ნიადაგი, ნიჩაბი და სარწყავი წყალი.

თამაშები

- წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენეონ ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა გამადიდებელი შუშა, მიკროსკოპი.
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მცენარის თესლები, ნერგები, მიწა და პატარა ქოთნები. წაახალისეთ, რომ დათესონ, დარგონ, მორწყან, გაზარდონ და დააკვირდნენ ზრდისა და განვითარების პროცესს.
- წაახალისეთ დაკვირვების პროცესი, ექსპერიმენტის მსვლელობა ჩაინიშნონ სხვადასხვა საშუალებებით, ჩანახატებით, ფოტოებით.
- წაუკითხეთ ბავშვებს მცენარეებისა და ცხოველების შესახებ, მათ განსხვავებულ საჭიროებებზე, გარემო პირობებზე, წეს – ჩვეულებებზე, საცხოვრებელზე.
- შესთავაზეთ ბავშვებს მცენარეებითა და ცხოველებით დასურათებული ენციკლოპედიები. წაახალისეთ, აღწერონ და შეადარონ ერთმანეთს.
- პერიოდულად შეიყვანეთ ჯგუფში რამე შინაური ცხოველი, რომელსაც ბავშვები მოუვლიან.
- შესთავაზეთ ბავშვებს, დააკვირდნენ სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, მწერების ცხოვრების ციკლს. აღწერონ და ისაუბრენ მის თავისებურებებზე.
- ხელი შეუწყეთ ბავშვების ხშირ კონტაქტს ბუნებასთან, ეზოში ყოფნისას წაახალისეთ, რომ დააკვირდნენ, შეაგროვონ ბუნებრივი მასალები, ფოთლები, ჯოხები, ქვები და ა.შ.

საგნები და მოვლენები

სტრატეგიები

- გამოიყენეთ ღია კითხვები, გაამახვილეთ ბავშვების ყურადღება სხვადასხვა მოვლენაზე, იმისათვის, რომ ბავშვებმა კვლევა გააგრძელონ: „საინტერესოა, რატომ ტივტივებს წყლის ზედაპირზე დიდი სათამაშო ნავი, ხოლო ხურდა ფული იძირება? რატომ მიგორავს ეს ბურთი უფრო სწრაფად, ეს კი – ნელა?
- აღწერეთ ფიზიკური ცვლილებები: „როცა შენს ნახატზე ლურჯი ფერი ყვითელს შეერია, მწვანედ გადაიქცა; ნახე, შაქარი წყალში აღარ ჩანს, წიწიბურას კი, ახლაც ვხედავთ.“
- ბავშვებს მათივე კითხვები შეუბრუნეთ – „ შენ როგორ ფიქრობ?“ მიეცით საშუალება, გამოთქვან ვარაუდები. მოიფიქრონ, როგორ იპოვონ პასუხები საკუთარ კითხვებზე და შემდეგ, გადაამოწმონ სხვადასხვა საშუალებით: ინფორმაციის ენციკლოპედიაში ან ინტერნეტში მოძიებით, ექსპერტთან დაკავშირებით, ან ცდის ჩატარებით.
- ეცადეთ, დასვათ ღია კითხვები, რომლებიც ბავშვს შემდგომი კვლევისა და დაკვირვებისკენ უბიძგებს: „ როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე? რამ გამოიწვია? რა მოხდება, თუ?“
- დაეხმარეთ ბავშვებს არა კონკრეტული ფაქტების დამახსოვრებაში, არამედ კანონზომიერების გაგებაში.

- ბავშვებს შესთავაზეთ კონკრეტული, გამზადებული მასალა რამე ცდისათვის, რომელიც მათ კონკრეტული საკითხის გამოსაკვლევად მიიზიდავს.

თამაშები

- წაახალისეთ ბავშვები, გამოიკვლიონ საგნებისა და სხვადასხვა ნივთიერების თვისებები შეხებით, გადაადგილებით, შერევით.
- შესთავაზეთ ბავშვებს საგნები, რომელთა მანიპულირებითაც ბავშვები დააკვირდებიან და შეადარებენ მათ ზომას, ფაქტურას, სიმკვრივეს, წონას ბალანსსა და მოძრაობას.
- შეიტანეთ ჯგუფში ისეთი მასალები, როგორიცაა: მაგნიტები, სასწორები, სარკეები, ბორბლები, სხვადასხვა მასალის ბურთები.
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ბუნებრივი მასალა შესადარებლად.
- შესთავაზეთ ბავშვებს მცირე ზომის მექანიკური მოწყობილობები და დაზიანებული სათამაშოები დასაშლელად და გამოსაკვლევად.
- შესთავაზეთ ბავშვებს საღებავები, რათა შეურიონ ფერები და აღმოაჩინონ ახალი ფერები.
- წაახალისეთ ბავშვები, გახსნან წყალში მარილი, შაქარი, ფქვილი, ბურღულეული და მარცვლეული, გაყინონ სითხეები.
- წაახალისეთ, გასინჯონ, უყნოსონ, შეეხონ სხვადასხვა საკვებ პროდუქტს.
- წაახალისეთ, დააკვირდნენ, როგორ ირეკლავს მზის სხივებს პატარა სარკე, ითამაშონ ჩრდილებით, გახედონ შუქს სხვადასხვა ფერის მინებით, შექმნან მარტივი კალეიდოსკოპი.
- წაახალისეთ, ეზოში წყლის საშუალებით ხატონ კედელზე ან ქვაფენილზე და დააკვირდნენ, როგორ აორთქლდება წყალი.
- წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ბუნებაში მიმდინარე სეზონურ ცვლილებებს, ისაუბრონ და აღწერონ: „შეიძლება ვთქვათ, რომ შემოდგომა უკვე მოვიდა. ფოთლები გაყვითლდა, გაწითლდა.“
- წაახალისეთ ბავშვები, ყოველდღიურად დააკვირდნენ და ისაუბრონ ამინდზე. მაგალითად, ეზოში გასვლის წინ: „გიო, ნახე, როგორი ამინდია? დაგვჭირდება ჟაკეტების ჩაცმა?“

დრო, სივრცე და კულტურული ტრადიციები

სტრატეგიები

- გაამახვილეთ ბავშვების ყურადღება ნიადაგის სხვადასხვა ფიზიკურ თვისებებზე მაშინ, როცა ბავშვები ტალახისგან კოშკს აშენებენ: „ნახე, მიწაში პატარა კენჭებიც არის. გინდა, რომ გაცრა?“
- გამოიყენეთ დროის აღმნიშვნელი სიტყვები ამბების მოყოლისას.
- გამოიყენეთ სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვები.

- დაუსვით ბავშვებს კითხვები, რათა წაახალისოთ მათი მიგნებები, როგორ განსხვავდება უდაბნო და ტყე, ოკეანე და ტბა? რითი განსხვავდება თანამედროვე ადამიანის ტანსაცმელი, სახლი ძველი ადამიანის ტანსაცმელისგან და საცხოვრებელი სახლისგან?

თამაშები

- აჩვენეთ ბავშვებს საბავშვო რუკა და წაახალისეთ, იპოვონ სხვადასხვა ადგილები
- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ სად ცხოვრობენ, დახატონ და გააკეთონ საკუთარი უბნის, რაიონის მაკეტები.
- კითხეთ, როგორ გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეში, აღწერონ და დახატონ სხვადასხვა საშუალებები.
- წაახალისეთ, ქვიშაში ააგონ გორაკები და მთები.
- კუბურებით თამაშისას ააგონ გზები, ხიდები, ქალაქები და სოფლები.
- შესთავაზეთ ბავშვებს ისეთი სამაგიდო და მოძრავი თამაშები, რომლებიც სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარებას უწყობენ ხელს. (წადი მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ , ქვემოთ და ა.შ.)
- შეიტანეთ დრამატულ ცენტრში მასალები, რომლებიც ადამიანის სხვადასხვა საქმიანობასთან არის დაკავშირებული – ყვავილების მაღაზია, ავტოსახელოსნო, რესტორანი და ა.შ.
- დაგეგმეთ და განახორციელეთ ვიზიტები სხვადასხვა სახის დაწესებულებებში, სადაც ბავშვები დააკვირდებიან სხვადასხვა საქმიანობებს და ისაუბრებენ მათზე.
- დაპატიჟეთ ჯგუფში ოჯახები, რათა ბავშვებს მათი კულტურის თავისებურებები გაუზიარონ.
- ისაუბრეთ ბავშვებთან ბუნების გაფრთხილებაზე, რა შეიძლება მოხდეს გარემოში, თუ ადამიანი მას არ გაუფრთხილდება (ხანძარი ტყეში, ადამიანთა გაუფრთხილებლობის გამო; თევზის სიკვდილი, წყლის დაბინძურების გამო; ხეების მოჭრის შედეგები და ა.შ.)
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ მეორადი მასალები სხვადასხვა აქტივობების დროს.
- წაახალისეთ ბავშვები, დაახარისხონ და განასხვაონ სხვადასხვა სახის ნარჩენები.
- ბავშვებთან ერთად დარგეთ ხეები და ნარგავები, დაასუფთავეთ ეზო.
- დაპატიჟეთ ჯგუფში ბებია-ბაბუები, ისაუბრონ წარსული დროის, საკუთარი ცხოვრების შესახებ.
- აჩვეეთ ბავშვებს ძველი ისტორიული ნაგებობები, ტანსაცმელი, დაგეგმეთ ვიზიტები ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მუზეუმებში.
- წაახალისეთ ბავშვები, მოიტანონ მათი ჩვილობის ფოტოები და ტანსაცმელი. ისაუბრონ, როგორ შეიცვალნენ.
- შესთავაზეთ ბავშვებს კალენდარი, საათი . გამოიკვლიონ, როგორ ზომავენ დროს.

მათემატიკური წარმოდგენები

სტრატეგიები

- მიაქცევინოს ბავშვებს ყურადღება კანონზომიერებებზე გარემოში. „ მე ვხედავ კანონზომიერებას შენი მაისურის ნახატზე“
- აღწერეთ კანონზომიერებები, რომლებსაც ბავშვები აკეთებენ. „შენ გააკეთე კანონზომიერება კუბურებით: „ლურჯი , წითელი, ლურჯი, წითელი.“
- აჩვენეთ ბავშვებს, როგორ გაზომონ საგნების დახმარებით: « ნახე, მაგიდა ხუთი კუბურის სიგრძეა»
- მასალების დახარისხებისას დაუსვით კითხვები: „როგორ დააჯგუფე ეს ნივთები, რითი გვანან და რითი განსხვავდებიან?“
- გამოიყენეთ ქვიშის საათი, რომ აჩვენოთ ბავშვებს, რამდენი დრო დარჩათ ასალაგებლად.
- დაუსვით კითხვები ზომვისას: „რამდენი ჭიქა წყალი დასჭირდება თასის ავსებას?“
- დაუსვით ბავშვებს დღის შეკითხვა, რომელზე პასუხიც ცხრილში უნდა აღნიშნონ. მაგ: „მოგწონთ, როცა შუადღის ძილის დროს წინდები გაცვიათ?“
- წაახალისეთ ბავშვები, სხვადასხვა აქტივობის დროს დათვალონ და გადათვალონ ნივთები.

თამაშები

- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მასალები რაოდენობების შესადარებლად.
- წაახალისეთ, დაახარისხონ კუბურები ფორმებისა და ზომების მიხედვით. გამოიყენეთ სიტყვები მაღალი, დაბალი, ტოლი.
- შესთავაზეთ ბავშვებს ბუნებრივი მასალების კოლექციები დასახარისხებლად: ზომის, ფორმის მიხედვით.
- შეიტანეთ სათამაშო ტელეფონი, სალარო აპარატი და სხვა ციფრებიანი სათამაშოები.
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ფორმის საძერწი ყალიბები და შტამპები.
- შეთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მასალები მათი წონის, ზომის შესადარებლად. წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ სახაზავები, სასწორები.
- წაახალისეთ ბავშვები, გააკეთონ მარტივი, რიტმული მოძრაობები და შემდეგ გაართულონ, მაგალითად: ჯერ ტაში, ბაკუნი, შემდეგ ორი ტაში, ბაკუნი და ა.შ.
- წაახალისეთ, სხვადასხვა მასალის გამოყენებით გააკეთონ და გააგრძელონ კანონზომიერებები და შემდეგ, აღწერონ.

- გაასეირნეთ ბავშვები გარემოში სხვადასხვანაირი ფორმის პოვნის მიზნით.
- შეიტანეთ კამათლიანი სამაგიდო თამაშები, რომლებიც წაახალისებს რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარებას, თვლას, გადათვლას.
- შეიტანეთ სამაგიდო თამაშები: ლოტო, დომინო, ბინგო, რაც ხელს უწყობს ობიექტების დახარისხებასა და კატეგორიზაციას.
- შესთავაზეთ ბავშვებს წიგნები ციფრებზე, რაოდენობებზე, ფორმებსა და ფერებზე.
- კულინარიული აქტივობებისას ხელი შეუწყვეთ, ბავშვებმა არწყან, დათვალონ, აწონონ მასალები.

ტექნოლოგია

სტრატეგიები

- დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს, როგორ მუშაობს ესა თუ ის ინსტრუმენტი და რაში შეიძლება მისი გამოყენება.
- ხელი შეუწყეთ იმას, რომ ბავშვებმა უსაფრთხოდ გამოიყენონ სხვადასხვა ტექნოლოგიები.

თამაშები

- შეიტანეთ ჯგუფში სათამაშო ტელეფონი, კამერა, მიკროფონი.
- აჩვენეთ ბავშვებს, თუ როგორ უნდა ჩართონ ვიდეო, აუდიო მაგნიტოფონი, გამოიყენონ ფოტოაპარატი.
- შეიტანეთ ჯგუფში სხვადასხვა ხელსაწყოები და წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ: გამადიდებელი შუშა, თეფშებიანი სასწორი, ბინოკლი და ა.შ.
- გააცანით სხვადასხვა ტექნოლოგიების მოხმარების წესები.
- წაახალისეთ მარტივი, განმავითარებელი პროგრამების გამოყენება კომპიუტერზე, მაგალითად: სახატავი პროგრამა ნახატის შესაქმნელად.

თავი 7. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა



ამ თავში შეიტყობთ დაგეგმვის ძირითად პრინციპებს ამ კურიკულუმის მიხედვით, რა ტიპის გეგმებს აწარმოებს აღმზრდელი, როგორია დაგეგმვის ფორმები, რას ნიშნავს მიმდინარე და ინდივიდუალური დაგეგმვა.

რა არის დაგეგმვა და მისი მიზანი

დაგეგმვა საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ვგეგმავთ იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა არის ჩვენი მიზანი. ვიცოდეთ, რა გავაკეთოთ მიზნის მისაღწევად, ვიცოდეთ საჭირო მასალის თუ ადამიანური რესურსის შესახებ.

ამ კურიკულუმის მიხედვით, აღმზრდელი აწარმოებს გეგმას, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების, ასევე, ინდივიდუალიზაციის კომპონენტს.

შერეული ჯგუფების შემთხვევაში, დაგეგმვა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან მუშაობისას მეტად გვიწევს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება და პროცესის მეტად ორგანიზება, იმისათვის, რომ რომელიმე ბავშვის საჭიროება და ინტერესები არ გამოგვრჩეს.

შესაბამისად, ეს გულისხმობს აღმზრდელის მიერ ორი ტიპის დაგეგმვის ფორმის შევსებას: მიმდინარე გეგმა (ცხრილი 1) ინდივიდუალიზაციის კომპონენტით (ცხრილი 2) და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმა (იხ. ცხრილი 7, გვ.*125*).

თარიღი:		თამაში მთელ ჯგუფთან:	
დილის შეხვე-დრა/ საღამოს შეხვედრა	კუბურები	ხელოვნება	დრამატული
წიგნიერება	მეცნიერება	სამაგიდო	სენსორული
ეზო	რუტინები/ ტრანზიციები	სტრატეგიები	რესურსები
რეფლექსია: (ამ გრაფას აღმზრდელი შეავსებს კვირის განმავლობაში)			

ცხრილი 1

დაკვირვება	შეფასება	დაგეგმვა

ცხრილი 2

ქვემოთ მოცემულ თავებში სწორედ ამ ორი ფორმის შევსების პრინციპები იქნება განხილული.

მიმდინარე გეგმა

მიმდინარე დაგეგმვა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის ყოველკვირეულ დაგეგმვას, რომლის დროსაც აღმზრდელი პარალელურად ფიქრობს სხვადასხვა მიმართულებებზე: რა არის ჩემი ჯგუფის ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები? რა არის მთლიანი ჯგუფის საჭიროებები? კურიკულუმის რა მიზნებზე უნდა გავიდე ბავშვებთან? რა საქმიანობები/გამოწვევები უნდა შევთავაზო მათ ამ მიზნების მისაღწევად და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად? რა რესურსი მჭირდება ამისთვის? როგორ გავანაწილო დაგეგმილი საქმიანობები დღის განმავლობაში და ა.შ. ამ კითხვებიდან გამომდინარე, აღმზრდელს სჭირდება ცხრილი, რომელიც დაეხმარება ყოველივე ზემოთ თქმულის თავმოყრაში, დაეხმარება პროცესის, საკუთარი პრაქტიკის ორგანიზებაში.

ასევე, უნდა გაითვალისწინოთ დროითი (განრიგი) და ფიზიკური (ცენტრები) გარემოს ჩარჩო, რითაც ადრეული განათლების დაწესებულებაში იფარგლებით.

მაგალითად, თქვენი განრიგის უცვლელი კომპონენტებია:

- ბაღში მოსვლა
- ჯგუფური შეხვედრა (დილის, საღამოს)
- ტრანზიციები
- კვება (საუზმე, სადილი, სამხარი)
- თამაში/ეზო (დღის განმავლობაში)
- ძილი
- სახლში წასვლა

მიუხედავად იმისა, რა არის დღის თემა, რა მიზნები გაქვთ წინასწარ განსაზღვრული, განრიგის ეს კომპონენტები ბაღის სივრცეში ყოველდღე, აუცილებლად ხდება (შესაძლოა, სხვა თანმიმდევრობით) და სწორედ მათ შორის უნდა გაანაწილოთ დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობები.

ასევე ფიზიკური გარემოს კომპონენტებია ცენტრები (მინიმუმ ხუთი)

- ჯგუფური შეხვედრები/კუბურები
- ხელოვნება
- წიგნიერება
- დრამატული თამაშები
- მეცნიერება/ სენსორული მაგიდა
- სამაგიდო
- და სხვა ცენტრები

ეს ცენტრები, თავისთავად, სხვადასხვა სახის თამაშის შესაძლებლობასა და მათთვის საჭირო რესურსების ორგანიზების საშუალებას იძლევა. სწორედ ამის გათვალისწინებით გეგმავთ თქვენს აქტივობას, გამოწვევასა თუ თამაშს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე გეგმას აღმზრდელი ქვემოთ მოცემულ ცხრილში აწარმოებს (ცხრილი 3), რომელშიც უნდა ასახოს:

- თემატური მიმართულებებისა და თემები/პროექტების შესაბამისი დაგეგმილი თამაშები და გამოწვევები;
- ფიზიკური გარემო, გარემოში და რესურსებში შესატანი ცვლილებები;
- სტრატეგიები ჯგუფის ერთობისა და კვლევა-აღმოჩენის ხელშეწყობისათვის.
- სტრატეგიები რუტინული საქმიანობებისა და ტრანზიციების ეფექტურად განსახორციელებლად და მთელი დღის კონტექსტისთვის.
- რეფლექსია განხორციელებულ პრაქტიკაზე.

თარიღი:		თამაში მთელ ჯგუფთან: (ამ გრაფაში აღმზრდელი წერს ისეთ საქმიანობებს, რომელსაც მთელი ჯგუფისთვის გეგმავს, ეს შეიძლება იყოს წიგნის კითხვა, მოძრავი თამაშები და ა.შ.)	
დილის შეხვედრა/ საღამოს შეხვედრა (დილის შეხვედრა მისალმებას და დღის პოზიტიურად დაწყებას, ხოლო საღამოს შეხვედრა დღის შეჯამებას გულისხმობს, რაც რუტინულად მეორდება ყოველდღე. ამიტომ, ამ გრაფაში აღმზრდელი მხოლოდ სპეციფიკურ, განსხვავებულ აქტივობებს, ან სპეციფიკურ უნარებს ჩაწერს, რომლის მიღწევაც უნდა ბავშვებთან დილის, ან საღამოს შეხვედრის დროს).	კუბურები (ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც კუბურების ცენტრისთვის მოიფიქრებს)	ხელოვნება (ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც ხელოვნების ცენტრისთვის მოიფიქრებს, მაგ. საღებავით ხატვა, კოლაჟი ქანდაკების დამზადება და ა.შ.)	დრამატული (ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც დრამატული ცენტრისთვის მოიფიქრებს, მაგ. ექიმობანა, კაფეობანა, მეხანძრეობანა და ა.შ.)
წიგნიერება (ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც წიგნიერების ცენტრისთვის მოიფიქრებს, მაგ. წიგნის კითხვა მცირე ჯგუფთან, წიგნის დათვალიერება და ა.შ.)	მეცნიერება (ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც მეცნიერების ცენტრისთვის მოიფიქრებს, მაგ. სხვადასხვა ნივთიერებების შერევა და შედეგზე დაკვირვება, ლუპით დაკვირვება გაღვივებულ ხორბალზე და ჩანახატების გაკეთება, ცხრილის შედგენა მონაცემების ჩანიშვნის მიზნით და ა.შ.)	სამაგიდო (ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც სამაგიდო თამაშების ცენტრისთვის მოიფიქრებს, მაგ. ლოტო, მემო, ფაზლი, ნივთების დაწყვილება, გარკვეული ნიშნით დახარისხება და ა.შ.)	სენსორული (ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც სენსორული ცენტრისთვის მოიფიქრებს, მაგ. ქვიშით, ბრინჯით, წყლით, სავსე კონტეინერში თამაში და ა..შ.).

ეზო	რუტინები/ ტრანზიციები	სტრატეგიები	რესურსები
(ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ აქტივობებს ან გამოწვევებს, რომლებსაც ეზოსთვის მოიფიქრებს, მაგ. ეზოში ხატვა, მოძრავი თამაშები, საქვიშეში თამაში, რესტორნობანა, ხეებზე დაკვირვება, ერთნაირი ფოთლების შეგროვება და ა.შ.)	(ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ სტრატეგიებს, აქტივობებს, თამაშებს, რომლებსაც რუტინებისა და ტრანზიციების დროს ჩაატარებს, მაგ. ხელის დაბანის სიმღერა, მხიარული გათვლა ეზოში გასვლის დროს, იავნანა ძილის წინ და ა.შ.).	(ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ სტრატეგიებს, რომლებსაც გამოიყენებს კურიკულუმით განსაზღვრული ჯგუფის ერთობისა და კვლევა-აღმოჩენის მიზნების მისაღწევად. აღმზრდელს შეუძლია სტრატეგიები გადმოიტანოს ამ წიგნიდან – *"თავი 6. თამაშების და სტრატეგიების მაგალითები" იხ. გვ.83.*	(ამ გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს იმ რესურსის ჩამონათვალს, რაც სჭირდება კვირის განმავლობაში თამაშებისა და გამოწვევების დასაგეგმად).
რეფლექსია: (ამ გრაფაში აღმზრდელი წერს თავის რეფლექსიას საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, როგორ იმუშავა მის მიერ გამოყენებულმა სტრატეგიებმა, როგორი იყო ბავშვების ჩართულობა და ა.შ.)			

სასურველია, განხორციელებამდე ერთი კვირით ადრე, აღმზრდელმა სამი თემატური მიმართულებიდან (მაგალითისთვის, იხილეთ ხელოვნების, მეცნიერების და წიგნიერების თამაშების ნიმუშები) ყოველი დღისათვის შეარჩიოს, ან მოიფიქროს, მინიმუმ ორი დაგეგმილი თამაში/გამოწვევა ორი სხვადასხვა მიმართულებიდან. განსაზღვროს ამ საქმიანობებისათვის შესაბამისი ადგილი, დრო, რესურსი და ჩაწეროს დაგეგმვის ფორმაში შესაბამის ადგილას.

მაგალითისათვის, თემაზე თევზი, აღმზრდელებმა მეცნიერების თემატური მიმართულებიდან აირჩიეს: „წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა გამადიდებელი შუშა, მიკროსკოპი“ (იხ. ცხრილი 4.1). ხელოვნებიდან: „შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა საგნები ნატურიდან დასახატად.“ გადაწყვიტეს, რომ ამ თამაშებს დაგეგმავენ ცენტრებში თამაშის დროს, მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრში (იხ. ცხრილი 4.2).

ცხრილი 4.1. მიმდინარე გეგმის ნიმუში (მეცნიერება)

ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება

თამაშები და გამოწვევები

- აირჩიეთ პროექტის თემებად მცენარეები და ცხოველები.
- წაახალისეთ ბავშვები გამოიყენონ ისეთი ინსტრუმენტები როგორიცაა გამადიდებელი შუშა, მიკროსკოპი,
- შესთავაზეთ ბავშვებს მრავალფეროვანი მცენარეების თესლები, ნერგები, მიწა და პატარა ქოთნები, წაახალისეთ დათესონ, დარგონ, მორწყან, გაზარდონ და დააკვირდნენ ზრდისა და განვითარების პროცესს.



ცხრილი 4.2. მიმდინარე გეგმის ნიმუში (ხელოვნება)

კვლევა-აღმოჩენის განვითარება ხელოვნების გზით

ვიზუალური ხელოვნება

თამაშები და გამოწვევები

- შექმენით გამოწვევები და წაახალისეთ ბავშვები, რომ სხვადასხვა მასალებით ხატონ (ფანქრები, პასტელები, სხვადასხვა სახის საღებავი, სხვადასხვა ფორმის ფუნჯი და ა.შ.);
- წაახალისეთ შექმნას მარტივი ნახატი, ავტოპორტრეტი, ნატურმორტი და ა.შ.
- შესთავაზეთ სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი (თეთრი, ფერადი ფურცელი, შესაფუთი, გაზეთის ქაღალდი და სხვ.), ან ზედაპირი (მაგ. ცელოფანი, ქსოვილი და ა.შ.) და წაახალისეთ, რომ ხატონ მასზე სხვადასხვა სამხატვრო მასალებით;
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა საგნები ნატურიდან სახატავად.



აღმზრდელმა აუცილებლად უნდა მიუთითოს იმ თემის სათაური, რომლის ფარგლებშიც გეგმავს საქმიანობებს. დაგეგმილი თამაშები მიმდინარე თემის შესაბამისი უნდა იყოს. მაგალითად, თუ თემა თევზია, აღმზრდელს წიგნიერებაში თევზების ენციკლოპედია შეაქვს. მეცნიერებაში – აკვარიუმი თევზებით და ლუპა, სამაგიდო თამაშებში – ფაზელი წყალქვეშა სამყაროზე; ხელოვნებაში კი, ბავშვებს სთხოვს, სხვადასხვა რესურსით თევზების სამგანზომილებიანი ფიგურა შექმნან.

ხოლო თემატური მიმართულება წიგნიერებიდან: „შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა თემატიკის წიგნები, წაუკითხეთ ხმამაღლა“ აღმზრდელებმა დაგეგმეს სადილის შემდეგ, მთლიან ჯგუფთან (იხ. ცხრილი 4.3).

ცხრილი 4.3. მიმდინარე გეგმის ნიმუში (წიგნიერება)



კვლევა-აღმოჩენის განვითარება წიგნიერების გზით

წიგნთან ურთიერთობა

თამაშები და გამოწვევები

- შესთავაზეთ ბავშვებს დასურათებული წიგნები დასათვალიერებლად;
- შესთავაზეთ სხვადასხვა თემატიკის წიგნები, წაუკითხეთ ხმამაღლა;
- გამოიყენეთ ნაცნობი წიგნების აუდიოჩანაწერები, მოასმენინეთ ბავშვებს;
- წაახალისეთ ბავშვები განასახიერონ წიგნების პერსონაჟები, გაითამაშონ სცენები ნაცნობი წიგნებიდან;
- შესთავაზეთ ბავშვებს თავად შექმნან ნაცნობი წიგნების აუდიოჩანაწერები;
- წაახალისეთ ბავშვები, რომ დახატონ ნაცნობი წიგნების პერსონაჟები, შესაძლოა მხოლოდ კონტურული ნახატის შესრულება, ასლების დამზადება და გასაფერადებებად გამოყენება;

თარიღი: 10-15 მაისი

თემა/პროექტი : თევზი

ჯგუფური აქტივობა: მოთხრობა ფერად თევზზე

დილის საგაზო/ დერეფანი			
10-12-მაისი ჯგუფის ეროვნებიდან თემა ემოციების ამოცნობა. 13-15 მაისი სიმღერა ოქრის თევზზე	[illegible] ბინადრების პატარა ფიგურებით.	[illegible] ნანახატები აკვარიუმიდან ნახმარის გამოყენებით გამოწვევა: თევზები ბუნებრივი მასალებით	[illegible] წყალქვეშ
წიგნიერება	**ფეხბურთი**	**სამაგიდო**	**სენსორული**
წიგნებისა და ენციკლოპედიების მეთვალიერება თევზების სახეობებზე.	დაკვირვება აკვარიუმზე გამადიდებელი მუშის საშუალებით. თევზების ცხრილი. დაახარისხე თევზების ბარათები.	12 ნაწილიანი ფაზელი წყლის სამყარო.	
რეტინა/ბრონშადები	**სტრატეგიები:**	**რესურსები:**	**ეზო**
ცენტრებში გადანაწილებაზე მუშაობა. ზღვების დაბანის სიმღერა	კითხვების დასმის წახალისება ინტერესის წახალისება ზეპირეულების მასალების კვლევა ემოციების საუბდება	წიგნები თევზებზე ბუში პასტელი ბუნებრივი მასალები, ეშელონი თევზების ბარათები ფაზელი წყლის სავარო მუყაოს ყურები, ფიდი ლურჯი ფოცილები და თევზების ფიგურები.	თევზებიანი ფურცა

რეფლექსია პროცესზე: ბავშვების ნაწილი ჩაერთო ინტერესით, უმეტესობა სვამდა კითხვებს თევზების გარეგნობასთან და ჯიშებთან დაკავშირებით. ბავშვების ნაწილი ეხმარებოდა ემოციის ამოცნობის ადეკვატური სახელი. ბავშვები ეცდნენ ახერხებენ ცენტრებში გადანაწილებას, მაგრამ ჯერ გამოწვევად რჩება მასალების მოლიგება მუშაობის შემდეგ.

მინიმუმ ერთი თამაში მოიფიქრეთ ჯგუფის ერთობისთვის (მაგალითისთვის, იხ. ცხრილი 4,4).

ასევე, აუცილებლად განსაზღვროს, თუ რომელი სტრატეგიებით იმუშავებს ჯგუფის ერთობისა და კვლევა-აღმოჩენის მიზანზე გასასვლელად კვირის მანძილზე და დაწეროს ეს სტრატეგიები შესაბამის გრაფაში (იხ. ცხრილი 4.5).

ცხრილი 4.4. მიმდინარე გეგმის ნიმუში (დილის და საღამოს შეხვედრა)



თვით-ცნობიერება

მიზნები:

- თვით-იდენტობა
- კომპეტენტურობა, მიღწევები, ძლიერი მხარეები, სხვებისთვის გაზიარების სურვილი
- ჩვენ სხეულით ვგრძნობთ ემოციებს
- ემოციების სახელდებები/სიტყვების მნიშვნელობა
- ემოციების მიმიკები

თამაშები და გამოწვევები

- ხელის თოჯინა ასაუბრეთ ტიპიურ სიტუაციაზე როდესაც ბავშვებს სხვადასხვა ემოციები უჩდებათ
- ემოციებზე წიგნის წაკითხვა და საუბარი რომელი გმირი ბრაზობს, რომელია მოწყენილი და ა.შ.
- ემოციების ბარათები (დაწყვილება)(იხ. ნახატი)
- ემოციების სახეების ნიმუში. ცარიელ სახეზე სათამაშო ცომით ნაკვთების გაკეთება (იხ. ნახატი)

ცხრილი 4.5. მიმდინარე გეგმის ნიმუში (სტრატეგიები)



სტრატეგიები

- კვლევის და აღმოჩენის ხელშეწყობისთვის მეცნიერებაში მნიშვნელოვანია თვალსაჩინოების სახით გამოიყენოთ ნამდვილი, ან ნამდვილს ძალიან მიმსგავსებული ნივთები და ნახატები, მაგალითად ფოთლებზე საუბრისას გამოიყენეთ ნამდვილი ფოთლები, ცხოველებზე საუბრისას ცხოველების ფოტოები, ან ნამდვილს ძალიან მიმსგავსებული ნახატები
- ბავშვების კითხვებზე შეუბრუნეთ მათივე კითხვები-„ შენ როგორ ფიქრობ?" მიეცით მათ საშუალება გამოთქვან თავისი ვარაუდები, მოიფიქრონ როგორ შეიძლება იპოვონ პასუხები საკუთარ კითხვებზე და შემდეგ გადაამოწმონ თავისი აზრებით სხვადასხვა საშუალებით: ინფორმაციის ენციკლოპედიაში ან ინტერნეტში მოძიებით, ექსპერთან დაკავშირებით ან ცდის ჩატარებით.
- ეცადეთ დასვათ ღია კითხვები, რომელიც ბავშვს შემდგომი კვლევისა და დაკვირვებისკენ უბიძგებს: „ როგორ ფიქრობ რატომ მოხდა ასე? რამ გამოიწვია? რა მოხდება თუ?".

სტრატეგიები

- წაახალისეთ სამხატვრო მასალების თავისუფლად გამოყენება, მიეცით საშუალება თავად აირჩიონ სამხატვრო რესურსი ნამუშევრის შექმნისას;

სტრატეგიები

- ✓ ემოციებზე საუბრის მოდელირება
- ✓ აქციეთ განცდები და ემოციები სიტყვებად. სახელი დავარქვით ბავშვის განცდებს და ემოციებს: „მოწყენილი ხარ, რადგან მამა უნდა წავიდეს".
- ✓ მაგალითი მიეცით და აღწერეთ საკუთარი გრძნობები: „იმედგაცრუებული ვარ, რადგან ეს ქილა ვერ გავხსენი".

ასევე, განსაზღვროს თამაშები და სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებს რუტინული საქმიანობებისა და ტრანზიციების დროს (იხ. ცხრილი 4.6).

მასალას, რომელიც აღმზრდელს დაგეგმილი თამაშებისათვის სჭირდება, რესურსების გრაფაში ჩამოწერს, რომ მათი ორგანიზება გაიადვილოს (იხ. ცხრილი 4.7).

ცხრილი 4.6. მიმდინარე გეგმის ნიმუში (რუტინა და ტრანზიციები)



თარიღი:___10-15 მაისი____ თემა/პროექტი : თევზი		***ჯგუფური აქტივობა:*** მოთხრობა ფერად თევზზე	
დილის მეტყველრა/ საღამოს მეტყველრა 10-12-მაისი ჯგუფის ერთობიდან თემა ემოციების ამოცნობა. 13-15 მაისი სიმღერა ოქროს თევზზე	***კუბურები*** გამოწვევა: ლურჯი ქსოვილებითა და წყლის ბინადრების პატარა ფიგურებით.	***ხელოვნება*** გუამებითა და პასტელებით თევზების ხატვა ჩანახატები აკვარიუმიდან ნახშირის გამოყენებით გამოწვევა: თევზები ბუნებრივი მასალებით	***დრამატული.*** მოგზაურობა წყალქვეშ
წიგნიერება წიგნებისა და ენციკლოპედიების მეთავაზება სახეო	***მეცნიერება*** დაკვირვება აკვარიუმზე გამადიდებელი შუმის [illegible]ალებით. [illegible]ბრილი. [illegible]ევზების	***სამაგიდო*** 12 ნაწილიანი ფაზელი წყლის სამყარო.	***სენსორული***
	[illegible] [illegible]ბის [illegible] [illegible] საუბრის [illegible]ულირება	***რესურსები;*** წიგნები თევზებზე გუამი პასტელი ბუნებრივი მასალები, ემულსია თევზების ბარათები ფაზელი წყლის საყარო მუყაოს ყურთები, დიდი ლურჯი ქსოვილები და თევზების ფიგურები.	***ეზო*** თევზებივით ცურვა

რუტინები/ტრანზიციები
ცენტრებში
გადანაწილებაზე
მუშაობა.
ხელების დაბანის სიმღერა

ცხრილი 4.7. მიმდინარე გეგმის ნიმუში (რესურსები).

თარიღი:___10-15 მაისი____ თემა/პროექტი : თევზი		***ჯგუფური აქტივობა:*** მოთხრობა ფერად თევზზე	
დილის მეტყველრა/ საღამოს მეტყველრა 10-12-მაისი ჯგუფის ერთობიდან თემა ემოციების ამოცნობა. 13-15 მაისი სიმღერა ოქროს თევზზე	***კუბურები*** გამოწვევა: ლურჯი ქსოვილებითა და წყლის ბინადრების პატარა ფიგურებით.	***ხელოვნება*** გუამებითა და პასტელებით თევზების ხატვა ჩანახატები აკვარიუმიდან ნახშირის გამოყენებით გამოწვევა: თევზები ბუნებრივი მასალებით	***დრამატული.*** მოგზაურობა წყალქვეშ
წიგნიერება წიგნებისა და ენციკლოპედიების მეთავაზება თევზების სახეობებზე.	***მეცნიერება*** დაკვირვება აკვარიუმზე გამადიდებელი შუმის სამუალებით. თევზების ცხრილი. დაახარისხე ბარათები.	***სამაგიდო*** 12 ნაწილიანი ფაზელი წყლის სამყარო.	***სენსორული***
რუტინები/ტრანზიციები ცენტრებში გადანაწილებაზე მუშაობა. ხელების დაბანის სიმღერა	***სტრატეგ*** ღია კი სამხატ თავის გამოყ ხელმეწ ემოციებზ მოდელირებ	***რესურსები;*** წიგნები თევზებზე გუამი პასტელი ბუნებრივი მასალები, ემულსია თევზების ბარათები ფაზელი წყლის საყარო მუყაოს ყურთები, დიდი ლურჯი ქსოვილები და ევზების ფიგურები.	

რეფლექსიაში აღმზრდელი შეაჯამებს კვირის მანძილზე ჯგუფზე დაკვირვების მონაცემებს. სამომავლო სტრატეგიებში გასათვალისწინებლად, ძირითადი ფოკუსი მიმართულია ჯგუფის ერთობის და კვლევა – აღმოჩენაზე მუშაობის შედეგებზე დაკვირვებასა და შეფასებაზე (იხ. ცხრილი 4.8).

ცხრილი 4.8. მიმდინარე გეგმის ნიმუში (რეფლექსია).

თარიღი:___10-15 მაისი____ თემა/პროექტი : თევზი		***ჯგუფური აქტივობა:*** მოთხრობა ფერად თევზზე	
დილის შეხვედრა/ სადამოს შეხვედრა 10-12-მაისი ჯგუფის ერთობიდან თემა ემოციების ამოცნობა. 13-15 მაისი სიმღერა ოქროს თევზზე	***კუბურები*** გამოწვევა: ლურჯი ქსოვილებითა და წყლის ბინადრების პატარა ფიგურებით.	***ხელოვნება*** გუამებითა და პასტელებით თევზების ხატვა ჩანახატები აკვარიუმიდან ნახმირის გამოყენებით გამოწვევა: თევზები ბუნებრივი მასალებით	***დრამატული.*** მოგზაურობა წყალქვეშ
წიგნიერება წიგნებისა და ენციკლოპედიების შეთავაზება თევზების სახეობებზე.	***მეცნიერება*** დაკვირვება აკვარიუმზე გამადიდებელი მუშის სამუალებით. თევზების ცხრილი. დაახარისხე თევზების ბარათები.	***სამაგიდო*** 12 ნაწილიანი ფაზელი წყლის სამყარო.	***სენსორული***
რუტინები/ტრანზიციები ცენტრებში გადანაწილებაზე მუშაობა. ხელების დაბანის სიმღერა	***სტრატეგიები:*** ღია კითხვების დასმა, სამხატვრო მასალების თავისუფლად გამოყენების ხელშეწყობა ემოციებზე საუბრის მოდელირება	***რესურსები;*** წიგნები თევზებზე გუამი პასტელი ბუნებრივი მასალები, ემულსია თევზების ბარათები ფაზელი წყლის საყარო მუყაოს ყურთები, დიდი	***ეზო*** თევზებივით ცურვა

რეფლექსია პროცესზე: ბავშვების ნაწილი ჩაერთო ინტერესით, უმეტესობა სვამდა კითხვებს თევზების გარეგნობასთან და კვებასთან დაკავშირებით. ბავშვების ნაწილი ახერხებს დაარქვას ემოციებს ადეკვატური სახელი. ბავშვები უკეთ ახერხებენ ცენტრებში გადანაწილებას, მაგრამ ჯერ გამოწვევად რჩება მასალების მილაგება მუშაობის შემდეგ.

მიმდინარე გეგმა შერეულ ჯგუფებთან მუშაობისას

მაგალითისათვის (იხ. ცხრილი 5), ჩვენ მიერ განხილულ სცენარში აღმზრდელებმა, თავ-დაპირველად, დაგეგმეს თემა – მეხანძრე და შესაბამისად, აირჩიეს რამდენიმე თამაში ხელოვ-ნების, წიგნიერებისა და მეცნიერების მიმართულებებიდან.

მეცნიერების მიმართულებიდან – დრო, სივრცე და კულტურული ტრადიციები. აღმზრდე-ლებმა გადაწყვიტეს, სხვადასხვა პროფესიები გაეცნოთ ბავშვებისათვის, შემდეგ კი ერთ-ერთი პროფესია – მეხანძრე აირჩიეს და სახანძროში ვიზიტი დაგეგმეს.

წიგნიერებისათვის – მეხანძრეებზე არსებული წიგნების შეთავაზება გადაწყვიტეს.

მნიშვნელოვანია, რომ შერეული ჯგუფისათვის აღმზრდელები დაგეგმილი თამაშების ადაპ-ტირებულ ვერსიასაც წერენ დაგეგმვის ფორმაში, მაგალითად, პატარები – წიგნიერებაში – მე-ხანძრეების ფოტოებს მოძებნიან , ხოლო უფროსები შეეცდებიან, იპოვონ სიტყვა „მეხანძრე“, როგორც ქვემოთ არის მოცემული.

ცხრილი 5.1. მიმდინარე გეგმა შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის



დრო, სივრცე და კულტურული ტრადიციები

თამაშები და გამოწვევები

- შეიტანეთ დრამატულ ცენტრში მასალები რომელიც რომლებიც ადამიანის სხვადასხვა საქმიანობასთან არის დაკავშირებული - ჯვავილების მაღაზია, ავტოსახელოსნო, რესტორანი და ა.შ.
- დაგეგმეთ და განახორციელეთ ვიზიტები სხვადასხვა სახის დაწესებულებებში სადაც ბავშვები დაკვირდებიან და ისაუბრებენ და ადამიანების საქმიანობებზე საუბარი.

წიგნთან ურთიერთობა

თამაშები და გამოწვევები

- შესთავაზეთ ბავშვებს დასურათებული წიგნები დასათვალიერებლად;
- შესთავაზეთ სხვადასხვა თემატიკის წიგნები, წაუკითხეთ ხმამაღლა;
- გამოიყენეთ ნაცნობი წიგნების აუდიოჩანაწერები, მოასმენინეთ ბავშვებს;
- წაახალისეთ ბავსვები განასახიერონ წიგნების პერსონაჟები, გაითამაშონ სცენები ნაცნობი წიგნებიდან;

აღმზრდელებმა, ასევე, განსაზღვრეს სტრატეგიები კვლევა – აღმოჩენის უნარების ხელშესაწყობად, რომლებსაც კვირის მანძილზე გამოიყენებენ. პატარებისათვის ეს სხვადასხვა სახის სახანძრო აღჭურვილობის შედარება იქნება, უფროსებისათვის კი – დაგეგმვაზე მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისათვის კითხვების დასმა.

ცხრილი 5.2. მიმდინარე გეგმა შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის



სტრატეგიები

- გაამახვილეთ ბავშვების ყურადღება ნიადაგის სხვადასხვა ფიზიკურ თვისებებზე მაშინ, როცა ბავშვები ტალახისგან კოშკს აშენებენ: „ნახე მიწაში პატარა კენჭებიც არის, გინდა რომ გაცრა?".
- დაუსვით ბავშვებს კითხვები მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, ბუნების გაფრთხილებაზე, რა შეიძლება მოხდეს გარემოში თუ ადამიანი მას არ გაუფრთხილდება (ხანძარი ტყეში ადამინთა გაუფრთხილებლობის გამო, თევზის სიკვდილი წყლის დაბინძურების გამო, ხეების მოჭრის შედეგები და ა.შ.

სტრატეგიები

- მიაქცევინოს ბავშვებს ყურადღება კანონზომიერებებზე გარემოში.» მე ვხედავ კანონზომიერებას შენი მაისურის ნახატზე»
- აღწერეთ კანონზომიერებები რომლებსაც ბავშები აკეთებენ."შენ გააკეთე კანონზომიერება კუბურებით: »ლურჯი , წითელი, ლურჯი, წითელი.»
- აჩვენეთ ბავშვებს როგორ გაზომონ საგნების დახმარებით: « ნახე მაგიდა ხუთი კუბურის სიგრძეა»
- მასალების დახარისხებისას დაუსვით კითხვები როგორ დააჯგუფე ეს ნივთები, რითი გვანან და რითი განსხვავდებიან?

აღმზრდელები ასევე განსაზღვრავენ თამაშებსა და სტრატეგიებს ჯგუფის ერთობისათვის. უფროსებთან აირჩიეს დაგეგმვის უნარზე მუშაობა და ხელის შეწყობის მიზნით, ყველა თამაშისა თუ რუტინული აქტივობის დროს, დასვამენ კითხვებს: „რა უნდა გააკეთო?“ „რა დაგჭირდება ამისთვის?“ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები გეგმას შეცვლიან, აღმზრდელი მათ კითხავს: „გადაწყვიტე, შეცვალო გეგმა?“

პატარებთან კი – მოდელირების საშუალებით, იმპულსების მართვაზე იმუშავებს მაგალითად, ხშირად გააჟღერებს: „როგორ მინდა, ახლა მივდიოდეთ სახანძროში, მაგრამ ხვალამდე მოვითმენ.“

ცხრილი 5.3. მიმდინარე გეგმა შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის



რუტინული საქმიანობებისა და ტრანზიციებისათვის აღმზრდელები შეარჩევენ იმ მომენტისათვის რაიმე აქტუალურ საკითხს და შესაბამის გრაფაში ჩაწერენ. ამ შემთხვევაში ეს ეზოში გასვლისა და შემოსვლის დროა, როცა ბავშვებმა ძალიან არ უნდა იხმაურონ, ადვილად მიაგნონ საკუთარ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. და მოლოდინი დიდხანს რომ არ გაგრძელდეს, აღმზრდელები წაახალისებენ უფროსებს, მას შემდეგ, რაც თვითონ ჩაიცმევენ, პატარებს დაეხმარონ.

მასალებს, რომლებიც აღმზრდელს დაგეგმილი თამაშებისათვის სჭირდება, პატარებისა თუ უფროსებისათვის, რესურსების გრაფაში ჩამოწერს, რომ მათი ორგანიზება გაიადვილოს.

ცხრილი 5.4. მიმდინარე გეგმა შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის

თარიღი:___ 7-11 თებერვალი ___ *თემები: მეზანძრე* *პროექტები :*		*ჯგუფური აქტივობა:* ზღაპრის კითხვა „მხიარული მეზანძრე." ვიზიტი სახანძრო სადგურში	
დილის/ საღამოს შეხვედრა თამამი დაგეგმვაზე	*კუთხეები* **გამოწვევა:** სახანძრო მანქანებისა და მეზანძრეების პატარა ფიგურების შეტანა.	*ბელოვნება* „მხიარული მეზანძრის" ხატვა. უფროსებისათვის: სახანძრო მანქანის გაკეთება სხვადასხვა მეორადი მასალებისაგან. პატარებისათვის: პაპია მაშეს ტექნოლოგიით სახანძრო ჩაფხუტების დამზადება.	*დრამატული.* სახანძრო სადგურის მოწყობა, ჩაფხუტების, ხელნაკეთი ცეცხლმაქრების და რეზინის სარწყავი მილის შეტანა.
წიგნიერება წიგნები მეზანძრეებზე. პატარებისათვის: იპოვე მეზანძრის [illegible]	*მეცნიერება* პატარებისათვის: ნახშირის დაფშვნა. უფროსებისათვის: [illegible] კრისტალებზე [illegible]	*სამაგიდო* უფროსებისათვის: სახანძრო სადგურის ფაზლის აწყობა. პატარებისათვის: ცეცხლის ხელნაკეთი 6 ნაწილიანი ფაზელი.	*სენსორული* პატარებისათვის: თამამი დამწვარი ხის ნაცარით.
რუტინები/ტრანზიციები ეზოში გასვლის და ეზოდან ამოსვლის წესები, ვეხმარებით პატარებს.	[illegible]	*რესურსები;* მეზანძრეებისა და სახანძრო მანქანების ფიგურები. დამწვარი ხის ნახშირი და ნაცარი. ლუპები. მეორადი მასალა, მუყაო, წებო, სკოჩი, ბოთლების თავსახურები. სახანძროსა და ცეცხლის ფაზლები. წიგნები მეზანძრეებზე.	*ეზო* ცეცხლის ანთება და ჩაქრობა წლის საშუალებით.

ცხრილი 5.5. მიმდინარე გეგმა შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის

თარიღი:___ 7-11 თებერვალი ___ *თემები: მეზანძრე* *პროექტები :*		*ჯგუფური აქტივობა:* ზღაპრის კითხვა „მხიარული მეზანძრე." ვიზიტი სახანძრო სადგურში	
დილის/ საღამოს შეხვედრა თამამი დაგეგმვაზე	*კუთხეები* **გამოწვევა:** სახანძრო მანქანებისა და მეზანძრეების პატარა ფიგურების შეტანა.	*ბელოვნება* „მხიარული მეზანძრის" ხატვა. უფროსებისათვის: სახანძრო მანქანის გაკეთება სხვადასხვა მეორადი მასალებისაგან. პატარებისათვის: პაპია მაშეს ტექნოლოგიით სახანძრო ჩაფხუტების დამზადება.	*დრამატული.* სახანძრო სადგურის მოწყობა, ჩაფხუტების, ხელნაკეთი ცეცხლმაქრების და რეზინის სარწყავი მილის შეტანა.
წიგნიერება წიგნები მეზანძრეებზე. პატარებისათვის: იპოვე მეზანძრის სურათი წიგნში. უფროსებისათვის: იპოვე სიტყვა **მეზანძრე.**	*მეცნიერება* პატარებისათვის: ნახშირის დაფშვნა. უფ�ებისათვის: [illegible] დაკვირვება კრისტალ[illegible] ლუპის საშუალებ[illegible] ნაცრის და [illegible] შედარება.	*სამაგიდო* [illegible] სახანძრო [illegible]	*სენსორული* პატარებისათვის: [illegible]ამამი დამწვარი [illegible]ცარით.
რუტინები/ტრანზიციები ეზოში გასვლის და ეზოდან ამოსვლის წესები, ვეხმარებით პატარებს.	*სტრატეგიები* კვლევა: კითხვები- როგორ ბუნებას? ჯგუფის პატარებთან: მართვა. უფროსებ[illegible] კითხვები დაგეგმვ[illegible] უნდა გაკეთო? რა გინდ[illegible] გამოიყენო? ცვლი გეგმას?	*რესურსები;* მეხანძრეებისა და სახანძრო მანქანების ფიგურები. დამწვარი ხის ნახშირი და ნაცარი. ლუპები. მეორადი მასალა, მუყაო, წებო, სკოჩი, ბოთლების თავსახურები. სახანძროსა და ცეცხლის ფაზლები. წიგნები მეხანძრეებზე.	

რეფლექსიას აღმზრდელი მთელი კვირის მანძილზე წერს, კვირის ბოლოს კი, დაგეგმვის მოკლე ფორმაში შეაჯამებს, რომ შემდეგ, სამომავლო სტრატეგიებში გაითვალისწინოს.

მიმდინარე გეგმა პროექტზე მუშაობის დროს

პროექტზე მუშაობისას აღმზრდელი დაგეგმვის იგივე ფორმას იყენებს და პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებსა თუ გამოწვევებს ზემოთ მოცემულ ცხრილში ანაწილებს. გარდა ამისა, აღმზრდელი ადგენს წინასწარი დაგეგმვის რუკას, რომლის შესახებაც ვრცლად იხილეთ თავში: თემა და პროექტი.

ინდივიდუალიზაცია და ინდივიდუალური გეგმა

თამაშების, სწავლის პროცესის მორგება და მოდიფიცირება აღმზრდელის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიაა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისას. აღმზრდელმა ისე შეიძლება დაგეგმოს ცვლილებები და მოდიფიკაციები, რომ ბავშვებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს თამაში და მასალები, ან მეტი ჩართულობისთვის – ინდივიდუალური დახმარება აღმოუჩინოს მათ. ინდივიდუალიზაციაა, როდესაც აღმზრდელი ფიქრობს არა აქტივობებზე ყველა ბავშვისთვის, არამედ, ამ აქტივობის ან თამაშის ფარგლებში, ფიქრობს თითოეულ ბავშვზე. ინდივიდუალიზაცია სჭირდება ყველა ბავშვს, ვინც თავისებურად სწავლობს და აღიქვამს, ვისაც საკუთარი ქცევისა და გრძნობების რეგულირება უჭირს, ვისაც საკუთარი თავის გამოხატვა მოძრაობით ურჩევნია, ვინც განსხვავებული ენობრივი და რელიგიური ოჯახის წარმომადგენელია, ვინც განსაკუთრებით მორცხვი და მორიდებულია, ვინც საკმარის სიყვარულს ვერ იღებს, ვისაც განსაკუთრებით ბევრი ინფორმაცია სჭირდება ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ა.შ[1].

ინდივიდუალიზაცია შეიძლება მოიცავდეს, ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე, ინდივიდუალური თამაშებისა და სტრატეგიების გამოყენებას. ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობისას – ბავშვისათვის საქმიანობების ადაპტირებას: გართულების, გამარტივების ან მოდიფიცირების გზით.

ინდივიდუალიზაცია, ანუ მოდიფიცირება მორგებისთვის, გულისხმობს:

- გამოწვევების შესაქმნელად ზომიერად რთული მასალების შეთავაზებას
- სხვა ბაშვებთან თამაშსა და კომუნიკაციაში დახმარებას
- ბავშვისთვის ისეთი მასალის შეთავაზებას, რაც წარმატების განცდას გაზრდის
- ურთიერთობის, საუბრის, ფრაზების მოდელირებას
- ბავშვების დაწყვილებას, დაჯგუფებას – დახმარების და ხელშეწყობის მიზნით
- ახალი მასალების შეთავაზებას
- მეტი კვლევის ხელშეწყობისთვის – კითხვების დასმას
- ბავშვის სენსო-მოტორულ რეაქციებზე შესაბამის რეაგირებას
- ქცევითი სირთულეების თავიდან არიდებას და სირთულეების გამკლავებაში დახმარებას.

ინდივიდუალიზაცია შესაძლოა იყოს დაკვირვება – შეფასების ფორმის ნაწილი, ან შეიძლება, გაკეთდეს ცალკეც (იხ. ცხრილი 6).

1 ადრეული ინკლუზიური განათლება. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის. ნ. ცინცაძე, ხ. დოლიძე, მ. ა. მორანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019. http://inclusion.ge/res/docs/2019012113462151451.pdf

დაკვირვება (ჩანაწერი ობიექტური და აღწერითია)	შეფასება დაკვირვების დაკავშირება თამაშის მიზანთან და ბავშვის განვითარების სტანდარტთან	დაგეგმვა ბავშვის ინტერესისა და განვითარების შესაბამისი სტრატეგიის ან აქტივობის დაგეგმვა)
ხელოვნების ცენტრში ნინიმ მწვანე საღებავიანი ფუნჯით დახატა დიდი წრე ოთხი ხაზით. თქვა: „ეს მე ვარ“.	ნინი ხატავს მარტივი მონასმით, თავისი ინიციატივით იწყებს ნამუშევრის შექმნას, ასახელებს ნამუშევარს.	ხელოვნების ცენტრში შევიტან ბავშვების დაბეჭდილ ფოტო პორტრეტებსა და სარკეებს, წავახალისებ ნინის, სხვადასხვა მასალით დახატოს პორტრეტი, შემდეგ ღია კითხვებით წავახალისებ, აღწეროს თავისი თავი.

ინდივიდუალური გეგმა (იხ. ცხრილი 7) სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სწავლისა და განვითრების ინდივიდუალური მიზნების და ამ მიზნების მიღწევის გზების გეგმაა, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეთანხმებულად არის შედგენილი. შესაძლოა, ინდივიდუალური გეგმა ყველა ბავშვის შემთხვევაში არ დაიწეროს, ის უფრო ცალსახად გამოხატული საჭიროებების შემთხვევაში დგება, ხოლო ინდივიდუალიზაცია – საჭიროა უფრო მეტი ბავშვისათვის, მათი თავისებურებებისა და ინდივიდუალური ტემპის გასათვალისწინებლად[1].

1 ადრეული ინკლუზიური განათლება. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის. ნ. ცინცაძე, ხ. დოლიძე, მ. ა. მორანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019. http://inclusion.ge/res/docs/2019012113462151451.pdf

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა

საკონტაქტო ინფორმაცია

თარიღი: 25. 12. 2019

ბავშვის სახელი, გვარი, ასაკი: ელენე
ბაღის ჯგუფი: 5-6 წლიანები
მშობლის/მეურვის სახელი, გვარი: მანანა
შევსების თარიღი: 25. 12. 2019
სპეციალისტი: ლიკა (სპეც. პედაგოგი)

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ფორმა 100-ის ჩანაწერი	ვესტის სინდრომი
სმენა	არ აქვს სირთულე
მხედველობა	არ აქვს სირთულე
დიეტა	არ აქვს დიეტის საჭიროება
მედიკამენტები	ამ ეტაპზე არ იღებს
სხვა გასათვალისწინებელი ინფორმაცია	ელენე იზრდება ბებიასთან, რომელიც მისი მეურვეა.

მშობლის პრიორიტეტები: ბებიას სურს, ბავშვს კომუნიკაცია ქონდეს თანატოლებთან.

სხვა სპეციალისტები და სერვისები:

სერვისი	სპეციალისტი, სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	მომსახურების ხანგრძლივობა	კომენტარი
ადრეული ინტერვენციის პროგრამა	მარი ...	....	კვირაში 2 ვიზიტი სახლში	

ბაღის აქტივობებში ჩართულობა

დღის რუტინა	ჩართულობა	კომენტარი
შეგუება მშობელთან განშორება	არ აქვს სირთულე, შემოდის მშვიდად ჯგუფში და ემშვიდობება ბებოს.	
აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა	აქტივობის დასრულების შემდეგ უჭირს ლოდინი ან რიგში დგომა, ამ დროს შესაძ-ლოა გაწვეს იატაკზე. ახალი აქტივობის დაწყებისას ასევე არ იჩენს ინიციატივას.	მნიშვნელოვანია ჯგუფში არსებობდეს აქტი-ვობიდან აქტივობაზე გადასვლისთვის მკაფო მინიშნება (მუსიკის ჩართვა, ერთობლივი სიმღერა, ლექსი, ან რაიმე ვიზუალური მიმა-ნიშნებელი, რაც როგორც ელენეს, ასევე სხვა ბავშვებს დაეხმარება ეფექტურ გადასვლაში. აუცილებლია, ინდივიდუალურად ვიზუალური განრიგის გამოყენებაც.
მცირე ჯგუფებში თამაში	ძირითადად აკვირდება სხვა ბავშვების თამაშს. არ იჩენს ინიციატივას ჩაერთოს თამაშში. დამოუკიდებლად თამაში მალე ბეზრდება. დღის უმეტესი ნაწილი ხალი-ჩაზე წევს და გორავს.	
დიდ ჯგუფებში მუშაობა	აღმზდელის მითითებით ჯდება წრეზე ბავ-შვებთან ერთად, არ იღებს მონაწილეობას საუბარში, მალევე ბეზრდება და იწყებს სიარულს. მასწავლებლის განმეორებით მითითებაზე დაჯდეს ბავშვებთან ერთად ასრულებს, თუმცა ისევ მალევე დგება.	დილის და საღამოს წრე ძირითადად საუბარზე დაფუძნებულია, ელენეს ენობრივი განვითა-რება საშუალებას არ აძლევს გაიგოს და ჩაე-რთოს საუბარში. სასურველია, შეხვედრების დრო შემცირდეს რადგან ბავშვების უმეტესო-ბას უჭირს გაჩერება და ჩართვა, ასევე საჭიროა, თვალსაჩინო მასალის გამოყენება, რომელზე მოცემულ ობიექტებსა და მოქმედებებს აღ-მზრდელი გაახმოვანებს/ აღწერს.

კვება, ხელების დაბანა, ტუალეტი, (ძილი)	ზის ბავშვებთან ერთად და ჭამს დამოუკიდებლად. თუმცა, მას შემდეგ რაც ჭამა აღარ უნდა თამაშს იწყებს საჭმლით. იყენებს პამპერს, არ გამოხატავს ტუალეტის საჭიროებას. ბაღში არ იძინებს. ხელების დაბანის დროს თანმიმდევრობის შეხსენება სჭირდება.	ჭამის დასრულების შემდეგ როგორც ელენეს ასევე სხვა ბავშვებს არ აქვთ ხელების დაბანისა და სათამაშო სივრცეში გადასვლის შესაძლებლობა.
ეზო და დარბაზი	ცდილობს აყვეს ჯგუფს, როცა ბავშვები უფროსის მიერ შეთავაზებული მოძრაობების და/ან მოტორულ თამაშებით არიან დაკავებული, თუმცა მალე ბეზრდება და იწყებს ჯგუფში ან ეზოში სიარულს, ან უყურებს სხვებს, ან წამოწვება იატაკზე. არის შემთხვევები როცა გამოსცემს სხვადასხვა ბგერებს, ან ღიღინებს.	

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების ფუნქციური მიზნები

1. ფუნქციური გრძელვადიანი მიზანი: **ელენე ირჩევს სათამაშოებს და თამაშობს 7-10 წუთის განმავლობაში დამოუკიდებლად**

საჭირო რესურსები, ადაპტაციები, განხორციელების სტრატეგიები:

- საჭიროა მუდმივი დაკვირვება ბავშვის ინტერესებზე და შემდეგ სათამაშო/განმავითარებელი რესურსის გამრავალფეროვნება მისი ინტერესების შესაბამისად
- ამ ეტაზე ელენეს მოწონს სენსორული ტიპის ნივთები, ხმოვანი და ეფექტის მქონე სათამაშოები. კარგი იქნება სენსრული ხალიჩის შექმნა, ასევე ქვიშით, წყლით, ცომით თამაშის საშუალება მიეცეს, ასევე „ციმციმა“ და ხმოვანი სათამაშოების არსებობა ჯგუფში მის ყურადღებას მიიქცევს.
- კარგი იქნება ორი არჩევანის შეთავაზება – თუ რომელი სათამაშოთი უნდა რომ ითამაშოს. (ასე არჩევანის გაკეთების უნარსაც განივითარებს).
- მნიშვნელოვანია მოდელირება და შემდეგ პასიური მხარდაჭერა მისი თამაშის პროცესში რომ თვითონვე მიხვდეს ერთი აქტივობის მობეზრების შემდეგ როგორ გადაერთოს ახალ აქტივობაზე დამოუკიდებლად.

2. ფუნქციური გრძელვადიანი მიზანი: **ელენე ერთვება უფროსის მიერ ორგანიზებულ მცირე ჯგუფურ თამაშებში**

საჭირო რესურსები, ადაპტაციები, განხორციელების სტრატეგიები:

- თამაშისა და კომუნიკაციის უნარების ხელშეწყობისთვის თავდაპირველად მნიშვნელოვანია უფროსი დღის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ეთამაშებოდეს მას ინდივიდუალურად.
- თანდათან აუცილებელია მასთან თამაშში უფროსმა ჩართოს თანატოლები და მათი რიცხვი ეტაპობრივათ გაიზარდოს. მაგალითად, ლოტოს ჯერ თამაშობს აღმზრდელი და ელენე, შემდეგ აღმზრდელი ელენე და ერთ-ერთი მსურველი ბავშვი.
- მსგავსი ტიპის მარტივი წესებიანი თამაშები ელენეს ასევე დაეხმარება როგორც ენისა და კომუნიკაციის განვითარებაში, ასევე ჯერის დაცვაში.

3. ფუნქციური გრძელვადიანი მიზანი: **ელენე დამოუკიდებლად, მითითების გარეშე იბანს ხელებს**

- საჭიროა პირსაბანთან ხელის დაბანის ვიზუალური თანმიმდევრობის განლაგება და ელენეს დახმარება, რომ ან განრიგზე გურადღების მიქცევით ისწავლოს ხელების დამოუკიდებლად დაბანა.

გეგმის გადახედვის თარიღი: 30. 04. 2018

ხელმოწერები:

გუნდის წევრი/ები:

მე _____ მშობელი/მეურვე

მე _____ აღმზრდელი

მე _____ აღმზრდელი თანაშემწე

მე _____ სპეციალური განათლების პედაგოგი

მე _____ ლოგოპედი

ვმონაწილეობდი ამ გეგმის შედგენაში და თანახმა ვარ აქტიური მონაწილეობა მივიღო მის განხორციელებაში.

თავი 8. დანახვა, ჩანიშვნა, დაფიქრება

საგანმანათლებლო პერსონალი მუდმივად ფიქრობს თავის პრაქტიკაზე და გააზრებულ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ პროცესი ეფექტურად წარიმართოს. ბავშვის განვითარებაში საკუთარი როლის გაცნობიერება, მიდგომების, მოქმედებების, პროცესების გაანალიზება, აღმზრდელს საგანმანათლებლო გარემოს სრულყოფაში და ბავშვებთან საუკეთესო შედეგების მიღწევაში ეხმარება.

საკუთარ საქმიანობაზე დაფიქრება, პრაქტიკის რეფლექსია, დაკვირვებით იწყება.

აკვირდები, რომ:

- აღმოაჩინოთ ბავშვების ინტერესები
- დაინახოთ ბავშვების შესაძლებლობები, დააფასოთ მათი მიღწევები და დაფიქრდეთ მათ საჭიროებებზე
- დაფიქრდეთ იმაზე, თუ რა ხდება ჯგუფში
- გაუზიაროთ მშობლებს მიღწევები და მათთან ერთად დასახოთ ახალი საგანმანათლებლო მიზნები

მოცემულ თავში ეს პროცესებია დეტალურად აღწერილი.

დააკვირდი, რა აინტერესებთ ბავშვებს

დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე წარიმართება საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც ბავშვების ინტერესებზე იგება და ბიძგს აძლევს მათ სწავლასა და განვითარებას. ბავშვებთან მომუშავე აღმზრდელმა იცის ბავშვების ძლიერი მხარეები, მათი განვითარებადი უნარები, საყვარელი საქმიანობები, ინტერესები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეუძლია მასალების სწორად შერჩევა, ისეთი თემებისა და პროექტების განხორციელება, რაც ბავშვების აქტიურ მონაწილეობას და ჩართვას უზრუნველყოფს. როდესაც შერჩეული რესურსი და თამაშები ბავშვების ინტერესებს უკავშირდება, ისინი მეტი ხალისით და ენთუზიაზმით ერთვებიან. თავის მხრივ კი, ასეთი თამაშები ბავშვებზე კიდევ უფრო სიღრმისეული დაკვირვების ახალი შესაძლებლობაა.

ბავშვების მიერ დასმული კითხვების გაგება, მათი საუბრის მოსმენა, უფროსის მხრიდან ღია კითხვების დასმა, თამაშის თემებზე დაკვირვება და ყურადღების მიქცევა, მათ დამოკიდებულებებსა და ინტერესებზე ბევრ რამეს დაგანახებთ.

დაინახე, დააფასე, დაფიქრდი. პორტფოლიოს წარმოება

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მორგებისა და მისი ეფექტურობის შეფასებისთვის აღმზრდელი მუდმივად უნდა აკვირდებოდეს ბავშვების განვითარების და სწავლის პროცესს. მან უნდა დაინახოს, რა შეუძლიათ ბავშვებს, დააფასოს რას მიაღწიეს და დაფიქრდეს, რა სჭირდებათ. ამისათვის, იგი კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ ბავშვს, მათ შესაძლებლობებს, რომ საგანმანათლებლო პროცესი მოარგოს და მიღწეული შედეგები შეაფასოს.

პატარა ასაკის ბავშვების შეფასების მეთოდები მათი განვითარების და გამოცდილების შესაფერისი უნდა იყოს. ასეთი მეთოდი ინდივიდუალურ განსხვავებებს აღიარებს და ბავშვების კომპეტენციებს სხვადასხვა გზით ავლენს. ეს არის სხვადასხვა სიტუაციებში, მრავალფეროვანი თამაშებისა და ყოველდღიური საქმიანობების დროს ბავშვებზე დაკვირვება, ანუ იმის ობიექტურად დანახვა, თუ რას აკეთებენ ბავშვები, რატომ იქცევიან ასე და არა სხვაგვარად. ასევე, შესაბამისი ობიექტური ჩანაწერების, ჩანიშვნების გაკეთება და ამის ანალიზი.

თანმიმდევრული დაკვირვებით მათი განვითარების სრული სურათის დანახვაა შესაძლებელი. დაკვირვებით მოპოვებული ფაქტების ჩაწერით მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყურადღების მიღმა არ დაგრჩებათ. ამ მონაცემებს კი, თქვენს პრაქტიკაზე დაფიქრებისთვის, საგანმანათლებლო პროცესის ბავშვზე მორგების, ბავშვის პროგრესის შეფასებისა და მნიშვნელოვან პირებთან ინფორმაციის გაზიარებისთვის გამოიყენებთ.

ჩანიშვნების კეთების, დოკუმენტაციის წარმოების ერთ-ერთი საუკეთესო გზა ინდივიდუალური პორტფოლიოა. პორტფოლიო ბავშვის გამოცდილებების და ნამუშევრების შეგროვების სისტემაა, რაც მისი განვითარების და სწავლის პროგრესს ასახავს. იგი ბავშვის საქმიანობის და თამაშის სხვადასხვა ვიზუალური და აუდიო დოკუმენტებისგან შედგება: ნახატები, სამუშაო ფურცლები, ჩანაწერები, სიმბოლოები, ცხრილები, ფოტოები, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები და სხვა.

გასათვალისწინებელია, პორტფოლიოს და ჩანაწერების წარმოება ყველა ბავშვთან ხდებოდეს.

პორტფოლიოსთვის მონაცემების შეგროვება ორი გზით არის შესაძლებელი:

1) საგანმანათლებლო პროცესში, სხვადასხვა თამაშების და დღის რუტინული საქმიანობების დროს ბავშვზე ინდივიდუალური დაკვირვებით და ისეთი ფაქტების ჩაწერით, რაც მის მიღწევებს და გამოწვევებს ასახავს. ასეთია, მაგალითად, აღმზრდელის დაკვირვების ობიექტური ჩანაწერები იმაზე, თუ როგორ არის ჩართული ბავშვი კვლევა – აღმოჩენის პროცესში; რას აკეთებს, რას ამბობს, როგორ ურთიერთობს; საქმიანობის და პროექტში მონაწილეობის ფოტოები; ასევე, ამ დაკვირვებით გაკეთებული შეფასება და ანალიზი – რისი გაკეთება შეუძლია, რა ესმის. უფროსს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ახსნაც დაურთოს, რომ ბავშვის მიღწევები თვალსაჩინო გახდეს. მაგალითად, კუს პროექტის მიმდინარეობაზე დაკვირვებით შეიძლება, შეაგროვოთ ფაქტები და მტკიცებულებები ცალკეულ ბავშვზე. ჩაინიშნოთ, როგორი ინტერესით იყო ჩართული, რა კითხვები დაებადა. ასევე, პორტფოლიოში შეინახოთ ჩანაწერი დრამატულ ცენტრში მეგობრებთან ვეტერინარობის თამაშის შესახებ.

დაკვირვებით მოპოვებული ეს ჩანიშვნები საგანმანათლებლო პროცესის/თამაშის მიზნებთან და ბავშვის განვითარების სტანდარტთან მიმართებაში უნდა გაიაზროთ. მაგალითის სახით, პირველ ცხრილში მოცემულია ჩანაწერი, რომელიც შეიძლება ბავშვის ნამუშევართან ერთად მის პორტფოლიოში განათავსოთ. პირველ გრაფაში ობიექტურად აღწერილია ის დაკვირვებადი ქმედებები, რითაც ვლინდება ბავშვის ინტერესი, თამაშში ჩართულობა, მონაწილეობა, კვლევა (რაც საგანმანათლებლო პროცესის და კონკრეტულად, ამ თამაშის მიზანს ესადაგება) და მისი სპეციფიკური კოგნიტური და მოტორული უნარები (ბავშვის განვითარებიდან). აღმზრდელისთვის ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რაც ბავშვის მიღწევებსა და თავად თამაშის შედეგზე მეტყველებს და სწორედ ამიტომ, შეიძლება, აღმზრდელმა ეს პორტფოლიოში განათავსოს. ამ თამაშით აღმზრდელმა ნინისთან ისეთი გამოცდილება შექმნა, სადაც ბავშვს შესაძლებლობა მიეცა, სხვადასხვა მასალა მოესინჯა და განსხვავებულად გამოეყენებინა; დაკვირვებოდა საგნების თვისებებს, როგორ ნაკვალევს ტოვებს საღებავში ამოვლებული ყვავილის ღერო და ყვავილი ფურცელზე; რა მოსდის ნახატს ქვიშის დაყრით.

ცხრილი 1. ხელოვნების ცენტრში ნინიზე დაკვირვების ჩანაწერი.

ობიექტური დაკვირვების ჩანაწერი – რა დაინახა აღმზრდელმა შენიშვნა: ობიექტური ჩანაწერი ფაქტობრივი, აღწერითი და კონკრეტულია	ჩანაწერზე დაფიქრება, მისი შეფასება – რა დაასკვნა აღმზრდელმა შენიშვნა: დაკვირვება თამაშის მიზანთან და ბავშვის განვითარების სტანდარტთან დააკავშირა
ხელოვნების ცენტრში ნინიმ ყვითელ საღებავში ჯერ ყვავილის ღერო ჩაყო და ფურცელზე გადაიტანა ნაკვალევი, შემდეგ, თვითონ ყვავილი ჩაყო და ასევე დაიტანა ანაბეჭდი. ანაბეჭდებს დააყარა ქვიშა. თარიღი: 15.10	ნინი თავისუფლად იყენებს სხვადახვა სამუშაო მასალას, მოსინჯავს საგნების გამოყენების სხვადასხვა გზებს და აკვირდება საგნების თვისებებს.

2) ყურადღების მიღმა არ უნდა დაგრჩეთ ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროები, რადგან პორტფოლიოსთვის მონაცემთა შეგროვების მეორე გზა – ბავშვის განვითარების სფეროებზე ფოკუსია. ნინიზე რამდენიმე დღის დაკვირვების შემდეგ, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ არ იცნობთ და არ ფლობთ ინფორმაციას წიგნებთან მისი ურთიერთობის შესახებ. განვითარების პერსპექტივით ბავშვებზე დაკვირვება მათი განვითარების სრულ სურათს ქმნის. ჩვეულებრივ, ბავშვები ისეთ საქმიანობაში არიან ჩართულები, რაშიც თავს თავდაჯერებულად გრძნობენ, ან აინტერესებთ. ისინი თავს არიდებენ ისეთ თამაშებს და ცენტრებს, რაც არ აინტერესებთ, სადაც თავს წარუმატებლად გრძნობენ, ან მათთვის უცნობი და ახალია. ზოგიერთი გამოცდილებიდან თავის არიდების გამო, თქვენ არ გეძლევათ ბავშვების სპეციფიკურ უნარებზე დაკვირვების, ხოლო მათ – ამ უნარების განვითარების შესაძლებლობა. განვითარების პერსპექტივიდან ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოგროვება ასეთ ხარვეზებს აგაცილებთ და დაგანახებთ, რა მიმართულებით უნდა აწარმოოთ ბავშვებზე დაკვირვება, მათი განვითარების შესახებ დამატებითი ფაქტების და ინფორმაციის მოძიების მიზნით. ასეთი მიზანმიმართული დაკვირვება კი, ბავშვების ინდივიდუალურ და სპეციალურ საჭიროებებსაც გამოავლენს, თუ ასეთი არსებობს. ეს კი, მათი ჰოლისტური განვითარებისთვის სპეციფიკური გამოწვევების მოფიქრებასა და მხარდაჭერის განსაზღვრაში დაგეხმარებათ. მაგალითად, ნინისთვის დაგეგმავთ გარკვეულ გამოწვევებს წიგნიერების ცენტრში, რომ ნინი წიგნით დააინტერესოთ, მეტი გაიგოთ მისი ამ უნარის შესახებ და წიგნიერებასთან დაკავშირებულ მომავალ გეგმებში გაითვალისწინოთ. განვითარების სფეროებზე დაკვირვების ფოკუსის შესარჩევად შეგიძლიათ, ბავშვის განვითარების სტანდარტიდან, სფეროების კატეგორიებით იხელმძღვანელოთ, მაგალითად: ხატვა, მძივების აცმა, მაკრატლის გამოყენება (მოტორული სფეროდან), ემოციების მართვა, ემოციების გაგება, სოციალური თამაში (სოციალურ-ემოციური

სფეროდან), ლექსიკური მარაგი, კომუნიკაცია, ამბის მოყოლა (მეტყველება, კომუნიკაციის სფეროდან), შემოქმედებითობა, პრობლემის გადაჭრა, სიმბოლური აზროვნება (კოგნიტური სფეროდან), ტუალეტის და ჰიგიენის უნარები (თვითმოვლის სფეროდან).

ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოს წარმოების ეს ორი გზა ერთმანეთს ავსებს. პირველი, საგანმანათლებლო პროცესში ბავშვზე მნიშვნელოვანი ფაქტების და მიღწევების დანახვას და დოკუმენტირებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე – ბავშვის განვითარების სრული სურათის გარანტიაა. პორტფოლიო სრულ ინფორმაციას უნდა გაძლევდეს ბავშვის განვითარების, ძლიერი მხარეების, პიროვნული თვისებების, ინტერესების და განვითარებადი უნარების შესახებ.

მნიშვნელოვანია დაკვირვების პროცესის ორგანიზება და წინასწარ დაგეგმვა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამე შეიძლება დაუგეგმავადაც დაინახოთ, აღმოაჩინოთ და ჩაინიშნოთ. აღმზრდელი მთელი საგანმანათლებლო პროცესის დროს ახორციელებს ბუნებრივ დაკვირვებას, მაგრამ პორტფოლიოში ჩასანიშნად მან ის ფაქტები უნდა შეარჩიოს, რაც ბავშვის თავისებურებებს, მიღწევებს და გამოწვევებს ყველაზე კარგად აღწერს. ჩანაწერებში უნდა ჩანდეს, რას აკეთებენ და ამბობენ ბავშვები, რასაც მათ მიერ შესრულებული ნახატებით, ნამუშევრებით და ფოტოებით გაამყარებთ. ჩანაწერის ფორმატი შეგიძლიათ, თქვენ შეარჩიოთ. ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ ბლოკნოტი, წებოვანი ან სწრაფი მონიშვნის ფურცლები. აუცილებელი წესია, ჩანაწერში თარიღი, ბავშვის სახელი და დაკვირვების დრო მიუთითოთ, რაც შემდგომში ფაქტების დახარისხებას გაგიადვილებთ.

დაკვირვების ეფექტურად ორგანიზებისთვის ბავშვებთან მომუშავე უფროსებმა შეიძლება, საქმე გადაინაწილონ. მაგალითად, თქვენს კოლეგასთან შეიძლება მოილაპარაკოთ, რომ პირველი ორი კვირის განმავლობაში დააკვირდებით ბავშვების ენის, სიტყვების გამოყენებას, საუბარს და სოციალურ ურთიერთობებს, ხოლო შემდეგ ორ კვირას ფოკუსირებას ფიზიკურ განვითარებასა და კოგნიტურ უნარებზე მოახდენთ. მეორე ცხრილში ნაჩვენებია, როგორ შეიძლება, კვირის განმავლობაში ბავშვების სოციალურ-ემოციურ და მოტორულ უნარებზე მონაცემების შეგროვება. თუმცა აღსანიშნია, რომ ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების შემთხვევაში, ჩანაწერებზე ეფექტური ამ სფეროსთვის შედგენილი კითხვარის გამოყენებაა. კითხვარის გამოყენებით მარტივად და მოკლე დროში შეძლებთ მონიშნოთ, რასაც დააკვირდებით. იგივე შეიძლება ითქვას თვითმოვლის უნარებზე. სოციალურ-ემოციურ სფეროზე დაკვირვებისას, ისევე, როგორც მეტყველებასა და კოგნიტურ სფეროებზე, შედარებით დეტალური, ნარატიული ჩანაწერებით ბევრ თვისობრივ მონაცემებს შეაგროვებთ, რაც შესაბამისი სტრატეგიების მოფიქრებასა და თამაშების დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

(7 – 11.11)

ელენე

ნატიფი მოტორიკა: დრამატულ ცენტრში ხრახნიანი კონტეინერები თავისუფლად გახსნა, მაკრატელით ჭრის სწორ ხაზებს, აწყობს 8 ნაწილიან ფაზლს

სოციალურ-ემოციური: ძირითადად, დრამატულ ცენტრში თამაშობს კატოსთან და ნინოსთან ერთად, იცავს წესებს (გუშინ რომ გავაცანი წიგნიერების წესები); დღეს მარიამთან კონფლიქტის დროს ახსნა თავის პოზიცია და მასაც მოუსმინა, გადაჭრის გზების მოფიქრებაში ჩემი დახმარება დასჭირდა.

(7 – 11.11)

მათე

ნატიფი მოტორიკა: დამოუკიდებლად გამოჭრა ოთხკუთხედები. კონსტრუქციულში ერთმანეთზე ხრახნიანი საგნები დაამაგრა. ხატავს ხაზებს.

სოციალურ-ემოციური: ინტერესდება სხვების ემოციებით. დახმარება სჭირდება თამაშის წესების დაცვაში

(7 – 11.11)

თინა

ნატიფი მოტორიკა: მაკრატლით ვაშლი გამოჭრა (წრის ფორმა). ნიკასთან ერთად ააგო რთული კონსტრუქცია (ფოტო 3). ძერწავს ბურთებს.

სოციალურ-ემოციური: პოზიტიურად ერთვება სხვა ბავშვების თამაშში, ნინის და ელენეს შესთავაზა სალაროში დაჯდომა. ინტერესით ჩაერთო კუს ბრაზის მართვის ტექნიკებზე საუბარში. მისმენდა როდესაც გიგის შევახსენე ამ ტექნიკების გამოყენება.

დაკვირვების და დოკუმენტირების მეტი ეფექტურობისთვის გაითვალისწინეთ, რომ შეუძლებელია ბავშვების ყველა საქმიანობის ჩაწერა და პორტფოლიოში ასახვა. ბავშვების მიღწევები და განვითარება თანდათანობით, აღმზრდელის მიერ შერჩეული დასაკვირვებელი საკითხების დოკუმენტირებით უნდა ხდებოდეს. დაკვირვების ფოკუსი ბავშვების ისეთი თამაშები და საქმიანოებები უნდა იყოს, სადაც ნათლად ჩანს, როგორ იცვლება ბავშვების სხვადასხვა უნარები, კომპეტენციები და ინტერესი. დროთა განმავლობაში, ბავშვებზე დაკვირვების ჩანაწერები შესაძლებლობას მოგცემთ, ბავშვის განვითარების პროგრესი დაინახოთ. პირველ ცხრილში აღწერილი ნინის ამბავი შეიძლება, ორი თვის შემდეგ ასეთი იყოს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. ხელოვნების ცენტრში ნინიზე დაკვირვების ჩანაწერი ორი თვის შემდეგ.

ობიექტური დაკვირვების ჩანაწერი – რა დაინახა აღმზრდელმა შენიშვნა: ობიექტური ჩანაწერი ფაქტობრივი, აღწერითი და კონკრეტულია	ჩანაწერზე დაფიქრება, მისი შეფასება – რა დაასკვნა აღმზრდელმა შენიშვნა: დაკვირვება თამაშის მიზანთან და ბავშვის განვითარების სტანდარტთან დააკავშირა
ხელოვნების ცენტრში ნინიმ მწვანე საღებავიანი ფუნჯით დახატა დიდი წრე ოთხი ხაზით და თქვა: „ეს მე ვარ“. თარიღი: 15.12	ნინი ხატავს მარტივი მონასმით თავისი ინიციატივით იწყებს ნამუშევრის შექმნას, ასახელებს ნამუშევარს.

ეს ორი ჩანაწერი (ცხრილი 1 და ცხრილი 3) თვალსაჩინოს ხდის ნინის მიღწევებს და შესაძლებლობას გაძლევთ, განვითარების პროგრესს დააკვირდეთ. მისი ეს ორი ნამუშევარი, დაკვირვების ობიექტური ჩანაწერებით, პორტფოლიოს ღირებული ნაწილია. ეს არის ბავშვის პროგრესის, მისი მრავალმხრივი განვითარების, აღმზრდელის საქმიანობის და საგანმანათლებლო პროცესის გააზრების საუკეთესო საშუალება.

დროთა განმავლობაში ბავშვების ჩანაწერებისა და ნამუშევრების შედარება ნათლად დაგანახებთ, როგორ იზრდება მათი კომპეტენციები და იცვლება ინტერესები.

რეფლექსური დღიური

საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება და მისი ანალიზი, რეფლექსია, მიზნობრივი პრაქტიკის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტებია. ამ შემთხვევაში თქვენი დაკვირვების ობიექტი არა მხოლოდ ცალკეული ბავშვი, არამედ ბავშვების ჯგუფი, საკუთარი თავი და საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა ასპექტებია. ამ დროსაც რეკომენდებულია დაკვირვებით მოპოვებული ობიექტური ინფორმაციის ჩაწერა, დოკუმენტირება. ეს თქვენი საქმიანობის დღიურია, სადაც წინა ნაწილში განხილული ინდივიდუალური დაკვირვებებიც შევა, სანამ ბავშვის პორტფოლიოში შეიტანთ. დღიური რეფლექსურია, სადაც ობიექტური დაკვირვების ჩანაწერების გარდა, თქვენი სუბიექტური შეხედულებები, ვარაუდები და მსჯელობებია, როგორც ცალკეულ ბავშვზე, ასევე, ბავშვების ჯგუფებზე. გაითვალისწინეთ, რეფლექსია მხოლოდ საგანმანათლებლო პერსონალისთვის არის განკუთვნილი და მშობლებს არ უზიარებთ კონფიდენციალობის დაცვის მიზნით. ის, თუ რა ინფორმაცია გაუზიაროთ მშობლებს და როგორ, ამ თავის ბოლო ნაწილში გაეცნობით.

შეგიძლიათ, ჩანაწერების წარმოების და მონიშვნის თქვენი სტილი შეიმუშავოთ, ჩანაწერების წარმოების დროც თქვენ განსაზღვროთ – ფაქტიდან მალევე, თუ სამუშაო დღის ბოლოს; ბავშვებთან ყოფნის დროს, თუ რომელიმე გამონთავისუფლებულ დროის მონაკვეთში. ის, თუ როდის, რას, რამდენს და რამდენად დეტალურად ჩაინიშნავთ, აღმზრდელის გადასაწყვეტია პრაქტიკის, მისი პრაქტიკული საქმიანობის და ორგანიზაციული სტილის თავისებურებებიდან

გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ ჩანაწერები ღირებულ ფაქტებს ასახავდეს და კვირაში ერთხელ ხდებოდეს მისი გადახედვა, ანალიზი და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში, განხორციელებასა და ხელახლა დაკვირვებაში ასახვა. ცხრილში 4 მოცემულია მაგალითები, თუ რა ტიპის ჩანიშვნები შეუძლია გააკეთოს აღმზრდელმა ცალკეულ ბავშვებთან დაკავშირებით, რასაც ჯგუფის საერთო გეგმის წერისას გაითვალისწინებს. ყურადღება მიაქციეთ, აღმზრდელის ეს ინდივიდუალური მიდგომები ბავშვების სოციალურ-ემოციურ განვითარებასა და ნატიფ მოტორულ უნარებზე დაკვირვებებიდან გამომდინარეობს, რომელიც მეორე ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 4. ბავშვებზე დაკვირვების საფუძველზე გაკეთებული ინდივიდუალური მიდგომის და გეგმის ნიმუშები

ელენე შევთავაზებ რთულ ფაზლებს. დრამატულ ცენტრში ისეთ ნივთებს დავდებ, რომ თამაში წამოიწყოს. ხელს შევუწყობ, დამოუკიდებლად მოაგვაროს კონფლიქტები.
გიგი ვუზრუნველყოფ, უფრო ხშირად გამოიყენოს მაკრატელი და სახატავი საშუალებები. ინდივიდუალურ მინიშნებებს გამოვიყენებ ტრანზიციის დროს. დავეხმარები იმპულსის კონტროლში (ლოდინის პერიოდში შევთავაზებ, ჩემთან ერთად სხვა საქმით დაკავდეს), შევთავაზებ ჯგუფს იმპულსის კონტროლის თამაშებს. მცირე ჯგუფში ვათამაშებ ბრაზის მართვაზე. გავათამაშებ სხვადასხვა სცენარებს და გავამეორებინებ ბრაზის მართვის კუს ნაბიჯებს.
მათე შევუქმნი მეტ შესაძლებლობას, ხატოს. დავაკვირდები, რა განაპირობებს იმას, რომ სირთულეები აქვს წესების დაცვაში. დავეხმარები ემოციების ამოცნობაში.
კატო გავურთულებ ფაზლებს. წავახალისებ, ხშირად ძერწოს. ხელს შევუწყობ კონფლიქტის დამოუკიდებლად მოგვარებაში.

რეფლექსური დღიურის ჩანაწერები თვითდაკვირვებას და თვითრეფლექსიასაც მოიცავს. თქვენი საქმიანობის რეფლექსია გულისხმობს იმაზე დაფიქრებას, თუ რას აკეთებთ, რატომ აკეთებთ, რა მუშაობს, რა – არა. სწორედ ასეთი მიდგომა განაპირობებს საგანმანათლებლო პრაქტიკის განვითარებას და სრულყოფას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებისას, თქვენ, ცალკეულ ბავშვებთან ერთად, ბავშვების ჯგუფებს, თქვენ მიერ დაგეგმილი თამაშების მიმდინარეობას, ფიზიკური სივრცის და რესურსების გამოყენებას, თქვენი სტრატეგიების და ინტერვენციების ეფექტურობას აკვირდებით. მეხუთე ცხრილში ნიმუშად მოცემულია, რას აკვირდებით და რა

კითხვებზე უნდა გაეცეს პასუხი დაკვირვების და დაკვირვებით მიღებულ ფაქტებზე დაფიქრებით, ანუ რეფლექსიის დროს.

ცხრილი 5. საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება.

რას აკვირდებით	რას გაძლევთ ეს დაკვირვება რა კითხვებზე უნდა გაეცეს პასუხი
დღის განმავლობაში ბავშვებზე, მთლიან ჯგუფზე დაკვირვება	➢ როგორ მუშაობს თქვენ მიერ განსაზღვრული განრიგი ➢ დაბალანსებულია თუ არა თამაშები (აქტიური და პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური თამაშები) ➢ როგორია ტრანზიციები ➢ რითი დაინტერესდნენ და ვინ ➢ რა საკითხები და თამაშები აინტერესებთ ბავშვებს უფრო მეტად ➢ როდის და როგორ წარმოიშვა პრობლემები ქცევასთან დაკავშირებით
ბავშვების ჯგუფზე დაკვირვება თქვენ მიერ შეთავაზებული თამაშების დროს	➢ რამდენად წარმატებულია თქვენ მიერ დაგეგმილი თამაშები, გამოწვევები, თემა. ➢ გამოიჩინეს თუ არა თამაშის მიმართ ინტერესი ➢ ხალისობდნენ თუ არა ➢ მისცა თუ არა ბიძგი უფრო კომპლექსურ თამაშს ➢ რამდენ ხანს თამაშობდნენ ➢ რამდენი ბავშვი მონაწილეობდა.
ფიზიკური სივრცეების და რესურსების გამოყენებაზე დაკვირვება	➢ როგორ იყენებენ ბავშვები ოთახის გარემოს ➢ რომელ სივრცეს იყენებენ და როგორ ➢ რა მასალებს იყენებენ და როგორ ➢ რა ტიპის თამაშების პროვოცირება ხდება ➢ ხომ არ არის სივრცე, რომელსაც თითქმის არ იყენებენ? ➢ ხომ არ არის მუდმივი კონფლიქტის წყარო რომელიმე ცენტრი ან ნივთი?
საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვება	➢ რა სტრატეგიებს ვიყენებ ➢ რამ იმუშავა ➢ საკუთარი მიკერძოებულობის, დამოკიდებულებების გაცნობიერება

ბავშვების თამაშებზე, რესურსების და სივრცეების გამოყენებაზე, რუტინულ საქმიანობებზე დაკვირვებით შესაძლებელია იმის გაგება, თუ როგორ მუშაობს თქვენ მიერ განსაზღვრული განრიგი, დაბალანსებულია თუ არა თამაშები (აქტიური და პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური თამაშები), როგორია გადასვლები (ტრანზიციები).

ბავშვების ჯგუფებზე და მათ თამაშებზე დაკვირვება გეხმარებათ გაიგოთ, არის თუ არა მათთვის წარმატებული თქვენ მიერ შეთავაზებული თამაში, გამოწვევები, თემა. გამოიჩინეს თუ

არა თამაშის მიმართ ინტერესი, რამდენ ხანს თამაშობდნენ, ხალისობდნენ თუ არა, მისცა თუ არა ბიძგი უფრო კომპლექსურ თამაშს, რამდენი ბავშვი მონაწილეობდა. ცხრილში 6 ნიმუშად მოცემულია აღმზრდელის სამი დღის რეფლექსური ჩანაწერები.

ცხრილი 6. ჩანაწერებზე დაფიქრება. რეფლექსიის ნიმუში. 21.10. – 24.10

ბავშვებმა უკვე შეისწავლეს ცენტრები. ისინი ინტერესით არიან ჩართულები სხვადასხვა თამაშებში, თუმცა, ტრანზიცია ისევ ქაოსურია, მათ სჭირდებათ დახმარება თამაშების დასრულების შემდეგ დალაგებში. ბაღში მოსვლა ისევ პრობლემად რჩება ბავშვების უმეტესობისთვის. უძნელდებათ დილით ეზოში შეხვედრის და თამაშის შემდეგ შიგნით, შენობაში შემოსვლა. ლუკას და მარიამს ინდივიდუალური მუშაობა სჭირდება. ელენემ, ნინომ და მარიამმა ბევრი ითამაშეს დრამატულ ცენტრში ჭურჭლით და რბილი სათამაშოებით. შევნიშნე დიდი ინტერესი შინაურ ცხოველებზე. შეიძლება პროექტიც წამოვიწყოთ ამაზე. კუბურების ცენტრში ისევ იყო უთანხმოება. უნდა დავაკვირდეთ, რომ მიზეზი გავიგოთ.

გახსოვდეთ, რომ დაკვირვების ობიექტური ჩანაწერები თქვენი დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი და რეფლექსიის საფუძველი უნდა იყოს.

ბავშვების შესაძლებლობების და ინტერესების გამოვლენის გარდა, კურიკულუმის დაგეგმვაში აღმზრდელს ჯგუფის სხვადასხვა სივრცეებში ბავშვების თამაშზე სიღრმისეული დაკვირვება ეხმარება. დაკვირვებით შეიძლება ნახოთ, რომ ესა თუ ის სივრცე გამოუყენებელია, ხოლო სხვა სივრცეები მუდმივად ბავშვებითაა გადავსებული. ამ შემთხვევაში ოთახი სხვაგვარად უნდა მოეწყოს. შეიძლება, ერთი კვირის განმავლობაში ბავშვები მაგნიტური ქვიშით იყვნენ გატაცებული, სხვა დროს კი, სხვა რამით დაინტერესდნენ (ცხრილი 7).

ცხრილი 7. ცენტრებში ბავშვების თამაშზე გაკეთებული დაკვირვების ჩანიშვნები.

დრამატული დრამატულ ცენტრში ბავშვები შედიან მხოლოდ რამე ნივთის ასაღებად. შემორბის ეთუნა, იღებს ცომის გასაბრტყელებელს და მიაქვს ხელოვნების ცენტრში. იოანეს გამოაქვს პატარა ქსოვილები მოძრავი თამაშისათვის. (რადგან დრამატულ ცენტრში არსებული რესურსით ბავშვები აღარ ინტერესდებიან, შევცვალოთ სივრცე. შევიტან ძველ საბეჭდ მანქანას, ტელეფონს, საწერ და საოფისე მასალას.)
მეცნიერება რამდენიმე ბავშვი დაკავებულია მეცნიერების ცენტრში სინჯარებში სითხეების შერევით. კესო კითხულობს, როგორ კეთდება ლიმონათი. აინტერესებს, რა უნდა შეურიოს, რომ ლიმონათი გამოვიდეს.
ეზო ბავშვებს მოეწონათ მანქანების ტარება სხვადასხვა ზედაპირებზე, დაქანებულ ზედაპირზე მანქანების დაშვებისას შენიშნეს, რომ უფრო მძიმე მანქანები უფრო სწრაფად მოძრაობდნენ. მოუმატეს სიმაღლე და დახრა.
კუბურები კუბურების ცენტრში ანასტასია, პეტრე და ირინა აშენებენ მაღალ ნაგებობებს. ცდილობენ, რომ დაიცვან წონასწორობა და არ წაექცეთ ისინი. ნაგებობებს ბოლოში ადგამენ სამკუთხა სახურავებს, ზოგს კი ადებენ შუშის ბურთულებს.

ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს ბავშვების თამაშები ცენტრებში, რა ინტერესებს ავლენენ ისინი, როგორ იყენებენ რესურსებს, როგორ იქცა აღმზრდელის მიერ შექმნილი გამოწვევები უფრო რთულ თამაშად, კვლევად, აღმოჩენად, როგორ გამოავლინა ამ გამოწვევებმა ბავშვების ახალი ინტერესები. აღმზრდელი ასეთი დაკვირვების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა გამოწვევა დაუმატოს, რა შესთავაზოს ხელახლა, რა სტრატეგიებით ჩაერთოს მიმდინარე თამაშში და რა გაითვალისწინოს მომავალი თამაშების, თემების მოფიქრების და დაგეგმვისას. ფიზიკურ სივრცეებზე დაკვირვების შესახებ იხილეთ მეტი თავში – „ფიზიკური გარემო“.

შეფასებითი პორტფოლიო

მუშაობის პროცესში ბავშვის პორტფოლიოში ბევრი ინფორმაცია იყრის თავს, რომელიც მიმდინარე დაკვირვების ჩანაწერების, კითხვარების, ცხრილების, ბავშვის ნამუშევრების, ფოტოების, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სახითაა მოცემული. აღმზრდელმა პერიოდულობით უნდა გადახედოს ბავშვების პროტფოლიოებს და წელიწადში მინიმუმ ორჯერ მოკლე შეჯამება, შეფასება გააკეთოს მისი მუშაობის შედეგების, ბავშვის პროგრესის და მასთან მომავალი მუშაობის შესახებ. შემაჯამებელი დოკუმენტის ნიმუშად მოცემულია შეფასებითი პორტფოლიო, იხილეთ ცხრილი 8.

შეფასებით პორტფოლიოს მოსამზადებლად გამოყავით დრო, რომ გადახედოთ დოკუმენტაციას – ინდივიდუალურ პორტფოლიოს, თქვენს რეფლექსურ ჩანაწერებს. გააანალიზეთ ბავშვის განვითარების შედეგები. კიდევ ერთხელ გაიაზრეთ ბავშვის პროგრესი და პრობლემური სფეროები. შეფასებითი პორტფოლიოს მეორე და მესამე სვეტში ბავშვის მიღწევები კურიკულუმის მიზნების მიხედვით შეაჯამეთ. აქ არა ცალკეული უნარები, არამედ დროთა განმავლობაში განვითარებული უნარების და შესაძლებლობის ინტეგრირებული გამოყენება უნდა ჩანდეს. ინფორმაცია ლაკონური (2-4 წინადადება თითოეული მიზნის ქვეშ) და ინდივიდუალური პორტფოლიოს მონაცემების შესაბამისი უნდა იყოს. სიფრთხილით მოეკიდეთ, როგორი ფორმულირებით დაწერთ ბავშვის მიღწევებს და გამოწვევებს. აქცენტი ბავშვის განვითარებაზე და ზრდაზე გააკეთეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მხრივ ძალიან მცირე წინსვლაა.

პირველ და მეოთხე სვეტში ბავშვის განვითარების სტანდარტების ჩამონათვალია მოცემული, იმ მიზნით, რომ აღმზრდელმა შემაჯამებელი ანგარიში ამ სტანდარტებზე დაფუძნებით გააანალიზოს. მეორე და მესამე სვეტის შევსების შემდეგ, სტანდარტებს გადახედეთ და მონიშნეთ ის, რაც შეჯამებაშია დაფარული.

შეფასებითი პორტფოლიოს ნაწილში – „გავაგრძელებთ მუშაობას“ – განიხილეთ, თუ რას გეგმავთ ბავშვთან მიმართებაში როგორც მხარდაჭერის და გამოწვევების შექმნის კუთხით, ისე თამაშების, თემებისა და პროექტების შეთავაზებით. ცხრილში 9 მაგალითის სახით შევსებული შეფასებითი პორტფოლიოა მოცემული.

ცხრილი 8. შეფასებითი პორტფოლიო

№_ _ _ _ თარიღი:_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ბავშვი:_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ასაკი:_ _ _ _ _ _ _ აღმზრდელი:_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

სტანდარტი	კურიკულუმის მიზნები		სტანდარტი
☐ ამაჟღავნებს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ (თვითშეფასება) ☐ ამჟღავნებს ემოციური კომპეტენციას ☐ ავლენს პროსოციალურ ქცევას ☐ ავლენს მოსმენის უნარს, იგებს მოსმენილის მნიშვნელობას (რეცეპტული ენა) ☐ აზრის გამოსახატავად იყენებს სიტყვებს, ჟესტიკულაციას, საუბრობს (ექსპრესიული ენა, მეტყველება) ☐ ენას სხვადასხვა მიზნისთვის იყენებს (ენის პრაგმატული განვითარება) ☐ ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე (კოგნიტური განვითარება) ☐ შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას, ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს (კოგნიტური განვითარება) ☐ ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, სწვდება მიზეზ-შედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას (კოგნიტური განვითარება) ☐ ავლენს ინიციატივას და დამოუკიდებლობას; ავლენს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს ☐ თავს დაცულად გრძნობს, ამჟღავნებს ნდობას და უსაფრთხოების წესების ცოდნას; ამჟღავნებს მოქნილობას გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილების შესაბამისად	მეგობრობა და გუნდურობა:	ცნობისმოყვარეობა:	☐ აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას (მსხვილი მოტორიკა) ☐ აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს (ნატიფი მოტორიკა) ☐ გრძნობათა ორგანოებს საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად იყენებს (სენსორული განვითარება) ☐ ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს ☐ ინტერესდება ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის (ხელოვნება) ☐ ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებით (წიგნიერების ბაზისური უნარები) ☐ სწავლობს ჯანსაღი ცხოვრების წესს (მეცნიერების ელემენტები) ☐ აკვირდება და შეისწავლის ბუნებას და მასთან ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას (მეცნიერების ელემენტები) ☐ ინტერესდება და ეცნობა საგნების და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს (მეცნიერების ელემენტები) ☐ ინტერესდება და ეცნობა სივრცეს, დროს, სხვადასხვა კულტურას (მეცნიერების ელემენტები) ☐ იყენებს მათემატიკურ უნარებს; შესაბამისი დანიშნულებით იყენებს ტექნიკას (მეცნიერების ელემენტები)
	თვითცნობიერება და სოციალური ცნობიერება:	კვლევა:	
	თვითკონტროლი და კონფლიქტის მოგვარება:	შემოქმედებითობა:	

გავაგრძელებთ მუშაობას:

№_ 1_ _ თარიღი:_ 15/12/2020_ _ _

ბავშვი:_ _ელენე_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ასაკი:_ 4,5 წ. _ _ აღმზრდელი:_ _ მაკა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

სტანდარტი	კურიკულუმის მიზნები		სტანდარტი
☑ ამაჟღავნებს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ (თვითშეფასება) ☑ ამჟღავნებს ემოციური კომპეტენციას ☑ ავლენს პროსოციალურ ქცევას ☑ ავლენს მოსმენის უნარს, იგებს მოსმენილის მნიშვნელობას (რეცეპტული ენა) ☑ აზრის გამოსახატავად იყენებს სიტყვებს, ჟესტიკულაციას, საუბრობს (ექსპრესიული ენა, მეტყველება) ☑ ენას სხვადასხვა მიზნისთვის იყენებს (ენის პრაგმატული განვითარება) ☑ ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე (კოგნიტური განვითარება) ☑ შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას, ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს (კოგნიტური განვითარება) ☐ ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, სწვდება მიზეზ-შედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას (კოგნიტური განვითარება) ☑ ავლენს ინიციატივას და დამოუკიდებლობას; ავლენს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს ☑ თავს დაცულად გრძნობს, ამჟღავნებს ნდობას და უსაფრთხოების წესების ცოდნას; ამჟღავნებს მოქნილობას გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილების შესაბამისად	**მეგობრობა და გუნდურობა:** გამორჩეულად მეგობრობს მარიამთან და ნინისთან, უმეტესწილად მათთან სათამაშოდ დრამატულ ცენტრს ირჩევს. როდესაც მარიამს დავეხმარე თამაშში ჩართულიყო, ელენემ მომისმინა და მარიამი სათამაშოდ დაპატიჟა.	**ცნობისმოყვარეობა:** ინტერესდება ახალი მასალებით, განსაკუთრებით მოსწონს მეცნიერების ცენტრის რესურსი - თხევადი მასალების შერევა, სასწორი, ლუპით დაკვირვება. ეზოში გასვლისას ყოველთვის აკვირდება კუებს. სვამს კითხვებს, რატომ მოხდა ასე; წიგნის კითხვის დროს სვამს კითხვებს უცნობი სიტყვების მნიშვნელობებთან დაკავშირებით. დრამატული თამაშის დროს იყენებს საწერ საშუალებებს, „ვითომ-ვითომ“ წერს. თავის ნახატს ხშირად აწერს საკუთარ სახელს.	☑ აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას (მსხვილი მოტორიკა) ☑ აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს (ნატიფი მოტორიკა) ☑ გრძნობათა ორგანოებს საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად იყენებს (სენსორული განვითარება) ☑ ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს ☑ ინტერესდება ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის (ხელოვნება) ☑ ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებით (წიგნიერების ბაზისური უნარები) ☐ სწავლობს ჯანსაღი ცხოვრების წესს (მეცნიერების ელემენტები) ☑ აკვირდება და შეისწავლის ბუნებას და მასთან ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას (მეცნიერების ელემენტები) ☑ ინტერესდება და ეცნობა საგნების და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს (მეცნიერების ელემენტები) ☐ ინტერესდება და ეცნობა სივრცეს, დროს, სხვადასხვა კულტურას (მეცნიერების ელემენტები) ☐ იყენებს მათემატიკურ უნარებს; შესაბამისი დანიშნულებით იყენებს ტექნიკას (მეცნიერების ელემენტები)
	თვითცნობიერება და სოციალური ცნობიერება: ემოციების ლექსიკა გაზარდა, იყენებს სიტყვებს - ‘იმედგაცრუებული, დაღონებული, აღტაცებული’	**კვლევა:** განსაკუთრებით უყვარს ზღაპარი „რაპუნცელი“, ხშირად ითხოვს მის წაკითხვას, ახმოვანებს ზოგიერთ პერსონაჟს. ეზოში თამაშის დროს ახტება ბარიერებს, ადვილად ძვრება საქვიშის სახურავზე.	
	თვითკონტროლი და კონფლიქტის მოგვარება: დამოუკიდებლად აგვარებს კონფლიქტებს და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს. იმ დღეს, ნიკას და ლუკას შორის დავა, თუ ვინ დაჯდებოდა პირველი, იმით გადაწყვიტა თუ ვისზე დამთავრდებოდა გათვლა.	**შემოქმედებითობა:** ხატავს ადამიანის ფიგურას, რამოდენიმე პერსონაჟიან ნახატს, იყენებს რამოდენიმე ფერს, იყენებს სხვადასხვა სამხატვრო მასალებს.	

გავაგრძელებთ მუშაობას: წავახალისებ სხვა ბავშვებთან თამაშს.
მივცემთ წერის შესაძლებლობას სხვადასხვა საწერი საშუალებების გამოყენებით. წავახალისებთ, შექმნას საკუთარი ისტორიები.
დავეხმარებით, მეტი შეისწავლოს კუებზე (შევნიშნეთ მისი ინტერესი კუების მიმართ) მრავალფეროვანი რესურსის გამოყენებით – ენციკლოპედია, ექსკურსია.
შევთავაზებ ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული თემატიკას. დავაკვირდები როგორ ავლენს მათემატიკურ უნარებს და ცოდნას თამაშსა და ყოველდღიურ საქმიანობაში.

ცხრილი 9.2. 4,5 წლის ლუკას შეფასებითი პორტფოლიო

№_ 1_ _ თარიღი:_ 15/12/2020_ _ _

ბავშვი:_ _ლუკა_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ასაკი:_ 4,5 წ. _ _ აღმზრდელი:_ _ მაკა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

სტანდარტი	კურიკულუმის მიზნები		სტანდარტი
☑ ამაჟღავნებს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ (თვითშეფასება) ☑ ამჟღავნებს ემოციური კომპეტენციას ☑ ავლენს პროსოციალურ ქცევას ☑ ავლენს მოსმენის უნარს, იგებს მოსმენილის მნიშვნელობას (რეცეპტული ენა) ☑ აზრის გამოსახატავად იყენებს სიტყვებს, ჟესტიკულაციას, საუბრობს (ექსპრესიული ენა, მეტყველება) ☑ ენას სხვადასხვა მიზნისთვის იყენებს (ენის პრაგმატული განვითარება) ☑ ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე (კოგნიტური განვითარება) ☐ შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას, ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს (კოგნიტური განვითარება) ☐ ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, სწვდება მიზეზ-შედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას (კოგნიტური განვითარება) ☑ ავლენს ინიციატივას და დამოუკიდებლობას; ავლენს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს ☑ თავს დაცულად გრძნობს, ამჟღავნებს ნდობას და უსაფრთხოების წესების ცოდნას; ამჟღავნებს მოქნილობას გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილების შესაბამისად	**მეგობრობა და გუნდურობა:** მამა ამბობს, რომ სიხარულით მოდის ბაღში. იმ დღეს როდესაც ბაღში არ არის ბავშვების სახელებს ამბობს. ინტერესდება ბავშვების თამაშით. ისწავლა ბავშვების სახელები.	**ცნობისმოყვარეობა:** ინტერესით და ხანგრძლივად თამაშობს სენსორული თამაშებით - ქვიშა, ცომები. მაკვირდებოდა ბაღში როგორ ვწრყავდი მცენარეებს.	☑ აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას (მსხვილი მოტორიკა) ☑ აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს (ნატიფი მოტორიკა) ☑ გრძნობათა ორგანოებს საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად იყენებს (სენსორული განვითარება) ☐ ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს ☐ ინტერესდება ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის (ხელოვნება) ☐ ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებით (წიგნიერების ბაზისური უნარები) ☐ სწავლობს ჯანსაღი ცხოვრების წესს (მეცნიერების ელემენტები) ☑ აკვირდება და შეისწავლის ბუნებას და მასთან ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას (მეცნიერების ელემენტები) ☑ ინტერესდება და ეცნობა საგნების და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს (მეცნიერების ელემენტები) ☐ ინტერესდება და ეცნობა სივრცეს, დროს, სხვადასხვა კულტურას (მეცნიერების ელემენტები) ☑ იყენებს მათემატიკურ უნარებს; შესაბამისი დანიშნულებით იყენებს ტექნიკას (მეცნიერების ელემენტები)
	თვითცნობიერება და სოციალური ცნობიერება: როდესაც მამა ეუბნება, რომ ბაღში წასვლის დროა, იძახის მასწავლებლის სახელს.	**კვლევა:** ეზოში სკუტერით სიარულისას ცდის სხვადასხვა მოძრაობებს. ფორმებიანი ფაზლის აწყობისას, იცავს ფერების შესაბამისობას.	
	თვითკონტროლი და კონფლიქტის მოგვარება: დამოუკიდებლად დაიწყო ჭამა. ბავშვებთან ერთად ზის მაგიდასთან და მყარ საკვებს ჭამს. ვიზუალური მინიშნების დახმარებით ადვილად გადადის სივრცეებში.	**შემოქმედებითობა:** ცეკვის დროს მოსწონს ქსოვილების გამოყენებით ბზრიალი, ყვება მუსიკის რიტმს, განსაკუთრებით მოსწონს მხიარული მელოდიები.	

გავაგრძელებთ მუშაობას:
ერთად გავაკეთებთ სენსორულ წიგნს.
ვიმუშავებ ლექსიკის გაზრდაზე. ხელს შევუწყობ სენსორულ თამაშს და შევთავაზებ მრავალფეროვან მასალას.

გაუზიარე მიღწევები ოჯახებს

საგანმანათლებლო პერსონალს ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობის და მათთან მუდმივი კომუნიკაციის პროფესიული პასუხისმგებლობა აქვთ. საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახისთვის ბავშვის სწავლისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარებაა. ოჯახებთან რეგულარული შეხვედრა და ინფორმაციის გაცვლა, თუ ის პროფესიული და ეთიკური თვალსაზრისით სწორად არის ორგანიზებული, ნდობას და ურთიერთპატივისცემას აყალიბებს. ეს, თავის მხრივ, ერთობლივი მუშაობის საფუძველია. ამასთან, მუდმივი კომუნიკაცია მშობლებს საშუალებას აძლევს, თვალი ადევნონ ბავშვების სწავლას, განვითარებას და თქვენს როლს და ძალისხმევას ამ პროცესში.

ყველა მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრისთვის წერილობითი ანგარიშების მომზადება, აღმზრდელის ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა. მშობლებს პერიოდულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ბავშვების განვითარების, მიღწევების და თქვენი გეგმების შესახებ. ამისათვის შეფასებითი პორტფოლიო გამოიყენეთ.

შეხვედრისთვის შეფასებით პორტფოლიოსთან ერთდ სხვადასხვა მტკცებულებებიც მოამზადეთ ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოდან. დარწმუნდით, რომ შეხვედრამდე თქვენი მოსაზრებების დამადასტურებელი დაკვირვების ჩანაწერები, ფოტოები, ნამუშევრები და სხვა მტკიცებულებები მზად გაქვთ. მიზნების განსაზღვრაში ოჯახის ჩართვა კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროცესის თანამონაწილე გახადოთ. შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანად გეხმარებათ გეგმების შედგენაში. მშობლებს უნდა შეუქმნათ სათანადო პირობები, რომ მათ თავისუფლად გაგიზიარონ თავიანთი მოსაზრება, შეხედულებები და მოგაწოდონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ასეთი შეხვედრა უზრუნველყოფს ოჯახების ჩართულობას და მონაწილეობას ბაღის ცხოვრებაში.

თავი 9. ოჯახებთან თანამშრომლობა

მოცემულ თავში საუბარია ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ბაღის საქმიანობის ეფექტურობასა და ბავშვის განვითარების მხარდაჭერაში. მოცემულია ოჯახის მონაწილეობის სამი მიმართულება:

- ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა.
- ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტი ჩართულობა.
- და ბოლოს, მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

ასევე, განხილულია შესაბამისი სამაგალითო ღონისძიებები და სტრატეგიები ამ პროცესების უზურნველსაყოფად.

ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობა

ბავშვებთან ეფექტური მუშაობა ოჯახებთან პარტნიორული ურთიერთობების გარეშე შეუძლებელია. საუკეთესო შედეგებს ოჯახის და საბავშვო ბაღის მიდგომების თანხვედრა და მათი შეთანხმებული მოქმედება განაპირობებს. ბავშვი ვითარდება ორივე გარემოში – ოჯახშიც და ბაღშიც; ის სწავლობს მაგალითებზე, ურთიერთობით, პირდაპირ თუ ირიბად. როდესაც ოჯახისა და ბაღის მიდგომებში არ არის თანხვედრა, ბავშვი იბნევა და გამოცდილებას, რაც არ უნდა ხარისხიანი იყოს და პასუხობდეს მის საჭიროებებს, ცალმხრივად არ მივყავართ მისი სწავლისა და განვითარების მაქსიმალურ შედეგამდე.

ბავშვი საერთო ინტერესია. ეს ორი მხარე ერთმანეთს უნდა ავსებდეს და აძლიერებდეს. ურთიერთპატივისცემა, ღია კომუნიკაცია, ინფორმაციის თანმიმდევრული გაცვლა, ერთმანეთის მოსმენა, ურთიერთგაგება, ერთმანეთისგან სწავლა და თანამშრომლობა ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება.

პირველ რიგში, იზრუნეთ იმაზე, რომ შექმნათ გარემო, სადაც თითოეული ოჯახი თავს მიღებულად იგრძნობს. დაიწყეთ სულ მცირეთი, რომ ნდობა მოიპოვოთ და თანამშრომლობითი ურთიერთობა დაამყაროთ, ამისათვის:

წლის დასაწყისში მოაწყეთ შეხვედრა, რომ ისაუბროთ და გაცვალოთ მოლოდინები. ეს დაგეხმარებათ გაიგოთ, რას ელიან მშობლები ბაღისგან და გაუზიაროთ ბაღის გეგმები. ბევრი კონფლიქტის მიზეზი განსხვავებული მოლოდინებია. საგანმანათლებლო მიდგომებისა და მიზნების წინასწარ გაზიარება ასეთ გაუგებრობას თავიდან აგაცილებთ და ურთიერთკმაყოფილებას გაზრდის. გახსოვდეთ, რომ შეხვედრის მიზანი არა ცალმხრივად ინფორმაციის მიწოდებაა, არამედ ნდობისა და ურთერთგაგებისთვის საფუძველის შექმნაა.

ერთი შეხედვით ისეთი მცირე რაღაცეები, როგორიც მოსვლა-წასვლის დროს პერსონალური მისალმება და სახელით მიმართვაა, სანდო ურთიერთობებს აყალიბებს.

დადებით და ძლიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება ყველასთან ურთიერთობაში დაგეხმარებათ. ასეთი მიდგომა მშობელს პროფესიონალთან თანასწორ პოზიციაში აყენებს, რაც დამაჯერებლობას მატებს და ღიას ხდის კომუნიკაციის დროს. ბავშვის შესახებ მიღწევების გაზიარებისას შეგიძლიათ აღნიშნოთ: „ელენე თავისუფლად ხმარობს მაკრატელს. ეტყობა, სახლში ხშირად აძლევთ ამის საშუალებას. ეს წერის საბაზისო უნარების განვითარებაში ეხმარება“. ასეთი ფრაზები მშობელს აგრძნობინებს, რომ შვილის მთავარი მასწავლებელი თვითონ არის და მეტად მოისურვებს ბავშვის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის თქვენთან გაზიარებას.

ბაღის საგანმანათლებლო საქმიანობაში მშობლის მონაწილეობა

მშობლების რესურსი მრავალფეროვანია და მათთან ნაყოფიერი თანამშრომლობა მათი პროფესიული თუ მოხალისეობრივი რესურსის გამოყენების გარანტიაა. მრავალფეროვანი შესაძლებლობა უნდა შექმნათ, რომ ოჯახებმა შეძლონ ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობა. ზოგიერთი ოჯახის წევრი შეიძლება დაინტერესდეს ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობით და მოხალისეობით, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, როგორ გააკეთოს ეს, რას მოითხოვენ მისგან. ამიტომ მნიშვნელოვანია, გარკვევით აუხსნათ, რა შესაძლებლობები არსებობს და რისი გაკეთება შეუძლიათ. ეს ეხება როგორც ექსკურსიებს, ისე ღია კარის დღეს და ბაღის სხვა ღონისძიებებს. იმისათვის, რომ მეტი გაიგოთ მშობლების შესახებ, წინასწარ შეავსებინეთ კითხვარი. კითხვები შეიძლება ასეთი იყოს:

- დაინტერესებული ხართ თუ არა, იყოთ ბაღის სტუმარი? შეგიძლიათ, მონაწილეობა მიიღოთ წიგნის კითხვაში, რამე სიმღერა ასწავლოთ ბავშვებს, ან დაგვეხმაროთ ხელოვნების პროექტის ორგანიზებასა და წარმართვაში? თქვენ რას შემოგვთავაზებთ?
- გსურთ თქვენი ცოდნის, გამოცდილების, ნიჭის ბავშვებისთვის ან თანამშრომლებისთვის გაზიარება?

ბავშვებისგან მშობლები ვერ იღებენ ინფორმაციას, რა ხდება ბაღში. ბაღის საქმიანობაზე უშუალოდ დაკვირვების ერთ-ერთი გზა ბაღის ღია კარის პოლიტიკაა. წინასწარ გააგებინეთ ოჯახის წევრებს, რომ მათ შეუძლიათ, ნებისმიერ დროს მოვიდნენ და თავად ნახონ, რა ხდება ბაღში.

რეგულარულად გამოიყენეთ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება: საინფორმაციო დაფა, ნამუშევრების გამოფენა, საინფორმაციო ეკრანი, ვებ გვერდი, სადაც ბავშვების ნამუშევრების და თამაშის ფოტოები იქნება ნაჩვენები. შექმენით სიახლეების პოსტი ფეისბუქზე ან ბაღის ვებ გვერდზე, სადაც პერიოდულად განათავსებთ ბაღის სიახლეებს. ასევე, შესაძლებელია, დღის ბოლოს ოთახის შესასვლელთან დაკიდებულ ეკრანზე საქმიანობის ფოტოები განათავსოთ. შეიტანეთ ინფორმაცია სასწავლო მიზნების შესახებ, რომელზეც მუშაობთ. ნამუშევრებთან ერთად აჩვენეთ სასწავლო მიზნებთან მათი კავშირი. ბევრმა მშობელმა არ იცის, რას სწავლობენ ბავშვები თამაშით. შეგიძლიათ, სხვადასხვა თამაშის ფოტოებს მოკლე აღწერილობები დაურთოთ, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები ამ კონკრეტულ დროს. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. ამ გზით დაეხმარებით მშობლებს და ოჯახის წევრებს, თანდათანობით თქვენი მიდგომები გაიაზრონ და გაიგონ კურიკულუმი.

ჩართეთ მშობლები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს გაზრდის განცდას, რომ მათ უსმენენ, რომ ეს ბაღი მათაც ეკუთვნით და თავად მოძებნიან გზებს მონაწილოებისა და მეტი ჩართულობისთვის.

ბავშვის სწავლასა და განვითარებაში მშობლის უწყვეტი ჩართულობა

ბავშვების პროგრესისა და განვითარების შედეგების გაზიარების მიზნით წელიწადში, ყველაზე ცოტა, ორჯერ უნდა მოეწყოს თითოეულ ოჯახთან ინდივიდუალური შეხვედრა. დაკვირვება/შეფასების თავში, კერძოდ, მშობლებთან ინფორმაციის გაზიარების ნაწილში, დეტალურადაა მოცემული ის საკითხები, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ასეთი შეხვედრები და რა ინფორმაციას უნდა უზიარებდეს აღმზრდელი მშობლებს. შეხვედრისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მიზნით ბავშვის განვითარებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის მომზადებასთან ერთად, ბევრ ტექნიკურ დეტალზეც უნდა იფიქროთ. მაგალითად, რა პირობებში ხვდებით, რა დროს უთმობთ, გაქვთ თუ არა პრობლემებისა და შეკითხვების განსახილველი საკმარისი დრო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრის და საუბრის მთავარი ფოკუსი ბავშვის წარმატება და მიღწევებია.

ამ ფორმალური შეხვედრების გარდა, სხვა საშუალებებიც უნდა გამოიყენოთ, რომ მშობლებს უწყვეტად შეეძლოთ თავიანთი შვილების საქმიანობებზე დაკვირვება, რითია ბაღში დაკავებული, თქვენ როგორ მუშაობთ მასთან. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ წერილობითი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება: ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქი, ტელეფონი, ან უბრალო ბარათები, სადაც მოკლედ აღწერთ ბავშვის თამაშს.

მშობელთა განათლება

ოჯახების გაძლიერება ბავშვების კეთილდღეობასა და სწავლაზე აისახება. არავის ისე არ შესწევს ძალა იზრუნოს მშობლობის ხარისხის და აღმზრდელობითი მიდგომების გაუმჯობესებაზე, როგორც ადრეული განათლების სპეციალისტებს. ბაღის თანამშრომლები ბავშვის განვითარების ექსპერტები არიან, კარგად იცნობენ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, აკვირდებიან და თვალყურს ადევნებენ ბავშვისა და მშობლის ურთიერთობას. სხვა პროფესიონალებთან შედარებით მეტი შესაძლებლობა აქვთ, სანდო ურთიერთობები დაამყარონ და გავლენა მოახდინონ მათზე. ბაღის პერსონალის ერთ-ერთი პროფესიული ვალდებულება ბავშვის ადრეული განვითარების, სწავლის შესახებ მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლებაა.

მშობელთა საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობაზე პასუხისმგებლობას აღმზრდელთან ერთად ბაღის სხვა საგანმანათლებლო პერსონალიც – მეთოდისტი, ფსიქოლოგი – უნდა იღებდეს. შედეგიანი იქნება, თუ ბაღი გამოძებნის რესურსს და თანამშრომლებს გადაამზადებს მშობლებთან ეფექტური მუშაობის მიმართულებით, ან გამოყოფს მშობლებთან მომუშავე პასუხისმგებელ პირს საგანმანათლებლო პერსონალიდან, რომელიც, ასევე, იზრუნებს ამ

მიმართულებით საგანმანათლებლო რესურსების მოძიებასა და ბაღის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე. არსებობს მარტივი ენით დაწერილი ტექსტები და ვიდეოები ადრეული განათლების სხვადასხვა საკითხზე, რომელსაც მშობლებს საჭიროებისამებრ მიაწოდებთ და ბაღის საქმიანობასთან დააკავშირებთ.

შესაძლებელია მშობელთან საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზება, როგორც შიდა რესურსის, ისე მოწვეული სპეციალისტის საშუალებით. შეხვედრის თემები მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, მშობლების ინტერესისა და ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე. სავარაუდო თემების ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ:

- ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები
- ცუდად მოპყრობა და ბავშვზე ძალადობა
- თამაშის როლი ბავშვის სწავლასა და განვითარებაში
- წიგნიერება ადრეულ ასაკში
- გაჯეტები ადრეულ ასაკში
- მამის როლი ბავშვის სწავლასა და განვითარებაში
- სოციალიზაცია ადრეულ ასაკში
- ჭუჭყიანი თამაშების მნიშვნელობა
- ადრეული განათლების სახელმწიფო სტანდარტები და ა.შ.

შეხვედრები ისე უნდა მოეწყოს, რომ მშობლებს არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათ ბევრი რამ არ იციან და სწავლას საჭიროებენ. ასეთი საფრთხის გამო, ბევრი მშობელი შეხვედრაში მონაწილეობას თავს აარიდებს.

მშობლები აღმზრდელებთან არაფორმალური ურთიერთობითაც არა ნაკლებს სწავლობენ. ამიტომ, გამოიყენეთ პროგრამაში მონაწილეობის ზემოთ აღწერილი სხვადასხვა სტრატეგიები, რომ უკეთ გაიცნოთ ისინი, მათი ძლიერი მხარეები და უზრუნველყოთ ოჯახების მონაწილეობა ბაღის ცხოვრებაში.

თავი 10. პერსონალის თანამშრომლობა

კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბაღის საგანმანათლებლო პერსონალის და ადმინისტრაციის შეთანხმებული მოქმედება და პასუხისმგებლობების გადანაწილება. ამ თავში შეიტყობთ, როგორია საგანმანათლებლო პერსონალის როლი და ფუნქციები კურიკულუმის განხორციელებაში.

ბავშვებთან მომუშავე პერსონალი – აღმზრდელი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის თანახმად, საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელია. თუმცა, წინამდებარე კურიკულუმში ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი მოიხსენიება, როგორც „აღმზრდელი“.

ცალკე აღებული კურიკულუმი, მასში მონაწილე პირების გარეშე, არ არის საუკეთესო შედეგების მიღწევის გარანტია. კარგ კურიკულუმს შესაბამისად მომზადებული პროფესიონალები სჭირდება, ვის ხელშიც იგი ეფექტურ ინსტრუმენტად იქცევა და სრული პოტენციალით განხორციელდება. პროგრამის მთავარი მონაწილეები პროგრამის საგანმანათლებლო პერსონალი და ბავშვები არიან: უფროსები, რომლებიც ქმნიან, გეგმავენ და ახორციელებენ საგანმანათლებლო პროცესს ბავშვებისთვის და ბავშვები, რომლებიც ამ პროცესის მთავარი განმსაზღვრელები

და მონაწილეები არიან. ამ უკანასკნელშიც, რომ ბავშვები მთავარი აქტორები გახდნენ სწავლისა და განვითარების პროცესში, უფროსების წვლილი ძალიან დიდია. მხარდამჭერი და კრეატიული უფროსის გარემოში, რომელიც არ ზღუდავს ბავშვის ავტონომიურობას, არჩევანის თავისუფლებას, მიჰყვება მის ინტერესებსა და განვითარების ტემპს, ბავშვი თავისი შესაძლებლობების სრულ პოტენციალს ავლენს. ამის საპირისპიროდ, უფროსი, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს იზოლირებულ აქტივობებში ბავშვისგან დამოუკიდებლად ხედავს, ვერ უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების საუკეთესო პირობებს. შეიძლება უფროსმა დაარქვას პროცესებს თამაში, მაგრამ ბავშვებისთვის ეს თავს მოხვეული, უინტერესო საქმიანობა იყოს.

შეიძლება უფროსს მიაჩნდეს, რომ ამ პროცესებში მონაწილეობით ბავშვი გარკვეულ უნარებს ივითარებს, მაგრამ მოტივაციის და ინტერესის ნაკლებობის გამო, ამ შედეგებამდე ვერ მივიდეს.

როგორ აღმზრდელს საჭიროებს ეს კურიკულუმი. კურიკულუმს სჭირდება მაღალი კომპეტენციის აღმზრდელი, რომელიც ფართოდ უყურებს თემებს, სადაც გათვალისწინებულია ბავშვის მრავალმხრივი განვითარება და რომელიც საკმაოდ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებს კურიკულუმის ბავშვების საჭიროებებზე მორგებისას. აღმზრდელი ვერ ნახავს კურიკულუმში მზა, რუტინულ მასალას, როგორიცაა სამუშაო ფურცლები ან გასაფერადებლები, ნაბიχ-ნაბიχ გაწერილი თამაშები და აქტივობები, რომლებიც ბავშვის და ბავშვების χგუფის ინდივიდუალურ კონტექსტებს არ ითვალისწინებს. აღმზრდელმა უნდა კრიტიკულად შეაფასოს კურიკულუმში მოცემული სამაგალითო თამაშები, ნიმუშები და შეძლოს მათი ინტეგრირება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, χგუფის საჭიროებების და შესაძლებლობების მიხედვით. ეს მიდგომა მაღალი კომპეტენციის აღმზრდელს საჭიროებს. დასახული მიზნის შესაბამისად, სასწავლო პროცესის თითოეულ ეტაპზე, აღმზრდელი უნარების განვითარების, ცოდნის შეძენისა და გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს. სწორედ ეს მიდგომა განაპირობებს შეხედულებას, რომ აღმზრდელი (აღმზრდელ-პედაგოგი) და მისი თანაშემწე (აღმზრდელი) საგანმანათლებლო პროცესის (რომელიც ბაღის ცხოვრების ყველა მომენტს მოიცავს) თანაბრად მნიშვნელოვანი და პასუხისმგებელი პირები არიან.

კურიკულუმის შესაბამისად, χგუფში მომუშავე აღმზრდელები (აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი) თანაბრად მნიშვნელოვანი პირები არიან. ისინი საგანმანათლებლო პროცესში შეთანხმებულად მოქმედებენ და თანაბრად ინაწილებენ პასუხისმგებლობებს – ერთად გეგმავენ თამაშებსა და გამოწვევებს, ერთად ირჩევენ კურიკულუმის მიზნებს, რომლებზეც კვირის ან თვის განმავლობაში მუშაობენ, ერთად შეიმუშავებენ სტრატეგიებს, ერთად მოიძიებენ თამაშებისთვის საჭირო რესურსს. ორივე აღმზრდელი თანაბრად არის პასუხისმგებელი ბავშვების მრავალმხრივ განვითარებაზე. ისინი აწარმოებენ ბავშვებზე დაკვირვებას მთელი წლის განმავლობაში, ერთად აკეთებენ მათი უნარების შეფასებას და ერთად ზრუნავენ მშობლებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

ყოველი დღის დასაწყისში აღმზრდელები გადახედავენ შემუშავებულ გეგმას, მისაღწევ მიზნებს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას: მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, ვინ რომელ ცენტრში ადევნებს ბავშვებს თვალყურს, ვინ რომელ ბავშვს აკვირდება და ა.შ. ეს გარემოება არ გულისხმობს აღმზრდელების მხრიდან ყოველი ნაბიჯის ზუსტად გაწერას. ზოგ შემთხვევაში ისინი სპონტანურად, სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება მოქმედებდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მუდმივად უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან კონტაქტი და შეთანხმება. ყოველი დღის ბოლოს, აღმზრდელები მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ. ამ დროს ისინი რეფლექსიისთვის იყენებენ. კვირაში ერთხელ აღმზრდელები იკრიბებიან მომდევნო კვირის გასაწერად, ბავშვების პროგრესის განსახილველად, ბავშვებთან მისაღწევი ინდივიდუალური მიზნების შესამუშავებლად.

ბავშვებთან მომუშავე პერსონალი – სპეციალიზირებული აღმზრდელი

როგორც ზევით ითქვა, ამ კურიკულუმის განმახორციელებლები აღმზრდელები არიან, თუმცა, ბაღის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე და ბავშვების ინტერესების შესაბამისად, ბაღს შესაძლოა, შტატში სპეციალიზირებული აღმზრდელი ჰყავდეს ან მოკლე პერიოდით იყოს მოწვეული, მაგალითად, რამე კონკრეტულ პროექტზე მუშაობისას. ეს შეიძლება იყოს მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგი, ხატვის, ცეკვის პედაგოგი და ა.შ.

ასეთი აღმზრდელები, ბავშვების სპეციფიკური ინტერესებისა და უნარების შესაბამისად, ჯგუფის ძირითად აღმზრდელებთან შეთანხმებულად მუშაობენ. სახელმძღვანელოდ, აღმზრდელების მსგავსად, ისინიც ბავშვის განვითარების სტანდარტსა და ამ კურიკულუმის მიზნებს იყენებენ. მაგალითად, მუსიკის აღმზრდელის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მან მუსიკის აქტივობების განხორციელებისას ისევე გაითვალისწინოს ბავშვების ინტერესები და თავისუფალი არჩევანი, როგორც ჯგუფის აღმზრდელმა. ამ კურიკულუმის მიხედვით, მუსიკის „მეცადინეობებისთვის“ განრიგში დრო არ არის გამოყოფილი. მუსიკის აღმზრდელი, განრიგის კომპონენტში – „თამაში“, იმ ბავშვებს, რომლებსაც ამის სურვილი აქვთ, მუსიკალურ თამაშებში რთავს. ეს თამაშები შესაძლოა, ჩატარდეს ოთახში ან დარბაზში. მუსიკის აღმზრდელი, თავის მხრივ, აწარმოებს ბავშვებზე დაკვირვებას და ადგენს ამ უნარების შესაბამისობას ბავშვის განვითარების სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან (თემატური მიმართულება – ხელოვნება). ამის შემდეგ, გეგმავს ინდივიდუალურ სტრატეგიებს კონკრეტულ ბავშვთან მიზნების მისაღწევად. დაგეგმვისას, იგი აწარმოებს მოკლევადიან გეგმას, სადაც ასახულია როგორც პროცესის მიმდინარეობა, ასევე ბავშვის ინდივიდუალური გეგმა.

მიმდინარე გეგმა

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დაგეგმილი თამაში/ გამოწვევა:	დაგეგმილი თამაში/ გამოწვევა:	დაგეგმილი თამაში/ გამოწვევა:	დაგეგმილი თამაში/ გამოწვევა:	დაგეგმილი თამაში/ გამოწვევა:
გამოყენებული სტრატეგიები	გამოყენებული სტრატეგიები	გამოყენებული სტრატეგიები	გამოყენებული სტრატეგიები	გამოყენებული სტრატეგიები
საჭირო რესურსი:	საჭირო რესურსი:	საჭირო რესურსი:	საჭირო რესურსი:	საჭირო რესურსი:

სპეციალიზებული აღმზრდელი, ჯგუფში მომუშავე აღმზრდელების მსგავსად, ბავშვზე დაკვირვებას აწარმოებს. დაკვირვებასა და შეფასებაზე დაყრდნობით, ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე ინდივიდუალურ თამაშებსა და სტრატეგიებს იყენებს. ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობისას, ბავშვის საქმიანობებს უკეთებს ადაპტირებას: გართულების, გამარტივების ან მოდიფიცირების გზით.

ბავშვებთან მომუშავე პერსონალი – საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი

საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალის (სპეც. პედაგოგი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი და ა.შ.) არსებობის შემთხვევაში, მათი საქმიანობის მთავარი მიზანი, ბავშვებთანთან მუშაობის პროცესში, აღმზრდელის დახმარება, მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. აღმზრდელებთან ერთად ჩართულები არიან მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობაში და გუნდის სხვა წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ბავშვებზე დაკვირვების წარმოებით ბავშვების საჭიროებებს ადგენენ. შემდეგ, ჯგუფის პერსონალთან ერთად შეიმუშავებენ ბავშვის ინდივიდუალურ გეგმას და შესაბამის სტრატეგიებს. აღმზრდელებს, ბავშვებთან სპეციფიკური მიზნების მისაღწევად, ამ სტრატეგიების გამოყენებაში ეხმარებიან. თუ აღმზრდელებს ამ მიმართულებით დახმარება სჭირდებათ, მხარდამჭერი პერსონალი მათთან ერთად ბავშვების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან საჭიროებების განსაზღვრისა და ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით ინდივიდუალურ

შეხვედრებსაც აწარმოებს. ასეთ შეხვედრებზე, აღმზრდელთან ერთად, მშობლებისთვის რეკომენდაციებს გაზიარება ხდება იმ კონკრეტულ სტრატეგიებთან დაკავშირებით, რომლებიც სახლში უნდა გამოიყენონ.

კურიკულუმის მიხედვით, საკუთარი პრაქტიკის განხორციელებისას, სპეც. პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი ან ფსიქოლოგი უშუალოდ ჯგუფში მუშაობენ. შესაძლოა, აღმზრდელმა მათ კონკრეტული გამოწვევით მიმართოს, ამ შემთხვევაში, ისინი რეკომენდაციებს აღმზრდელს უწევენ, ეხმარებიან ბავშვების თამაშებში ჩართვაში, ან საგანმანათლებლო პროცესში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრაში. თუმცა, აღმზრდელის მხრიდან გამოწვევების არქონის მიუხედავად, ეს პერსონალი ჯგუფის საგანმანათლებლო პროცესს პერიოდულად აკვირდება. დაკვირვებისას ჯგუფის ბუნებრივ რიტმს არ არღვევენ და აღმზრდელების მსგავსად ბავშვებთან ურთიერთობენ და თამაშობენ. მათი მიზანი პრობლემების იდენტიფიცირებაა იმ სპეციფიკურ საკითხებზე, რაც მათი უშუალო სპეციალიზაციაა. ამ დროს ისინი აღმზრდელებსაც აკვირდებიან ამ საკითხებზე მათი სპეციფიკური საჭიროებების დადგენისა და შემდგომში პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ბაღის ადმინისტრაცია

როგორც ზემოთ ითქვა, კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ბაღის ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.

ბაღის დირექტორის/მენეჯერის პასუხისმგებლობაა ამ კურიკულუმის სრულყოფილად დანერგვა, რადგან ბაღის, როგორც დაწესებულების მართვასთან ერთად, საგანმანათლებლო პროცესსაც ხელმძღვანელობს და აღმზრდელებს საკუთარი პრაქტიკის წარმატებით განხორციელებაში ეხმარება. დირექტორმა/მენეჯერმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური კომუნიკაცია მეთოდისტთან, კვირაში ერთხელ – შეხვედრა აღმზრდელებთან კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. იზრუნოს აღმზრდელებისთვის საჭირო მასალებზე, მათ პროფესიულ გაძლიერებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ბაღს მეთოდისტი არ ჰყავს, ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პასუხისმგებლობებს ბაღის დირექტორი/მენეჯერი ითავსებს.

ბაღში მეთოდისტის არსებობის შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობაა აღმზრდელებთან ყოველდღიური კომუნიკაცია, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება, საჭიროებების დადგენა, შეხვედრების ორგანიზება, სადაც აღმზრდელებს მოკლევადიანი გეგმების განხილვისა და საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიის საშუალება ექნებათ. ამ კურიკულუმის მიხედვით, აღმზრდელებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული ბავშვებთან არასაკონტაქტო დრო. მეთოდისტი ზრუნავს, რომ აღმზრდელებმა ნაყოფიერად გამოიყენონ ეს დრო – ამარაგებს მათ მეთოდური მასალებით, დროდადრო ორგანიზებას უწევს საინფორმაციო შეხვედრებს აღმზრდელებისთვის საინტერესო თემატიკაზე, მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებით.

მეთოდისტმა უნდა იცოდეს ჯგუფებში მიმდინარე თემებისა თუ პროექტების შესახებ და შესაბამისი რესურსის მოძიებაში დაეხმაროს აღმზრდელებს. მეთოდისტი ასევე ეხმარება აღმზრდელებს კოლეგებთან ან მშობლებთან წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. ამ მიზნით მან შესაძლოა, ჩანიშნოს ინდივიდუალური შეხვედრა. მეთოდისტი ასევე გარკვეული სიხშირით აწარმოებს დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის შიდა მონიტორინგს, ადგენს საჭიროებებს და ბაღის ადმინისტრაციისა და საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით ზრუნავს გამოწვევების მოგვარებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ბაღს მეთოდისტი არ ჰყავს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პასუხისმგებლობებს ბაღის დირექტორი/მენეჯერი ითავსებს. შესაბამისად, ბაღის, როგორც დაწესებულების მართვასთან ერთად, იგი საგანმანათლებლო პროცესსაც ხელმძღვანელობს და აღმზრდელებს საკუთარი პრაქტიკის წარმატებით განხორციელებაში ეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1) მაკლაქლანი, კ., ფლიერი, მ., & ედვარდსი, ს. (2013). ადრეული ბავშვობის კურიკულუმი. კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, მეორე გამოცემა.
2) აკადემიური, სოციალური და ემოციური სწავლების ერთობლიობა https://casel.org
3) პირამიდის მოდელის ინოვაციების ეროვნული ცენტრი. https://challengingbehavior.cbcs.usf.edu
4) Dodge, D. T., Colker, L. J. & Heroman, C. (2007). The Creative Curriculum for Preschool. Teaching Strategies
5) Durlak, J. A., Domitrovich, C. E., Weissberg R. P., & Gullotta. T. P. (2015). Handbook of Social and Emotional Learning. Guilford Publications
6) Edwards, C., Gandini, L., & Praeger, G. F. (2011). The Hundred Languages of Children: The Reggio Emilia Experience in Transformation.
7) Gartrell, D. (2003). The Power of Guidance. Teaching Social-Emotional Skills in Early Childhood Classrooms, Delmar Learning
8) Helm, J. H., & Katz, L. G. (2016). Young Investigators: The Project Approach in the Early Years. Teachers College Press
9) Miller, K. (2001). Ages and Stages. Birth Through Eight Years,
10) School Readiness. A Conceptual Framework. (2012). United Nations Children“s Fund, New York
11) Stacey, S., & Elizabeth Jones, E. (2018). Emergent Curriculum in Early Childhood Settings: From Theory to Practice. Redleaf Press; Second edition

ადრეული განათლების კურიკულუმი
თ ა მ ა შ ი

ნაწილი II

პრაქტიკული სახელმძღვანელო/ სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

ხათუნა დოლიძე, თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე

გამომცემლის ლოგო

თბილისი

2020

ადრეული განათლების კურიკულუმი – თ ა მ ა შ ი
პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ნაწილი II

ავტორები: ხათუნა დოლიძე, თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე
რეცენზირებულია International Step by Step Association-ის მიერ.
რეცენზენტები: მიხაელა ლონესკუ PhD, MA; კონსტანტინა რენცუ PhD, MA;ალიოშა რუდასი MA

რედაქტორი: ეკა კეკელია
მხატვარი: ლექსო რატიანი
დაკაბადონება: გიგა კეკელია

წიგნში გამოყენებულია შემდეგი საბავშო ბაღების ფოტოები: თბილისის #6 ბაგა-ბაღი; ბოლნისის #2 ბაგა-ბაღი;- ბათუმის #34 საბავშვო ბაღი; ბათუმის #30 საბავშო ბაღი.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

ISBN....

გამომცემლის ლოგო და
რეკვიზიტები

ადრეული განათლების კურიკულუმი – თ ა მ ა შ ი ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლობით.

კურიკულუმის მიზნია, დაეხმაროს 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

კურიკულუმი წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა. გზამკვლევი მოიცავს დაგეგმილი თუ დაუგეგმავი სიტუაციების აღწერას, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალისტებს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დონეზე (ბაღის, ჯგუფის, ინდივიდუალურ) შედგენა-განხორციელებაში დაეხმარება.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი – მ ე თ ო დ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო 2-დ ა ნ 5 წ ლ ა მ დ ე დ ა შ ე რ ე უ ლ ი ა ს ა კ ო ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს თ ვ ი ს – ადრეული განათლების მეთოდოლოგიას ეხება. მეორე ნაწილში – პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო/ ს ცე ნ ა რ ე ბ ი 2-დ ა ნ 5 წ ლ ა მ დ ე დ ა შ ე რ ე უ ლ ი ა ს ა კ ო ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს თ ვ ი ს – მოცემულია პრაქტიკის მაგალითები. რამდენიმედღიან სცენარებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოცემული თეორიული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტები.

ავტორები სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში მიღებული რჩევებისა და მოსაზრებებისათვის მადლობას უხდიან ადრეული განათლების სფეროს ექსპერტებსა და პრაქტიკოსებს: თამთა კუხალეიშვილს, ნინო ლაბარტყავას, თამარ საღინაძეს, ხათუნა მეტრეველს, მანანა ხუციშვილს, მაკა ფალავანდიშვილს, ბელა ჯოხაძეს და ნათია მუნჯიშვილს.

ნაყოფიერი თანამშრომლობისა და მნიშვნელოვანი რჩევების გაზიარებისათვის ავტორები ასევე მადლობას უხდიან სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ექსპერტებს: მარიამ ჩიქობავას, ეკატერინე ლეჟავას, ნიკო სილაგაძეს, თამარ თოლორაიას, ია აფთარაშვილს, მარიამ გილაშვილს და თამარ ჯაყელს.

განსაკუთრებული მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის პარტნიორ ორგანიზაციას – International Step by Step Association და მის წარმომადგენლებს: მიხაელა ლონესკუს, კონსტანტინა რენცუს და ალიოშა რუდასს სახელმძღვანელოს რეცენზირებისთვის.

სარჩევი

შესავალი 1
თავი 1. ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები 2
2 წლის ბავშვი 3
3 წლის ბავშვი 7
4 წლის ბავშვი 11
5 წლის ბავშვი 14
თავი 2. პრაქტიკული მაგალითები 17
2-3 წლიანთა ჯგუფი 17
3-4 წლიანთა ჯგუფი 32
4-5 წლიანთა ჯგუფი 48
შერეული ასაკობრივი ჯგუფი 57
ტერმინთა განმარტება 71
გამოყენებული ლიტერატურა 75

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ადრეული განათლების კურიკულუმის (თამაში) მეორე ნაწილს. აქ საუბარია ადრეული ბავშვობის ასაკობრივ თავისებურებებზე, ასევე, მოცემულია პრაქტიკის მაგალითები ასაკობრივი და შერეული ჯგუფების მიხედვით. რამდენიმედღიან სცენარებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოცემული თეორიული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტები.

თავი 1. ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები

ამ თავში გაეცნობით ბავშვის განვითარების თავისებურებებს და ასაკობრივ მახასიათებლებს. უფროსის მხრიდან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, როგორ ვითარდებიან და სწავლობენ ბავშვები ადრეულ ასაკში. ასაკი ბავშვების ხასიათის, შესაძლებლობების და გაგების მიმანიშნებელია. რაც მეტი ეცოდინება აღმზრდელს, როგორ ფიქრობენ და სწავლობენ ბავშვები, მით უფრო ეფექტური იქნება მისი საქმიანობა, უკეთ წარმართავს პროცესს, დაწყებული გარემოს მოწყობიდან, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვიდან და დამთავრებული ბავშვების განვითარების ხელშეწყობითა და შეფასებით. ასაკთან დაკავშირებული თვისებების ცოდნა მნიშვნელოვანია, თუმცა, მხოლოდ დასაწყისისთვის. ასაკით განისაზღვრება, თუ რა მიდგომები და გამოცდილება იქნება უფრო ეფექტური კონკრეტული ბავშვისა და ასაკობრივი ჯგუფისთვის. აღსანიშნია ისიც, რომ ეფექტური აღმზრდელი, ამავდროულად, თითოეული ბავშვის და ჯგუფის განსხვავებულობას და ინდივიდუალობას უნდა აცნობიერებდეს და ითვალისწინებდეს. სწორედ ეს ინდივიდუალური განსხვავებებია, რასაც უფროსი ასაკობრივი თავისებურების განზომილებიდან უკვე მეორე - ინდივიდუალურ განზომილებაში გადაჰყავს.

სპეციალისტები ფლობენ ცოდნას ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, თუმცა, კიდევ ერთხელ გადავხედოთ, რა ძირითადი განსხვავებებია პირობითად დაყოფილ ასაკობრივ ჯგუფებს შორის.

2 წლის ბავშვი

2 წლის ასაკში ძალიან ბევრი რამ ხდება ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით. ყველაზე მეტად ამაღელვებელი ენის განვითარება და მეტყველების უეცარი აფეთქებაა. ასევე, მეორე მნიშვნელოვანი სიახლეა წარმოსახვითი თამაშები, მაგალითად: ჭურჭლით თამაში, მანქანის მართვა, თოჯინის გასეირნება, ჩაცმა-გახდა.

სოციალური და ემოციური განვითარება

სოციალური და ემოციური განვითარების თვალსაზრისით 2 წლის ასაკი ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ეტაპია. „არა“-ს თქმით ისინი მზრუნველი უფროსისგან გამოყოფას ცდილობენ. მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. თუმცა, ბაღში ისინი უკეთესად იქცევიან, იმდენად მოსწონთ სხვა ბავშვებთან ერთად ყოფნა, რომ აღმზრდელთან უფრო თანამშრომლურები ხდებიან. სწორედ ამ დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობისთვის არის მნიშვნელოვანი მათთვის „ძალაუფლების“, არჩევანის მიცემა. მაგალითად, თავად გადაწყვიტოს, სად დაკიდოს ქურთუკი, რა ითამაშოს.

ახალ სიტუაციებთან შეგუება, კერძოდ კი, ბაღთან, ამ ასაკისთვის ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს. ნაწილობრივ, მათი წინააღმდეგობრივი ბუნების და ნაწილობრივ, მზრუნველზე მიჯაჭვულობის გამო. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია უფროსის, აღმზრდელის მიმართ ემოციური კავშირების და ნდობის ჩამოყალიბება. ამ ასაკში ბავშვები პარალელურად

თამაშობენ: როდესაც მოთამაშეები არ ურთიერთობენ და ერთ თამაშში არ მონაწილეობენ. თუმცა, ერთმანეთს, როგორც მოთამაშეებს, ხედავენ და ერთმანეთის თამაშს აკვირდებიან. ამ დროს კარგი სტრატეგიაა იმის შეთავაზება, რასაც სხვა ბავშვები აკეთებენ. ურთიერთობის დასამყარებლად ყველაზე მიმზიდველია ცომი, წყალი და სხვა 'ჭუჭყიანი' და სენსორული თამაშები.

მათ მოსწონთ სხვა ბავშვების გარემოში ყოფნა. განვითარებადი ენობრივი უნარები ეხმარება, გარკვეულ კონტაქტში შევიდნენ, თუმცა, კომუნიკაციის უმეტესი წილი არავერბალურია. მათ იზიდავთ მსგავსი ინტერესების მქონე, ან რაღაც ნიშნით მსგავსი ბავშვები. თავიდან, ისინი ახლოდან აკვირდებიან სხვა ბავშვების თამაშს. ურთიერთობის ინიცირება ხდება თვალით კონტაქტით და ღიმილით. ყურადღების მისაქცევად ისინი იუმორსაც მიმართავენ, გამოსცემენ სასაცილო ხმებს, მიმიკებსა და ჟესტიკულაციას. ჩვეულებრივ, თამაშის პარტნიორად ერთ ბავშვს ირჩევენ და სხვა ბავშვების ჯგუფისგან განცალკევებით თამაშობენ. იმიტაცია მეგობრობის მთავარი ენაა. იწყებენ თამაშების მოგონებას, რაშიც სხვებიც ბაძავენ. მაგალითად შეიძლება, ერთი ბავშვი ნოხზე სიცილით გადაკოტრიალდეს და სხვასთან თვალებით კონტაქტი დაამყაროს, რის შემდეგაც სხვებიც შეუერთდებიან და იგივეს გაიმეორებენ.

2 წლის ბავშვებს ძალიან მცირე ხნით შეუძლიათ ყურადღების კონცენტრაცია. ისინი ჯერ კიდევ იმპულსურები არიან და უჭირთ ქცევის კონტროლი. ამ ასაკის ბავშვები იმედგაცრუებასა და ძლიერ ემოციებს ყველაზე ხშირად დარტყმით, სათამაშოს წართმევით, ყვირილით, ტანტრუმებით, სიჯიუტით და უარყოფით გამოხატავენ. ისინი ძალიან მომთხოვნები არიან და როდესაც სასურველს ვერ იღებენ, იმედი უცრუვდებათ. მათ არ ყოფნით სიტყვები იმისათვის, რომ თავიანთი იმედგაცრუება სხვას სიტყვებით გააგებინონ, ამიტომ ცდილობენ, გამოხატონ ფიზიკურად, ქცევით.

ამ ასაკის ბავშვებისთვის კბენა აგრესიის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. უფროსმა უნდა გაიგოს ამ ქცევის სავარაუდო მიზეზი და შემდეგ უფრო მისაღები ქცევა მოძებნოს ბავშვის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

კბენის მიზეზი შეიძლება იყოს:

სენსორული აღმოჩენა: ეს არის განვითარების „ორალური" ეტაპი. ისინი ყველაფერს ღეჭავენ და უსინჯავენ გემოს. ასევე, შეიძლება ახალი ბავშვის გაცნობაც მოინდომონ და კბენას მიმართონ. ბავშვის დახმარება, დაძაბულობის მოხსნა შესაძლებელია სენსორული თამაშებით – წყლით, საძერწი საშუალებებით. ახალი წევრის მოსვლისას კი, ბავშვები ერთმანეთს შეხებით უნდა გააცნოთ.

მიზეზ-შედეგობრიობა: ბავშვებს ყველაფერი აინტერესებთ, რაც გარშემო ხდება. ისინი სხვადასხვა ქმედებების შედეგებს აკვირდებიან. სხვისი კბენით კი - „საინტერესო" შედეგს იღებენ. სხვა ბავშვის რეაქციასთან ერთად, ეს შეიძლება, უფროსის მხრიდან ყურადღების გამოხატვაც იყოს.

იმედგაცრუება: ეს ძირითადი მიზეზია, რატომაც ამ ასაკის ბავშვები კბენენ სხვებს. ამ მარტივი და სწრაფი გზით ისინი თავიანთ ბრაზს გამოხატავენ. ეცადეთ, აირიდოთ ბავშვების უკმაყოფილება, დააკავეთ ისინი და ასწავლეთ მათ საკომუნიკაციო მოკლე მესიჯები, რათა თავიანთი დამოკიდებულებების გამოხატვა შეძლონ. გაუჩინეთ დაზარალებულის მიმართ ემპათია და ასწავლეთ მისი დახმარება. ჩართეთ ბავშვი სიტუაციის და საქციელის გამოსწორებაში. დაუთმეთ ბავშვებს ბევრი ყურადღება, რომ ეს ქცევა თქვენი ყურადღების მიღების გზა არ გახდეს.

ერთმანეთის კბენის ასარიდებლად, ჩართეთ ბავშვები სხვადასხვა აქტივობაში, რომ ბედნიერები იყვენენ, ჩაეხუტონ ერთმანეთს, ააცილეთ იმედგაცრუების მომენტები და სათითაოდ ყველას ინდივიდუალურად დაუთმეთ დრო და ყურადღება. რაც მეტია ბავშვი, კბენის შანსი იზრდება. ამიტომ დაყავით ჯგუფი მცირე ჯგუფებად. შეამჩნიეთ მისაღები და დადებითი ქცევები, აღნიშნეთ სიტყვიერად და წაახალისეთ.

მოტორული განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ ორწლიანების მსხვილი მოტორული უნარები ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, მათ მოსწონთ და იზიდავთ სხეულის მოძრაობების მრავალფეროვნება. ამიტომ, მოტორული უნარების განვითარების და მრავალფეროვან ფიზიკურ თამაშებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. ისინი ხტუნავენ, გორაობენ, ცოცავენ. 2 წლის ბავშვებს მოსწონთ რაღაცეების ტარება (კალათა, ჩანთა, ურიკა, ყუთები). მოსწონთ კრეატიული მოძრაობითი თამაშები და ხალისით იმეორებენ უფროსის მოძრაობებს. ასეთი მოძრაობებით იკვლევენ და სწავლობენ თავიანთ სხეულს. ბევრი ეს მოძრაობა წარმოსახვითი თამაშის ნაწილია, როდესაც ბავშვი რომელიმე ცხოველს წარმოადგენს.

ამ ასაკში, ვარჯიშის და გამოცდილების შედეგად, ხელი უფრო და უფრო ემორჩილება ტვინს. ბავშვებს მოსწონთ ხის ფაზლები, ყველაზე დიდი ზომის მძივები, მარტივი (ორ და სამნაწილიანი) ასაწყობები, დიდი ზომის მოზაიკები, რაც ნატიფი მოტორიკის გაწაფვას ემსახურება. მაკრატლით მანიპულირება მათთვის ჯერ კიდევ რთული ამოცანაა.

მეტყველება და წიგნიერება

2 წლის ბავშვის ლექსიკური მარაგი დაახლოებით 200 სიტყვას შეადგენს და სამი წლის ასაკს ბავშვი უკვე 1000 ან მეტი სიტყვით ხვდება. 2 წლის ბავშვები ორ, სამ, ოთხსიტყვიან წინადადებებს იყენებენ, მოსწონთ მარცვლებით და ბგერებით თამაში. ორწლიანების უმეტესობის ენა არის საკუთარ თავთან საუბარი, ან უფროსისკენაა მიმართული. თანატოლებისკენ მიმართული ენა, ძირითადად, ტერიტორიულ იმპერატივებს ეხება: „ჩემია“, „გადი აქედან“. ამ ასაკში ლექსიკური მარაგის გამდიდრება და ენობრივი უნარების ხელშეწყობა უფროსის მთავარი საზრუნავია. ორი წლის ბავშვების პირველი წინადადებები უფრო ტელეგრაფიულია, წინადადებიდან „უმნიშვნელო“ სიტყვები გამოტოვებულია. მოსწონთ ლექსები და სიმღერები თითების მოძრაობების თანხლებით. შეიძლება ყველა სიტყვა ან მოძრაობა ვერ გაიმეორონ, მაგრამ ეს სახალისო და განვითარების ხელშემწყობია. ორწლიანებთან მარტივი დიალოგია შესაძლებელი და უფროსის მხრიდან ამის წახალისება უნდა ხდებოდეს.

რადგან 2 წლის ასაკი ენობრივი უნარების ინტენსიური განვითარების პერიოდია, მარტივი წიგნები – განმეორებადი ფრაზებით და სიტყვებით – მათთვის საინტერესო და სახალისოა. ბავშვებს ასევე მოსწონთ წიგნები, სადაც საგნების მოძებნა და დასახელება შეუძლიათ.

კოგნიტური განვითარება

2 წლის ბავშვების შემეცნებას ბიძგს კვლევა და ცნობისმოყვარეობა აძლევს. მათ აინტერესებთ: „როგორ მუშაობს?“ „რა არის შიგნით?“ „გამოსცემს ხმას?“ „შემიძლია ამ ნაწილის ამოღება?“ „შემიძლია ამის ამოწევა?“ მათ დიდი სურვილი აქვთ, რომ რაღაცეები აამუშაონ: სახელურის გადატრიალება, შუქის ჩართვა-გამორთვა, საკეტებით თამაში. ეს მოქმედებები კარგია ნატიფი მოტორიკისთვის, თუმცა, ამ თამაშებში კოგნიტური ელემენტებიცაა. ამ დროს ბავშვები სივრცის და ფორმის ურთიერთდამოკიდებულებას და მარტივ მექანიკურ პროცესებს სწავლობენ. სამყარო ბავშვებს მეტი კითხვის დასმის და კვლევის შესაძლებლობას აძლევს. უფროსი სწორედ ბევრი რამის კვლევაში უნდა დაეხმაროს ბავშვს. უფროსს შეუძლია შესთავაზოს ბავშვს სხვადასხვა წიგნი ცხოველებზე, ბუნებრივ ნივთებზე, თუმცა, მათ რეალური საგნები უფრო აინტერესებთ.

ორი წლის ბავშვებს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ დროზე. მათ არ იციან, რა არის კვირა და რას წარმოადგენს თვე. მათ ჯერ კიდევ უძნელდებათ, გაიგონ ცნებები – დღეს, ხვალ და გუშინ.

3 წლის ბავშვი

სამი წლის ბავშვი ძალიან განსხვავდება 2 წლის ბავშვისგან. ენა და მეტყველება უფრო და უფრო საჭირო ხდება სხვებთან კომუნიკაციისთვის. ბავშვებს სიამოვნებთ სოციალური ურთიერთობები.

სოციალური და ემოციური განვითარება

სამი წლის ბავშვები ემოციების მთელ სპექტრს გამოხატავენ. ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობენ სიტყვების გამოყენებას. თუმცა, სურვილებს და იმედგაცრუებას, სიტყვებთან ერთად, ჯერ კიდევ გამოხატავენ უეცარი ფიზიკური მოქმედებებითაც. სამი წლის ბავშვებს ჯერ კიდევ არ უსწავლიათ ემოციების დამალვა. ძალიან ადვილია მიხვდეთ, თუ რას განიცდის ბავშვი. ამასთან, მათ გულწრფელი მიჯაჭვულობა უყალიბდებათ აღმზრდელის მიმართ. ამიტომ, მზრუნველი უფროსის მიმართ დამყოლები არიან.

სამი წლის ასაკის ბავშვებს სხვა ბავშვებთან ყოფნა სიამოვნებთ, მაგრამ ძალიან კმაყოფილები არიან, როცა მათ უფროსი ეთამაშება. ისინი იღწვიან, მოიპოვონ საყვარელი, უფროსი ადამიანის პოზიტიური ყურადღება. სამი წლისები ყოჩაღები არიან უფროსების, როგორც რესურსის, გამოყენებაში. ისინი მომთხოვნები არიან და უყვართ სიახლეების გაზიარება.

3 წლის ბავშვებს უყვართ მეგობრობა და მოსიყვარულეები არიან მეგობრების მიმართ. მათ უკვე ისე აქვთ განვითარებული ენობრივი უნარები, რომ თანატოლებთან უფრო მეტად შეუძლიათ

ურთიერთობა, ვიდრე ეს 2 წლის ასაკში შეეძლოთ. უკეთ შეუძლიათ, თავისუფლად გაცვალონ რამე, რაც ამ ეტაპზე განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ისინი აცნობიერებენ, რომ სხვა ადამიანებსაც აქვთ ემოციები და უფლებები. 3 წლის ასაკში ბავშვი განსაკუთრებულ მეგობარს თამაშის სიტუაციაში იძენს. 3 წლის ბავშვები, ორწლიანების მსგავსად, სოციალურ მიჯაჭვულობას ერთმანეთის მიბაძვით აყალიბებენ. ხშირად ნახავთ, როგორ ბაძავენ ერთმანეთის მოძრაობებს, ხმას, რათა სოციალური კონტაქტი დაამყარონ. ამ ასაკში ერთმანეთს სიტყვების გამოყენებითაც ბაძავენ. 3-4 წლის ბავშვები ხშირად ამბობენ: „მეც!“, რითაც მსგავსებებს ამყარებენ. ამ ასაკში შესაძლებელია თამაში - ვის რა მოსწონს, ან არ მოსწონს.

3 წლის ბავშვისთვის „მეგობარი“ ის არის, ვინც მას ამწუთას ეთამაშება, ვისაც საინტერესო სათამაშო ან იდეები აქვს. ამიტომაც, კონფლიქტის დროს ხშირად ამბობენ: „შენ აღარ ხარ ჩემი მეგობარი“. 3 წლის ბავშვები სხვებთან თამაშით და მეგობრობით არიან დაინტერესებულები, თუმცა, შესაბამისი უნარები განსხვავებულად აქვთ განვითარებული. ბავშვებს, რომლებსაც ჯგუფური თამაშის მეტი გამოცდილება აქვთ, უკეთესი სოციალური უნარები აქვთ.

3 წლის ბავშვები სოციალურ ქცევებს სწავლობენ. „გთხოვ“ და „მადლობა“ ხშირად გვესმის მათგან, განსაკუთრებით, თუ უფროსის სახით კარგი მაგალითი ჰყავთ.

3 წლის ბავშვებს მოსწონთ სასაცილო სიტუაციებზე სიცილი, ისინი ხალისობენ სხვებზეც და საკუთარ თავზეც. მოსწონთ სიტყვების სასაცილოდ წარმოთქმა, უაზრო გარითმვა ან სიტყვებით თამაში. უხეში მოტორული აქტივობები ძალიან მიმზიდველია მათთვის (ხტომა, კოტრიალი, თავდაყირა დადგომა). აქტიური მოძრაობით, მუსიკალურ აქტივობებში მონაწილეობით შესაძლებელია მათი ამ ინტერესის დაკმაყოფილება.

ჯერ კიდევ რთულია ბავშვებისთის, გააცნობიერონ, რომ სხვას განსხვავებული შეხედულება აქვს. მათ ბევრი უნდა ივარჯიშონ, რომ გაიგონ, რას ფიქრობს და რატომ იქცევა სხვა ასე. დაგეგმეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ჯგუფურად უფრო სახალისოა, ვიდრე-მარტო. ასე ბავშვები ისწავლიან, რომ გაცემა და სხვა ბავშვებთან თანამშრომლობა სასარგებლოა.

3 წლის ბავშვები იწყებენ სწავლას, თუ როგორ გადაჭრან პრობლემები სხვა ბავშვებთან.

ყველაზე მეტად ისინი საკუთრების გამო ჩხუბობენ. რიგის დაცვა ახალია მათთვის და შეიძლება, ბავშვს დახმარება დასჭირდეს. ისინი სწავლობენ ხანმოკლე ლოდინს - სურვილის დასაკმაყოფილებლად. მეგობრობით ისინი სწავლობენ, რომ თუ ცოტას გასცემ, ცოტას მიიღებ. სხვა ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება ასწავლის ბავშვს გაზიარებას და რიგის დაცვას. ამ პროცესში ბავშვებს უფროსის გააზრებული დახმარება სჭირდება.

მოტორული განვითარება

3 წლის ასაკში სხეულის კოორდინაცია ვითარდება. მათ უკვე ბევრნაირად შეუძლიათ მოძრაობა – სირბილი, ხტუნვა, ნახტომებით სირბილი, მუსიკაზე ცეკვა – რაც მათთვის ძალიან სახალისოა. მათი გაზრდილი მოტორული შესაძლებლობების გამო, მოსწონთ, ბევრნაირად გამოსცადონ თავინთი სხეული და სხვადასხვა მოძრაობა სცადონ. კიბეზე ასვლისას ფეხებს მონაცვლეობით იყენებენ, თუმცა ჩამოსვლისას შეიძლება, ისევ ერთი ფეხი იყოს წამყვანი. სამთვლიანი ველოსიპედის მართვა სამწლიანების მიღწევაა. ბურთით თამაში ახალისებთ - აგორებენ და ახტუნავებენ, თუმცა, დაჭერით ჯერ კიდევ ვერ იჭერენ. მარცვლებიანი ბურთებით სხეულს უფრო ადვილად აკონტროლებენ და მათი ყუთში ჩაყრა ბავშვებისთვის კარგი ვარჯიშია.

ამ ასაკში ხელის კუნთების გაკონტროლებას იწყებენ, თუმცა, ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვთ გასავლელი. მაგალითად, უძნელდებათ ფანქრის დაჭერა. მუშტით უჭირავთ საწერი და სახატავი საშუალებები: ფუნჯი, კალამი, ფანქარი,

სენსორული მასალა: ცომი, პლასტელინი, წყალი და ქვიშა ძალიან პოპულარულია. ეს მასალა ხელის კუნთების კოორდინირებულად გამოყენებაში ეხმარება. ხელის წვრილ კუნთებს აძლიერებს: მოჭერა, გაბრტყელება, მოზელა, გავსება. ჩასხმა საჭიროებს კოორდინაციას. ყველა ეს აქტივობა, გარდა იმისა, რომ თვალის და კუნთის ვარჯიშია, წარმოსახვასაც ავითარებს, რადგან მასალა სხვადასხვა ფორმას იღებს. თითების სათამაშო ლექსები და სიმღერები, როცა თითების მოძრაობაც ჩართულია, ასევე, უზრუნველყოფს ხელის ვარჯიშს. სამწლიანებისთვის სახალისოა დიდი მძივების ასხმა. ეს თამაში უადვილდებათ, როდესაც თოკის ან მსხვილი თასმის ბოლო მყარია.

სხვადასხვა სახის ასაწყობი კუბები საინტერესო გამოწვევაა სამწლიანებისთვის. ისინი ამ თამაშებით სწავლობენ ფორმის, ზომის და სიგრძის ცნებებს.

ხელოვნების აქტივობები ყველაზე კარგი საშუალებაა ნატიფი მოტორიკის და შემოქმედებითი უნარების გასავითარებლად, ესენია: თითებით ხატვა, ფუნჯით და სხვადასხვა სახატავი საშუალებებით ჯღაბნა, ხატვა, გაფერადება, დაწებება, გამოჭრა. ბავშვი, ჩვეულებრივ, სამი წლის ასაკში იწყებს მაკრატლის გამოყენების სწავლას. ეს ძალიან პოპულარული საქმიანობაა ამ ასაკისთვის. ამ ასაკში ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, რომელი ხელია წამყვანი, მარჯვენა თუ მარცხენა.

მეტყველება და წიგნიერება

სამწლიანები თითქმის სულ ლაპარაკობენ. მათთვის გამართული საუბარი განვითარებადი უნარია. ისინი მზად არიან ივარჯიშონ, ყველა ახალი ბგერა და კომბინაცია გამოთქვან. ამას ბევრჯერ იმეორებენ და ყოველ ჯერზე ახალს უმატებენ. თუმცა, ზოგიერთისთვის ყველა ბგერის წარმოთქმა ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევაში, შეუძლიათ თქვან, რაც უნდათ და მეტყველება გრამატიკულად გამართულია.

დასაწყისისთვის, ბავშვების ერთმანეთისკენ მიმართული საუბარი, ძირითადად, დირექტიულია: „გაჩერდი“, ან „ჩემია“. თუ ორი სამწლიანი ბავშვის ლაპარაკს მოუსმენთ, ეს უფრო ორი მონოლოგია, ვიდრე დიალოგი, სადაც თითოეული თავის თემაზე საუბრობს, ისე, რომ კავშირში არ არის იმასთან, რასაც მეორე ამბობს.

სამი წლის ბავშვებმა ბევრი ახალი სიტყვა იციან და ლექსიკური მარაგი დღითი დღე იზრდება. ესმით ბევრად მეტი სიტყვის მნიშვნელობა, ვიდრე ამას ამბობენ.

წიგნის მიმართ ინტერესი უკვე ცდება დასურათებულ წიგნებს. მათ მოსწონთ ნაცნობი, მარტივი ამბები ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ოჯახზე, ცხოველებზე, ტრანსპორტზე. მოსწონთ მარტივი ისტორიების მოყოლა, სადაც უფრო მეტი ფოკუსი მათ საყვარელ ადგილებზე და გმირებზეა.

კოგნიტური განვითარება

ენის განვითარებას დიდი გავლენა აქვს კოგნიტურ განვითარებაზე. კოგნიტური უნარები, ანუ „ფიქრის უნარი“ ბავშვს სამყაროს ორგანიზებაში და შემდგომ, უკვე აბსტრაქტულ აზროვნებასა და სიმბოლოების გამოყენებაში ეხმარება. რაც უფრო მეტი სიტყვა, სიმბოლო იცის ბავშვმა, მით უფრო შეუძლია, ფიქრებით გასცდეს აწმყოს. ბავშვები, რომელთა ენაც ჯერ არ არის განვითარებული, იმაზე მოქმედებენ და რეაგირებენ, რაც მათ ირგვლივ ხდება. ენის განვითარებასთან ერთად შესაძლებელია მსჯელობა.

ამ ასაკში დიდ ნახტომს აკეთებენ წარმოსახვით თამაშებში. შეუძლიათ მეტყველების გამოყენება იმის აღსაწერად, თუ რას აკეთებენ. ამ ასაკში სწავლობს ბავშვი ფერებს, ფორმებს, ზომებს. სამი წლის ბავშვებს დროის ცნება არ ესმით. მიუხედავად იმისა, რომ მათ ლექსიკაში არის სიტყვები: „გუშინ“, „ხვალ“, ისინი ხშირად ურევენ ხოლმე.

სამი წლის ბავშვებს უყვართ სიმღერა და სხვა მუსიკალური აქტივობები.

4 წლის ბავშვი

4 წლის ბავშვები ენთუზიაზმით სავსე, გამბედავები და თავგადასავლების მოყვარულები არიან. მათ შემეცნების ძლიერი ინტერესი აქვთ, თუმცა, დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერება არ შეუძლიათ. აინტერესებთ სუპერგმირები, მონსტრები, დინოზავრები. განვითარებული აქვთ წარმოსახვის უნარი და მათი თამაშები საშიშ თემებს უკავშირდება. მოსწონთ სხვადასხვა მიმიკების მიღება, როცა სასაცილოები არიან.

სოციალური და ემოციური განვითარება

4 წლის ბავშვები ძლიერად გამოხატავენ ემოციებს, ძალიან უყვართ ან სძულთ. უფროსის დაკვირვებით და ფრთხილი მითითებით შეუძლიათ, გაიგონ და დაასახელონ თავიანთი ემოციები და ისწავლონ გამოხატვის მისაღები გზები. ეს არის ასაკი, როცა ბავშვები საკუთარ ძალებს აღმოაჩენენ.

ამ ასაკში ბავშვები, ადრინდელ წლებთან შედარებით, იშვიათად თამაშობენ მარტო. რა თქმა უნდა, დროდადრო დამოუკიდებლადაც თამაშობენ, განსაკუთრებით, როცა რამე ახალს სწავლობენ, თუმცა, სხვა ბავშვებთან თამაშს ამჯობინებენ.

4 წლის ბავშვები ძლიერ მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებენ. ამ ეტაპზე იწყებენ და სწავლობენ თანამშრომლურ და შემოქმედებით თამაშებს. მეგობრობას მარტივად განმარტავენ: მეგობარია ის, ვისთან ერთადაც თამაშობს. თუ ბავშვი მასთან „კარგად“ არ თამაშობს, ის აღარ

არის მისი მეგობარი. მათ ძალიან უნდათ, ჰყავდეთ ვინმე, ვისთანაც ითამაშებენ. ეს ეხმარება სხვა ადამიანების შეხედულებების სწავლასა და გათვალისწინებაში, ასევე, გაზიარება, თხოვება, დათმობასა და რიგის დაცვაში.

ამ ასაკში თამაშის დროს გაზიარება და რიგის დაცვა უფრო იოლი ხდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ სხვა ბავშვებთან თამაშის გამოცდილება აქვთ. 4 წლის ბავშვები ჯერ კიდევ სწავლობენ და კარგად ვერ ფლობენ თვითკონტროლს.

მოტორული განვითარება

4 წლის ბავშვები აქტიურები არიან – დახტიან, დარბიან, ცოცავენ. საჭიროა ბავშვებისთვის აქტიური, ხმაურიანი თამაშების მოგონება. მათ მოზღვავებული ენერგია აქვთ. თუ უფროსს უნდა, მათ რამე ასწავლოს, ეს აქტიური თამაშების მეშვეობით უნდა მოხდეს.

ამ ასაკში ბავშვების ნატიფი მოტორიკა კარგად არის განვითარებული. მათ შეუძლიათ, რომ შეკრან ღილები, ელვა, ფეხსაცმლის თასმები (მაგრამ არა ძალიან წვრილი), ააცვან მძივები, გამოიყენონ მაკრატელი, დაისხან წვენი. ასევე, შეუძლიათ წერონ, თუმცა, ასოები უსწორმასწორო და მოუქნელია. ეს არ არის ასაკი, როდესაც ბავშვი მზადაა წერა-კითხვის სწავლისთვის. მათ უჭირთ დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერება.

მეტყველება და წიგნიერება

სიამოვნებთ თავიანთი ხმით თამაში, ყვირილი, ჩურჩული, სხვადასხვა ბგერების წარმოთქმა. უყვართ მოვლენების გაზვიადება და სიტყვები, როგორიცაა „უზარმაზარი“, „გიგანტური“. ყვებიან საიდუმლოებს, თითქმის ყოველი მოქმედებისას არიან ხმაურიანები.

მათ ბევრის თქმა სურთ. ადრე თუ ისეთ საგნებზე და სიტუაციებზე საუბრობდნენ, რომლებთანაც უშუალოდ ჰქონდათ შეხება, ახლა მათ შეუძლიათ, წარმოსახვა გამოიყენონ („რა მოხდებოდა, თუ“). იგონებენ ათასგვარ ამბებს. უყვებიან სხვებს პირადი ნაცნობობის, გამოცდილებისა და შენაძენის შესახებ, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებში. უსმენენ სხვებს და ცდილობენ საუბარში ჩართვას. იმეორებენ მრავალსაფეხურიან მითითებებს. შეუძლიათ, გაიმეორონ ამბის ძირითადი თანმიმდევრობა.

ზღაპრების მოსმენა უკვე ვიზუალური მასალის გარეშეც შეუძლიათ. ასევე, შინაარსს მხოლოდ მოსმენითაც მიჰყვებიან.

ამ ასაკში მნიშვნელოვანია მათი ენობრივად მდიდარ გარემოში ყოფნა. თუ მათი თვალთახედვის არეში ბევრი წიგნი და საწერი საშუალებაა, ასეთ გარემოში ბავშვები, დაძალების გარეშე, ერთვებიან და როლს ირგებენ, ვითომ წერენ და კითხულობენ.

წიგნების თემატიკა უნდა უკავშირდებოდეს ოჯახს, ცხოველებს, სხვადასხვა ნაცნობ საკითხებს და სათავგადასავლო ამბებს. მათ მოსწონთ კომპლექსური ილუსტრაციები და ყველაზე მცირე ზომის ობიექტების მოძებნა.

კოგნიტური განვითარება

4 წლის ბავშვებს აინტერესებთ, როგორ მუშაობს ესა თუ ის საგანი, რა არის სხვადასხვა მოვლენის გამომწვევი მიზეზები. ეს უკვე მოწმობს ბავშვის აზროვნების ჩამოყალიბებას და განვითარებას, მათ აინტერესებთ ისეთი საგნები, რომელიც მათი თვალთახედვის არეში არ იმყოფება. თუმცა. ამ ასაკში აბსტრაქტული აზროვნება ბოლომდე განვითარებული არ არის და მაინცდამაინც ნუ შეეცდებით უხილავ მოვლენებზე საუბარს. მათ აინტერესებთ რა არის ნამდვილი და რა არა, აინტერესებთ რა არის ის, რაც უხილავია.

4 წლის ბავშვებს უკვე შეუძლიათ გამოიყენონ სიმბოლოები: ნახატები, ნიშნები, მელოდიები, რომლებიც გარკვეულ მოვლენას აღნიშნავენ. ბავშვებს სჭირდებათ, რომ ნივთებს ჩაეჭიდონ, ამოძრაონ. შეხება, მხედველობა და სმენითი ინფორმაციის საფუძველზე ბავშვები უფრო სრულფასოვნად და ადვილად ახერხებენ სწავლას.

მოსწონთ თავგადასავლები, ექსკურსიები, შთაბეჭდილებები, ყველაფერი ახალი. მათ უკვე დაუგროვდათ საკმაო გამოცდილება, რომ შეიგრძნონ უსაზღვრო შესაძლებლობები. მათი ფანტაზიები ვლინდება მათ ქმედებებში.

უფრო მეტად შეუძლიათ დროის აღქმა. თუმცა, „კალენდარული“ აქტივობები არ არის რეკომენდებული. ბავშვებს შეუძლიათ ჩამოთვალონ კვირის დღეები, სეზონები. საათის ცნობა ჯერ კიდევ რთულია მათთვის, მაგრამ შეუძლიათ აღიქვან, რომ კონკრეტული მოვლენა დღის განმავლობაში კონკრეტულ, ერთსა და იმავე დროს ხდება. ჯერ კიდევ ერთმანეთში ერევათ „გუშინ“, „დღეს“ და „ხვალ“, თუმცა, როდესაც მოზრდილები ამ ტერმინებს იყენებენ, ესმით შინაარსი.

შეგრძნებებით ხდება მნიშვნელოვანი ცნებების შესწავლა, როგორიცაა ასოები, სიტყვები, ფორმები, ზომები, მოცულობა, მთელისა და ნაწილის დამოკიდებულება.

ბავშვები თანდათანობით სწავლობენ, რომ სამყაროში მოვლენები, ნივთები ერთმანეთს ჰგავს ან განსხვავდება. სწორედ ამ ასაკშია რეკომენდებული დახარისხების აქტივობები.

ამ ასაკში ბავშვები სწავლობენ სიტყვებს: წინათ, ადრე, პირველად, შემდეგ, საბოლოოდ, რაც მნიშვნელოვანი ცნებებია სიუჟეტის აღქმისთვის. ისეთი აქტივობები, რაც თანმიმდევრული ქმედებებისგან შედგება, ამ უნარს ავითარებს. მაგალითად, სეირნობის დროს გადაღებული ფოტოების თანმიმდევრობით, მოვლენების შესაბამისად დალაგება.

4 წლის ბავშვებს უყვართ სიმღერა. განსაკუთრებით ახალისებთ ხმაურიანი და რიტმული მუსიკა.

5 წლის ბავშვი

5 წლის ბავშვები მხიარულები არიან, უყვართ დახმარება, შექება. აქვთ იდეები, უყვართ ამ იდეებზე ლაპარაკი. კარგად იციან რისი გაკეთება შეუძლიათ და არ შეუძლიათ. თავს კომფორტულად გრძნობენ, როცა იციან წესები. მოსწონთ ისეთი რაღაცების კეთება, რაც „კარგი და მისაღებია“. ისინი ამაყობენ თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობებით – სწრაფად სირბილი, მაღლა ცოცვა, მარჯვე ილეთების კეთება, რასაც ხშირად იმეორებენ.

სოციალური და ემოციური განვითარება

ამ ასაკში ჯგუფი, გუნდი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ხუთწლიანებს უნდათ მეგობრობა, სხვა ბავშვებს რომ მოსწონდეთ. ამ ასაკში მეგობრობა, რომელიც საერთო ინტერესებს ემყარება, უფრო მტკიცე და საფუძვლიანია.

ხუთწლიანების კონფლიქტები უფრო სოციალურ საკითხებს ეხება – ვინ ვისთან ერთად ითამაშებს, რომელ როლს მოირგებს, ვინ მოსწონთ და არ მოსწონთ.

5 წლის ბავშვები ზოგჯერ ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ შემთხვევითობას და განზრახ კეთებას. უფროსის დახმარება მნიშვნელოვანია, ასწავლოს, გამოთქვან წუხილი ამის გამო: „ვწუხვარ, შემთხვევით მოხდა. არ მინდოდა, რომ დავჯახებოდი.“

მოტორული განვითარება

მსხვილი მოტორული უნარების თვალსაზრისით, 5 წლის ასაკი კონტროლირებადი, გაწონასწორებული და მშვიდი პერიოდია. ხტუნვა ხუთწლიანებისთვის ახალი უნარია. მათ ძალიან უყვართ თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობების დემონსტრირება. ყველა სხვა სახის მოძრაობითი აქტივობები – ბურთით თამაში, ცეკვა – ამ ასაკისთვის ჩვეულებრივი საქმიანობაა. საკმაოდ წარმატებულად იჭერენ საშუალო სიდიდის ბურთს. ისევ აინტერესებთ სამთვლიანი ველოსიპედები და სხვა მსგავსი სათამაშოები.

როგორც წესი, 5 წლის ასაკში ვიგებთ, ბავშვი მემარჯვენეა თუ მემარცხენე. არ დაატანოთ ძალა, წეროს მარჯვენა ხელით, თუ მემარცხენეა.

5 წლის ასაკში ფანქარი და საწერი საშუალებები სწორად უჭირავთ, შეუძლიათ ასოების ხატვა და წერა. მრავალფეროვანი საწერი საშუალებები ხელს უწყობს ამ უნარის განვითარებას, თუმცა, მნიშნელოვანია კრეატულობის წახალისება და არა შაბლონებით და გასაფერადებლებით მუშაობა.

5 წლის ბავშვებში ძალიან პოპულარულია თასმებიანი ბარათები, ფაზლები, რაც თვალისა და ხელის კოორდინაციას და აღმასრულებელ ფუნქციებს ავითარებს. ამ ასაკში შეუძლიათ თასმების, ღილების და ელვის შეკვრა.

მეტყველება და წიგნიერება

მეტყველება კარგად არის განვითარებული. ხუთწლიანების წინადადებები კომპლექსურია. ლექსიკური მარაგი იმდენადაა გაზრდილი, რომ უმეტეს საჭიროებას, სურვილებსა თუ განმარტებას სირთულეების გარეშე გადმოცემენ. ძალიან მოსწონთ სხვადასხვა თემაზე საუბარი, აქტიურად მონაწილეობენ და ყურადღებით, მოთმინებით უსმენენ სხვებს. შეუძლიათ მიჰყვნენ მრავალსაფეხურიან ინსტრუქციებს და მოთხოვნებს. ახსოვთ და ზეპირად, ან თანმიმდევრობით იმეორებენ სიმღერებს, ლექსებს, ამბებს, ფილმებს, ასახირებენ მათ.

განსაკუთრებით უყვართ, როცა უკითხავენ, რაც უვითარებს წარმოსახვას, მოსმენის უნარს, ლოგიკურ აზროვნებას, ენას. ლექსები ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, ითამაშონ სიტყვებით და იხალისონ ხმოვნების სიმრავლით. ლექსის დამახსოვრების და ზეპირად მოყოლის იძულებით, შეიძლება პოეზიის მიმართ ინტერესი დაეკარგოთ.

ხუთწლიანებს ყველა სახის მოთხრობები მოსწონთ, განსაკუთრებით კი სასაცილო, რეალური ამბები და წიგნები ცხოველებზე. მათ აინტერესებთ, როგორ მუშაობს ესა თუ ის ნივთი, ტრანსპორტი, როგორია სხვადასხვა ნაგებობა, ამიტომ, ილუსტრირებული წიგნები და ენციკლოპედიები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის.

წიგნების შექმნა, მათი იდეებით და გამოცდილებებით, წიგნის მიმართ ინტერესის გაჩენის ერთ-ერთი გზაა. ეს მათთვის სახალისო საქმიანობაა.

ბევრ ხუთწლიანს მზაობა აქვს, დაიწყოს კითხვის სწავლა, თუმცა, უფროსმა არ უნდა დააძალოს.

კოგნიტური განვითარება

ხუთწლიანები დიდ ნახტომს აკეთებენ აზროვნებაში, წარმოდგენებში. ისინი, ჩვეულებრივ, ფიქრობენ და ლაპარაკობენ, თუ რის გაკეთებას აპირებენ ხვალ, ზეგ, რა გააკეთეს გუშინ. მათ ბევრი გეგმა და ჩანაფიქრი აქვთ. უყვართ ლაპარაკი იმ დროზე, როცა უფრო პატარები იყვნენ, ან როცა დიდები იქნებიან. ხუთწლიანები ფიქრობენ იმაზეც, რა არ მოხდა, მაგრამ შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს მიზეზ-შედეგობრიობის გააზრებაში, პრობლემის გადაჭრის გზების და იდეების მოფიქრებაში ეხმარება.

სივრცისა და გეოგრაფიის შესახებ მათი გაგება ჯერ კიდევ არასრულია. მათ ესმით დროის ცნება, იციან კვირის დღეები, თვეები და სეზონები.

ხუთწლიანები დიდი აღტაცებით სწავლობენ მეცნიერებასთან დაკავშირებულ ახალ სიტყვებს. მათ მეტი უნდათ გაიგონ, თუ როგორ „მუშაობს“ სამყარო. მრავალფეროვანი ექსკურსიები მათ ცოდნას აფართოებს. ბუნებაში გასვლა, ზოოპარკი, მანქანების სარემონტო, მაღაზიები, საცხობები – საინტერესო სამეცნიერო ექსკურსიების მაგალითებია. მათთვის ძალიან საინტერესოა წიგნები მწერებზე, ჩიტებზე, ძუძუმწოვრებზე.

მათთვის ასევე ძალიან სახალისოა ნებისმიერი სახის მუსიკალური აქტივობა – ინსტრუმენტებზე დაკვრა, ჯგუფური სიმღერა, ცეკვა. მარტივი ცეკვის დასწავლა კარგი კოგნიტური აქტივობაა, რაშიც მთელი სხეული და მეხსიერებაა ჩართული.

ხუთწლიანებისთვის დამახასიათებელია ჯგუფური თამაშები. ისინი, როგორც წესი, უპირატესობას ერთ ან მეტ ბავშვთან ერთად თამაშს ანიჭებენ, ვიდრე თავისთვის, მარტო თამაშს. ირჩევენ როლებს, დგამენ დადგმებს, ერთმანეთს უზიარებენ იდეებს და მთლიანად არიან ჩართული თამაშის სცენარში. სხვებთან ერთად, დიდი სიამოვნებით აკეთებენ შემოქმედებით პროექტებს.

შემოქმედებითი აქტივობები ძალიან პოპულარულია. 4 წლის ბავშვების მსგავსად, კარგად ერთობიან თეატრალური თამაშებით, ირგებენ სხვადასხვა როლებს და შესაბამის რეკვიზიტებს იგონებენ დრამატული თამაშისთვის.

4 წლის ბავშვისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც წესი, შემთხვევით დაჯღაბნილს არქმევს სახელს, 5 წლის ბავშვი ყოველთვის წინასწარ წყვეტს, თუ რისი დახატვა უნდა. ნახატებს ხშირად ამბავს ურთავენ. ნახატები თანდათანობით რეალურს უფრო მიმსგავსებულია. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტ დეტალს ამატებს. ბავშვებს არ სჭირდებათ იმის სწავლა, თუ როგორ დახატონ. არასდროს გააკეთოთ შენიშვნა ბავშვის ნახატთან დაკავშირებით და არასდროს არ სცადოთ ნახატის შესწორება.

კუბურებით ან სხვა ასაწყობი სათამაშოებით თამაშისას, როგორც წესი, იმას აკეთებენ, რითაც უნდათ, რომ ითამაშონ. აწყობენ ცხოველებს, ადამიანებს, კუბურებით აშენებენ მთელ ქალაქს თავისი შენობებით. ბავშვები ძალიან ხალისობენ ასეთი პროექტების ერთად კეთებით.

ხუთწლიანებს მოსწონთ წესებიანი თამაშები და შეუძლიათ ამ წესებს მიჰყვნენ. მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ აქტიური თამაშები გარეთ. ბურთი, სახტუნაო და სხვა მოძრავი სათამაშო ნივთები ამ ასაკში ძალიან პოპულარულია.

თავი 2. პრაქტიკული მაგალითები

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ბაღის ცხოვრების სცენარებია მოცემული სამი ასაკობრივი ჯგუფის (2-3 წლიანთა, 3-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა) და შერეული ჯგუფის მაგალითზე. დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ გეგმავს აღმზრდელი და წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს, როგორ აკვირდება და აწყობს გარემოს, როგორ ურთიერთობს ბავშვებთან და მშობლებთან, რა გამოწვევების წინაშე დგება და როგორ ჭრის ამ პრობლემებს.

ამ რამდენიმედღიან მაგალითებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოცემული თეორიული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტები.

2-3 წლიანთა ჯგუფი

მანანამ ხუთშაბათს, დილის შეხვედრაზე დააფიქსირა, რომ ბავშვების განსაკუთრებული ყურადღება ანის ყვითელმა მაისურმა და ჩანთამ მიიპყრო. ნიკომ და მარიმ, როგორც თავად ახსენეს, „ანის ჩანთისნაირი“ ნივთების ძებნა დაიწყეს ოთახში და სხვა ბავშვებიც აიყოლიეს. მანანამ გადაწყვიტა, რომ მეორე დღესვე – გამოწვევების სახით – ცენტრებში ყვითელი ფერის საგნები შეეტანა და მომდევნო კვირის თემაც ყვითელი ფერი ყოფილიყო.

დღისა და კვირის დაგეგმვა

მანანამ და ლიამ ყვითელი ფერის თემაზე მუშაობისას და კურიკულუმის მიზნების მისაღწევად შემდეგი თამაშები და გამოწვევები დაგეგმეს:

- ხელოვნებიდან: ბავშვებს „გამოსაკვლევად“ მრავალფეროვან სამხატვრო მასალას შესთავაზებენ;
- წიგნიერებიდან: წიგნიერების ცენტრს გაამდიდრებენ ხელნაკეთი დასურათებული წიგნებით: ყვითელი ფერის ნივთებზე, ზღაპრით, ფუმფულა ყვითელ წიწილაზე (ეს წიგნები თავად მანანამ და ლიამ საგანგებოდ დაამზადეს ამ თემისთვის);
- მეცნიერებიდან: კვერცხის გულის ათქვეფა და დაკვირვება.

როგორც ჩანს, მანანამ და ლიამ გადაწყვიტეს, კვირის განმავლობაში მხოლოდ სამ ცენტრში შეეტანათ განსხვავებული მასალა, რათა ბავშვების გაძღოლა შედარებით მარტივი ყოფილიყო. დანარჩენ სივრცეებში ბავშვებს ჩვეული რესურსი დახვდებათ, რომელსაც აქამდეც იყენებდნენ თამაშებში.

მანანამ და ლიამ, ასევე, შეაგროვეს ყვითელი ფერის ნივთები, რომლებსაც გამოწვევების შესაქმნელად კვირის განმავლობაში გამოიყენებს: ყვითელი კუბურები, ქვიშა და ა.შ.

მომდევნო დღეებში მანანა ბავშვებს სთხოვს, სახლიდან ყვითელი ნივთები მოიტანონ. ასევე, ისეთი საბავშვო წიგნები, სადაც პერსონაჟებს ყვითელი ტანსაცმელი აცვიათ და დილის შეხვედრაზე სთხოვს, გააზიარონ.

ჯგუფის ერთობის მიზნების მისაღწევად, მანანამ დილის წრეზე ორი სახალისო აქტივობა დაგეგმა: ყოველი დილის შეხვედრა დაიწყება სიმღერით: „ჩიტო, ჩიტო – ნაცარა“. მანანა ფიქრობს, რომ დილის შეხვედრის სიმღერა ფლანელის დაფითაც გააფორმოს. ასევე, გეგმავს, ეს სიმღერა ერთი თვის განმავლობაში ან მეტხანს გამოიყენოს. შემდეგ, ათამაშებს „ვის რა ჰქვია“.

ცენტრებში თამაშისას ასწავლის გაზიარებას. ბავშვების სახელების და გაზიარების თამაშებს იმდენ ხანს ათამაშებს, სანამ ბავშვები არ დაისწავლიან და არ მობეზრდებათ. გაზიარების თამაში მცირე ჯგუფში ან ბავშვთან ინდივიდუალურად უნდა განახორციელოს. ამიტომ ბუნებრივია, ყოველდღე, სხვადასხვა ბავშვთან მოუწევს ამის კეთება. საბოლოოდ კი, ერთი – ორი კვირის შემდეგ, ყველასთან ექნება ნამუშევარი. დილის წრე ერთფეროვანი რომ არ იყოს, სახელების თამაშს კვირაში სამჯერ ათამაშებს და ორ დღეს – მის შეცვლილ ვარიანტს: „ვის ახურავს მწვანე ქუდი“.

ჯგუფის ერთობისა და კვლევა-აღმოჩენის მიზნებზე გასასვლელად, აღმზრდელები დაგეგმილი აქტივობების დროს სხვადასხვა სტრატეგიებს გამოიყენებენ.

თარიღი: 8-15 ოქტომბერი		აქტივობა მთელ ჯგუფთან: თამაში – „ვის რა ჰქვია“. ყვითელი ფერის ნივთების დათვალიერება, ოთახში დამალული ნივთების პოვნა	
დილის შეხვედრა/ საღამოს შეხვედრა სიმღერა „ჩიტო, ჩიტო – ნაცარა	კუბურები ყვითელი კუბურები, ბოთლის ყვითელი სახურავები, ყვითელი ქსოვილი	ხელოვნება ყვითელ ფურცლებზე ხატვა, ყვითელი ყვავილით ხატვა	დრამატული.
წიგნიერება ხელნაკეთი წიგნები	მეცნიერება კვერცხის გულის ათქვეფა	სამაგიდო გამოწვევა: პონპონები და პინცეტი ყვითელი მძივების აწყობა	სენსორული ქვიშით და ნიჩბებით თამაში
ეზო	რუტინები/ ტრანზიციები წიგნებით სავსე კალათის გამოყენება კვების შემდეგ, სიმღერა	სტრატეგიები: კითხვების დასმის წახალისება სამხატვრო მასალების თავისუფლად გამოყენების წახალისება, მასალებით ექსპერიმენტირების წახალისება	რესურსები: ყვითელი ნივთები, ყვითელი კუბურები, საღებავი, ფურცლები. ფლანელის დაფა
რეფლექსია: (ამ გრაფას მანანა კვირის განმავლობაში შეავსებს)			

მომდევნო კვირაში მანანა ბავშვის განვითარების სტანდარტის მიხედვით მისივე შექმნილი კითხვარით ბავშვების სოციალურ და ემოციურ კომპტენციებს დააკვირდება. ბავშვის განვითარების მხრივ ბევრია დასაკვირვებელი, მაგრამ ბავშვების კონკრეტული უნარების უკეთ გასაგებად, მანანამ რამდენიმე ზოგადი სფერო და ქვესფერო გამოყო. აღნიშნული კითხვარი ქვემოთ, დაკვირვების ნაწილში იხილეთ.

ფიზიკური გარემოს მოწყობა

დილის შეხვედრა. ფლანელის დაფისთვის გამოჭრა ფლანელის მზე, ჩიტი და ყვავილი. „სახელების“ თამაშისთვის ბურთი და მწვანე ქუდიც მოიმარაგა.

სენსორული მაგიდა. მანანამ ყვითელი ქვიშით გაავსო და შიგნით ყვითელი ნიჩბები და ძაბრები მოათავსა.

ხელოვნების ცენტრში ბაბუაწვერას ყვავილი, ყვითელი გუაშის საღებავი, ყვითელი ქვიშა და ფურცელი მოათავსა. აქ ბავშვები შეძლებენ, ფუნჯის მაგივრად ყვავილი გამოიყენონ და ყვითელი ანაბეჭდი დატოვონ ფურცელზე. მანანას მიზანი არ არის, რომ ბავშვებმა კონკრეტული ნამუშევარი შექმნან, მისი მიზანია, ყვითელი ფერის საღებავითა და ყვითელი ყვავილით „ითამაშონ“, ამ ორ მასალას დააკვირდნენ, იკვლიონ.

სამაგიდო თამაშების ცენტრში ბავშვებს მოუმზადეს ყვითელი ფერის პონპონები და დიდი პინცეტი, შეძლონ პინცეტის საშუალებით პონპონების სპეციალურ კონტეინერში გადატანა.

პრაქტიკა

დილით, სანამ ყველა შეიკრიბება, ბავშვები სხვადასხვა კუთხეში თამაშობენ (აღმზრდელებს ახალი, ყვითელი ფერის რესურსი ჯერ-ჯერობით ცენტრებში განთავსებული არ აქვთ და ბავშვებიც იმ სათამაშოებით თამაშობენ, რაც ამ სივრცეებში ყოველთვის არის). მანანა იწყებს სიმღერას „ჩიტო, ჩიტო – ნაცარა“ და თან ბავშვებს დილის წრის ბარათს აჩვენებს. მანანას ლიაც (თანაშემწე) ეხმარება. ბავშებს ანიშნებენ, რომ დილის შეხვედრის დროა და ეხმარებიან, წრეზე დასხდნენ. მანანა სიმღერას ხელის, სხეულის მოძრაობას აყოლებს, ცვლის სახის გამომეტყველებას. მეტი ვიზუალიზაციისთვის, შინაარსის აღქმისთვის ფლანელის დაფაც გამოიყენა და სიმღერის სტროფების შესაბამისად, გამოჭრილი მზე, ჩიტი და ყვავილი დაფაზე განათავსა. სიმღერის დასრულების შემდეგ – „ყველას მოგესალმებით: დილა მშვიდობისა“ – თითოეულ ბავშვს ყველა ერთად ესალმება. თავიდან მანანა და თანაშემწე მაგალითს აჩვენებენ და ბავშვებს ძალას არ ატანენ. ზოგიერთი ბავშვი მაშინვე აჰყვება, ზოგი ნელ-ნელა სწავლობს და იმეორებს, ზოგიც – ჯერ მხოლოდ დამკვირვებლის როლშია.

თამაში – „ვის რა ჰქვია“. სიმღერის დასრულების შემდეგ, ნ. დუმბაძის ლექსის – „ბურთი და ნიკორა“ – პირველი სტროფის თანხლებით, მანანა სათითაოდ უგორებს ბურთს ბავშვებს:

„ბურთმა იგორა, იგორა,
მთა-ბარი გადაიგორა,
მინდვრის ბოლოს რომ მიგორდა
ბოლოში დახვდა .... (ბავშვის სახელი).“

ასე მანანა ყველა ბავშვს მოივლის და ახალისებს მათ, რომ საპასუხოდ გამოუგორონ ბურთი.

კვირის ორ დღეს (მაგალითად, ოთხშაბათს და პარასკევს) მანანა ბავშვებს გაცნობის თამაშს სხვაგვარად ათამაშებს. თამაშს ჰქვია „ვის ახურავს მწვანე ქუდი“. აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს, დახუჭონ თვალები. შემდეგ მიდის ერთ ბავშვთან და ქუდს ჩუმად ახურავს. ბავშვებს სთხოვს, თვალები გაახილონ და თქვან, ვის ახურავს მწვანე ქუდი. შეიძლება, ამ თამაშის წესი ბავშვებმა ზედმიწვენით ვერ დაიცვან, თუმცა, თამაში დაეხმარება, ყურადღება თავიანთ ჯგუფელზე მიმართონ და კიდევ ერთხელ მოისმინონ მისი სახელი. (მოდიფიცირებული ვარიანტი: აღმზრდელი აცხადებს:„ აბა, დააკვირდით, ვის ახატია დათვი მაისურზე“. ბავშვები ეძებენ, ვინ არის ასეთი და ასახელებენ. აღმზრდელი თითოეული ბავშვის გამორჩეულ ნიშანს ასახელებს. თამაში კომპლიმენტების თამაშისთვის საჭირო უნარების გამომუშავებასაც შეუწყობს ხელს, დაეხმარება ბავშვებს, ყურადღება ერთმანეთზე მიმართონ; ასევე, ხელს უწყობს განსხვავებულობის აღქმასაც).

დილის შეხვედრის შემდეგ, საუზმეზე მანანამ და ლიამ ბავშვებს ყვითელი ფერის ქაღალდის ხელსახოცები მოუმზადეს და წაახალისეს, დაერიგებინათ მაგიდებზე. საუზმის შემდეგ ბავშვებმა მაგიდის ალაგებაში მიიღეს მონაწილეობა. გადასვლების დროს მანანა იყენებს შემდეგ სტრატეგიას: წიგნებით სავსე კალათას დიდ ხალიჩაზე ამოალაგებს და ბავშვები წიგნებს ათვალიერებენ. ეს დრო საშუალებას აძლევს მას და ლიას, რომ საუზმის შემდეგ ოთახი მოაწესრიგონ და ცენტრებში მასალები მოამზადონ.

საუზმის შემდეგ მანანამ და ლიამ ბავშვებს საშუალება მისცეს, ცენტრებში გადასულიყვნენ სათამაშოდ. უფროსებმა წინასწარ „გაინაწილეს“ ცენტრები. მანანა ხელოვნების ცენტრში გაუძღვება ბავშვებს. აქ, გამოწვევის სახით, ახალი მასალებია შეტანილი. ის ასევე თვალყურს ადევნებს კუბურებსა და დრამატულ ცენტრებს, სადაც ბავშვებს ნაცნობი სათამაშოები დახვდებათ, ხოლო ლია სენსორულ და სამაგიდო ცენტრებზეა პასუხისმგებელი, სადაც ასევე ახალი მასალებია.

მანანამ ხელოვნების ცენტრში გადაინაცვლა და იქ შესულ ბავშვებს მასალებს სთავაზობს: „შენ შეგიძლია, ეს ყვითელი საღებავი გამოიყენო, ასევე, ეს ყვითელი ყვავილიც და აქ ყვითელი ქვიშაც გვაქვს“. ცენტრში შესული ბავშვები თავდაპირველად ახალ რესურსთან ფრთხილობენ, თუმცა მანანა წაახალისებს მათ, თავად ჯდება მაგიდასთან, ყვავილის ღეროს საღებავში ყოფს და ხმამაღლა აღნიშნავს – „როგორი ყვითელი ფერია ... მაინტერესებს, როგორ კვალს

დატოვებს ყვავილი ფურცელზე“ და შემდეგ ფურცელზე დებს საღებავიან ყვავილს. ნინიმ და ნიკომ ყვავილების თვალიერება დაიწყეს და საღებავში მოათავსეს, ლევანი და მარი ჯერ საღებავით ატარებენ ექსპერიმენტს, მანანა გვერდიდან აკვირდება ბავშვების საქმიანობას, ერევა საჭიროებისამებრ. ძირითადად, ღია შეკითხვებს სვამს. აძლევს საშუალებას, რომ მასალები თავისუფლად იკვლიონ, სიამოვნება მიიღონ პროცესით.

ახალი მასალების გამოყენებაზე მეთვალყურეობის გარდა, მანანა და ლია მცირე ჯგუფებში გაზიარებასაც ახალისებენ. გაზიარებაზე მუშაობა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით შეიძლება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ამ უნარის თვალსაზრისით ბავშვი რა ეტაპზეა. მანანას შეუძლია დაიწყოს გაზიარების რიტუალით, მარტივი როლური თამაშით: „ამით მე ვთამაშობ. ახლა შენი ჯერია, აჰა, ითამაშე, ახლა ჩემი ჯერია. მადლობა“. ამას რამდენჯერმე გაიმეორებს. ამასთან ერთად, ცენტრებში თამაშისას თუ შეამჩნევს, რომ ბავშვები ერთმანეთს რამეს უზიარებენ, აღნიშნავს და წაახალისებს.

10 წუთის შემდეგ ზოგიერთი ბავშვი ტოვებს ცენტრს. ლევანმა და ნინიმ კიდევ აიღეს ფურცლები და განაგრძეს მასალების კვლევა, ნიკომ და მარიმ კი დაასრულეს, მანანას დახმარებით ნამუშევრები თოკზე სარჭებით დაამაგრეს და სენსორული მაგიდისკენ გადაინაცვლეს. ხელოვნების ცენტრში კი აჩიკო შემოვიდა, ფურცელი აიღო და ყვითელი საღებავით დაფარა მთლიანად, ზედ ქვიშა დააყარა და დაელოდა გაშრობას.

მანანა პერიოდულად კუბურების და დრამატულ ცენტრში გადადის, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ, ნაცნობი სათამაშოებით ითამაშონ. გიორგი, თაკო და ლელა რიგრიგობით აწყობენ კუბებს ერთმანეთზე, თან აკვირდებიან, დაინგრევა თუ არა კოშკი. გარკვეულ სიმაღლეს რომ მიაღწევს, კოშკი ინგრევა, ბავშვები სიხარულით ტაშს უკრავენ და იმავე პრინციპით, თავიდან იწყებენ შენებას. იქვე ანი და ნანიკო კუბებისგან ღობეს აშენებენ და პლასტმასის ცხოველებს სვამენ. „იმიტომ, რომ აქ იცხოვროს“ – აუხსნა მანანას ნანიკომ, „ესე იგი, სახლს უშენებთ ცხოველებს?“ – იკითხა მანანამ. „კი, სახლს ვუშენებთ“ – უპასუხა ნანიკომ. „ეს გირჩები რაში შეიძლება გამოგადგეს?“- ჰკითხა მანანამ და გირჩებზე მიუთითა. მისი მიზანია, ბავშვები წაახალისოს, რომ სხვადასხვა მასალა გამოიყენონ თამაშის დროს. „ეს გირჩები საჭმელი იქნება და ეს ძროხები შეჭამენ“ – უპასუხა ანიმ.

მანანამ დრამატულ ცენტრში გადაინაცვლა – „ოო, მგონი, აქ ვიღაც გემრიელ ნამცხვარს აცხობს. ისეთი სუნია, მეც მინდა გავსინჯო, დაგრჩათ ერთი ნაჭერი?“ – ეკითხება მანანა იკას, რომელიც ანანოსთან ერთად სამზარეულოს ქვაბში ხის კოვზით ურევს. „ნამცხვრის სუნი არაა, ხაჭაპურია, მოგიჭრი ახლა და გასინჯე შენც“ – უპასუხა იკამ და დაბრტყელებულ ცომს პლასტმასის დანით მოაჭრა ნაწილი და მანანას გაუწოდა. მანანა პერიოდულად გადადის ერთი ცენტრიდან მეორეში, ბავშვების თამაშში მხოლოდ საჭიროებისამებრ ერთვება.

ლია კი ჯერ სენსორულ ცენტრში შედის და იქ აცნობს მასალებს ბავშვებს: „შეგიძლიათ, ეს ქვიშა ნიჩაბით ამოიღოთ და ძაბრებით ჩაყაროთ“. ბავშვები ეცნობიან მასალებს და იწყებენ

თამაშს. ეს ცენტრი მთელი კვირის განმავლობაში სავსე იქნება ყვითელი ქვიშითა და ყვითელი ნივთებით, შესაბამისად, ბავშვები შეძლებენ კვირის განმავლობაში უკვე ნაცნობი მასალებით თამაშს. უფროსები მხოლოდ ზოგიერთ ბუნებრივ მასალას დაამატებენ მრავალფეროვნებისთვის, მაგალითად, გირჩებს ან ყვითელი ყვავილის ფურცლებს და ა.შ. უფროსების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყონ ბავშვებს, რომ რესურსი თავისუფლად და შემოქმედებითად გამოიყენონ, მაგალითად, გირჩებს ძაბრით ქვიშა დააყარონ, ან ორმოები გააკეთონ ნიჩბებით და ა.შ.

შემდეგ ლია სამაგიდო თამაშების ცენტრში გადადის და პინცეტით პონპონების კონტეინერში მოთავსებას იწყებს. ლია ახმოვანებს, რასაც აკეთებს: „მე ვიღებ ყვითელ ბურთულას და გადამაქვს ყუთში“. რამდენიმე ბავშვი შემოუჯდა მაგიდას, მათაც აქვთ შესაძლებლობა, ინდივიდუალური პინცეტებით გადაიტანონ პონპონები. კვირის განმავლობაში სამაგიდო თამაშების ცენტრშიც შეიცვლება მასალა: თოკზე ასასხმელად დაემატება დიდი ზომის ყვითელი მძივები, პლასტმასის ცარიელი ბოთლები – სახურავების მოსარგებად.

ირაკლი და გიგი წყნარ ცენტრში ხალიჩაზე წამოკოტრიალებულები არიან და ზღაპრების დიდ წიგნს ათვალიერებენ. ნაცნობ ილუსტრაციას რომ დაინახავენ, ერთმანეთს მიუთითებენ და გულიანად იცინიან.

მანანა და ლია ბავშვებს საკმარის დროს აძლევენ იმისთვის, რომ ითამაშონ, არ აჩქარებენ. განრიგის შემდეგი კომპონენტი ეზოა, უფროსები გარკვეული დროით ადრე იწყებენ ზრუნვას, რომ ბავშვებმა ნელ-ნელა დაასრულონ თამაში, ვიზუალურ განრიგზე მიუთითებენ და გადასვლისთვის ემზადებიან.

ეზოში მანანა და ლია ბავშვებს საშუალებას აძლევენ, რომ თავისუფლად ირბინონ, შემდეგ სთხოვენ, მოძებნონ ყვითელი ნივთები გარშემო (საქანელა, სასრიალო, ბაღის ღობე). ამის შემდეგ, ბავშვები კვლავ მცირე ჯგუფებად თამაშობენ საქვიშეში, ტალახის სამზარეულოში, სადაც თავისუფლად გამოიყენებენ იქ არსებულ მასალებს. ბავშვები საქვიშეში ორცხობილებს აკეთებდნენ ქვიშისგან, ტალახის სამზარეულოში კი კვლავ „ხაჭაპური გამოაცხვეს“. მანანამ დააფიქსირა ბავშვების ეს ინტერესი და გადაწყვიტა, კვირის განმავლობაში ნამდვილი ხაჭაპურის ცხობა დაეგეგმა.

ეზოდან ამოსულები ხელებს იბანენ და დასაძინებლად ემზადებიან. მანანა იწყებს „ძილის სიმღერას“, რომლის ფონზეც ბავშვები უფროსების დახმარებით იცვლიან ტანსაცმელს და ლოგინებში წვებიან. ბავშვების უმეტესობა იძინებს, მხოლოდ ნინი, ირაკლი და აჩიკო არ იძინებენ, მანანას და ლიას მათთვის ე.წ. „წყნარი თამაშები“ აქვთ მომზადებული, ხალიჩაზე შლიან დასურათებულ წიგნებს და ბავშვებს დათვალიერების საშუალებას აძლევენ.

სამხარის შემდეგ მანანამ და ლიამ ბავშვებს ხალიჩაზე მოუხმეს და ეს ნივთები დაახვედრეს: ყვითელი სათამაშო ჭურჭელი, ლიმონი, ბანანი, ჩოგბურთის ბურთი, ყვითელი მანქანა. მანანა თითოეულს იღებს ხელში და ამბობს – „ეს არის ყვითელი ლიმონი“ – ნივთს გვერდზე მჯდომ

ბავშვს გადასცემს, შემდეგ სხვა ნივთს იღებს – „ეს არის ყვითელი ბურთი“ და ასევე გადასცემს მომდევნო ბავშვს და ა.შ. ამის შემდეგ მანანამ ბავშვებს ვიზუალურ განრიგზე მიანიშნა და შეახსენა, რომ კვლავ ეზოში გასვლის დრო მოვიდა, რასაც სახლში წასვლის დრო მოსდევს.

მანანა და ლია მთელი დღის განმავლობაში ახალისებენ და ფასილიტაციას უწევენ ბავშვების ერთად თამაშს, ერთმანეთთან კომუნიკაციას და შესაბამისი ფრაზების გამოყენებას.

კვირის განმავლობაში ხელოვნების ცენტრში მანანა და ლია სხვადასხვა მასალას შეიტანენ: ყვითელი ცომი და გირჩები, თითით სახატავი საღებავი. მთავარი, რასაც უფროსები ყურადღებას მიაქცევენ კვირის განმავლობაში, იგივე იქნება – რამდენად თავისუფლად იყენებენ ბავშვები რესურსს და რამდენად ღებულობენ სიამოვნებას პროცესით.

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

მანანას და ლიას დაკვირვების ჩანაწერები

(8/10 – 15/10)

დაკვირვების ჩანაწერები ნინის შესახებ



დაკვირვების ჩანაწერები ლევანის, ნიკოს, ანისა და მარის შესახებ

სოფლიკი ანანა ეფროსინეს
ფანჯრიდან და დაიყარა ქვიშა,
შემდეგ ყვავილი აიღო და
ანატოლ ფანჯიოლ, ის ესვამდა
ფანჯრის.
8.10 ლევანი

ბუჩუკებს ბავშვების ამაში,
ეკლია ნიჩაბი დაკეფილია,
მიდის ჩამფარი ფანტში,
იღებს პროსტმასის ფოთლ და
ლაჩ კოვზს, ეკან ბჩუნდება და
იწყებს ქვიშა ამაში.
8.10 ლევანი

ეს მეუბნება, ჩოდა ჩამ
ლეფჩება.
აკვიჩება ბავშვების ამაში.
ოუკესაან ერაფ იამაშა
ესნოლჩეფი მეფიესაან.
8.10 ლევანი

აიღო წიანი ვჩებზე,
ავეიოეჩებს, ეუჩადებას
აჩჩებს იოუსლფჩადებზე.
8.10 ლევანი

ბაბეანწჩალ ეკავილი აიღო და
ფანჯრიზე დაფეიოფა, ანანა
ეფიესვა ეკიალი სოფლიკი,
ატვა „ეკიალი ეკავილია“.
8.10 ნიკო

მაჩფო ამაშოლებს.
8.10 ნიკო

ნანიკოლაან ერაფ ეუბნება
ამაშოლებს, ეუბნებს ლოჩ ხანზე
ამწჩიკეებს და ფხოკეფებს
ლვამ. ეკეიახები: „ეს ეიჩჩი
ჩანი უნდა ეამოკეანოლა?“ „ეს
სატეფი იტნება“- მეასუხობს.
8.10 ანი

ფიჩიფია მოფის, ჩოდა
ფანმაჩება ლეფჩება
8.10 ნიკო

5 წეან ეფენესაან ერაფ იამაშა
ჩამფარი ფანტში ეიმის
აფჩიბეტება და ალკინა.
8.10 მარი

ფანჩეფი მარიანად ფაფობლ
წეფია და შემდეგ დაიწეა
ეკიალი სოფლიკი. აკვიჩება,
ჩოკოლ იეფიგება ფანჩეფი
ეკიალი ეჩია, იფინის და
ამატებს ეჩს.
8.10 მარი

დაკვირვების ჩანაწერები სალომეს, აჩიკოს, ელენეს, ლიზისა და გიგის შესახებ



„ნახე, უკიაერი
დაეხაფ“ – კაბნეზა ანანრა და
აჩკვენებს აკვი ნამაშვეაჩს,
ჩრამერიდ ხერრეკვნების ფენფჩში
დახაფა.„ ეინდა, ან დაკვიდრა,
ვიარრ სახერიი“- ლაკვაზრაბს
ანანრა.
8.10 აჩიკრ

ანილაან ეჩაად კაბეზია
აამაბრაბს, კაბეზს ლწრაჩ ხაფფ
აშფკჩიკვეზს და ფხრკვერეზს ლკვაშ.
შამაჩნია და მაბნეზა: „იშიფრრ
ჩრ ან იფხრკვჩრ“.
8.10 აჩიკრ

ზაზაკალ მრაუკვკ,
შემრდის აკ აჩა, მაშინკ
კაზაკეჩეზილკ ბიდის
8.10 აჩიკრ

ჩრდა ბრდის, ფრდა ხანი აჩაკის
კკრნფალტეზა, აკშდა, ინფეჩილნა
აკკალრიეჩეზ ერაახ
8.10 სალრერშ

ნიჩაზი და ძაზჩი ერჩიად
ჩაკვლრერ ტკიშაში, ხერეზი
ჩაკერ და დაიწკრ ძეზნა,
ეაიდინა, ჩრდა ლიზის
ხერი „აერშრაჩინა“ ტკიშაში:
„ეაშიხაჩდა, ლიზი ჩრშ
კიაკრკკ.“
8.10 სალრერშ

„ნახ, უკიაერი
დაეხაფ“ – კაბნეზა ანანრა და
აჩკვენებს აკკის ნამაშვეაჩს,
ჩრამერიდ ხერრეკვნების ფენფჩში
დახაფა.„ ეინდა, ან დაკვიდრა,
ვიარრ სახერიი“- ლაკვაზრაბს
ანანრა.
8.10 აჩიკრ

აჩრდაან აიდრ ვკანკი
და ვკაჩდერი, მაკიდანაან
დაკდა. აკკაჩეზს ზაკშკეზის
სეჩმიანრაბს. ვკანკკაან ეჩაად
აკაკიერიდ ჩაკრ სალეზაკში და
ბარიანად დაკაჩა ვკაჩდერი
აკიარიად და ტკიშა დაკკაჩა.
8.10 აჩიკრ

ძაზჩი ჩაკჩფრ ტკიშაში, ეაკკლრ
ტკიშა, ზემრდან კიდკ ეჩან
ძაზჩი დაამაკჩა და ილიდ
ტკიშა აკკლრ. ერჩსჩაალრიან
კრნსლჩალტრიან ეარიმეზალრი
აკაკეჩეზ – „ტკიშის სასახლე
აკაშენ“- ამბრაბს.
8.10 ლიზი

წანაჩ ფენფჩში ხალიჩზეა
წამრაკრჩიალრეზალრი და
ზრიაჩეზის ბიდ წიენს
აკკალრიეჩეზ ერჩკალიანან ეჩაად.
ნარნრაბ ერალსლჩალრიან ჩრშ
დაინახკლ, ერჩკალრ მიკანიეზს
და ეკალრიანად ერინის.
8.10 ეიეი

დაკვირვების ჩანაწერს მანანა და ლია იმის გასაანალიზებლად იყენებენ, თუ რა უნარები აქვს ბავშვს, რა შეუძლია და როგორ შეიძლება მისი უკვე არსებული უნარების მეტად განვითარება, შემდეგ საფეხურზე გადაყვანა (ამისათვის, მანანა კიდევ ერთხელ მიმართავს ბავშვის განვითარების სტანდარტს, რათა თითოეული ბავშვისთვის, რომელსაც კვირის განმავლობაში აკვირდებოდა, მიმდინარე კვირის მანძილზე ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობა შესთავაზოს).

რა დავინახე	რა დავასკვენი	რას ვაკეთებ მე
ნინი ყვითელ საღებავში ჯერ ყვავილის ღერო ჩაყო და ფურცელზე გადაიტანა ნაკვალევი, შემდეგ თვითონ ყვავილი ჩაყო და ასევე დაიტანა ანაბეჭდი. ანაბეჭდებს დააყარა ქვიშა. ელენეს ეუბნება: „მათხოვე ერთი ყვითელი ძაბრი, ნახე, შენ რამდენი გაქვს“ და მიუთითებს იმ კოშკზე, რომელიც ძაბრებით ააშენა.	ნინი თავისუფლად იყენებს სხვადახვა სამუშაო მასალას, მოსინჯავს საგნების გამოყენების სხვადასხვა გზას და აკვირდება საგნების თვისებებს. შეუძლია ყვითელი ფერის ამოცნობა, იცის თავაზიანად მიმართვის ფორმა, შეუძლია ნივთების რაოდენობის განსაზღვა – ამბობს: „მომეცი ერთი ძაბრი“, იყენებს სიტყვას – ბევრი.	შევთავაზებ სხვა სამუშაო მასალას, მაგალითად საძერწ ცომს, ბუნებრივ რესურსს, წავახალისებ, რომ ისეთი ნამუშევარი გააკეთოს, რომელსაც მოცულობა აქვს, მაგალითად ცომში ჩაარჭოს ჯოხები, გირჩებს დაამაგროს ცომის გუნდები და ა.შ. წავახალისებ, ჩამოთვალოს ყვითელი საგნები, რაც უნახავს. შევთავაზებ წიგნის დამზადებას ყვითელი ფერის საგნებზე. ეზოში თამაშის დროს ვთხოვ, მოძებნოს ორი ყვითელი ნივთი და ორი სხვა ფერი.
აჩიკომ თაროდან აიღო ფუნჯი და ფურცელი, მაგიდასთან დაჯდა. უყურებს ბავშვების საქმიანობას. შემდეგ ფუნჯთან ერთად ყვავილიც ჩაყო საღებავშვი და მთლიანად დაფარა ფურცელი ყვითლად და ქვიშა დააყარა.	შეუძლია საქმიანობისთვის საჭირო მასალის დამოუკიდებლად მოპოვება, მოსინჯავს საგნების გამოყენების განსხვავებულ გზებს, ატარებს ექსპერიმენტებს, აკვირდება.	შევთავაზებ, რომ ხატოს ერთ კონად გადასკოჩილი ფანქრით, პასტელით და მარკერით. წავახალისებ, აღწეროს პროცესი ეზოში გასვლისას ვთხოვ, დამეხმაროს ეზოს ნივთების შეგროვებაში.
უყურებს სხვების თამაშს, ძირს დავარდნილი ნიჩაბი აიღო, ქვიშით აავსო და იატაკზე დაყარა, ჩაიცუცქა და ფეხით დაიწყო ქვიშის გაფანტვა.	უჭირს სხვა ბავშვებთან თამაშში ჩართვა, ფრთხილობს ახალი მასალების გამოყენებას.	წავახალისებ, რომ წყვილებში ეთამაშოს ბავშვებს. ინდივიდუალურად შევთავაზებ განსხვავებულ მასალებს.

კვირის განმავლობაში წარმოებული დაკვირვების ჩანაწერებს მანანა და ლია ბავშვების პორტ-ფოლიოში მოათავსებენ, ასევე გამოიყენებენ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს იმის საჩვენებლად, თუ რა უნარებს ივითარებენ/ამჟღავნებენ სხვადახვა აქტივობაში ჩართული ბავშვები. იქამდე თითოეულ ჩანაწერს კომენტარს დაურთავენ, სადაც გამოჩნდება, რა უნარებს ამჟღავნებენ ბავშვები.



შემდეგ კვირას მანანა ისევ აგრძელებს დილის შეხვედრას იმავე სიმღერით.

ბავშვების უმეტესობა თავისუფლად იყენებს სხვადასხვა სამუშაო მასალას, მოსინჯავს საგ-ნების გამოყენების სხვადასხვა გზას, ელენესთან და სალომესთან ამ უნარზე მუშაობას მომ-დევნო კვირაშიც განაგრძობს. ყვითელი ფერის ცნობა თითქმის ყველა ბავშვმა იცის, ინდივი-დუალურად მუშაობას განაგრძობს მხოლოდ ირაკლისთან და გიგისთან. მისი დაკვირვებით, ბავშვების მცირე ნაწილი დაინტერესდა წიგნიერების ცენტრით, ამიტომ, მომდევნო კვირაში შეეცდებიან ცენტრები ისე გადაინაწილონ, რომ წიგნიერების ცენტრში რომელიმე მათგანმა შეძლოს ბავშვების მცირე ჯგუფთან ხმამაღლა კითხვა.

მისი დაკვირვებით ბავშვებისთვის ძალიან საინტერესო იყო ქვიშითა და საღებავით ექსპერიმენტირება, ამიტომ მომდევნო კვირაში ჯგუფის რესურსს უმეტესად ისეთი მასალებით გაამდიდრებს, რომ ბავშვებმა შეძლონ ნივთიერებების შერევა და დაკვირვება. მეცნიერების ცენტრში შეიტანს ქვიშას, მიწას და წყალს ერთმანეთში შესარევად, სენსორულ მაგიდას კი მარილით გაავსებს სათამაშოდ, ხელოვნებაში საღებავებთან ერთად სველ მიწას და მარილს შესთავაზებს.

ბავშვების უმეტესობისთვის სიმღერის დაწყება ნიშანია, რომ დილის წრე იწყება. სალომეს და ნიკოს ისევ სჭირდება ვიზუალური მინიშნება და გაძღოლა დილის წრის სივრცისკენ. ბავშვებს არ მობეზრდათ „ვის რა ჰქვია“ თამაში და ისევ აპირებს გააგრძელოს, თან ჯერ ყველამ ყველას სახელი არ იცის. ამ კვირაში მანანამ გადაწყვიტა, ასევე, იმუშაოს შემდეგ უნარებზე: სხვისი პერსპექტივის დანახვა და ემოციების სახელდება.

რეფლექსური დღიურის ჩანაწერები

რეფლექსურ დღიურში მანანა კვირის განმავლობაში აკეთებდა ჩანაწერებს საკუთარი პრაქტიკის მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. ყოველდღიურად აანალიზებდა დღის განმავლობაში მომხდარს, ცდილობდა, პასუხი გაეცა შემდეგი შეკითხვებისთვის: რა მოხდა დღეს? რა გამომივიდა კარგად? რამ არ გაამართლა? რა უნდა შევცვალო?

8 ოქტომბერი
„კარგია, ეს თემა რომ დავგეგმეთ, გაამართლა. კარგია, რომ ბავშვების ინტერესები დროულად დავაფიქსირეთ. დღევანდელი აქტივობებიც მოეწონათ. ფლანელის დაფას სიმღერის დროს კიდევ გამოვიყენებ, უფრო თვალსაჩინო და სახალისო გახადა ეს პროცესი. წიგნების კალათაში წიგნები მაქვს გამოსაცვლელი და ჩასამატებელიც. ეს წიგნები აშკარად მობეზრდათ და აღარ ინტერესდებიან. ისედაც კიდევ უნდა მოვიფიქრო რამე, რასაც გადასვლების დროს გამოვიყენებ. ინტერნეტში უნდა მოვძებნო რამე. “

9 ოქტომბერი
„ეზოში იკამ, ნიკომ და ნინიმ ხაჭაპური გამოაცხვეს, დრამატულ ცენტრშიც იკამ ხაჭაპური ახსენა, მგონი კარგი იქნება, ნამდვილი ხაჭაპურის ცხობაც დავგეგმო ამ კვირაში. შევეცდები, რომ ის ბავშვები წავახალისო, რომლებმაც ინტერესი გამოთქვეს. მეთოდისტი უნდა ვნახო ხვალ, რომ საჭირო მასალა მოვიმარაგოთ.“

11 ოქტომბერი
„დღეს ცოტა ვშფოთავდი, ნივთების შესაგროვებლად ამჯერად მშობლებს ბარათები გავატანეთ და ამ ფორმით ვთხოვეთ, რომ ყვითელი ნივთები მოეტანათ. ეს მეთოდი არასდროს გამომიყენებია და თავიდან ვიფიქრე, არც კი წაიღებდნენ ბარათებს, მაგრამ მგონი ინდივიდუალურად რომ მივმართეთ მშობლებს, გაამართლა. ამ ხერხს სხვა დროსაც გამოვიყენებ.“

12 ოქტომბერი

„ლიამ ახალი ცომის რეცეპტი მოიფიქრა და დღეს ბავშვებს ძალიან მოეწონათ, მაგრამ მგონი ცოტა სხვანაირად უნდა გავუკეთოთ ორგანიზება ხელოვნების ცენტრს. კუბურების ცენტრთან ძალიან ახლოს არის და იქაური ხალიჩა ისვრება, ხვალ ლიას დაველა-პარაკები, იქნებ რამე მოვიფიქროთ.

არ მომწონს, რომ წიგნიერების ცენტრში ვერ ვახერხებთ ხმამაღლა კითხვას. ისე უნდა გადავნაწილდეთ ცენტრებში, რომ წიგნიერების ცენტრში რომელიმემ შევძლოთ შესვლა და კითხვა. თითქმის მესამე დღეა, რაც იქ შესული ბავშვები მხოლოდ ათვალიერებენ წიგნებს, წაკითხვას კი ვერ ვახერხებთ. ეს უნდა მოვაგვაროთ “.

14 ოქტომბერი

„ქვიშით და საღებავებით თამაში ძალიან მოეწონათ, თუმცა, მე თვითონ დაძაბული ვიყავი, ყველაფერი ძირს დაყარეს და ძალიან დაისვარნენ, დიდი დრო წავიდა მერე მოწესრიგებაზე და ამის გამო, ცოტა დავიძაბე. უნდა მოვიფიქრო რამე, რაც ამ პრობლემის მოგვარებაში დამეხმარება. მშობლებს ვთხოვ, დიდი ზომის მაისურები გამოატანონ, პირდაპირ რომ გადაიცვან ტანსაცმელზე. გიგის და ნიკოს მშობლებს უნდა ვუთხრა, მეტი გამოსაცვლელი მოუმარაგონ. ასევე, მჭირდება ბავშვებისთვის პატარა ზომის რამდენიმე ცოცხი, რომ თავად დაალაგონ ცენტრები. მეც უფრო მშვიდად უნდა ვიყო, დღეს ძალიან გავღიზიანდი.

ქვიშა და საღებავი ისე მოეწონათ, მომდევნო კვირაში უმეტესად ასეთ მასალებს შევიტან, რომ ბავშვებმა ნივთიერებები შეურიონ. მეცნიერებაში ჯერ არ გადამიწყვეტია, მოვიფიქრებ რამეს. სენსორულში იგივეს დავტოვებ, ხელოვნებაშიც ისევ საღებავებს გამოვიყენებ და მარილს, სველ ქვიშას დავუმატებ.

იმ კვირაში ისევ გავაგრძელებ დილის შეხვედრას იგივე სიმღერით.“

15 ოქტომბერი

„მომდევნო კვირაში ელენესთან და სალომესთან მაქვს სამუშაო, ახალ მასალას ნაკლებად კიდებენ ხელს და რამე უნდა მოვიფიქრო მათთვის.

მგონი მივაღწიეთ და ბავშვების მცირე ნაწილი დაინტერესდა წიგნიერების ცენტრით. არ უნდა გამომრჩეს, მომდევნო კვირაშიც ცენტრები ისე გადავინაწილოთ, რომ წიგნიერების ცენტრში რომელიმე ჩვენგანმა შეძლოს წიგნიერების ცენტრში შესული ბავშვებისთვის კითხვა.

სალომეს და ნიკოს ისევ სჭირდება ვიზუალური მინიშნება და გაძღოლა დილის წრის სივრცისკენ. „ვის რა ჰქვია“ თამაშს ისევ გავაგრძელებ, ბავშვებს ჯერ არ მობეზრდათ, თან ჯერ ყველამ ყველას სახელი არ იცის. იმ კვირაში ამ უნარებზე უნდა ვიმუშაო: სხვისი პერსპექტივის დანახვა და ემოციების სახელდება“.

რეფლექსური დღიური მანანას პირადი ჩანაწერების დღიურია. ამ ჩანაწერებს მანანა საკუთარი პრაქტიკის ანალიზისთვის და ასევე საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაში ცვლილებების ასახვის მიზნით იყენებს. სწორედ ამიტომ, დღიურიდან მანანას გარკვეული ჩანაწერები დაგეგმვის ცხრილის რეფლექსიის გრაფაში გადააქვს.

დილის შეხვედრა/ საღამოს შეხვედრა სიმღერა „ჩიტო, ჩიტო – ნაცარა	ჯეჯილები ყვითელი კუბურები, ბოთლის ყვითელი სახურავები, ყვითელი ქსოვილი	ნელოვნება ყვითელ ფურცლებზე ხატვა, ყვითელი ყვავილით ხატვა	დრამატული:
წიგნიერება ხელნაკეთი წიგნები	მეცნიერება კვერცხის გულის ათქვეფა	სამაგიდო გამოწვევა: პონპონები და პინცეტი ყვითელი მძივების აწყობა	სენსორული ქვიშით და ნიჩბებით თამაში
ეზო	რუტინები/ ტრანზიციები წიგნებით სავსე კალათის გამოყენება კვების შემდეგ, სიმღერა	სტრატეგიები: კითხვების დასმის წახალისება სამხატვრო მასალების თავისუფლად გამოყენების წახალისება, მასალებით ექსპერიმენტირების წახალისება	რესურსები: ყვითელი ნივთები, ყვითელი კუბურები, საღებავი, ფურცლები. ფლანელის დაფა
რეფლექსია: ყვითელ ცომს გამოვიყენებ ხელოვნებაშიც და სენსორულ ცენტრშიც. იკა, ნინი და ნიკოს ინტერესები – ხუთშაბათს ხაჭაპურის ცხობას დავგეგმავ. მშობლებისთვის ბარათების გამზადება.			

მშობლებთან თანამშრომლობა

კვირის განმავლობაში მანანა და ლია აქტიურად აწარმოებენ მშობელთა დაფას, სადაც გამოფენენ ინფორმაციას ჯგუფში მიმდინარე პროცესების შესახებ.

განვაგრძობთ ყვითელი ფერით თამაშს.



დღეს ბავშვებმა მოსინჯეს ახალი მასალა. გაარკვიეს, როგორი ნახატი გამოდის ყვითელი საღებავისა და წებოს შერევით. ასევე, ყვითელი ცომით ვითამაშეთ.

ძალიან გამოგვადგა ის ყვითელი ნივთები, რომლებიც გვათხოვეთ, დავრწმუნდით იმაში, რომ თურმე რამდენი რამ ყოფილა ყვითელი ფერის.

კვირის განმავლობაში, ინდივიდუალური შეხვედრების დროს, მანანა და ლია შეეცდებიან, მშობლებს გაუზიარონ თითოეული ბავშვის მიღწევა და მისცენ რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სახლში. მაგალითად: „მარიმ დღეს ხელოვნების ცენტრში განსაკუთრებით ისიამოვნა, ფურცელი მთლიანად დაალბო წყლით, დააწვეთა ყვითელი საღებავი და აკვირდებოდა, როგორ იჟღინთება ფურცელი ყვითელი ფერით. შეგიძლიათ, სახლშიც შესთავაზოთ წყლით და საღებავით თამაში. უბრალოდ, მოუმზადეთ ფუნჯი, ფურცელი, წყალი, საღებავი და საშუალება მიეცით, რომ რამე კონკრეტული კი არ დახატოს, არამედ ითამაშოს. მას სწორედ ეს პროცესი სიამოვნებს.“ ნანიკოს და ანის მშობლებს ინდივიდუალურად უამბობენ, როგორ აუშენეს კუბურებით ცხოველებს სახლები და შემდეგ, ეს ცხოველები სენსორულ ცენტრში „გაასეირნეს და ქვიშაში ათამაშეს“. ორივე ბავშვის მშობლებს ურჩევენ, ცხოველების წიგნები გამოიყენონ, რადგან ამ თემით განსაკუთრებით არიან დაინტერესებულები. ასევე, სახლის პირობებში მეორადი მასალა მოაგროვონ და ბავშვები წაახალისონ, ცხოველებს სახლები აუშენონ, ოღონდ თავად მოიფიქრონ კონსტრუქციები. ელენეს მშობელს სთხოვენ, მოვიდეს და რომელიმე აქტივობაში ჩაერთოს. ეს ბავშვს გაამხნევებს და მეტად დაცულად იგრძნობს თავს. ერთი დღე ელენეს მამა წიგნიერების ცენტრში „იმორიგევებს“, იქ შესულ ბავშვებს წიგნებს წაუკითხავს, ხოლო კიდევ ერთ დღეს, ბავშვებთან ერთად, ორცხობილების გამოცხობაში მიიღებს მონაწილეობას.

3-4 წლიანთა ჯგუფი

წლის დასაწყისი და წინასწარი დაგეგმვა

ხათუნას და აბოს წელს ბავშვების ახალი ჯგუფი აჰყავთ. ბავშვების უმეტესობა სამი წლის არის ან ხდება. აღმზრდელებმა წლის დასაწყისისთვის შემდეგი მიზნები დაისახეს.

1) ბავშვების და მშობლების გაცნობა. სანდო ურთიერთობების დამყარება, ემოციურად უსაფრთხო კლიმატის შექმნა
2) ბავშვების ინტერესების გასაღვივებლად და კვლევის წასახალისებლად ასაკის შესაბამისი, საინტერესო და მიმზიდველ, მრავალფეროვან აქტივობებში ბავშვების ჩართვა. ეს კიდევ უფრო მეტ საშუალებას მისცემს უფროსებს, სიღრმისეულად დააკვირდეს ბავშვებს და მათ ინტერესებს.
3) თანატოლების გაცნობა
4) ბაღის რუტინის და სივრცეების გაცნობა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, აღმზრდელებმა შეადგინეს წლიური გეგმა, რათა გაიმარტივონ სამუშაო და არაფერი გამორჩეთ. წლიური გეგმის ფორმაში განსაზღვრეს სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები:

1) ბავშვების პროფილების გაცნობა
2) მშობლებთან დაკონტაქტება და ბაღში ვიზიტების თარიღები.
3) სახლში ვიზიტების თარიღები.
4) მშობელთა კრების ორგანიზება.
5) პირველი კვირის აქტივობების მოფიქრება და რესურსების მობილიზება
6) ჯგუფის მოწყობა

ამის შემდეგ, ხათუნამ და აბომ მშობლების შევსებული ანკეტები წაიკითხეს და თავისთვის სია შექმნეს, სადაც გადაიტანეს მისთვის მნიშვნელოვანი, ძირითადი ინფორმაცია. (მშობლის ანკეტის ნიმუში, დანართი.)

ბაღში ვიზიტის დღედ აღმზრდელებმა 3 და 4 სექტემბერი შეარჩიეს, მშობლებთან დარეკეს და შეუთანხმდნენ ბაღში წინასწარ ვიზიტის დროებზე, (მშობლები და ბავშვები დაიბარეს ყოველი ნახევარი საათის გამოტოვებით), რამდენიმესთან კი, რომლის მშობლებსაც მითითებული ჰქონდათ, რომ ბავშვი განსაკუთრებით რთულად ეგუება ახალ ადამიანებს და გარემოს, დაგეგმეს და გაინაწილეს სახლში ვიზიტები.

ბაღში ბავშვების ვიზიტისათვის აღმზრდელებმა მოამზადეს კომფორტული კუთხე ჯგუფის სივრცეში, დადგეს სკამები მშობლებისათვის, თაროებზე კი დააწყვეს სახატავი ფანქრები და



ბავშვის ანკეტა

1. ინფორმაცია ბავშვზე

სახელი, გვარი _____

პირადი ნომერი_____ დაბადების თარიღი _____

მისამართი _____

სახელი, რომელიც ბავშვს ურჩევნია რომ დაუძახონ _____

ბავშვის სპეციალური საჭიროებები
_____
_____

ბავშვის კვებასთან დაკავშირებული ინფორმაცია / საყვარელი საკვები
_____ ხორცი (ანუ იგივე ჩიჩი)_____
_____

ბავშვის ხასიათის თავისებურებები
"შენ გაბუა" (მეთვითონ ვიზამ) უყვარს დამოუკიდებლად მოქმედებების შესრულება_____
_____

საყვარელი ზღაპრის გმირი ან პერსონაჟი, საყვარელი სათამაშო
_გაფუჭი ვუვუ - ნებისმიერი სახის ტრაქტორი ან სატვირთო მანქანა_____
_____

საყვარელი საქმიანობა
ნებისმიერი სახის თამაში (განსაკუთრებით წყალთან თამაში)
_____

2. ინფორმაცია ოჯახზე
ოჯახის შემადგენლობა საადაც ცხოვრობს ბავშვი



დედა __✓__ დედინაცვალი ___ სხვა ___	მამა _✓__ მამინაცვალი ____ სხვა ____
სახელი, გვარი _____	სახელი, გვარი ____
პირადი ნომერი_____	პირადი ნომერი_____
პროფესია/სამუშაო ადგილი _____	პროფესია/სამუშაო ადგილი
საკონტაქტო ნომერი ___	საკონტაქტო ნომერი _____

გთხოვთმიუთითოთბავშვის ბაღში დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი
მოყვანისა და წაყვანის დრო:
_____.

იმ ადამიანების ჩამონათვალი რომლებსაც უფლება აქვთ ბავშვი ბაღიდან გაიყვანონ
სახელი და გვარი:
1.____ 2.____
3.____ 4.____

თანახმა ხართთუარა ბავშვების თქვენტან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე გავიყვანოთექსკურსიაზე?
დიახ ● არ○
თანახმა ხართთუარა ბავშვების ფოტოგადაღებაზე და მათ გამოყენებაზე ბაღის საიტსა და სოც ქსელის გვერდისთვის?
დიახ ● ○ არა

სახელი, გვარი ____

თარიღი _____

№	სახელი, გვარი	დაბადების დღე	მისამართი ტელ.	ალერგია	საყვარელი სათამაშო, საქმიანობა	ფოტო გადაღება	ექსკურსია	სხვა
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								
13								
14								
15								

ანი – 2 წლის და 7 აგვის, აუცვლ უმეცრეული ძმა, უყვარს ვარეცხვა, უყვარს შინაური ცხოველები. ძალიან ჩიფუარი – წიგნს უკითხავს ბებია.

კოტე – ამ უყვარს, როდა ჰამელ აძალებენ, ძალიან უყვარს ჩაინერგი;

აკაკი – უყვარს ამბების მოსმენა, ნაკლებად უყვარს, როდა წიგნს უკითხავენ, უფრო მოსმენა უყვარს.

ანიკო – სახლში ხშირად ბაღავს ვერაფერ ვანტრეობა, ბაღვა უყვარს. შეუძლია, ერი ხანი იჯდეს და ბაღოს.

ნიკო – უფროს უცხო ადამიანებთან და ეარეულთან შეკუნდა, უყვარს ფაფუნები.

ფურცლები, კუბურები, სახანძრო მანქანები და ცხოველების ფიგურები, თოჯინები და დასაჭ-რელი ხის ხილი – ყველაფერი, რაც ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ:

მშობლები ბავშებთან ერთად მოდიოდნენ, ათვალიერებდნენ ბაღს და ჯგუფს, აღმზრდელებს საშუალება ჰქონდათ, თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური კომუნიკაცია ჰქონოდათ, დამე-გობრებოდნენ და ცოტა ეთამაშათ კიდეც.

მყუდრო და საინტერესო გარემო, მშობლებთან მშვიდი კეთილგანწყობილი საუბარი, ბავშ-ვებს ნდობას უჩენდა ბაღისა და აღმზრდელების მიმართ.

ნიკოსთან სახლში ვიზიტი აბომ 5 სექტემბერს დაგეგმა. აღმზრდელმა ბავშვს ბაღის სათამაშო დათუნია მიუტანა და გააცნო წიგნი ბაღის შესახებ. ოჯახის წევრებმა ის ჩაიზე დაპატიჟეს, ისა-უბრეს სხვადასხვა საკითხებზე. ნიკო თავიდან მშობლებს უკან იყო ამოფარებული, მაგრამ ცოტა ხანში გათამამდა და აბოსთან და დათუნიასთან თამაშიც დაიწყო. წამოსვლისას აბო თბილად დაემშვიდობა და ბაღში დაპატიჟა. უთხრა, რომ დათუნიას ბაღში კიდევ შეხვდებოდა (წიგნი დაუტოვა და სთხოვა, ბაღში მოსვლისას წამოეღო)

კვირის ბოლოს, მშობელთა კრებაზე აღმზრდელებმა მშობლებს ბაღის პროგრამა და განრიგი, მიზნები და პირველი კვირის აქტივობები გააცნეს. ასევე გაატანეს იმ ნივთების სია, რაც ბავ-შვებს ბაღში ყოფნის დროს დასჭირდებოდათ.

დღისა და კვირის დაგეგმვა

აღმზრდელებბმა პირველი კვირის აქტივობებზე ფიქრი დაიწყეს და დაგეგმვის ფორმაც შეავსეს.

15-19 სექტემბერი

პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში ბავშვები ბაღში ნახევარ დღეს ატარებენ და მათ მშობელი ან ნაცნობი უფროსი ახლავს თან. ამიტომ, ხათუნა და აბო ცდილობენ ისეთი აქტი-ვობები დაგეგმონ, რომლებშიც, ერთი მხრივ, მშობლებიც მარტივად ჩაერთვებიან და მათთვი-საც სახალისო იქნება, მეორე მხრივ კი, დაეხმარება მასწავლებლებს, უკეთ გაიცნონ ბავშვები, მათი ინტერესები და შესაძლებლობები.

იმისათვის, რომ პირველი კვირის განმავლობაში ბევრი ადამიანის ყოფნამ ჯგუფში ქაოსი არ გამოიწვიოს, აღმზრდელები უფრო დეტალურად გეგმავენ აქტივობებს ყველა ცენტრისთვის და ასევე გადასვლების პერიოდებსა და რუტინებს. ბავშვებმა პირველი დღეების განმავლო-ბაში უნდა დაისწავლონ დღისა და გარემოს სტრუქტურა, იმისათვის, რომ შემდეგ თავი და-ცულად იგრძნონ ამ სივრცეში. ამაში აღმზრდელებს ეხმარებათ ვიზუალური განრიგი. ასევე, აბრები ცენტრებსა და კონტეინერებზე.

15-19 სექტემბერი პირელი კვირა ბაღში		ჯგუფური აქტივობა: თამაში: ჩემი საყვარელი საჭმელი პატარა ზღაპარი გოჭზე	
დილის შეხვედრა/ საღამოს შეხვედრა ერთობიდან თემა- დამეგობრება ბავშვების გაცნობა თოჯინის დახმარებით	კუბურები გამოწვევა: კუბურებისა და შინაური ცხოველების შეთავაზება კოშკების შენება	ხელოვნება ფერადი ქაღალდების ნახევებით აპლიკაციები. ზეთის პასტელებით ხატვა მარილიანი ცომით თამაში ქაფი და პატარა კოვზები	დრამატული. სახლობანა
წიგნიერება წიგნები ბაღზე ტოპო-ტიპი ბაღში მიდის ბავშვების საყვარელი ზღაპრების წიგნების შეთავაზება	მეცნიერება გამოწვევა: დაახარისხე გირჩები	სამაგიდო ფაზლების აწყობა	ეზო მატარებლობანა ბურთის გაგორობანა ცარცებით ხატვა
რუტინები/ ტრანზიციები მისალმების სიმღერა. როგორ ვიბანთ ხელებს ცენტრების და მასალების გაცნობა	სტრატეგიები ბავშვების ნდობის მოპოვება დამეგობრება, ერთმანეთთან დამეგობრების ხელშეწყობა, ერთმანეთთან კომუნიკაციის ხელშეწყობა	რესურსები ხელის თოჯინა, ფაზლები, სხვადასხვა ზომის გირჩები, ფერადი ბურთები,რაინდების ფიგურები, ტოპო-ტიპის და სამი გოჭის წიგნები, ფერადი ქაღალდი, მშრალი წებო, ზეთის პასტელები, მარილიანი ცომი.	სენსორული ქვიშაში სხვადასხვა ფიგურების პოვნა

ფიზიკური გარემოს მოწყობა

აბომ და ხათუნამ ჯგუფის ოთახი პატარა ცენტრებად მოაწყეს:

1) სენსორული ცენტრი, სადაც ბავშვები ქვიშით ითამაშებენ
2) ხელოვნების სახელოსნო
3) კვლევების ცენტრი
4) დრამატული
5) კუბურები
6) სამაგიდო
7) წიგნიერება
8) კარავი
9) შესაკრებელი

მასალები სპეციალურ კონტეინერებში მოათავსეს. იმისათვის, რომ მასალების გამოყენების შემდეგ ბავშვებმა ადვილად შეძლონ დალაგება, კონტეინერებს იარლიყები გაუკეთეს. ასეთივე იარლიყი დააწებეს თაროებზე, რომ კონტეინერმა ადვილად „იპოვოს“ თავისი ადგილი. ხათუნამ დაამზადა ვიზუალური განრიგი და ჯგუფში გამოფინა.

აღმზრდელები პირველი დღეების განმავლობაში სივრცეში მხოლოდ საჭირო მასალას ალაგებენ. ბავშვების პროფილების შესწავლის შემდეგ კი, ჯგუფის ფიზიკურ გარემოში მასალა ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით შეაქვთ. ხელოვნების კუთხეში ფერად ფურცლებს, სახატავ ფანქრებსა და ცომს მოიმარაგებენ, კუბურებში სხვადასხვა ცხოველებისა და ტრანსპორტის ფიგურები აწყვია. დრამატულ ცენტრში სათამაშო ჭურჭელი მაგიდაზეა გაწყობილი და სკამებზე თოჯინები სხედან. წიგნებში ზღაპრების სამი სურათებიანი წიგნი დევს, სამაგიდო თამაშების კუთხის მაგიდაზე ორი ფაზელია გაშლილი.

აბომ კოტესთვის სენსორულ ცენტრში, ქვიშაში რაინდების ფიგურები დამალა, ხელოვნების ცენტრში დამატებით ზეთოვანი პასტელების შეტანა გადაწყვიტა, რაც მისი აზრით, ანიკოსთვის საინტერესო იქნებოდა, რადგან ხატვა უყვარს და მხოლოდ ფანქრები აქვს სახლში.

ხათუნამ წინასწარ მოამზადა ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინა, რომელსაც ბავშვებთან მისალმების, ან ამბის მოყოლის დროს გამოიყენებს.

პრაქტიკა

პირველ დღეს, როცა ბავშვები მოსვლას იწყებენ, ბევრი მათგანი უკვე იცნობს აღმზრდელებს. აბო და ხათუნა თითოეულს სახელით მიმართავენ და თბილად ესალმებიან, გამოეთამაშებიან, გამოელაპარაკებიან ინდივიდუალურად და ჯგუფს ათვალიერებინებენ. ბავშვების მოსვლის შემდეგ, ბავშვებსა და მათ მშობლებს შესაკრებელ ადგილას ეპატიჟებიან. წრეზე დამსხდარ მშობლებს ბავშვები კალთაში უზით, ხათუნა ბავშვებს კიდევ ერთხელ ესალმება და მხიარულ მისალმებას ასწავლის, თითოეული ბავშვი და მშობელი მის გვერდით მჯდომს უნდა მიესალმოს, ხელი ჩამოართვას და სახელი უთხრას. პირველი წრის შემდეგ, ხათუნას თავისი თოჯინა გამოჰყავს და მისი საშუალებითაც ესალმება ბავშვებს. შემდეგ ცდილობს, ბავშვების სახელები დაასახელოს, მაგრამ ყოველ ჯერზე ვითომ ეშლება. ბავშვები ხალისობენ დაბნეული თოჯინის შეცდომებზე და ახსენებენ სახელს. აბო ბავშვებსა და მშობლებს დღის განრიგსა და დაგეგმილ აქტივობებს აცნობს. ბავშვებს ეუბნება, რომ ახლა საუზმეს მოიტანენ და სთხოვს მშობლებს, ბავშვებს ხელების დაბანაში დაეხმარონ. აღმზრდელები ხელების დაბანის სიმღერას მღერიან და სიმღერ-სიმღერით მიდიან ხელსაბანთან.

დაბრუნებულ ბავშვებს აღმზრდელები საუზმეს ახვედრებენ და ყველანი ერთად სხდებიან სასაუზმოდ. ბავშვები მიირთმევენ, აღმზრდელები კი ეკითხებიან, მოეწონათ თუ არა ხაჭო? ხაჭო უფრო უყვართ თუ მაწონი? როგორ ფიქრობენ, რა მსგავსება და განსხვავებაა ხაჭოს და მაწონს შორის.

საუზმის შემდეგ აღმზრდელები სთხოვენ მშობლებს, ბავშვებს დაეხმარონ ჭურჭლის ჯამში ჩალაგებაში და სასურველი სათამაშო კუთხის არჩევაში.

ბავშვები და მშობლები სურვილის მიხედვით გადანაწილდებიან სხვადასხვა სივრცეში და თამაშს იწყებენ. ბავშვები ათვალიერებენ ახალ მასალას, ზოგი ხატავს, ზოგი კუბურებს აშენებს და მანქანებით და ცხოველებით თამაშობს, ზოგი წიგნებს ათვალიერებს, ზოგი კი ფაზლის აწყობას შეუდგა. აბო და ხათუნა ბავშვებს ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებში ეთამაშებიან. ერთ კუთხეში მყოფ ბავშვებს წაახალისებენ, ერთმანეთს ეთამაშონ. გარკვეული დროის შემდეგ კი, ყველას აფრთხილებენ, რომ გარეთ თამაშის დრო მოდის და ეზოში გასასვლელად უნდა მოემზადონ.

ეზოში აღმზრდელებს დაგეგმილი აქვთ ბურთის გაგორობანა, ბავშვები და მშობლები ორ მწკრივად დგებიან და ბავშვები ერთმანეთს ბურთს ფეხით ზიგზაგისებურად უგორებენ, თან ცდილობენ, ერთმანეთის სახელები გაიხსენონ და დაუძახონ მას, ვისაც უგორებენ. თამაშის შემდეგ კი, ბავშვებს ეზოს სხვადასხვა კუთხეს ათვალიერებინებენ, აჩვენებენ ბოსტანს, მუსიკალურ კედელს, საქვიშესა და ტალახის სამზარეულოს. ბავშვები ეზოში სურვილის მიხედვით გაიშლებიან და თამაშობენ . ცოტა ხანში, ხათუნა სათამაშო ჟღარუნას აჩხრიალებს და ბავშვებს თავისთან მოუხმობს, თურმე, სადილის დროც მოსულა. ბავშვები ნელ-ნელა ოთახში ბრუნდებიან, ფეხზე იცვლიან და ხელს იბანენ. სადილი ისევ გაშლილია, ხათუნა და აბო ბავშვებთან ერთად სხდებიან და ეკითხებიან, დღეს რა მოეწონათ ყველაზე მეტად? ხვალ რისი გაკეთება მოუნდებათ კიდევ? ზოგს ქვიშაში უნდა თამაში, ზოგს – პასტელებით ხატვა, ზოგი კი – ჯერ მორცხვობს და არაფერს ამბობს. სადილის მერე მშობლები და ბავშვები აღმზრდელებს ემშვიდობებიან და სახლებში მიდიან.

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

დღე 20

ხათუნა და აბო ბავშვებს უკვე კარგად იცნობენ, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც ჩაატარეს, ბავშვების პირველადი შეფასებაც გააკეთეს და დაიწყეს ბავშვებზე დაკვირვების ჩანაწერების წარმოებაც. ბავშვები უკვე აღიქვამენ თავს ჯგუფის წევრებად, დამეგობრდნენ, მიეჩვივნენ აღმზრდელებს, დღის რუტინას, წრეზე ჯდომასა და ერთმანეთის მოსმენას.

ნინუცას კარგად აქვს განვითარებული მეტყველებისა და ნატიფი მოტორული უნარები. მის მშობლებთან შეხვედრისას დედამ სურვილი გამოთქვა, რომ აღმზრდელებმა მეტად მიაქციონ ყურადღება ბავშვის მსხვილ მოტორიკას და საშუალება მისცენ, მეტად იმოძრაოს.

ალექსანდრეს ძალიან უყვარს ცხოველები, ყველა ცხოველის სახელი იცის, მათი შვილებისაც, ვინ სად ცხოვრობს და რა ხმას გამოსცემს. უყვარს თიხით ძერწვა, მაგრამ უჭირს ჭრა და ფანქრის სწორად ჭერა.

იოანას უყვარს თოჯინები და ზღაპრების მოსმენა, მეტყველება მისი ძლიერი მხარეა, ფურცელზე მხოლოდ ხაზებს ავლებს, ფიგურების გამოსახვა კი უჭირს.

მარიტა თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს, ორ- სამსიტყვიან წინადადებებს ამბობს და ლექსიკური მარაგიც საკმაოდ შეზღუდული აქვს, ძალიან უყვარს დინოზავრები, უჭირს ემოციების მართვა.

გიორგის განვითარების შეფერხება აქვს, ის შეზღუდული რაოდენობის ცალკეულ სიტყვებს ამბობს. უჭირს სხვა ბავშვებთან კომუნიკაცია, სხვადასხვა აქტივობებზე ძალიან მცირე ხნით ახდენს ყურადღების კონცენტრაციას, ძალიან უყვარს სათამაშო მანქანები და ხეებზე ცოცვა.

ხათუნამ და აბომ ბავშვებზე დაკვირვებისას შეამჩნიეს, რომ ყველა ბავშვს მოსწონს ბაღის ეზოში კუებზე დაკვირვება და მათთან თამაში, ბავშვების დიალოგებიც ძალიან ხშირად კუ-ების ირგვლივ ტრიალებს, მაგალითად, სამი დღის წინ ნინუცა და ანიკო კამათობდნენ იმაზე, თუ რას ჭამენ კუები, ბალახს, პურს თუ ჭიანჭველებს. ალექსანდრე კი ეუბნებოდა იოანას, რომ მის სათამაშო კუს სულ სხვანაირი ფეხები აქვს და წყალშიც დაცურავს.

აღმზრდელებმა გადაწყვიტეს, ბავშვების ეს ინტერესი გამოეყენებინათ შემდეგი თემის დაგეგმვისას.

დღისა და კვირის დაგეგმვა

ხათუნამ და აბომ კუს თემაზე მუშაობისას, კურიკულუმის მიზნების მისაღწევად და ბავშვების კვლევის ხელშესაწყობად, დაგეგმეს შემდეგი თამაშები და გამოწვევები:

წინასწარ მოიფიქრეს ამბავი კუზე, რომელმაც ბრაზის მართვა ისწავლა. ხათუნამ დაგეგმა, რომ კუს დილის წრეზე გააცნობდა და მის თავგადასავალსაც ამ დროს მოყვებოდა.

მეცნიერებიდან: კუებზე დაკვირვება ლუპის საშუალებით, შედარება სათამაშო კუებთან, ექს-კურსია ეგზოტარიუმში.

წიგნიერებიდან: კუს შესახებ ილუსტრირებული წიგნების დათვალიერება, წაკითხვა, წიგნის დამზადება.

ხელოვნებიდან: კუს ჩანახატების გაკეთება, კუს სამგანზომილებიანი ფიგურების დამზადება შეთავაზებული მასალებით.

ამ აქტივობების დროს, რა თქმა უნდა, აღმზრდელები ჯგუფის ერთობისა და კვლევა-აღმოჩე-ნის მიზნებზე სხვადასხვა სტრატეგიით იმუშავებენ.

ჯგუფის ერთობიდან, კუს მეთოდის გამოყენებით, ყურადღებას გაამახვილებენ ემოციების მართვაზე, რადგან ბავშვებს საშუალება აქვთ, დააკვირდნენ და შეისწავლონ კუ, აღმზრდე-ლებმა გადაწყვიტეს, გააცნონ ბავშვებს ეს ტექნიკა.

თემა: კუ თარიღი: 14- 19 ოქტომბერი		ჯგუფური აქტივობა: ზღაპარი კუზე. კუს ცეკვა.	
დილის შეხვედრა/ საღამოს შეხვედრა თამაში: ჩავძვრეთ კუს ბაკანში. რეფლექსია	კუბურები სათამაშო კუს ფიგურები	ხელოვნება კუს ჩანახატები პლასტელინის და კაკლის ნაჭუჭის კუები თიხის შეტანა, საღებავე-ბით ხატვა. პაპიემაშეს კუები	დრამატული.
წიგნიერება კუს ენციკლოპედიების შეტანა	მეცნიერება დაახარისხე სხვადასხვა ჯიშის კუები ექსპერიმენტი: რითი თამაშობს კუ? დაკვირვება ლუპით, რას ჭამს კუ?	სამაგიდო	ეზო ცოცვა წრეში ბურთი 19 ოქტ-ექსკურსია ექზოტარიუმში
რუტინები/ ტრანზიციები მაგიდის გაშლა და კვე-ბის შემდეგ ალაგების წახალისება	სტრატეგიები: ღია კითხვების დასმა, კვლევის ხელშეწყობა, ჰიპოთეზების ჩანიშვნა, ბრაზის ემოციაზე საუბარი, დაწყნარების სტრატეგიები	რესურსები; დიდი კონტეინერი წყლით, კალათები ფოთლებისათვის, კუს სათამაშოები, კუს ბარათები, ენციკლოპედია, დიდი მუყაოს ყუთი	სენსორული იპოვე კუ ქვიშაში

ფიზიკური გარემოს მოწყობა

ხათუნამ წინასწარ მოამზადა მასალები და განალაგა ცენტრებში.

წიგნიერების ცენტრში – ილუსტრირებული წიგნი კუებზე.

ხელის თოჯინა – კუ – ბრაზის მართვის სასწავლებლად.

აბომ მშვიდ კუთხეში დიდი მუყაოს ყუთისგან კუს ბაკანი მოამზადა, ასევე დაამზადა ბარათები ბრაზის მართვაზე.

პრაქტიკა

დილის შეხვედრაზე აბო და ხათუნა ბავშვებს მხიარული მისასალმებელი სიმღერით დახვდნენ, შემდეგ კი ხათუნამ ზღაპარი წაიკითხა კუზე, რომელსაც ემოციების მართვა უჭირდა. აბომ ეზოდან კუ ამოიყვანა და ბავშვებს სთხოვა, დაკვირვებოდნენ და ეთქვათ, რას ფიქრობდნენ.



აღმზრდელები შეეცადნენ, ბავშვების აზრები და კითხვები ერთ ფორმატზე ჩამოეწერათ. ხათუნამ უთხრა ბავშვებს, რომ საუზმის შემდეგ საშუალება ექნებოდათ, კიდევ დაკვირვებოდნენ კუს და ეთამაშათ მასთან ერთად სხვადასხვა კუთხეში.

მაგიდის გაწყობაში ბავშვები აღმზრდელებს ეხმარებიან, საუზმის დროს მიირთმევდნენ და თან იმაზე საუბრობდნენ, წიწიბურას ფაფა კუს თუ მოეწონებოდა. ნინუცამ თქვა, რომ თავის პატარა ლეკვს წიწიბურა ძალიანაც უყვარს, მაშომ კი თქვა, რომ ძაღლებიც და კუებიც მხოლოდ სპეციალურ საჭმელს ჭამენ. ხათუნა ეკითხება ბევშვებს: როგორ შეიძლება გავიგოთ, რას ჭამენ კუები? ბავშვები ფიქრობენ. ალექსანდრე ამბობს, რომ შეიძლება რამდენიმე საჭმელი დაუდონ და ნახონ,

რომელი მოეწონება. აბო ამბობს: „ასე შეიძლება საყვარელი სათამაშოც შევამოწმოთ, არა? რამდენიმე დავუდოთ და ვნახოთ, რითი ითამაშებს“. ბავშვებს მოსწონთ ეს აზრი.

საუზმის შემდეგ ბავშვები სურვილის მიხედვით სხვადასხვა კუთხეში იწყებენ თამაშს. ნინუცა, ანიკო და ალექსანდრე ხელოვნების სახელოსნოში შედიან, იქ აბოს ერთ-ერთი კუ დაუსვამს მაგიდაზე და ფერადი ფანქრები და ფურცლებიც მაგიდაზე აწყვია. აბო წაახალისებს ბავშვებს, დახატონ კუ. ბავშვები აკვირდებიან მის ბრჭყალებს და ბაკანის ნახატებსა და ფორმებს.



იოანა ყოყმანობს, აბო ეუბნება:
„იო, დააკვირდი, როგორი ფორმა აქვს კუს, აბა თითი დავადოთ და შემოვატაროთ.“ აბო და იოანა ერთად ადებენ ხელს კუს ბაკანზე და თითით შემოავლებენ წრეზე.



„აბა ახლა ფურცელზე მაჩვენე, საიდან დაიწყებ ხატვას?“
იოანა გაუბედავად ადებს ფანქარს ფურცელს და ცდილობს, იგივე მოძრაობა გაიმეოროს.
აბო: – „მე მგონი ძალიან გავს, შეხედე.“ – იოანა კმაყოფილი იყურება.-„ აბა ახლა ფეხებს შევხედოთ“ -აგრძელებს აბო...

მეცნიერების კუთხეში სათამაშო კუს და ნამდვილი კუს შედარება აქვთ დაგეგმილი. სათამაშო კუ და რამდენიმე ლუპა მაგიდაზე დევს. ხათუნა გიორგის სთხოვს, კუ გამოიყვანოს ხელოვნების კუთხიდან და დაიჭიროს, სანამ თედი და ანა მას ლუპით დააკვირდებიან. ხათუნა ეუბნება ბავშვებს: „ნახეთ, ეს როგორი დიდია, როგორი

ფეხები აქვს, როგორი თავი და კუდი, ფეხები. როგორ ფიქრობთ, რითი გვანან ეს კუები ერთმანეთს?“ ბავშვები ცდილობენ, ჩამოთვალონ.

კუბურების კუთხეში კოტემ გრძელი გალავანის შენება დაიწყო. ზედ მეომრების ფიგურებს აწყობს და ანასტასიას სთხოვს, მასთან ერთად ითამაშოს.

სამაგიდო თამაშებში კესო და ნიკო ნახატებიან დომინოს თამაშობენ.

წიგნიერების კუთხეში ბავშვები ენციკლოპედიას ათვალიერებენ, სადაც ზღვის ცხოველებთან ერთად სხვადასხვანაირი კუები არიან გამოსახული.

ცოტა ხანში ეზოში ჩასვლის დრო მოდის და აღმზრდელები ბავშვებს ნელ-ნელა ამზადებენ. ზოგს პატარა ქვიშის საათს უდებენ, ზოგს წაახალისებენ, რომ სივრცე მოაწესრიგონ. დაუმთავრებელ ნამუშევრებს თაროზე ინახავენ, დასრულებელ ნახატებს კი, კედელზე აკრავენ.

ეზოში აღმზრდელებს ფიზიკური თამაში აქვთ დაგეგმილი, ბავშვები გრძელ სკამზე უნდა გაცოცდნენ, შემდეგ ხეს შემოურბინონ და ადგილზე დაბრუნდნენ.

ამ თამაშის შემდეგ ბავშვებმა გადაწყვიტეს გამოცადონ, იცის თუ არა მათი ეზოს კუმ ცურვა. ამისათვის, პატარა სათავსო წყლით გაავსეს და კუები ჩასვეს. კუებს წყალში ცურვა ძალიან მოეწონათ.

ზოგიერთი ბავშვი ეზოში ფოთლებს აგროვებდა, რომ კუსთვის რბილი ლოგინი გაეკეთებინათ.

ეზოდან ამოსული ბავშვები, სანამ სასადილოდ დასხდებოდნენ, ხათუნამ და აბომ კიდევ შეკრიბეს წრეზე და შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვეს, რომ მოკლედ შეეჯამებინათ დილის

სამუშაოები. სადილის შემდეგ ბავშვებმა ზღაპარი მოისმინეს და დაიძინეს. გაღვიძების შემდეგ, სამხარი მიირთვეს და შემდეგ ისევ თამაშს შეუდგნენ. ამჯერად ხელოვნების ცენტრში ბავშვებს კაკლის ნაჭუჭები და პლასტელინი დახვდათ. ასევე, სახატავი ფანქრები და ფურცლები. მეცნიერების ცენტრში ბავშებმა გამოსცადეს, რას შეჭამდა და რითი ითამაშებდა კუ.

დღის შეჯამებისას ბავშვებმა და აღმზრდელებმა უფრო მეტის გასაგებად ზოოპარკის ეგზოტარიუმში ექსკურსია დაგეგმეს. ერთად ჩამოწერეს კითხვები, რაც იქ უნდა დაესვათ და მომდევნო დღეებში კუს პაპია მაშეს ფიგურების გაკეთებაც გადაწყვიტეს.

კვირის ბოლოს ხათუნამ და აბომ დაგეგმვის ფურცელზე გადაიტანეს მთელი კვირის შეჯამებული რეფლექსია, სადაც შეაჯამეს, როგორ ჩაიარა კვირამ.

რეფლექსური დღიურის ჩანაწერები

აბომ და ხათუნამ გადაწყვიტეს, რეფლექსური დღიური აწარმოონ ახალი სასწავლო წლისთვის, რაც აქამდე არასდროს გამოუყენებიათ. შეთანხმდნენ, რომ კვირის ბოლოს ერთმანეთს გაუზიარებენ ჩანაწრებს და ერთად იმსჯელებენ, რა როგორ შეცვალონ.

25 აგვისტო

„წელს პირველად დავგეგმე ბაღის დაწყების წინ ბავშვებისა და მშობლების ვიზიტი ბაღში. დღეს მთელი დღე ბაღში ვიყავი. 12 ბავშვი მოვიდა მშობელთან ერთად. არც მეგონა, ამდენი ბავშვი თუ მოვიდოდა. ვიფიქრე, არდადეგების პერიოდია და დაეზარებოდათ მშობლებს მოყვანა. ყველას დავათვალიერებინე ბაღი, მარტო ჩვენი ოთახი კი არა, სხვა ოთახებიც, დერეფნები, ეზო. ძალიან კმაყოფილი ვარ. ცოტა დრო გვქონდა იმისთვის, რომ ყველას ერთად გვეთამაშა ეზოში. მერე ცარცები გამოვიტანე და ბავშვებმა მშობლებთან ერთად ხატეს. ისე მიხარია, 12 ბავშვისთვის უცხო აღარ ვარ და მგონია, რომ ეს პირველ დღეს დამეხმარება.“

ჩანაწერები ხათუნას დღიურიდან

5 სექტემბერი

„რეფლექსური დღიური არასდროს დამიწერია, რითი დავიწყო ისიც არ ვიცი... წელს ბევრი სიახლეა ერთად... დღეს ვიყავი პირველად ჩემს ცხოვრებაში ბავშვთან სახლში, ნიკოსთან. ისე ვინერვიულე მისვლამდე, თითქოს გამოცდაზე მივდიოდი. კიდევ კარგი, ნიკოს მშობლები ძალიან კეთილგანწყობილები იყვნენ და ვფიქრობ, ძალიან კარგად ითანამშრომლეს ჩემთან. ჩაიზე დამპატიჟეს, ვისაუბრეთ ბაღის ამბებზე. ყველაფერზე ვუპასუხე, რაც აინტერესებდათ. მეც დავაზუსტე რაღაცეები. ნიკო ამ დროს მშობლებს უკან იყო ამოფარებული, მაგრამ ცოტა ხანში გათამამდა. ჯგუფიდან სათამაშო დათუნია მქონდა წაღებული და ნიკოს გავაცანი. ხოდა, ამ დათუნიათი დაიწყო თამაში. ნიკომ გამომიტანა თავისი სათამაშოებიც, საყვარელი წიგნები. მე ვცდილობდი, დამემახსოვრა ეს ყველაფერი. შეკითხვებს ვუსვამდი. მოკლედ, მგონი დავმეგობრდით...“

ჩანაწერები აბოს დღურიდან

15 სექტემბერი

„პირველმა დღემ მგონი კარგად ჩაიარა, აბოსაც ვკითხე და კმაყოფილი იყო. შევეცადე ბავშვების სახელები კარგად დამემახსოვრებინა და სახელებით მიმემართა. ცოტა ვღელავდი ამის გამო. თან ვცდილობდი, საკუთარი თავისთვის გვერდიდან შემეხედა და შემეფასებინა, რას ვაკეთებ და როგორ. თავიდან ჯგუფში მშობლების ყოფნამ ცოტა თითქოს დამძაბა, მაგრამ მერე მშობლებიც ჩავრთე პროცესში და ეს ძალიან დამეხმარა, რომ მოვდუნებულიყავი. ისე მშობლებიც ძალიან კარგად ჩაერთვნენ, ხელის დაბანაში მოგვეხმარნენ. ვფიქრობ, მომავალშიც დავგეგმავ მათი მონაწილეობით აქტივობებს ბაღში.

წრეზე შეხვედრის დროს თოჯინას გამოყენება ძალიან კარგი აზრი იყო, ისე იხალისეს, მომავალშიც აუცილებლად გამოვიყენებ.“.

ჩანაწერები ხათუნას დღიურიდან

15 სექტემბერი

„დღეს პირველი დღე იყო ბაღში, ბევრი ახალი ბავშვი მოვიდა, ძველი ბავშვებიც, რა თქმა უნდა. მე ვღელავდი, მშობლებიც იყვნენ ბავშვებთან ერთად და ამაზეც ვნერვიულობდი, როგორ მოვახერხებდი ამდენი ადამიანის მართვას. მე და ხათუნამ ყველაფერი წინასწარ დავგეგმეთ. ეს დამეხმარა, ვიცოდი, რის მერე რა უნდა გვექნა. ვფიქრობ, რომ დღემ კარგად ჩაიარა. ხათუნაც ასე ფიქრობს, კარგად ვითანამშრომლეთ.“

აბოს ჩანაწერები

3 ოქტომბერი

დღეს მქონდა პირველი ინდივიდუალური შეხვედრა ნინუცას მშბლებთან. ძალიან ყურადღებიანი მშობლები არიან და მუდმივად ჩართულები, სულ შეკითხვებს სვამენ ბავშვთან დაკავშირებით და დღესაც ძალიან აქტიურები იყვნენ. შეხვედრა ნინუცას ძლიერ მხარეებზე საუბრით დავიწყე, ვუთხარი, რომ კარგად აქვს განვითარებული მეტყველებისა და ნატიფი მოტორული უნარები. დედამ სურვილი გამოთქვა, რომ მე და აბომ მეტად მივაქციოთ ყურადღება ბავშვის მსხვილ მოტორიკას და საშუალება მივცეთ, მეტი იმოძრაოს. დედას ავუხსენი, რომ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ეზოში ყოფნის დროს ნინუცას ყოველთვის ვთავაზობთ მოძრავ თამაშებში ჩართვას. მომეჩვენა, რომ დედისთვის ეს საკმარისი არ არის. მე დამრჩა უკმაყოფილების განცდა, თითქოს დამაჯერებელი არ აღმოვჩნდი... მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებისთვის უფრო კარგად უნდა მოვემზადო...“

ხათუნას დღიური

17 ოქტომბერი

„მე და ხათუნამ დღეს შევამჩნიეთ, რომ ბავშვებს ძალიან მოსწონთ ბაღის ეზოში კუებზე დაკვირვება და მათთან თამაში, სულ კუებზე ლაპარაკობენ. დილას ნინუცამ და ანიკომ ლამის იჩხუბეს იმაზე, თუ რას ჭამენ კუები, ბალახს, პურს თუ ჭიანჭველებს. სადილის მერე ეზოში რომ გავედით, მომესმა, ალექსანდრე ეუბნებოდა იოანას, რომ მის სათამაშო კუს სულ სხვანაირი ფეხები აქვს და წყალშიც დაცურავს. მე თვითონ კუებზე არასდროს მიფიქრია, ბავშვებს კიდევ როგორ აინტერესებთ. ხათუნამ ისიც თქვა, პროექტის თემა ხომ არ იყოსო...“

აბოს დღიურიდან

მშობლებთან თანამშრომლობა

აღმზრდლები ექსკურსიაზე წამოსვლას მშობლებსაც სთხოვენ. შემდეგ კვირას კი, ერთ-ერთი ბავშვის მამა ბავშვებს სულ პაწაწინა წყლის კუებს მოუყვანს დასაკვირვებლად.

4-5 წლიანთა ჯგუფი

დღისა და კვირის დაგეგმვა

ანას და ლელას ჯგუფი ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა თემაზე „ჯანსაღი კვება“. ამ კვირაში აღმზრდელებმა გადაწყვიტეს, უბრალოდ, სხვადასხვა რესურსი შეეტანათ ცენტრებში გამოწვევების სახით და ბავშვების ინტერესებს დაკვირვებოდნენ. ამავე დროს, კურიკულუმის მიზნების მისაღწევად შემდეგი თამაშები და გამოწვევები დაეგეგმათ:

- ხელოვნებიდან: შტამპებით ბეჭდვა და ოფისობანას თამაში; ცათამბჯენების აშენება, მათზე სარეკლამო აბრების დამაგრება;
- წიგნიერებიდან: საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვა და სარეკლამო აბრების დამზადება;

ანამ და ლელამ გადაწყვიტეს, ამ კვირაში ყურადღება გაამახვილონ კონფლიქტის მოგვარების გზებზე. ასევე, გააცნონ სივრცე, სადაც ბავშვები სხვადასხვა მოლაპარაკებას აწარმოებენ.

<table>
<tr><td colspan="2">თარიღი: 8-15 ოქტომბერი</td><td colspan="2">აქტივობა მთელ ჯგუფთან:
მოლაპარაკების სივრცის და ჯოხის გაცნობა.
მოლაპარაკების სცენარების გათამაშება
კუს ზღაპრის გახსენება
თამაში- ჩავძვრეთ კუს ბაკანში.</td></tr>
<tr><td>დილის შეხვედრა/
საღამოს შეხვედრა
მისალმების სიმღერა, კუს ზღაპრის გახსენება
თამაში: ჩავძვრეთ კუს ბაკანში.</td><td>კუბურები
ცათამჯენების აშენება, მათზე სარეკლამო აბრების დამზადება და დამაგრება</td><td>ხელოვნება
ასოების შტამპების და-მზადება და შტამპებით ბეჭდვა
ბავშვები ამზადებენ კოლაჟებს შტამპების გამოყენებით
საკუთარი სახელების ტრაფარეტების დამზა-დება და გაფორმება</td><td>დრამატული
ოფისის მოწყობა, თამაში ოფისობანა.
ტელეფონის აპარატის შეტანა.
საბეჭდ მანქანაზე სა-კუთარი სახელების დაბეჭდვა.</td></tr>
<tr><td>წიგნიერება</td><td>მეცნიერება</td><td>სამაგიდო</td><td>სენსორული</td></tr>
<tr><td>ეზო
კეგლითა და ბურთით თამაში</td><td>რუტინები/
ტრანზიციები
დალაგების სიმღერა
ეზოში გასვლის სიმღერა</td><td>სტრატეგიები:</td><td>რესურსები;
საბეჭდი მანქანა, კუბუ-რები, ფურცლები, შტა-მპები, ფერადი ფურ-ცლები, საღებავი:</td></tr>
<tr><td colspan="4">რეფლექსია: (ამ გრაფას ანა შეავსებს კვირის განმავლობაში)</td></tr>
</table>

ფიზიკური გარემოს მოწყობა

დრამატული თამაშების სივრცე: ანა დრამატულ ცენტრს გადააწყობს, პატარა მაგიდაზე დგამს ძველებურ საბეჭდ მანქანას, თაროზე ძველი ტელეფონის აპარატს, გვერდით მაგიდაზე სათამაშო „ნოუთბუკს“, მოიმარაგებს სხვადასხვანაირ საწერ ფურცლებს, კალმებსა და ფანქრებს, სტეპლერს, სახვრეტელასა და სხვა საკანცელარიო ნივთებს.

ხელოვნების ცენტრი: შტამპების შეტანა და ბავშვების წახალისება, რათა ანაბეჭდების კოლაჟები დაამზადონ.

ჯგუფის ერთობის მიზნების მისაღწევად ანამ და ლელამ მოლაპარაკების სივრცე მოაწყეს პატარა მაგიდით და კედელზე განთავსებული წესებით, რომლებიც კონფლიქტზე საუბრისას უნდა გამოიყენონ. ეს წესები ბავშვებმა და ანამ წინა კვირას, დილის წრეზე მსჯელობისას შეიმუშავეს, ესენია: (ა) ყურადღებით და მოთმინებით ვუსმენთ სხვას და ველოდებით ჩვენს ჯერს; (ბ) პატივისცემით ვეპყრობით ერთმანეთის აზრს (ვიცით, რომ სხვა შეიძლება განსხვავებულად ფიქრობდეს და ეს ნორმალურია); (გ) ჩვენს აზრს ვეუბნებით გარკვევით და დაბალ ხმაზე; (დ) მონდომებით ვფიქრობთ, როგორ შეგვიძლია პრობლემის გადაჭრა. (ე) ვდგებით, როცა მოვრიგდებით. ასევე, განათავსეს თვითდამშვიდების პოსტერი (თვითდამშვიდების სტრატეგიებით) და ის ნივთები, რომლებსაც ბავშვები თვითდამშვიდებისას გამოიყენებენ, ესენია: მაგალითად, მუჭის ზომის რბილი ბურთი, რბილი ჩასახუტებელი სათამაშო, გასაფერადებელი ფურცელი (მანდალა) ფანქრები, მუსიკის მოსასმენი მოწყობილობა ყურსასმენებით და ა.შ. ამ თვითდამშვიდების სტრატეგიებს ბავშვები მაშინაც იყენებდნენ, როდესაც ანამ მათ ბრაზის მართვა ასწავლა.

პრაქტიკა

ანამ დილის წრეზე ბავშვებს მოლაპარაკების ჯოხი აჩვენა და აუხსნა, როგორ შეუძლიათ ამის გამოყენება მოლაპარაკების მაგიდასთან. ეს ჯოხი დაეხმარება ბავშვებს გააკონტროლონ, ვინ ასრულებს საუბარს და ვინ იწყებს. ვისაც ხელში უჭირავს, ის საუბრობს. როდესაც ამთავრებს საუბარს, გადასცემს ჯოხს სხვას. ამის მოდელირებისთვის ანამ ასეთი თამაში შესთავაზა ბავშვებს. ანა: „ვისაუბროთ, რა გვიყვარს ყველაზე ძალიან, საუბრობს ის, ვისაც ჯოხი უჭირავს და როდესაც დაასრულებს, გადასცემს გვერდით მჯდომს. ანა: „მე ძალიან მიყვარს, როდესაც ინტერესით მისმენთ წიგნის კითხვის დროს“, ანამ ჯოხი გვერდით მჯდომ კოტეს გადასცა და ა.შ.

დილის შეხვედრის შემდეგ ბავშვებთან ერთად ასევე განვლილი თემა – „ჯანსაღი საკვები პროდუქტი“ შეაჯამა. შემდეგ ბავშვებს კონფლიქტის მოგვარების კუთხე გააცნო, გაახსენა მოფიქრებული წესები. როლური თამაშიც გაითამაშა. წარმოიდგინეთ, რომ მე და ელენე ვერ მოვრიგდით დრამატულ ცენტრში თამაშის დროს. „ელენე, ვითომ შენ გინდოდა, რომ გიგის მოეტანა პროდუქტები, მე კიდევ მინდოდა, რომ კერძის მომზადებაში მომხმარებოდა. მოდით, ვნახოთ, რა უნდა გავაკეთოთ და როგორ გამოვიყენოთ მოლაპარაკების კუთხე იმისათვის, რომ მოვრიგდეთ და ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილება მივიღოთ“. თანაშემწე აკვირდება

ბავშვების ჩართულობას და ინიშნავს დაკვირვებას, რომ შემდგომი კონფლიქტის სწავლებისთვის ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში იმუშაონ. ელენე და ანა მასწავლებელი მაგიდასთან სხდებიან, ჯოხის მონაცვლეობით თავიანთ შეხედულებებსაც ცვლიან. მერე გიგისაც ეძახიან და მასაც ეკითებიან აზრს. ბავშვები სხვადასხვა გამოსავალზე ფიქრობენ. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ გიგი იმას გააკეთებდა, რაც სურს.

საუზმეზე ანამ შეამჩნია, რომ ბავშვები აკვირდებოდნენ და საუბრობდნენ შემდეგ თემაზე: ჩვეულებრივი წყალი და ბალახეული ჩაი ორივე გამჭვირვალეა, მაგრამ ერთი ცოტა ტკბილია, წყალი კი – არა. "ჩაი ცოტა ტკბილი იმიტომ არის, რომ შაქრიანია", თქვა ნიკომ. შაქრიანი რომ იყოს, შაქარიც გამოჩნდებოდა", თქვა ანიკომ. შაქარმა გააფერადა წყალი, იმიტომ არის ჩაი სხვა ფერის – აღნიშნა ეთერმა. აღმზრდელი სვამს შეკითხვებს:„ ესე იგი, თქვენ ასე ფიქრობთ, არა? როგორ უნდა გავიგოთ, რა ემართება წყალში შაქარს?" ნიკომ წამოიძახა: „შეგვიძლია შევურიოთ და ვნახოთ, რა მოხდება, შეგვიძლია შაქარს წყალი დავასხათ". ანამ კვლავ იკითხა: „როგორ ფიქრობთ, რა დაგვჭირდება ამისთვის?" ეთოს პასუხები იყო: „შაქარი და წყალი." ანამ ბავშვების ვარაუდები ჩაიწერა და შესთავაზა: „ვცადოთ მეცნიერების ცენტრში და ვნახოთ, რა გამოვა". „მე მარილიც მაინტერესებს" – თქვა ნინიმ.

საუზმის შემდეგ, ანამ ცენტრებში დაგეგმილი თამაშების გარდა, ბავშვების ინტერესები გაითვალისწინა და მეცნიერების ცენტრში მარილი და შაქარი შეიტანა, ლელას მიერ სახელდახელოდ შექმნილი ცხრილის ფორმები დაახვედრა და ბავშვებს ექსპერიმენტში ჩართვისა და მონაცემების ჩანიშვნის საშუალება მისცა. (ამ ფაქტს ანა დაგეგმვის ფორმაში, რეფლექსიის გრაფაში მოგვიანებით ჩაწერს).

ბავშვებმა შემდეგი ჰიპოთეზები გამოთქვეს:

- შაქარი გაქრება და მარილიანი წყალი თეთრი იქნება;
- მარილიც და შაქარიც გაქრება და წყალი იქნება ჭიქის ფერი (იგულისხმა, რომ წყალი გამჭვირვალე დარჩება);

- შაქარს თუ ჩაყრი, წყალი გახდება ტკბილი და მარილს სადაც ჩაყრი, წყალი იქნება ცოტა თეთრი და მლაშე;
- შაქრიანი წყალი გახდება ყვითელი, მარილი უფრო მალე გაქრება;
- წყალი ორივეს გააქრობს, უფრო მალე მარილს, წყალი ფერს არ შეიცვლის.

ანა შეეცადა, დამატებითი რესურსის მოძიებაში ბავშვებიც ჩაერთო და იკითხა, როგორ მიეღოთ ერთნაირი წონის შაქარი და მარილი. მან წაახალისა სასწორის გამოყენება. ბავშვებმა აწონეს მარილი და შაქარი, ერთნაირი რაოდენობის მისაღებად, მოიმარაგეს წყალი და საჭირო ჭურჭელი. ბავშვებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, დააკვირდნენ შედეგებს, გამოთქვეს მოსაზრებები. მონაცემები ლელას მიერ წინასწარ მომზადებულ ფორმაში ფანქრის საშუალებით ჩაინიშნეს. კვლევაში ჩართული ბავშვები ანასთან ერთად მსჯელობენ ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე, მიღებულ შედეგებზე.

მეცნიერების ცენტრში ექსპერიმენტის მსვლელობისას ბავშვებთან ერთად ანა იყო, ხოლო დანარჩენ ცენტრებში, ბავშვებს თვალყურს ლელა ადევნებდა. კუბურების ცენტრში აკამ და გიგიმ წითელი კუბურები ვერ გაინაწილეს, ლელას არ გამორჩენია ეს ფაქტი და ბავშვებს ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა ამ უთანხმოების მოგვარება. იქვე მყოფ ელენეს გაახსენდა კონფიქტების მოგვარების კუთხე და იქ გადასვლა შესთავაზა ორივეს. ლელამ ელენეს მადლობა გადაუხადა და ბავშვებს საშუალება მისცა, მოლაპარაკების ჯოხი გამოეყენებინათ. აკამ თავიდან უარი თქვა ჯოხის გამოყენებაზე, მაგრამ ლელას მხარდაჭერით და წახალისებით ჯოხი აიღო. საბოლოოდ, ბავშვები შეთანხმდნენ და კუბურების ცენტრს დაუბრუნდნენ.

დრამატულ ცენტრში ბავშვებმა იქ არსებული ტელეფონი თავიდანვე შეამჩნიეს, მაგრამ თამაშში არ გამოუყენებიათ. ლელამ შეამჩნია ეს, ცენტრში შევიდა და იქ მყოფ ბავშვებს უთხრა:

ტელეფონის ხმა მომესმა, როგორი ძველებური ტელეფონი გქონიათ, ვის ურეკავენ ნეტა? შეიძლება, მე ვუპასუხო? ლელამ ბავშვებს ამგვარად მიანიშნა, როგორ უნდა გამოეყენებინათ ტელეფონი. ხელოვნების ცენტრში თინიკომ, დათომ და ზაზამ ბეჭდვის ნაცვლად, შტამპები ერთმანეთს დააწებეს და ქანდაკებები გააკეთეს. ლელამ ბავშვებს შესთავაზა, დარჩენილი შტამპები საღებავით დაეფარათ და ფურცელზე ანაბეჭდები დაეტოვებინათ. თინიკომ წამოიძახა: „ნახე, ზუსტად ისეთი კვალი დატოვა, როგორიც არის“. შემდეგ სხვა შტამპი აიღო, იგივე მოქმედება გაიმეორა და სიხარულით აღნიშნა: „ამანაც თავისნაირი კვალი დატოვა“. ზაზამ საფანქრედან ფანქარი ამოიღო, საღებავი წაუსვა და ფურცელზე დადო – „ამანაც კვალი დატოვა“ – თქვა მან და ლელას აჩვენა ნამუშევარი.

ცენტრებში თამაშის შემდეგ სადილამდე ანამ და ლელამ ასალაგებელი სიმღერა წამოიწყეს, რითიც ბავშვებს ნიშანი მისცეს, რომ ცენტრები უნდა მიელაგებინათ. სადილის შემდეგ ეზოში გავიდნენ, რა დროსაც აღმზრდელებმა ეზოში გასასვლელი სიმღერა გამოიყენეს.

ეზოში თამაშის დაწყებამდე ანა სთავაზობს მეცნიერების ცენტრში მომუშავე ბავშვებს მეგობრებისთვის კვლევის შედეგების გაზიარებას. ბაღის ეზოს მდელოზე აღმზრდელი საშუალებას აძლევს ბავშვებს, რომ სხვებს გაუზიარონ მიღებული შედეგები.

ხდება ჰიპოთეზების სიასთან დაბრუნება და შეჯამება, რამდენად გამართლდა ბავშვების ვარაუდები.

ეზოს შემდეგ ჯგუფში დაბრუნებულ ბავშვებს ანა და ლელა საშუალებას აძლევენ, კვლავ ითამაშონ ცენტრებში. აღმზრდელები ცდილობენ, მათი ინტერესები დააფიქსირონ მომდევნო კვირის თემისთვის ან პროექტისთვის. ანამ გადაწყვიტა, კვირის განმავლობაში მეცნიერების ცენტრში სხვა ექსპერიმენტებიც დაეგეგმა წყალთან დაკავშრებით, რადგან რამდენიმე ბავშვმა ეზოში ყოფნის დროს დასვა შეკითხვა, ყველანაირი ფხვნილი იხსნება თუ არა წყალში. შესაძლოა, ბავშვების ინტერესები ამ მიმართულებითაც წავიდეს და მომდევნო კვირის პროექტის თემა წყალი იყოს.

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

ანას და ლელას ერთი კვირის დაკვირვების ჩანაწერები

(8/04- 15/04)

დაკვირების ეფექტურად ორგანიზების მიზნით, ანამ და ლელამ საქმე გადაინაწილეს და მოილაპარაკეს, რომ მიმდინარე და შემდგომი კვირის განმავლობაში ბავშვების სოციალურ და თვითმოვლის უნარებს დააკვირდებოდნენ. მთელი კვირის მანძილზე ანა და ლელა ჩანაწერებს ბავშვის განვითარების სტანდარტის სწორედ ამ ორი სფეროს უნარების დადგენის მიზნით აკეთებდნენ. დაკვირვების შედეგების ანალიზი, ბავშვების განვითარების შემდგომ საფეხურზე გადასაყვანად, მათ შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვაში ეხმარება.

სოციალურ უნარებზე და დამოუკიდებლობაზე დაკვირვება.



დაკვირვების ჩანაწერები კლუნეზე

კოხვლოტოტოს სიფაყადიაში ხსნის საკუთარ ბოდიას. ამაშის რჩილ წამოტჩირი კოხვლოტოტის მოკვეშებში მიერ კოხვლოტოტების მოკვეშების კუთხეში. ამბობს: „ეს ჩემი კეთილი ეს ეთის, ტუჩაკუი ან ეს უნდა დაკვირ.“ ნიკოს უთხა: „ჩემი აკვში მე ვიცოხ უნდა ავლოდეთ.“ საუზეზე ავილი მიერიდან აკვშები ეჩამუნაში ჩაალოდეა და მიახა: „ლალა, ნახ, ჩემია ავლოდე.“ მოხანწილოტს ლალოდებში

დაკვირვების ჩანაწერები ანაზე

ეიეიმ და ანამ კეთ კეთინაწილეს კუბუჩები, მეუჩამ შეძლო კოხვლოტოტის ეადაფჩა მოლოდაკეთებების ეზია.

ჩემი დახმარებია ილაკს წესებს, ილაკს ჩიეს. ალოდებს ანის კეთილს.

ინჩჩკს ინდივიდუალურად საქმიანობებს მოხანწილოტებს ოთახის ლალოდებში

საილის შემდეგ ითლო ლოტხი და ნამლელები მოხვეტა

დაკვირვების ჩანაწერები ეიეიზე

მოლოდაკეთების ჯოხი ეამოლიუნა და კლუნეს უთხა: „ჩოტოტოტს მე ვიცოხ მოკვიტან.“

ანალან ანაშისას კეთ კეთინაწილეს კუბუჩები, მეუჩამ შეძლო კოხვლოტოტის ეადაფჩა მოლოდაკეთების ეზია.

დახმარება სტირება ანაშის წესების ლალოდში
დახმარება სტირება ანაშის წესების ლალოდში.
ინ�მეიერის ეაშლოს საჩვილს.
ლამოლუკიერებლად ეადმოლილ მოჩე ანკისგის
და დეხმარა ზაზას ნიკალბისა და მასალის ანის
ალეილის დასალოდებლად, სტირება ჩემი შესნება.

დაკვირვების ჩანაწერების ანალიზის შედეგად ანამ და ლელამ დაასკვნეს, რომ გიგისთან და აკასთან მეტი მუშაობა სჭირდებათ პრობლემის გადაჭრის უნარის გასავითარებლად. ასევე, სჭირდებათ დამატებითი წახალისება წესების დასაცავად.

კვირის განმავლობაში წარმოებული დაკვირვების ჩანაწერებს ანა და ლელა ბავშვების პორტფოლიოში მოათავსებენ. ამავე ჩანაწერებს გაუზიარებენ მშობლებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს. ამით მშობლებისთვის თვალსაჩინო გახდება, თუ როგორ ხდება სხვადასხვა უნარის გამომჟღავნება თამაშის დროს და რა სტრატეგიებით არის შესაძლებელი ამ უნარის ხელშეწყობა.

გარდა კონკრეტული უნარებისა, ანა და ლელა, ასევე, აკვირდებიან ბავშვების თამაშს სხვადასხვა ცენტრში.



კვირის განმავლობაში ანამ და ლელამ დააფიქსირეს ბავშვების ინტერესი წყალთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებთან, ამიტომ, მომდევნო კვირაში ისინი დაგეგმავენ ისეთ საქმიანობებს ან გამოწვევებს, რომ ბავშვებს წყლისა და სხვადასხვა ნივთიერებების გამოკვლევის საშუალება ჰქონდეთ. მეცნიერების ცენტრში ისინი წყალთან ერთად შეიტანენ სხვადასხვა სახის საკვებ პროდუქტს: ზეთს, მარცვლეულს, სუნელებს და დააკვირდებიან, რა იხსნება წყალში და რა არა. ხელოვნების ცენტრშიც წყალთან დაკავშირებულ გამოწვევებს შექმნიან, წყლის საღებავებს მოიმარაგებენ, ან სულაც წყლით ხატვის საშუალებას მისცემენ.

ანა და ლელა მომდევნო კვირაშიც განაგრძობენ ბავშვებთან მოლაპარაკების ჯოხის გამოყენებას. ასევე შეეცდებიან, კონფლიქტების მოგვარების კუთხე უფრო ხშირად გამოიყენონ პრობლემების გადასაჭრელად.

რეფლექსური დღიურის ჩანაწერები

ანა და ლელა ინდივიდუალურ რეფლექსურ დღიურს აწარმოებენ, შემდეგ ჩანაწერებს ერთმანეთს უზიარებენ და ერთად მსჯელობენ საკუთარი პრაქტიკის მიღწევებზე და გამოწვევებზე.

8 აპრილი

„დღეს ძალიან კმაყოფილი ვარ, საუზმეზე წამოჭრილი ინტერესი დროულად დავაფიქსირე და კარგად მოვიფიქრე ბავშვებისთვის მეცნიერების ცენტრში ექსპერიმენტის შეთავაზება. ისე კარგად ჩაერთნენ, შეკითხვებს სვამდნენ, ვარაუდებს გამოთქვამდნენ. ლელა ძალიან დამეხმარა, ვიდრე ბავშვები საუზმობდნენ, სამზარეულოდან უცბად მოიტანა შაქარი და მარილი, ყველაფერი გაამზადა მეცნიერების ცენტრში. ერთადერთი რაც არ მომეწონა, მთელი ჩემი ყურადღება მეცნიერების ცენტრმა მიიპყრო და ვეღარ მოვახერხე სხვაგან ჩართვა. მართალია, ასეც გადავანაწილეთ საქმიანობები, მაგრამ ვხედავდი, რომ ლელასთვის ადვილი არ იყო, არადა მეც ვერ მივატოვე ბავშვები, მეგონა, რომ გამოვსულიყავი, ბოლომდე არ მიჰყვებოდნენ ექსპერიმენტის მსვლელობას, მონაცემების ჩანიშვნაც გაუჭირდებოდათ... მოკლედ, რამე უნდა მოვიფიქროთ ასეთი სიტუაციებისთვის, ან მე უფრო მეტად მობილიზებული უნდა ვიყო...“

ჩანაწერი ანას რეფლექსური დღიურიდან

„დღეს ცოტა დავიძაბე, ბევრი სიახლე იყო... კონფლიქტების მოგვარების კუთხე მოვაწყეთ, მოლაპარაკების ჯოხი ვაჩვენეთ ბავშვებს, მეცნიერების ცენტრში ახალი ექსპერიმენტი შევთავაზეთ, ანა მთლიანად იქით იყო ჩართული და მე ცოტა გამიჭირდა დანარჩენების თვალყურის დევნება ცენტრებში. რაც კარგად გამომივიდა, დრამატულ ცენტრში როცა შევატყვე, რომ ტელეფონს საერთოდ არ იყენებდნენ თამაშისთვის, შევედი და კარგად ჩავერთე. ამით ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა, ზოგადად, ცოტა რთული დღე იყო. ანას გავუზიარებ ხვალ.“

ჩანაწერი ანას რეფლექსური დღიურიდან

10 აპრილი

„ბავშვებს ძალიან მოეწონათ წყალზე ექსპერიმენტები, გუშინწინ მხოლოდ ანიკო, ნიკო და ეთუნა იყვნენ მეცნიერების ცენტრში და გუშინ და დღეს ყველამ გამოთქვა სურვილი, მგონი ახალი პროექტის თემა წყალი იქნება...“

ჩანაწერი ანას რეფლექსური დღიურიდან

„წყალზე ცდები ძალიან საინტერესო გამოდგა. ყველას უნდოდა, მოესინჯა. კმაყოფილი ვარ, რომ ამ მიმართულებით წავიდა პროცესი. წყალზე ექსპერიმენტები მეც მიყვარს და ისედაც ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. ჯერ კი მხოლოდ ნივთიერებების შერევა აინტერესებთ, მაგრამ შეიძლება გავყინოთ, ავადუღოთ, ავაორთქლოთ და ა.შ.“

ჩანაწერი ლელას რეფლექსური დღიურიდან

15 აპრილი

„მშობლებთან დღევანდელი შეხვედრით კმაყოფილი ვარ, გიგის მშობლები ძალიან პოზიტიურები არიან. კარგია, რომ ჩემი შეთავაზებული სტრატეგიების გამოყენებას სახლშიც აპირებენ, ამით ძალიან დაგვეხმარებიან. მათთან შეხვედრით განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ...“

ჩანაწერი ანას რეფლექსური დღიურიდან

„მშობლებთან შეხვედრის წინ ყოველთვის ვღელავ ხოლმე, ამას ვერ გადავეჩვიე, ანა ძალიან მეხმარება ამ შფოთვის მოხსნაში. მთლიანობაში, ყველა შეხვედრამ კარგად ჩაიარა, პორტფოლიოები გავუზიარეთ, რეკომენდაციები მივეცით...“

ჩანაწერი ლელას რეფლექსური დღიურიდან.

მშობლებთან თანამშრომლობა

კვირის განმავლობაში ანა და ლია მშობელთა დაფაზე ცვლილებებს შეიტანენ და მიმდინარე ექსპერიმენტების ამსახველ ფოტოებსა და ცხრილებს გამოფენენ. ასევე, ტექსტის სახით აღწერას დაურთავენ, თუ რა ხდება ჯგუფში.

კვირის ბოლოს რამდენიმე ინდივიდუალურ შეხვედრას დაგეგმავენ ზოგიერთი ბავშვის მშობელთან. ასეთ შეხვედრებს გარკვეული სიხშირით, სისტემატურად ატარებენ მშობლებისთვის ბავშვების მიღწევების გაზიარების მიზნით, ასევე, სამომავლო გეგმების ერთობლივად განსახილველად და რეკომენდაციების გასაცნობად. მაგალითად, გიგის მშობლებს შესთავაზეს მოლაპარაკების ჯოხის სახლში გამოყენება გიგის ერთი წლით უფროს ძმასთან ერთად. ნიკოს მშობლებს ურჩიეს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, ნიკოსთვის სახლში ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება მიეცათ. ხოლო ელენე – მეტად ჩაერთოთ ოჯახის საქმიანობებში.

შერეული ასაკობრივი ჯგუფი

დღისა და კვირის დაგეგმვა

მიმდინარე წლის გაზაფხულზე შერეული ჯგუფის აღმზრდელებმა, მარიმ და თეომ გადაწყვიტეს სხვადასხვა პროფესიები გაეცნოთ ბავშვებისათვის, კონკრეტულად კი ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი პროფესია, მეხანძრე, აირჩიეს. თავდაპირველად გადაწყვიტეს „მეხანძრე“ როგორც თემა დაეგეგმათ. შესაბამისად, შეარჩიეს რამდენიმე თამაში ხელოვნების, წიგნიერებისა და მეცნიერების მიმართულებებიდან. თამაშების შერჩევისას მარიმ და თეომ გაითვალისწინეს მათი ჯგუფის სხვადასხვა ასაკის ბავშვის განსხვავებული შესაძლებლობები. შესაბამისად, დაგეგმეს მსგავსი, მაგრამ ზოგისთვის — მარტივი, ხოლო ზოგისთვის უფრო მეტად რთული აქტივობის შეთავაზება, მაგალითად:

- ხელოვნება: **ყველა** დახატავს მეხანძრეს. **უფროსები** გააკეთებენ სახანძრო მანქანას სხვადასხვა მეორადი მასალისაგან. **უმცროსები** დაამზადებენ სახანძრო ჩაფხუტებს პაპიემაშეს ტექნოლოგიით.
- მეცნიერების მიმართულებიდან: **უმცროსებისთვის**: ნახშირის დაფშვნა და დაკვირვება. **უფროსებისათვის**: დაკვირვება კრისტალებზე ლუპის საშუალებით, ნაცრის და ნახშირის შედარება;
- წიგნიერებისათვის: გადაწყვიტეს მეხანძრეებზე არსებული წიგნების შეთავაზება. **უმცროსები** მოძებნიან მეხანძრეების ფოტოებს, ხოლო **უფროსები** შეეცდებიან იპოვონ სიტყვა „მეხანძრე“.

მარიმ და თეომ ასევე განსაზღვრეს სტრატეგიები კვლევა აღმოჩენის უნარების ხელშესაწყობად. ამ სტრატეგიებს ისინი კვირის მანძილზე გამოიყენებენ. ეს სტრატეგიები ასაკის მიხედვით განსხვავებული იქნება, მაგალითად უმცროსებს უფრო სხვადასხვა სახის სახანძრო აღჭურვილობას შეადარებინებენ, ხოლო უფროსებთან, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრებისთვის, ღია კითხვებს დასვამენ.

მარიმ და თეომ, ასევე, განსაზღვრეს თამაშები და სტრატეგიები ჯგუფის ერთობისათვის.

უფროსებისათვის: გადაწყვიტეს იმუშაონ დაგეგმვის უნარზე, უმცროსებთან კი — მოდელირების საშუალებით, იმპულსების მართვაზე.

თარიღი:___ 7-11 თებერვალი ____ თემები: მეხანძრე პროექტები :		ჯგუფური აქტივობა: ზღაპრის კითხვა „მხიარული მეხანძრე.“ ექსკურსია სახანძროში.	
დილის/ საღამოს შეხვედრა მისალმების სიმღერა, საუბარი დღის გეგმაზე	კუბურები გამოწვევა: სახანძრო მანქანებისა და მეხანძრეების პატარა ფიგურების შეტანა.	ხელოვნება „მეხანძრის“ ხატვა. უფროსებისათვის: სახანძრო მანქანის გაკეთება სხვადასხვა მეორადი მასალებისაგან. უმცროსებისთვის: პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით სახანძრო ჩაფხუტების დამზადება.	დრამატული. სახანძრო სადგურის მოწყობა, ჩაფხუტების, ხელნაკეთი ცეცხლმაქრების და რეზინის სარწყავი მილის შეტანა.
წიგნიერება წიგნები მეხანძრეებზე. უმცროსებისთვის: იპოვე მეხანძრის სურათი წიგნში. უფროსებისათვის: იპოვე სიტყვა მეხანძრე.	მეცნიერება უმცროსებისთვის: ნახშირის დაფშვნა. უფროსებისათვის: დაკვირვება კრისტალებზე ლუპის საშუალებით. ნაცრის და ნახშირის შედარება.	სამაგიდო უფროსებისათვის: სახანძრო სადგურის ფაზლის აწყობა. უმცროსებისთვის: ცეცხლის ხელნაკეთი 6 ნაწილიანი ფაზელი.	სენსორული უმცროსებისთვის: თამაში დამწვარი ხის ნაცარით.
რუტინები/ ტრანზიციები ეზოში გასვლის და ეზოდან ამოსვლის წესები, ვეხმარებით უმცროსებს.	სტრატეგიები: **კვლევა**: უმცროსებთან კითხვები- შედარებაზე როგორ გავუფრთხილდე ბუნებას? **ჯგუფის ერთობა**: უმცროსებთან: იმპულსების მართვა. უფროსებთან- **კითხვები დაგეგმვაზე**: რა უნდა გააკეთო? რა გინდა გამოიყენო? ცვლი გეგმას?	რესურსები; მეხანძრეებისა და სახანძრო მანქანების ფიგურები. დამწვარი ხის ნახშირი და ნაცარი. ლუპები. მეორადი მასალა, მუყაო, წებო, სკოჩი, ბოთლების თავსახურები. სახანძროსა და ცეცხლის ფაზლები. წიგნები მეხანძრეებზე.	ეზო ცეცხლის ანთება და ჩაქრობა წყლის საშუალებით.

ფიზიკური გარემოს მოწყობა

დრამატული თამაშების სივრცე: თეომ და მარიმ გადაწყვიტეს, დრამატული თამაშების სივრცე შეეცვალათ და იქ სახანძრო სადგური მოაწყვეს. ამისათვის შეღებეს ყუთები და სახანძრო მანქანებად გამოიყენებენ. ასევე, კვირის განმავლობაში შეიტანენ ბავშვებთან ერთად დამზადებულ ჩაფხუტებს, პლასტმასის ბოთლებისაგან ხელნაკეთ ცეცხლმაქრებს და რეზინის სარწყავ მილს.

ხელოვნების სივრცე: აღმზრდელებმა წინასწარ მოიმარაგეს სხვადასხვა მეორადი მასალები, რომლითაც წაახალისებენ ბავშვებს, დაამზადონ სახანძრო მანქანები. ასევე, გამოყენებული ჟურნალ-გაზეთების ფურცლები და სახამებელი, პაპიემაშეს ტექნოლოგიით სახანძრო ჩაფხუტების დასამზადებლად.

კუბურების სივრცე: თეომ და მარიმ კუბურებსა და სხვადასხვა ფიგურებს დაუმატეს სახანძრო მანქანები და მეხანძრეების პატარა ფიგურები.

წიგნიერების სივრცე — მოიძიეს და შეიტანეს ფერადი ილუსტრირებული წიგნები მეხანძრეებზე.

მეცნიერების სივრცე — ცდებისა და დაკვირვებისთვის აღმზრდელებმა გადაწყვიტეს ნახშირისა და ლუპის შეტანა, რომ ბავშვებმა შეძლონ ნახშირის დაფშვნა, მის კრისტალებზე და თვისებებზე დააკვირვება ლუპისა და მანიპულირების, წყალში გახსნის, ფურცელზე გასმის საშუალებით.

სამაგიდო თამაშების სივრცე — აქ აღმზრდელებმა გამოიყენეს სახანძრო სადგურის ფაზლი უფროსებისათვის, ხოლო უმცროსებისათვის – ხელნაკეთი 6 ნაწილიანი ფაზლი „ცეცხლი და მეხანძრე“.

სენსორული — მარიმ და თეომ კონტეინერი დამწვარი ხის ნაცრით გაავსეს.

პრაქტიკა

თეომ და მარიმ დილის შეხვედრა მისასალმებელი სიმღერით დაიწყეს. ბავშვებს საშუალება მისცეს, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ შაბათ-კვირის ამბები, შემდეგ კი საუზმის ნიშანი მისცეს. საუზმისთვის მაგიდის გაშლაში უფროსი ბავშვები უმცროსებს ეხმარებიან, თეო და მარი ისე გადანაწილდნენ მაგიდებთან, რომ საჭიროებისამებრ დაეხმარონ იმ ბავშვებს, რომლებსაც დამოუკიდებლად საკვების მიღება ჯერ კიდევ არ შეუძლიათ. საუზმის შემდეგ, მარიმ ხალიჩაზე მატარებლობანას თამაში წამოიწყო. თამაშში უფროსებიც ჩაერთნენ და უმცროსებიც, ეს დრო საშუალებას აძლევს მას და თეოს, რომ საუზმის შემდეგ ოთახი მოაწესრიგონ და ცენტრებში მასალები მოამზადონ.

თეოს და მარის როლები გადანაწილებული აქვთ. თეო უმცროსებს მიაქცევს ყურადღებას, შეეცდება, რომ ჩართოს ადაპტირებულ აქტივობებში. მარი უფროსებს ადევნებს თვალყურს, რომ პროცესი და აქტივობები მათთვის ზედმეტად მარტივი და მოსაწყენი არ იყოს.

ხელოვნების ცენტრში უფროსი ბავშვები – გიო, ირაკლი, ნანა – მეორადი მასალის საშუალებით სახანძრო მანქანის გაკეთებას ცდილობენ, უმცროსები კი – ანი და კოკი – იქვე, სახამებლით სავსე ჯამში ხელებს აჭყაპუნებენ. თეო მათ სახამებელში ქაღალდის ჩაყრას და შემდეგ ბუშტზე დაწებებას სთავაზობს. ანი და კოკი სიამოვნებით ერთვებიან პროცესში. უფროსი ბავშვებიც ინტერესდებიან და ნანა, რომელმაც იცის პაპიემაშეს ტექნოლოგია, უმცროსებს სიტყვიერ მითითებებს აძლევს. ხოლო მას შემდეგ, რაც მუყაოსგან სახანძრო მანქანის დამზადებას დაასრულებს, თავადაც ჩაერთვება. თეო ხედავს, რომ ნანა კარგად ეხმარება უმცროსებს, მათთან ერთად მუშაობს, ამიტომ, ცოტა ხნით ამ ცენტრიდან გამოდის და მეცნიერების ცენტრში გადაინაცვლებს, სადაც უმცროსებს – გივიკოს და აჩის ნახშირი დაუფშხვნიათ და ახლა უფროსებივით ლუპით აკვირდებიან ნაფშხვენებს.

მარი წიგნიერების ცენტრში შესულ ბავშვებს ეხმარებოდა სიტყვის – მეხანძრე – პოვნაში. სამაგიდო თამაშების ცენტრში უფროსი ბავშვები მაგიდასთან აწყობენ ფაზლს, ხოლო უმცროსებს იატაკზე გაუშლიათ და ისე მუშაობენ. ცენტრების დრო რომ სრულდება, მარი და თეო საგანგებო ხმოვან ნიშანს აძლევენ ბავშვებს და ისინი ნელ-ნელა იწყებენ ცენტრების ალაგებას. უფროსი ბავშვები უმცროსებს ეხმარებიან, შემდეგ შემოსასვლელში გადაინაცვლებენ, გამოიცვლიან და ეზოში გადიან.

კვირის განმავლობაში აღმზრდელები იყენებენ თამაშებსა და სტრატეგიებს ჯგუფის ერთობისათვის. რადგან უფროსებისათვის არჩეული აქვთ დაგეგმვის უნარზე მუშაობა, ყველა თამაშისა თუ რუტინული აქტივობის დროს დასვამენ კითხვებს: რა უნდა გააკეთო? რა დაგჭირდება ამისთვის? იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები გეგმას შეცვლიან, აღმზრდელი მათ კითხავს: „გადაწყვიტე, გეგმა შეცვალო?“

უმცროსებთან კი კვირის განმავლობაში – მოდელირების საშუალებით – იმპულსების მართვაზე მუშაობენ, მაგალითად ხშირად გააჟღერებენ: „როგორ მინდა, ახლა მივდიოდეთ სახანძროში, მაგრამ ხვალამდე მოვითმენ.“

დღისა და კვირის დაგეგმვა

მას შემდეგ, რაც თემა „მეხანძრეზე“ მუშაობისას აღმზრდელებმა დაინახეს ბავშების ცოცხალი ინტერესი ცეცხლის მიმართ, გადაწყვიტეს, ეს თემა მომდევნო კვირის პროექტად დაეგეგმად. ბავშვები წინა კვირის განმავლობაში სხვადასხვა კითხვებს სვამდენ ცეცხლზე: რკინა და ქვა იწვის თუ არა? წყალი უფრო აქრობს ცეცხლს თუ ზეთი? და ა.შ.

აღმზრდელებმა გააკეთეს წინასწარი დაგეგმვის ფორმა, სადაც ჩამოწერეს ბავშვების არსებული და შესაძლო კითხვები, ასევე ფორმა, სადაც ჩამოწერეს ცეცხლთან დაკავშირებული თემები, რომელზეც შეიძლება დაიგეგმოს აქტივობები და თამაშები.





ამ რუკების მიხედვით თეომ და მარიმ დაგეგმეს თემატური მიმართულებებიდან კვლევითი ტიპის ცდები და თამაშები, რომლებიც საშუალებას მისცემდა ბავშვებს, პასუხი გაეცათ თავიანთ კითხვებზე, მაგალითად, რა იწვის და რა არა, მოიფიქრეს ცდა, ეზოში დანთებულ პატარა ცეცხლზე მოესინჯათ სხვადასხვა ნივთების დაწვა, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

თარიღი:___ 14-18 თებერვალი ____ თემები: მეხანძრე პროექტები : ცეცხლი		ჯგუფური აქტივობა: რა ვიცით, რა გვაინტერესებს, როგორ ვფიქრობთ ცხრილის გაკეთება	
დილის/ საღამოს შეხვედრა დილის შეხვედრის სიმღერა, პროექტზე მუშაობის დღის გეგმაის განხილვა, პროექტზე მუშაობის შეჯამება	კუბურები	ხელოვნება პატარები და დიდები: ცდა – ხატვა ნახშირით ხატვა მეხსიერებით – „ცეცხლი“ უფროსები: ხელნაკეთი სანთლების დამზადება	დრამატული. ბავშვები აგრძელე-ბენ თამაშს „სახანძრო სადგურში“
წიგნიერება საბავშვო ენციკლოპედია	მეცნიერება ცდა: როგორ ქრება ცეცხლ. დაკვირვება და ჩა-ნახატების გაკეთება	სამაგიდო მოზაიკით 112 აწყობა ტრაფარეტის მიხედვით	მუსიკალური ინსტრუმენტები მეხანძრეების სიმღერის მოგონება
რუტინები/ ტრანზიციები უფროსებისთვის: ეზოში გასვლისა და შემოსვლის სტრატეგიები.	სტრატეგიები: **კვლევა**: ცდა ექსპერიმენტირება **ჯგუფის ერთობა**: დაგეგმვა	რესურსები; ხის პატარა ტოტები, ქსოვილი, ქვა, ნიჟარა, ფოთლები, წყალი, ქვიშა, სანთლები, ასანთი, მოზა-იკა. ენციკლოპედია	ეზო ექსპერიმენტი ცეცხლის ჩაქრობზე

ფიზიკური გარემოს მოწყობა

ამჯერად აღმზრდელებმა მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრში ის საჭირო ნივთები შეიტა-ნეს, რაც ბავშვებს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში დაეხმარება:

- წიგნიერების ცენტრში – ილუსტრირებული ენციკლოპედია ბავშვებისათვის, სადაც ახსნილია ცეცხლის თვისებების შესახებ.
- ხელოვნების ცენტრში – გუაშის საღებავები და ფორმატები, ნახშირი და თაბახის ფურცლები, ცვილი და თასმები.
- მეცნიერების ცენტრში – სანთლები და ქილა.
- დრამატული თამაშების ცენტრში – ბავშები ისევ თამაშობენ მეხანძრეობანას წინა კვირას დამზადებული რეკვიზიტებით.

პრაქტიკა

დილის შეხვედრაზე აღმზრდელები ბავშვებს ჩვეული სიმღერით შეხვდენენ, და დღის გეგმებზე მოკლედ ისაუბრეს. საუზმის შემდეგ ისევ შეიკრიბნენ მხოლოდ ისინი, ვისაც სურვილი ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ცხრილის შედგენაში ცეცხლის შესახებ. თავდაპირველად, აღმზრდელებმა ბავშვებს საშუალება მისცეს, ეთქვათ, რა იცოდნენ ცეცხლის შესახებ. გიგიმ და ნიკომ თქვეს, რომ ცეცხლის დასანთებად „რაღაც“ არის საჭირო – ჯოხები, ფოთლები, ქაღალდი და აუცილებლად ასანთი. გიომ და ნანამ თქვეს, რომ ზოგიერთ საგანს ცეცხლი ეკიდება, მაგალითად ბურთებს, რეზინის ცხოველებს, წინდას და ა.შ. ნანამ გაიხსენა, როცა სოფელში შეშის ღუმელის გამო მის ბიძაშვილს წინდა დაეწვა. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ რკინა და ქვა ცეცხლში არ იწვის. დასვეს კითხვებიც, მაგალითად, ირაკლის აინტერესებს იწვის თუ არა ცეცხლში ზღვაში ნაპოვნი ნიჟარა, იწვის თუ არა წაბლი. ნანამ თქვა, რომ მისი ბაბუა ეზოში მოგროვებულ ფოთლებს ნაგვის ურნაში ყრის და ამბობს, რომ დაწვა არ შეიძლებაო. თეო დაეხმარა ნანას შეკითხვის ჩამოყალიბებაში: „ნანა, მგონი გაინტერესებს, რატომ არ შეიძლება ფოთლების დაწვა, ხომ?“ ნანა დაეთანხმა. გიგის აინტერესებს რა ემართება ცეცხლში რკინას. აღმზრდელები იწერდნენ ბავშვების შეკითხვებს, ბავშვები კი პატარა მინიშნებებს ახატავდნენ, რომ უცებ მიმხვდარიყვნენ, რას ეხებოდა წარწერა ფორმატზე.



ამის შემდეგ ბავშვები ეზოში გადიან, რომ თავისი ვარაუდები გამოცადონ და შეამოწმონ, რა იწვის ცეცხლში და რა არა. ზოგიერთი მათგანი ცეცხლის ჩანახატებს აკეთებს.

ჯგუფში დაბრუნების შემდეგ ბავშვები ცენტრებში გადადიან და იქ დაგეგმილ და დაუგეგმავ თამაშებს თამაშობენ. მეცნიერებაში მოსინჯავენ, როგორ ქრება სანთელი, როცა ჟანგბადი მთავრდება.

წიგნიერებაში ბავშვები ენციკლოპედიას ათვალიერებენ, აღმზრდელი მათთან ზის და უკითხავს.



ხელოვნების ცენტრში ბავშვები ეზოში დამწვარი ჯოხებით ხატავენ.

მომდევნო დღეებში ბავშვები ეზოში ექსპერიმენტს ატარებენ ცეცხლის ჩაქრობაზე. ამოთხრილ ორმოში დაანთებენ ცეცხლს და ზედ ფიცარს დააფარებენ, ცეცხლი ჩაქრება. შემდეგ ცეცხლის წყლით და ქვიშით ჩაქრობასაც გამოცდიან.

ხელოვნებაში ბავშვები გუაშებით დახატავენ ცეცხლს და სანთელებს დაამზადებენ.

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

თეოს და მარის ერთი კვირის დაკვირვების ჩანაწერები.

(14.02 – 18.02)

მარი და თეო პროექტის განმავლობაში ბავშვებზე დაკვირვებასაც აწარმოებდნენ. ამისათვის მათ გაინაწილეს საქმე – თეო უმცროს ბავშვებზე აწარმოებდა დაკვირვებას, ხოლო მარი უფროსებზე.

დაკვირვების ჩანაწერი ნანაზე

დაკვირვების ჩანაწერები გიოზე



დაკვირვების ჩანაწერები კოკიზე



დაკვირვების ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე თეომ და მარიმ ბავშვების უნარები დაადგინეს და მათი საჭიროებები განსაზღვრეს.

ბავშვის სახელი	რა დავინახე	რა დავასკვენი	რას ვაკეთებ მე
ნანა	პლასტმასის ბოთლის სახურავებზე დაამაგრა საწრუპი ჩხირები პლასტილინის გამოყენებით, შემდეგ ეს ჩხირები მუყაოს ყუთზე დაამაგრა, ირაკლისკენ გაიხედა და უთხრა, ნახე ბორბლები გავუკეთე.	ნანა აკვირდება საგნების თვისებებს და ამის საფუძველზე მოსინჯავს საგნების გამოყენების სხვადასხვა გზას.	შევთავაზებ სხვა სამუშაო მასალას და წავახალისებ, რომ სახანძროს შენობის მაკეტი დაამზადოს.
გიო	მოძებნა სიტყვა მეხანძრე.	შეუძლია ნიმუშის მიხედვით სიტყვის მოძებნა ტექსტში.	მოვამზადებ ბარათებს სიტყვებით „მეხანძრე“ და „სახანძრო“. წავახალისებ, რომ დაახარისხოს.
კოკი	ნაცრიან ჯამში ჯერ ჩაყარა პლასტმასის სათამაშოები და შემდეგ დაუწყო ძებნა.	სიამოვნებას რებულობს თამაშით, მოსინჯავს ახალ მასალებს.	მივცემ საშუალებას, რომ ნაცარში წყალი ჩაასხას და ისე ითამაშოს.

თეო და მარი დაკვირვების ჩანაწერებს ყოველდღიურად აწარმოებენ, დღის ბოლოს ანალიზს უკეთებენ და მეორე დღისთვის, მათი საჭიროების შესაბამისად, ბავშვებს სპეციფიკურ გამოწვევებს სთავაზობენ. აღმზრდელები დაკვირვების ჩანაწერებს ბავშვების ნამუშევრებთან და ფოტოებთან ერთად პორტფოლიოში მოათავსებენ. ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე თითოეული ბავშვის მშობლებთან შესახვედრად მოემზადებიან.

რეფლექსური დღიურის ჩანაწერები

14 თებერვალი

„ვფიქრობ, მე და მარიმ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა მეხანძრის თემა შევარჩიეთ. კარგად მოვიფიქრეთ სხვადასხვა აქტივობები უფროსი და უმცროსი ბავშვებისთვის. მგონი, ასე უფრო გაგვიადვილდა მუშაობა, მე ნამდვილად გამიადვილდა. კარგად მოვიფიქრეთ ისიც, რომ ბავშვები „გავინაწილეთ“. მე უმცროსებზე ვიყავი მიმაგრებული, მარი – უფროს ბავშვებზე. ძალიან კარგად ავაწყვეთ. ცოტა პაპიემაშესი მეშინოდა, როგორ გამოვიდოდა. ჯერ იმას ვფიქრობდი, რამდენად მოუნდებოდათ ბავშვებს. მერე პირიქით, იმაზე ვშფოთავდი, ყველა თუ პაპიემაშესკენ წამოვიდა, როგორ მოვაგვარებდი, მაგრამ მშვენივრად ჩაიარა... განსაკუთრებით ანიმ და კოკომ ისიამოვნეს...“

ჩანაწერი თეოს დღიურიდან

17 თებერვალი

„დღევანდელმა დღემაც კარგად ჩაიარა, მეხანძრეობანას თამაშით ძალიან იხალისეს, მეც ვიხალისე. ისე, ხვალ თეოს უნდა ვუთხრა, ბავშვებს საბავშვო ბაღის დერეფანში დამაგრებული ცეცხლმაქრები ვაჩვენოთ, აქამდე როგორ არ გამახსენდა. სახანძროშიც შეგვიძლია დავრეკოთ და იქნებ მეხანძრეები დავპატიჟოთ.“

ჩანაწერი მარის დღიურიდან

18 თებერვალი

„ცეცხლმა ბავშვების დიდი ინტერესი გამოიწვია. ეზოში ცეცხლი რომ დავანთეთ, გაფართოებული თვალებით უყურებდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ აქტივობით განსაკუთრებით დაინტერესებოდნენ. ისე, ცოტა ვღელავდი, უსაფრთხოების წესებს კი ვიცავდით მე და მარი, მაგრამ მაინც ვღელავდი ცეცხლთან. თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა. კარგად გვქონდა ორგანიზებული და ალბათ ამიტომ.“

ჩანაწერი თეოს დღიურიდან

18 თებერვალი

„ცეცხლის დანთება განსაკუთრებული იყო, ისე დაინტერესდნენ, მგონი, პროექტის თემა ცეცხლი რომ იყოს, ყველა ჩაერთვება, უფროსი ბავშვებიც და უმცროსებიც. პატარები გასაკვირი ინტერესით აკვირდებოდნენ დაფშხვნილ ნახშირს ლუპით.

დღეს თითქმის სულ უმცროსებთან ვიყავი. აქამდე, უმეტესად, თეო იყო მიმაგრებული პატარებთან, მე უფროსებთან უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს და მეგონა, რომ მათთან უფრო მიადვილდება მუშაობა. დღეს აღმოვაჩინე, რომ უმცროსებთანაც მშვენივრად გამომდის.

ჩანაწერი მარის დღიურიდან

მშობლებთან თანამშრომლობა

პროექტის შესაჯამებლად ბავშვები ჯგუფში მშობლებს მოიწვევენ, დაათვალიერებენ ნამუშევრებს და მოუყვებიან რა და როგორ გაიგეს.

ტერმინთა განმარტება

ავტონომიური უფროსი – უფროსი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს.

ასერტულობა – უნარი, გამოხატო საკუთარი სურვილები, გრძნობები, საჭიროებები და დაიცვა საკუთარი უფლებები ისე, რომ ანგარიში გაუწიო სხვების გრძნობებს და არ დაარღვიო მათი უფლებები.

არავერბალური კომუნიკაცია – ურთიერთობა სიტყვების გარეშე, ჟესტებისა და მიმიკის საშუალებით.

ბუნებრივი მასალა – ნებისმიერი მასალა, რომლის შეგროვებაც ბუნებაში არის შესაძლებელი: კენჭები, ნიჟარები, ბუმბული, ფოთლები, მცენარეთა ფესვები, ხავსი, ცხოველების ბეწვი და ა.შ.

გამიზნული პრაქტიკა – აღმზრდელის მიერ წინასწარ გააზრებული ქმედებები, დაგეგმილი სტრატეგიები, რომლებიც ემსახურება გარკვეული მიზნის მიღწევას.

გამოწვევა (პროვოკაცია) – აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგია, რაც რესურსების შეტანის გზით, მათი საგანგებო ორგანიზებითა და ვერბალური კომენტარებით ბავშვებისთვის ბიძგის მიცემას გულისხმობს, მათი იდეების, ფანტაზიის და ინიციატივის პროვოცირებისთვის.

დაგეგმილი და დაუგეგმავი გამოცდილებები – სხვადასხვა სახის დაგეგმილი და დაუგეგმავი საქმიანობები, რომლებშიც ბავშვი ერთვება და მონაწილეობს.

დროითი გარემო – დროის ორგანიზება გარკვეული ლოგიკის მიხედვით.

ემერჯენტული კურიკულუმი – ბავშვის ინტერესებზე დაფუძნებული, სპონტანური, დაუგეგმავი კურიკულუმი.

თემა – საგანმანათლებლო პროცესში შინაარსის ორგანიზების ფორმა.

თემატური მიმართულება – ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის მიმართულებები, რომლებიც აერთიანებს ცალკეულ დარგებთან დაკავშირებულ სტანდარტებს.

თვითრეფლექსია – საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, ასევე, საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება, შეფასება, დაგეგმვა და კონტროლი.

თვითცნობიერება – ცნობიერი ცოდნა საკუთარი მახასიათებლების, შეგრძნებების, მოტივებისა და სურვილების შესახებ.

ინდივიდუალური გეგმა – სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების და ამ მიზნების მიღწევის გზების გეგმა, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეთანხმებულად არის შედგენილი.

ინდივიდუალიზაცია – ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე, ინდივიდუალური თამაშებისა და სტრატეგიების გამოყენება. ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობისას – ბავშვისათვის საქმიანობების ადაპტირება: გართულების, გამარტივების ან მოდიფიცირების გზით.

ინოვაციურობა – შემოქმედებითი გადაწყვეტების უნარი.

კოგნიტური განვითარება – შემეცებითი პროცესის განვითარება, რომელიც მოიცავს წარმოსახვას, აღქმას, აზროვნებასა და ამოცანის გადაჭრას.

კურიკულუმი – ყველა დაგეგმილი ან დაუგეგმავი გამოცდილება, საქმიანობა, რუტინა, მოვლენა და ყველა ტიპის ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოში.

მთლიანობითი განვითარება – ყველა სფეროს თანაბრად განვითარება.

პარალელური თამაში – თამაშის განვითარების ეტაპი, რომლის დროსაც მოთამაშეები ერთმანეთთან არ ურთიერთობენ და ერთ თამაშში არ მონაწილეობენ. თუმცა ერთმანეთს, როგორც მოთამაშეებს, ხედავენ და ერთმანეთის თამაშს აკვირდებიან.

პორტფოლიო – კრებული, რომელიც მოიცავს ბავშვის ნამუშევრებს, დაკვირვების/შეფასების შედეგად მიღებულ მრავალფეროვან ინფორმაციას, ბავშვების სურათებს სხვადასხვა საქმიანობის შესრულებისას და სხვა.

პროსოციალური ქცევა – ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია ინდივიდის მიერ სხვათა დახმარებაზე. პროსოციალური ქცევის განხორციელების მთავარი მოტივი სხვა ადამიანის დახმარებაა. პროსოციალურ ქცევას წარმოადგენს ალტრუიზმიც, რომელიც, საკუთარი უსაფრთხოებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად, მეორე ადამიანისთვის დახმარების გაწევას ნიშნავს.

რთული ქცევა – ქცევა, რომელიც არღვევს საზოგადოებაში, ან კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ წესებს; ხელის შემშლელია და პრობლემას უქმნის როგორც თავად ბავშვს, ასევე მის გარშემომყოფებს.

რუტინა – მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც ხშირად და გარკვეული თანმიმდევრობით მეორდება.

სტრატეგიები – აღმზრდელის გამიზნული ქმედებები, რომლებიც ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება. მაგალითად, ბავშვებთან საუბარი მათი თამაშის და საქმიანობის შესახებ, უკუკავშირის მიცემა, კითხვების დასმა, ყურადღებით მოსმენა, არჩევანის შესაძლებლობის მიცემა.

საგანმანათლებლო რესურსი – ყველა ის მასალა, რომელიც გამოიყენება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას (მაგ., ქარხნული წესით დამზადებული თუ ხელნაკეთი სათამაშოები,

ბუნებრივი, სამხატვრო და საკანცელარიო, ღია და მეორადი მასალა, ბეჭდური მასალა და ა.შ.) (სტანდარტი).

საგანმანათლებლო სივრცე – ადგილი, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი.

სასწავლო შესაძლებლობა/მომენტი – ნებისმიერი სიტუაცია, რომლის გამოყენებაც შეიძლება ბავშვის რომელიმე უნარის განვითარების ხელშეწყობისთვის.

სოციალური სცენარები – ამბები, ზღაპრები, რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვანაირი სიტუაციების შესახებ, რომელთა მაგალითზეც გვინდა ბავშვს დავეხმაროთ თავისი ქმედების, სიტუაციის დანახვასა და გააზრებაში.

ტრანზიცია/გადასვლა – პროცესი, რომელიც გულისხმობს ბავშვის გადასვლას სახლიდან ან ბავშვთა ადრეული ინტერვენციის (განვითარების) პროგრამიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში; ან გადასვლას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში არსებულ სხვადასხვა პროცესს შორის; ან ბავშვის გადასვლას ადრეული და სკოლამდელი აღზრდიდან და განათლებიდან – ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში.

ღია მასალა – საგანმანათლებლო რესურსის ტიპი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვანაირად. ღია მასალა შესაძლოა იყოს როგორც ბუნებრივი წარმოშობის (მაგ., კენჭები, ჯოხები, ფოთლები, ბუმბული და ა.შ.), ასევე ქარხნული (მაგ., მინისა და ხის ბურთულები, მუყაოს ყუთები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.). ბავშვების მიერ ღია მასალის გამოყენება ხელს უწყობს წარმოსახვის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

შეფასებითი პორტფოლიო – შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელსაც აღმზრდელი ბავშვის პორტფოლიოზე დაყრდნობით პერიოდულობად აწარმოებს. დოკუემენტი წარმოადგენს ბავშვის პროგრესის, აღმზრდელის მუშაობის შედეგებისა და მომავალი გეგმების მოკლე ანგარიშს.

ცენტრი – ჯგუფის ფიზიკურ გარემოში არსებული სივრცე, სადაც საგანგებო რესურსის გამოყენებით, ბავშვებს სპეციფიკურ აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ.

ჰოლისტური განვითარება – თვითაქტუალიზაციისა და სწავლის პროცესი, რომელიც მოიცავს ინდივიდის ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ ზრდას კომპლექსურად. ბავშვის მრავალმხრივი/ჰოლისტური განვითარება გულისხმობს მათი ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ურთიერთობების საჭიროებების თანხვედრას. განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა ახალისებს მზრუნველს, დაინახოს ბავშვი, როგორც მთლიანი პიროვნება და არა ცალკეული განვითარების სფეროების ნაკრები.

გამოყენებული ლიტერატურა

1) მაკლაქლანი, კ., ფლიერი, მ., & ედვარდსი, ს. (2013). ადრეული ბავშვობის კურიკულუმი. კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, მეორე გამოცემა.
2) აკადემიური, სოციალური და ემოციური სწავლების ერთობლიობა https://casel.org/
3) პირამიდის მოდელის ინოვაციების ეროვნული ცენტრი. https://challengingbehavior.cbcs.usf.edu/
4) ქაფლ, კ., & ბრედეკამპი, ს. (2008). განვითარების შესაბამისი პრაქტიკა. მცირეწლოვან ბავშვთა განათლების ეროვნული ასოციაცია, მესამე გამოცემა.
5) Dodge, D. T., Colker, L. J. & Heroman, C. (2007). The Creative Curriculum for Preschool. Teaching Strategies
6) Durlak, J. A., Domitrovich, C. E., Weissberg R. P., & Gullotta. T. P. (2015). Handbook of Social and Emotional Learning. Guilford Publications
7) Edwards, C., Gandini, L., & Praeger, G. F. (2011). The Hundred Languages of Children: The Reggio Emilia Experience in Transformation.
8) Gartrell, D. (2003). The Power of Guidance. Teaching Social-Emotional Skills in Early Childhood Classrooms, Delmar Learning
9) Helm, J. H., & Katz, L. G. (2016). Young Investigators: The Project Approach in the Early Years. Teachers College Press
10) Miller, K. (2001). Ages and Stages. Birth Through Eight Years,
11) School Readiness. A Conceptual Framework. (2012). United Nations Children“s Fund, New York
12) Stacey, S., & Elizabeth Jones, E. (2018). Emergent Curriculum in Early Childhood Settings: From Theory to Practice. Redleaf Press; Second edition